114
1938/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

7

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1938

პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო ჟურნალი

წელიწადი მეთხუთმეტე

7

Тбилисский Филиал Библиотека имени Шота Руставели

ივლისი

სახელგამი

1938

საქართველოს სახელმწიფოს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქცია:
ტფილისი, მაჩაბლის 13,
მწერალთა სასახლე
ტ. 3-71-84

ანტურა:
ტფილისი, კიროვის ქ. № 7
სახელგამი
პერიოდსექტორი

პ/მგ. რედაქტორი — ალიო მაშაშვილი

პ/მგ. მდივანი — ლევან ასათიანი

გად. წარმ. 15/VII 38; ხელმ. დასაბ. 2/VIII 38.
შკვ. № 1524; მთავლ. რწმ. № 1048. ტირ. 5.500.

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, ეორესის ქ. № 5.

ორი ისტორიული თარიღი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის ზაფხულის თვეები ორი ისტორიული მოვლენით აღინიშნა.

15 ივნისს გაიხსნა და ხუთი დღის შემდეგ თავისი მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-11 ყრილობამ. ეს ყრილობა წარმოადგენდა საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და მსოფლიოს მშრომელთა ბელადის დიდი სტალინის გარშემო საქ. ბოლშევიკური ორგანიზაციების შეურყეველი შემჭიდროების დემონსტრაციას.

ყრილობამ მოისმინა ამხანაგ ლავრენტი ბერიას საანგარიშო მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ ვრცლად და ამომწურავად გააშუქა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა სფეროში, აგრეთვე პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები, ბოლშევიკური კრიტიკის მახვილი იარაღით გამოამჟღავნა მთავარი ნაკლოვანებები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე დასახა ახალი საბრძოლო ამოცანები. ამხანაგ ბერიას მოხსენება წარმოადგენს უაღრესად კონკრეტულ პროგრამას შემდგომი მუშაობისათვის.

საერთოდ მთელი ყრილობა მიმდინარეობდა გაშლილი კრიტიკით და თვითკრიტიკით, რომელსაც გამოუშკარავებელი არ დარჩენია პარტიული მუშაობის არც ერთი უარყოფითი მომენტი.

ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა იმ დიდი ბრძოლის შესანიშნავი შედეგები, რომელიც საქართველოს ბოლშევიკებმა ჩაატარეს ფაშიზმის, ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური აგენტების გამოსამჟღავნებლად და გასანადგურებლად.

ყრილობის ტრიბუნიდან დელეგატებმა ერთი მეორეს გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც მათ დააგროვეს პოლიტიკური მოვლენებით მდიდარ საანგარიშო პერიოდში.

ყრილობამ საქართველოს ბოლშევიკების ნაყოფიერი საქმიანობა გამოხატა იმ წერილში, რომელიც მან ამხანაგ სტალინს გაუგზავნა.

„საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, — ნათქვამია ამ წერილში, — თქვენი, ამხანაგო სტალინ, ბრძნული წინამძღოლობით, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) გამოამჟღავნა და გაანადგურა ტროცკისტ-ბუხარინელთა და ფაშიზმის სხვა აგენტთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა მტრული ბუდეები. აღზარდა და ხელმძღვანელობის სათავეში დააყენა მრავალრიცხოვანი ახალი კადრები პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებისა, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის საქმისა, განამტკიცა კავშირი მშრომელთა უფართოეს მასებთან, გაშალა ბრძოლა მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის და მივიდა თავის მე-11 ყრილობაზე კიდევ უფრო განმტკიცებული, მონოლიტური, რკინის რიგებად დარაზმული საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ, დიდი სტალინის ირგვლივ".

ხელმძღვანელობდა რა ამხანაგ სტალინის მითითებით იმის შესახებ, რომ სამეურნეო წარმატებები შეთავსებული უნდა იყოს და მხარდამხარ მიჰყვებოდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის წარმატებებს, ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდისა და განვითარების საკითხებს.

საქ. კ. პ. (ბ) მე-11 ყრილობის გადაწყვეტილებანი რაზმავენ საქართველოს ბოლშევიკებს განადგურებული მტრის ნაშთების შემდგომი გამომჟღავნებისა და გაცამტვერებისათვის, მავნებლობის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაციისათვის.

გახული თვეების მეორე ისტორიულ მოვლენას წარმოადგენდა საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს პირველი სესია.

დიადი სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე არჩეულმა საქართველოს სოციალისტურმა პარლამენტმა მუშაობა დაიწყო 8 ივლისს.

თავისი პირველი სიტყვა სესიამ უძღვნა სოციალიზმის გამარჯვების სულის-ჩამდგმელს და ორგანიზატორს, ქართველი ხალხის პირველ დეპუტატს — ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს. სესიამ ბელადისადმი გაგზავნილ მიმართვაში შემდეგი სიტყვებით გამოსთქვა ქართველი ხალხის სიამაყის გრძნობა:

„ქართველი ხალხი უსაზღვროდ ბედნიერია იმით, რომ თქვენ, ამხანაგო ს ტ ა ლ ი ნ თავის პირველ რჩეულად ჰყევხართ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში".

„თქვენი გენიალური წინამძღოლობით დღითი-დღე ძლიერდება ჩვენი სამშობლო, ძლიერდება საბჭოთა ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთიანობა, სწრაფად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა და კულტურა, მაღლდება მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონე".

„ჩვენ, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატებს, გვახსოვს და არასოდეს არ დაგვავიწყდება თქვენი ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ დეპუტატი ხალხის მსახურია, მისი წარგზავნილია უმაღლეს საბჭოში და ვალდებულია განუხრელად შეასრულოს ხალხის ნება-სურვილი. მთელს ჩვენს ძალასა და ცოდნას მოვახმარებთ იმას, რომ ჩვენ, როგორც ხალხის დეპუტატები, თქვენი მითითებების თანახმად, მუდამ ჩვენი ამოცანების სიმაღლეზე ვიდგეთ და ლენინ-სტალინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწეები ვიყვნეთ".

სესიამ ბრწყინვალედ გადასჭრა მის წინ დასმული სახელმწიფო მმართველობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. სესიამ განიხილა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და სწორად სცნო რწმუნება ყველა დეპუტატისა. სამანდატო კომისიის მოხსენებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ ქართველ ხალხს თავის პარლამენტში წარგზავნილი ჰყავს ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები, სოციალისტური ინდუსტრიის სტახანოველები, თავდადებული შრომით სახელმოხვეჭილი კოლმეურნეები, წითელი არმიის სახელოვანი მებრძოლები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. საქართველოს უმაღლეს საბჭოს ასეთმა ნამდვილმა ხალხურმა შემადგენლობამ უზრუნველჰყო მისი ნაყოფიერი მუშაობა.

სესიამ სრული ერთსულოვნებით აირჩია საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმი — თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პრეზიდიუმის მდივანი, და შეადგინა საქ ს. ს. რ. მთავრობა.

ერთ-ერთ თავის სხდომაზე სესიამ მკაცრად და სამართლიანად გააკრიტიკა განათლების, ჯანმრთელობის, ვაჭრობის სახალხო კომისარიატების მუშაობა. მთავრობის წევრთა პერსონალური შემადგენლობა მოწმობს, რომ დეპუტატების ეს კრიტიკული შენიშვნები მხედველობაში იქნა მიღებული სახალხო კომისართა საბჭოს შედგენის დროს.

ის ერთსულოვნება, რომელიც ხალხის არჩეულმა დეპუტატებმა გამოიჩინეს სესიის დღის წესრიგში დასმული საკითხების გადაწყვეტის დროს, გვიჩვენებს ქართველი ხალხის მორალურ და პოლიტიკურ მთლიანობას. მის მჭიდრო დარაზმულობას ლ ე ნ ი ნ-ს ტ ა ლ ი ნ ი ს პარტიის და დიდი ბელადის ს ტ ა ლ ი ნ ი ს გარშემო.

უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მუშაობის დროს კიდევ უფრო ცხადი გახდა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც ხალხსა და მის მიერ არჩეულ ორგანოს შორის არსებობს. სწორედ ეს აძლევს უდიდეს ძალას სოციალისტური პარლამენტის ყოველ გადაწყვეტილებას. ამ მტკიცე კავშირზე ლაპარაკობენ აგრეთვე ის რეკორდები, რომლებიც აღნიშნეს პირველ სესიაზე საქართველოს მუშებმა და კოლმეურნეებმა. ამ მჭიდრო კავშირის უბრწყინვალეს დემონსტრაციას წარმოადგენდა თბილისის მშრომელთა ორას-ათასიანი მიტინგი, რომელმაც გამოხატა მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და თავდადება მთელი მსოფლიოს მშრომელთა და ჩაგრულთა დიდი ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს ა დ მ ი.

ალ. ჭეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო*

რომანი

უცნაური ამბები

უცნაურად გახმაურდა სამღვთოში სიპიტოს წვევამდელებთან მიხტომის ამბავი. ნამდვილად მომხდარს ჭორის კუდები გამოაბეს. სოფელში ხმა დაირხა — სიპიტო ჭკუიდან შეირყა, წვევამდელებს მიუხტა, ყოველ-ღამე ხანჯლით დადის ნაციხვარში, კოსანდილაც თან ახლავსო.

რამდენიმე დღის შემდეგ მესამე ბრიგადის ქალიშვილები წავიდნენ ნაციხვარში მანდარინის ორმოების ამოსათხრელად. სამუშაო რომ მოასრულეს, მაყვლის საკრეფად გადავიდნენ სანახშირე ღელის პირას, გაუკაფავ ფერდობში. მზე დაწურვაზე იყო და ღელის პირას უკვე ბნელოდა. მარგალიტას შკერის გებულზე ფეხი დაუცურდა და ფერდობზე დაგორდა. ამდროს ბარდებში რაღაცამ გაიშლიგინა. ბუნებით ქარაოც მარგალიტას ელდა ეცა, საშინლად დაიწივლა. ქალიშვილები დაფრთხნენ, კალათები დააგდეს და კისრისტეხით გამოიქცნენ, ვინ წინ და ვინ უკან. დაფეთებული მიიჭრნენ შინ. გული ამოვარდნაზე ჰქონდათ. მარგალიტას სახე დაჰკაწროდა. ქიონიას კაბის კალთა შემოხეოდა. კლეოპატრასათვის კინაღამ თვალი გამოეთხარა ბუჩქის გამხმარ ტოტს. ამაზე ერთი ამბავი ატყდა. შექმნეს ბჭობა, რა იქნებოდაო. ზოგმა სთქვა, ნადირი თუ იყოვო. ზოგმა — სილიბისტრო ან კოსანდილა თუ იყო ნაციხვარშიო. ისიც გაიხსენეს, ვარდენა ყაჩაღს რომ დასდევდა მილიცია და ამას წინად ჯარღალაში რომ შეამწყვდიეს. ახალგაზრდები იძახოდნენ, ალბათ, ქვა დაგორდა ხრამში და ქალიშვილები ტყუილა-უბრალოდ დაფეთდენო.

ერთმა შემთხვევამ ახალი საზრდო მისცა ამ ჭორებს. ლონგინოზმა შტერი ქამიტო მიიშველია ეზოს ჩაის საკრეფად. ჩაის კრეფას რომ მორჩა, შემდეგ საოჯახო საქმეებზე მოიხმარიეს და საღამოთი ჩაის მიმღებ პუნქტში გვიან გაუშვეს. ამ საღამოს ჩაის მიღება გაჭიანურდა. შემდეგ ჩაის ქარხნის მოლარე ამოვიდა. ეზოს ჩაის ფულს არიგებდა. პუნქტში ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ცუდი ამინდი იყო. ცა საავდროდ იკრავდა შუბლს. დამფრთხალი ნადირივით დარბოდა ელვა ღრუბლების მიღმა. პირველი მსხვილი წვეთები მაშინ დაეცა მიწას, როცა ქამიტო კისრისტეხით შეიჭრა ეზოში. ჯერ ეგონათ, ქამიტოს უნდა წვიმას შემოუსწროს, იმიტომ გამორბის ასე ფეთიანივითო. როცა სასწორთან მიირბინა, მაშინ მიხვდნენ, რომ ქამიტოს რაღაც ფარსაგი არ დამართნოდა!

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 6.

შიშისაგან სახეარეული და თმაგწეწილი იყო. კაბა მხარზე გადაეხეოწოდა. ნახევარი კალათი ჩაი გზაში დაბნეოდა. ისედაც ბლუს ახლა სულ დაბმოდა ენა. ცოტათი რომ მოსულიერდა, რაღაც უაზროს მოჰყვა. ლონგინოზის ეზოს გადმოლმა, სანახშირე ღელის ბოგირთან, ვიღაც ზურგში მომახტაო. მხარზე ხელი დამკრა, კაბა მომადღლიზა, ძლივს დავუშპი ხელიდანაო. საშინელი სანახავი იყო. ჟანგიან ბებუთს ატრიალებდა. სახე ყაბალახით ჰქონდა შეხვეული, მწვანე თვალებს აბრიალებდა სიბნელეში, წელზე შემორტყმულ ჯაჭვებს აჩხრიალებდაო. რომ დამეძგერა, მე ვიკივლე, ის კი ღელისაკენ გადახტა ფერდობშიო. ყმაწვილებმა ყბად აიღეს ქამიტო — მოსატაცებლად თუ გიდარაჯებდა ვინმეო. ამ წკვარამ სიბნელეში როგორ გაარჩია, ბებუთი რომ ჟანგიანი იყოვო. სახე თუ ყაბალახით ჰქონდა შეხვეული, ის როგორღა შენიშნე, თვალები მწვანე ჰქონდა თუ ლურჯიო.

— იგი ხომ არ იყო, ჩვენ რომ რაცხამ დაგვაფეთა ნაციხვარაში? — გაუბედავად წარმოსთქვა მარგალიტამ და იგრძნო, რომ ამ მოგონებაზე კანი აებუძგა.

— თქვენც რაცხა წამოგელანდათ მაშინ, — აგდებით მოუჭრა სილოვანამ.

— გეიცინეთ თქვენ, გეიცინეთ! მაგი პაწე საშიში ამბავი ქეა, — მოჰყვა თავის კანტურს ყაისარა. — ის კაცი ხომ არ შეგეფეთა, გოგო, ხურვალეთში ბექირაძეების ოჯახი რომ ამოჟუჟა? — ვითომ შეშფოთებული ხმით იკითხა მან.

— დედა, მართლა, გოგო! — თითქმის ერთხმად წამოიძახეს ქალიშვილებმა და ერთმანეთს გადახედეს. ყველას მიტკლის ფერი ედო. თვალები გაფართოებოდათ შიშისაგან.

ცოტა ხნის წინად სამღვთოს და ხურვალეთის საზღვარზე ამაზრზენი მკვლელობა მოხდა.

ხურვალეთის რამდენიმე მოსახლის კარმიდამო სოლიკით იჭრება სამღვთოს პლანტაციებში, ეკალდიდში. ერთი ამ მოსახლეთაგანი, რომელიც მოხუცი ცოლ-ქმრისა და ნაშვილევი თოთხმეტი წლის გოგონასაგან შესდგებოდა, პირწმიდათ ამოსწყვიტეს უცნაურ პირობებში. ეპვი მიიტანეს ერთ პირზე, რომელიც ამ ოჯახმა დაიქირავა ჭის ამოსათხრელად ერთი კვირის წინათ მკვლელობის მოხდენამდის. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ის პატიმრობიდან გამოქცეული მკვლელი-რეციდივისტი იყო და მას ახლა სასამართლოს ორგანოები დაეძებდნენ. ჯერაც არ იცოდნენ, მიაგნეს თუ არა მის კვალს. შემდეგ გაიხსენეს, რომ ის კაცი სამღვთოს დუქანშიც ამოვიდა არყისთვის. კაცი ვერ გაიგებდა, ყარაჩი იყო თუ ერთთავად მურში მოსვრილი. ყველას მეხსიერებაში ჩარჩა შავად გაპოხილი, მბზინავი ტანისამოსი, ცელყურ-მოგლეჯილი „ბუდიონოვკა“ და გაპობილი ზემო ტუჩი. წვრილი მწვანე თვალები ცხროიანივით უციმციმებდა, საოცრად აბრიალებდა თვალის კაკლებს, ზოგჯერ სულ ამოაბრუნებდა ხოლმე. ამ ამაზ-

რზენი მკვლელობის შემდეგ ყველა იმ ტუჩ-გაპობილი კაცის შესახებ ლაპარაკობდა და როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, ყველა ცდილობდა რაც შეიძლება დაწვრილებით აღედგინა მისი სახე.

ეროვნული

მესამე ბრიგადის ქალიშვილები წააწყდნენ ამ შემზარავ სურათს, როცა ეკალდიდში ჩაის საკრეფად მიდიოდნენ. შტერი ქამიტოც იქ იყო მაშინ. იქიდან თუ ჩარჩა მეხსიერებაში ჟანგიანი ბებუთი. ამ სანახაობის მოგონება ახლაც ჟრუანტელს ჰგვრიდა მკრეფავებს და ისინი შორიდან უვლიდნენ იმ ბებრების გამოყრუებულ კარმიდამოს და ღელის წისქვილს. უკვე დავიწყებას ეძლეოდა ეს ამბავი, მაგრამ ახლა ყაისარამ უცნაურად გადაანასკვნა ქამიტოს დღევანდელი თავგადასავალი ბექირაძეების ოჯახის ამოწყვეტას. ამიტომ შეჰყურებდნენ ახლა ქალიშვილები ისე ფერწასული ქამიტოს, რომელიც მხარზე გადაგლეჯილ კაბას ქინძისთავით იბნევდა.

ყაისარა კი თავის კანტურით განაგრძობდა:

— მართლა, ცოტა საფრთხილო ქეა მაგ ეკალდიდში და ოჩორჩხაში ქალებისათვის მარტო წასვლა. ახლა შევეჩვიეთ ჩვენ, თვარა უწინ ეკალდიდის გასავალში მგლის სადარაჯო იყო. ოჯახის მარჩენალი ძროხა რომ დაკარგოდა კაცს, მარტო ვერ გაბედავდა იქ საძებრად წასვლას.

— არა, მაგი, ალბათ, ჭინკა თუ ამოძვრა სანახშირე ღელიდან, იმას უყვარს ქალიშვილებისათვის უბეში ხელის ჩაყოფა, — ჩაერია სკაჩია.

— უი, დაიხრჩვი შენ, სკაჩიავ! სადაა მერე ჭინკა?—მიაძახეს ქალიშვილებმა.

— მაგისთანა ჭინკები აგერაა ორმოცი, — გაიღრიჭა სკაჩიამ და ყმაწვილებს გადახედა. — მაგრამ მე ნამდვილი ჭინკაც კი მინახავს საკუთარი თვალით, — დარწმუნებულად სთქვა მან.

— სადა, სადა? — მიაძახეს ქალიშვილებმა.

— გაკეთდა ამფერი მომენტი, — დაიწყო სკაჩიამ და ფეხები ბამბუკის ყავარჯენზე გააწყო, ქალიშვილები მის გარშემო შემოიჯარნენ: — ბავშვებს ნათლავს მელქისედეკ ერისთავი. დადიანებს ელის მეგრელიიდან, ცოლის ნათესავებს. აქაურებიცაა დაპატიჟებული, ვეზნაჩანიკი, პრისტავები, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება. ასეთ სტუმრებს ელის და კალმახი რომ არ იყოს სუფრაზე, როგორ შეიძლება. დაუძახა მარკოზა ღელეყვას, — მეწისქვილე იყო ჩვენში, მოკვდა, აცხონა ღმერთმა! ასეა და ასე, ეუბნება ერისთავი, ასი სული მომადგება ხვალ კარზე, საიდანაც გინდა, რაფერაც გინდა, უნდა გამიჩინო ხვალ დილისათვის ნახევარი ფუთი კალმახიო. კაი, ბატონო, წყალში დაბმული არ მყავს თევზი და თუ რამემ არ დამნავსა, მოგართმევთ ხვალ დილით კალმახსო. წამიტანა მეც მარკოზამ სათევზაოთ... ასე დაღრეკილი კი არ ვიყავი მაშინ. ერთი ხის წვერიდამ მეორეზე გავხტებოდი. წავედით, შევყევით ნადინებს. ურტყამს და ურტყამს მარკოზა ბადეს. დააწყდა მკლავები. სადაა! წამ-

ლად რომ გინდოდეს, ერთი ლიფსიტა არ ამოყვა. მიეყობით მაინც ზევით მდინარეს. ერთი თავიც ვერ დავიჭირეთ. ავედით საქუხთან. ჭინკაა წყალში ჩასული და იგი არ გვანებებს თევზსო, სთქვა [illegible] გაშალა ბადე ნაპირზე, დაწვა ასე გალუმპული, ცას უყურებს. [illegible] რომ ამოვა ცის თაღზე, იმ დროს ამოვა თევზი ნაპირთან საბალახოთ და მაშინ ვსინჯოთ კიდომო. მარა ჭინკა რომ არ იყოს წყალში, არ იქნება. ერთჯერ დამტოვა კიდომ ასე ხელცარიელიო, ამბობს მარკოზა. მეც ვზივარ გალუმპული, სიცივისაგან მაკანკალებს. დააყარა ნისლი წყალს. უცებ მესმის: „ჩხაპ! ჩხაპ! ჩხაპ!“ ე, ბიჭო, ჭინკა! — წამოვარდა მარკოზა და ბადეს დაუწყო გაშლა.—ხომ გესმის სილას ყრის წყალშიო. მეც დავშტიმე თვალები. მაგრამ ამ ნისლში ვერაფერს ვხედავ. სიცივეა თუ შიში, ისე მაკანკალებს, რომ კბილს კბილზე ვერ ვაკარებ. ეგერ, ხედავ სიპ ქვაზეო, გაიშვირა მარკოზამ ხელი საქუხისაკენ. ამისიორდა თვალები, რაცხას ვხედავ ლანდათ, ვხედავ და ვერც ვხედავ: დაყუყულა სიპზე რაცხა პატარა, პატარა დაგვაჯული, ბანჯგვლიანი. კრეჭს კბილებს. აიღებს სილას მჯიღით — ჩხაპ! ჩხაპ! ყრის წყალში. თვალები გადმოვარდნაზე მაქვს შიშით. ისე მივაშტერდი, რომ მომეჩვენა, ვითომ ჩვენ თითონ დავიძარით ადგილიდან, მივდივართ საცხა ზევით მთაში. არიქა, მარკოზა, მივდივართ საცხა ზევით-თქვა, დავიყვირე მე. მეიცა, სად მიდიხარო, დაიძახა მარკოზამ და ბადე დაარტყა წყალს. ამოყვა ერთი პატარა კალმახი.— ა, შენ ჭამე ცეცხლიო, დაუძახა მარკოზამ და გადაუგდო ის კალმახი. ჭინკამ ერთი იჭყივლა, მოშპა სიპიდან და გადახტა. ის იყო და ის, გაქრა, ჩვენ თვალს ალარ უნახავს მერე. შევყევით მდინარეს ზევით. ახლა მიყურე მე შენო, — სთქვა მარკოზამ და ისევ დაარტყა ბადე. ამოყვა, მარა რა ამოყვა. ბადის გაცლას ვერ უთავდებოდით. გათენებამდე თორმეტი ოყა ამოვიღეთ. ჭინკა რომ არ ყოფილიყო, იმდენხანს რატომ ვერ დავიჭირეთ აბა? — დაასრულა სკაჩიამ.

ყმაწვილებმა ბევრი იცინეს. კაი ზღაპარი იყოვო,— სთქვა სილოვანამ. ქალიშვილები კი შემკრთალი უსმენდნენ სკაჩიას ნაუბარს ჭინკაზე.

— ერთი ჩვენც ძაან შეგვაშინა ჭინკამ მაგ სანახშირე ღელესთან. — სიცილით სთქვა სეფემ.

— რაფერ, რაფერ? მოყევი ერთი! — ჩააცივდნენ სკაჩიას ნაამბობით გახალისებული ყაწვილები და სიტყვა უხვ სეფეს ბევრი ხვეწნაც არ დასჭირდა.

— არაყი გვაქვს საზიაროდ გამოსახდელი, მე და გიორგი გოგიტაურს,—დაიწყო სეფემ.—არ დაგავიწყდეს შენ, აქციზია იმფერი არაყის გამოხდაზე, რომ თუ უპატენტოთ დაგიჭირეს, გაგიყიდიან ჯარიმაში ოჯახს. ჩევიტანეთ ქვაბი სწორედ მაგ წისქვილის გადალმა ხრამში, საჭინკიას უძახოდენ უწინ. იმას ქვევით ჭონჭყოა, ზევით შკერნალი. იმფერი ბნელი ღამეა, რომ კაცი თვალში თითს ვერ იკრავს ვზივართ მე და გიორგი ქვაბთან. ჩიბუხს ვტენი. ტუკ! დაეცა უცებ საცლაიდან კენჭი ქვაბის

თავზე. ავსწიეთ თავი მაღლა, დავაყურეთ ერთი პირი, არაფერი არ ის-
მის. ტუკ! დაეცა ისევ კენჭი ქვაბის თავზე და საჭინკიას მხრიდან რაცხამ
„შვილო გოგიას“ ხმაზე დაიძახა — გიორგი! აგვებუძგა თავზე, ეშმა, მარა
რაფერ, თუ იცი, გამიშეშდა ხელი, საძრავი აღარ [illegible] მინდა
ჩევიდო პირში, ველარ ავწიე მკლავი. შევხედე გიორგის, კაცის ფერი
აღარ ადევს. ტუკ! დაეცა კიდომ კენჭი ქვაბის თავზე და ვინცხამ
კიდომ დაიძახა ახლა გუგულის ხმაზე ორჯერ ზედიზედ — გიორგი! გი-
ორგი! ისე ავდექით და გამოვიპარეთ იქიდან, ერთი ღერი სიტყვა არ და-
გვიძრავს. ამოვძუნძულდით გიორგისას, თვალები გადმოვარდნაზე გვაქ-
რამ მოგვარბენიათ ასე გაცოფებული, რა უყავით ქვაბი და არაყი? — შე-
მოგვეგება გიორგის ცოლი ირინე. ხომ გახსოვთ, რა ვეშაპი დედაკაცი იყო,
ქარჩხავს უძახოდენ, არ დაგავიწყდეს შენ. ასე და ასე იყო, კენჭი დაგ-
ვიკრა ჭინკამ ქვაბის თავზეო, ძლივს ამოაბრუნა სიტყვა გიორგიმ. დეი-
ლუპეთ თქვენ, სად იყო ჭინკაო, — შემოგვიტია ირინემ, რა წამოგელან-
დათო. რავა წამოგველანდა, ჩემი სახელიც კი დაიძახა რაცხა გუგულის
ხმაზეო. — შეუტია გიორგიმ. ა, შტერი, წმინდა გიორგის სახელს რაფერ
დეიძახებდა ჭინკაო, აგვიგდო სამასხროდ ირინემ, წამოდით ამ წუთში,
თქვენ დაკოდილებოვო. ხომ გახსოვთ, რა ვეშაპი დედაკაცი იყო. თვი-
თონ გაგვიძღვა წინ. ჩავედით, რას ნახავ: დამჯდარა ეშმაკის ფეხი ანთი-
მოზა ბზეკალავა ამ ჩვენ ქვაბთან, დაუყრია გოულენჩქავი თხილი, ჭამს
ნედლ თხილს და წრუპავს ჩვენს არაყს. რომ დაგვინახა, კიდომ დაგვი-
ძახა გუგულის ხმაზე — გიორგი, გიორგიო, და გადიხარხარა.

— ილარიონას თავის შესაქცევი უხუმრია, მარა გახსოვს, სეფე-
ძველად მტერობითაც კი აწყობდენ მაგისთანა საქმეს. კვიროსი მდინარიძეს
ხომ მაგაზე მოექცა ღრანჭი და დაება ენა, — სთქვა ივაკიამ. — ხომ გახსოვთ,
ხალვაშები რომ იყვნენ ხუთი ძმა, მოგვია ერისთავის მიწა ჩაიგდეს იგენმა
ხელში ნაშვავებში. მოგვია ხომ ავი ზნით იყო ავათ, გადაშენდა უშვი-
ლოთ. ჰო-და ჩაიგდეს და ჩაიგდეს ხელში მისი ნაქონი მიწები ნაშვავებში.
კაცი არ გააჭაჭანეს იმ არემარეზე. თუ ვინმე გაბედავდა შეცილებას, ყა-
ნობას მოინდომებდა ნაშვავებში, სულ სარებით დაუფრეწდენ თავს.
ვერავინ ვერაფერს უბედავდა მაშინ მაგენს — მომძლავრებული ოჯახი იყო.
ასე გაიმაგრეს ნაშვავები. მარა კვიროსი მდინარაძეს მაინც ვერაფერი მო-
უხერხეს. იმფერი ვაჟკაცი იყო, რომ ხუთ კაცს შეკრავდა. ხალვაშების
ჯინზე დათესა ყანა ნაშვავებში. ბევრი უტრიალეს ხალვაშებმა, ვერაფ-
რით ვერ ამოადგმევინეს ფეხი ნაშვავებიდან. მერე დააყურე აგერ, რა
მოუწყვეს. ერთ ქრიშობისთვე საღამოს სიმინდის ჩალა მოაქვს კვიროსის
ნაშვავებიდან ზურგით, ხომ გახსოვთ საურმე გზა არ უდგებოდა მა-
შინ ნაშვავებს. ერთი ადგილია ნაშვავების გამოსავალს, საქარჩხავი, რაც-
ხა შესაშიშარი სანახავი, ჩახრამული, ყოველ მხრიდან წყლები გამოდის.
იქინეა მთლათ მორღვეული და მოშვავებული. იმ ადგილ უწმინდურს
ეძახოდნენ უწინ. მაშინ მთლათ ეკლით და ბარდით იყო [illegible]ფარული.

იქინე ჩაუჯდენ ხალვაშები, ხუთივე ძმა, სხვადასხვა ადგილას. ერთ ერთს რომ ჩასცილდა კვიროსი, რაცხამ მოსწია უკან ჩალის ღერზე. მეიხედა, არაფერია. ჩეინაცვლა ცოტა ქვევით, კიდევ მოსწია რაცხამ ჩალის ღერზე. წინ რაცხა ჩაუცუცქდა, ბნელში უძახის—კვიროსი, კვიროსი, ვინცხა უკან გამოეძახება—უუ! უუ! ქვას ქვაზე უტახუნებს. იმდენი უქნეს, რომ დაუცდა ფეხი, ფერდზე დაგორდა ჩალიანად მკლავიც მოიტეხა და შიშით ღრანჭიც მოექცა. ის იყო და ის, მას მერე ველარ გაიმართა ენა.

ჭინკების ამბავი სახუმრო კილოზე რომ გადაიტანეს, ამან ცოტათი გაჰფანტა ის შიში, რომელიც ქამიტოს საუბარმა და ეკალდიდის ამბების მოგონებამ აღუძრა ქალიშვილებს. მაგრამ ქამიტოს ნაუბარმა მაინც ძლიერ შეაშფოთა ისინი. ეს შემთხვევა ნაციხვარში განცდილს დაუკავშირეს. ყველამ დაინახა, რომ ქამიტოს მართლაც გადაფხრეწილი ჰქონდა მხარზე კაბა. ისე დაფრთხნენ, რომ იმ ღამეს ჩაის მიმღებ პუნქტიდან შინ მარტო დაბრუნება ველარ გაბედეს. ყველას გამცილებელი დასჭირდა. ქამიტო რამდენიმე დღეს მხარჩამოვარდნილი დადიოდა და მან თითქოს ფეთიანობის სენი შეჰყარა მესამე ბრიგადის ქალებს: ხან ერთს ბოელანდებოდა ის გადარეული ჟანგიანი ბებუთით ხელში, ხან მეორეს. ვიღაცა შიშის ზარს სცემდა, ხმებს ავრცელებდა, დღეს მავანს მიუხტა, მავანს შემოეფეთა ის გადარეულიო.

ერთხანს კოსანდილაზე მიიტანეს ეჭვი, იქნება მართლა დადის ნაციხვარაშიო. მაგრამ კოსანდილა და სიპიტო წაჩხუბებული იყვნენ მას შემდეგ, რაც სიპიტომ პანტების დაბღერტაში მოატყუა. და, გარდა ამისა კოსანდილა სულ თვალწინ ტრიალებდა და ჩვეულებრივზე უფრო მშვიდად ეჭირა თავი.

კოლმეურნეობის გამგეობაში ერთხანს არ მიაქციეს ამ ხმებს სათანადო ყურადღება, შემდეგ კი სახათაბალოდ გაუხადათ. ისე დაფრთხნენ მესამე ბრიგადის ქალები, რომ ეკალდიდის პლანტაციაში ჩვეულებისამებრ წასვლას ველარ ბედავდნენ და საღამოთაც ნაადრევად, ზოგჯერ სამხრობაზე სწყვეტდნენ მუშაობას, რომ შებინდებამდე მიესწროთ ჩაის მიმღებ პუნქტში მისვლა.

ერთ დღეს ყარამანამ ამბავი ჩამოიტანა, ჯარღალას გზაზე ყაბალახით თავშეკრულ კაცს მოვკარი თვალიო. ეი, რომელი ხარ შენ? დაუძახე მე. ის კი ღობეზე გადახტა, ხეს მოეფარა და დამიყვირა, შენ თავი ხომ არ მოგძულებია, გაბრუნდი ამ წუთში, თორემ გაგათავებო და მეც უკან არ მომიხედავსო.

მესამე ბრიგდის ქალიშვილები იმდენად დააფრთხო ამ ამბებმა, რომ კაცები იძულებული გახდნენ ღამით ედარაჯათ. საღამოობით მამაკაცები მიდიოდნენ შორეულ პლანტაციებიდან მომავალი ქალების შესაგებებლად. მთავარი სიმძიმე კი წვევამდელებს დააწვათ კისერზე. ისინი გამოდიოდნენ ყოველ ღამ სადარაჯოდ ეკალდიდის ამოსასვლელ გზებზე.

ბრძოლა დროშისათვის.

აგვისტო მიიწურა. ხმა მოვიდა სამლვთოში — ცენტრალური კომიტეტიდან კომისია ჩამოვიდა ვარდოულში, მიწსახკომიდან — და საქართველოს ჩაის ცენტრიდან სპეციალისტები ჩამოჰყვნენ, ჩაის კრეფაში ჩამორჩენის მიზეზებს იკვლევენო. საბჭოთა მეურნეობები დაათვალიერეს და რამდენიმე კოლმეურნეობაც შეამოწმესო. სამლვთოშიც ყოველ წუთს მიელოდნენ კომისიის მისვლას. პირველი საათისათვის თათბირი იყო დანიშნული ვარდოულში. ამ ფაცი-ფუცში იყო კოლმეურნეობის გამგეობა, როცა ქიშვარდიმ ბულჰალტერიის კარები შეაღო და გაუბედავად შეჩერდა.

შერმანდია და ეპიფანე ზურგშექცეულნი იდგნენ, ცხრილებსა და გეგმებს ჩაჰკირკიტებდნენ. კარებში მდგომი ქიშვარდი მათ ერთბაშად ვერ შენიშნეს.

შერმანდია აფორიაქებული ათვალიერებდა მაგიდაზე გაშლილ ცხრილებს... მოანგარიშე ქალი ქარტოტეკებს ფურცლავდა, ბუხჰალტერი საანგარიშო შიბებს ატკაცუნებდა. ჭორფლიანი აგროტექნიკოსი დიდის გულმოდგინებით ხატავდა რაღაც დიაგრამას.

— აბა, რა გეგმა გვქონდა ჩაის კრეფაში აპრილში და მაისში განსაზოგადოებულ სექტორში, რამდენი იყო საკარმიდამო ფართობში, რას უდრის შესრულება მაისში?

— ას შვიდ პროცენტს, — წიავა ხმით უპასუხებდა ქარტოტეკაში თავჩარგული, მწყერივით ჩასუქებული მოანგარიშე ქალი.

— ერთი ივნისის მომეცი!

— ასთოთხმეტია.

— ივლისის ნარჩი?

— რვა პროცენტი.

— შეირცხვინა თავი აგვისტომ, მარა ახლა რომ იცრიალებდეს, თვის ბოლომდე მივეწევით გეგმას, — იმედიანად სთქვა შერმადიამ.

ქიშვარდიმ შესვლისთანავე იგრძნო, რომ უდროო დროს მოვიდა. დიდი ხანია აიმედებდა შერმანდია, მანქანა რომ წავა ვარდოულში, შენც ამოგიტანთ ცემენტსო. სადღეისოდ შეიპირა. ახლა ხედავდა, რომ მისი ცემენტისათვის აქ არავის სცალოდა. უთქმელად გაბრუნებაც ვერ მოეხერხებია. ხელები ისევ კარის სახელურზე ეჭირა, უნდოდა შერმანდიასთვის ეთქვა: „ახლა სად გცალიათ ჩემი ცემენტისათვის, სხვა დროს იყოსო“. მაშინ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ალბათ, სხვა დროს დაუნიშნავს, თორემ მასაც რცხვენია, სულ უკან სდევს. უხერხულად ტკეპნიდა ერთ ადგილს. ერთხან კედელზე გაკრულ ხავერდის დროშას ათვალიერებდა, რომელზედაც ხუთქიმიანი ვარსკვლავის ქვეშ ოქრომკერდით ამოქარგული იყო: „მოწინავე კოლმეურნეობას რაიონის გარდამავალი დრო-

შა 193... წლის ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენჯერმე დააღო პირი სათქმელად, მაგრამ შერმანდიამ ბუხჰალტერს მიუბრუნდებოდა, ხან მოანგარიშე ქალს.

— ერთი მომეცი სიმინდის და სოიას ციფრები, სასუქის შეტანის ციფრები თუ გაქ მაქ. ციტრუსების მყნობის გეგმები შეიტანეთ ცხრილში? ეს ცნობები, ქალიშვილო, მზად უნდა გქონდეთ მუდამ, — ცოტა მომდურავ ილოზე უთხრა შერნამდიამ მოანგარიშე ქალს. — ერთი გადაბარვის გეგმები მომეცით ჩქარა,—გაუწოდა ისევ ხელი ბუხჰალტერს, მაგრამ ამ ფაცა-ფუცში სამელნეს სახელო წამოჰკრა და წვალებით ნახაზი დიაგრამა სულ მოუსვარა აგრო-ტექნიკოსს.

შერმანდია შეწუხებული მიბრუნდა საშრობისკენ და მხოლოდ ახლა შენიშნა ქიშვარდი, რომელსაც კარების სახელურზე ეკიდა ხელი და უკვე გარეთ გასვლას აპირებდა.

— ო, მოიცადე, ქიშვარდი, ერთად წავიდეთ ვარდოულში, აქეთობისას წამოგიღებთ ცემენტს.

— არა, სად გაქვთ ახლა მაგის დრო! გაგაწვალებთ მანქანაზე ცემენტიანი ბოჭკები, სხვა დროს იყოს, — ბოდიშნარევი ღიმილით მიუგო ქიშვარდიმ.

— არა უშავს რა, ცოტა თუ არ შეიწუხე თავი, ისე არაფერი გაკეთდება... ცემენტის ამოტანას შევპირდით სადღეისოთ, — მიუბრუნდა შერმანდია პარტკომის მდივანს. — მაგიც ცოდვაა, ხელოსნები ყავს ნაქირავები და მოუცდება.

ქიშვარდიმ იმედიანად გააღო კარი. უხაროდა, რომ ჩვეულებისამებრ არ დაიმორცხვა და თავისი გაიტანა. როგორი მადლობით იყო აღსავსე შერმანდიასადმი!

„რა კარგი გულისაა, — ფიქრობდა ქიშვარდი, — სხვა რომ ყოფილიყო მის ადგილას, მომახლიდა — სად გვცალია ახლა მაგისათვის, ცეცხლი გვეკიდება თავზეო“. თანაც რცხვენოდა, ასე უდროოდროს რომ მოადგა კარს კოლმეურნეობას. მოუთმენლობას და სულწასულობას უსაყვედურებდა თავის თავს.

„მართალი იყო მამაჩემი, რომ მეუბნებოდა, რა გეჩქარება ოდის დაწყება, ვის სცალია ახლა მაგისათვისო“.

ორი ნახტომით ჩაირბინა გამგეობის შენობის კიბე და ეზოში ჩავიდა. სკაჩიაც იქ ტრიალებდა.

— როგორაა შენი ცემენტის საქმე? — შესძახა სკაჩიამ ქიშვარდის და გაშეშებული თვალები შეაჭყიტა. — ხომ არ შეჭამეს მთლად იმ ბატებმა შენი საბუხრე სილა?

— ო, იგენს გასწყვეტს ბატის ჭირი!—სიცილით მიუგო ქიშვარდიმ.— ახლა მივდივართ ვარდოულში, აქეთობისას ამოვიტანთ ცემენტს.

ახლა ქიშვარდი სახლისაკენ მიიჩქაროდა, უნდოდა საწვიმარი წამოელო, თუ ვინიცობაა ვარდოულში წასვლა მოუხდებოდა. მოსახვევიდან მანქანების გაბმული ყიყინი შემოესმა. ჩურჩხელასავით ტალახში ამოვლებული „გაზები“ ნელი რწევით მიემართებოდნენ საბჭოსაკენ. ჩხაპუნით მოარღვევდნენ გზაზე დამდგარ წყლის გუბეებს. ქიშვარდი თხრილზე გადახტა, რომ ნაშხაპებს არ გაეწუწა. წინა მანქანაში რაიკომის მდივანი გიორგი შეიცნო. მანქანებს ბავშვები მისდევდნენ. კოოპერატივის წინ შეგროვილი ხალხი საბჭოსკენ დაიძრა. ქიშვარდიც უკან დაბრუნდა.

— ალბათ, ცეკას გამომკვლევი კომისიაა, ქორბუდეში გამოუვლიათ,— დაასკვნა ქიშვარდიმ ტალახში ამოსვრილ მანქანაზე. — ახლა იქ რაშიც ვერ გაივლის.

სოფსაბჭოს ეზოში შეგროვილი ხალხი ჭიშკარს მიაწყდა. ჭიშკარი ფართოდ გამოაღეს.

პირველად შოფერის გვერდით მჯდომი რაიკომის მდივანი გიორგი გადმოვიდა მანქანიდან, ტანმორჩილი, ქერა, ბოლქვა თვალება კაცი, ყვითელი ხრომის პალტოში ჩაცმული.

— სადაა შემადგენლობა? — დაიძახა გიორგიმ, მაგრამ ამ დროს შერმანდია და ეპიფანე გამოჩნდნენ კოლმეურნეობის სახლის კიბეზე, შერმანდიას რაღაც ქაღალდი შერჩენოდა ხელში. მანქანიდან მაღალი, მხრებში ოდნავ მოხრილი კაცი ჩამოქვეითდა.

— ეს არის ჩვენი ორდენოსანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ეს ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელია, — გააცნო გიორგიმ ერთმანეთს მოსული და დამხდური.

— როგორაა საქმე?—ოდნავ დაბეღერილი ხმით იკითხა მან.

— მიდის წინ! — ყველას მაგივრად მიუგო ივაკიამ. — ჯერჯეროობით ასეა: მეზობელ კოლმეურნეობებიდან გვეხვეწებიან, თუ შეიძლებანება მოგვეცით, თქვენს კოლმეურნეობაში ჩავეწეროთ და ვიმუშაოთო, და — ღმერთო შენით! — არც აწი წავხდებით ისე, ვინცხა რომ არ მოვიტოვოთ უკან...

სტუმარს თავშეკავებული ღიმილი მოადგა ფართო სახეზე. ქუდი მოიხადა და გრძელი თითებით ზევით აივარცხნა ხშირი, ჭალარა-შერეული თმა. ამ დროს მეორე მანქანაც შემოვიდა ეზოში, რომლიდანაც ტანში მწევარივით აწურული, პირხმელი კაცი ამოილანძა, კოვერკოტის საწვიმარში და კრაგებში გამოწყობილი, კეხიან ცხვირზე შემდგარი რქის სათვალეებით. მას ტანმორჩილი, შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი რაიმიწგანის აგრონომი და ქვედობნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გრამიტონი გადმოჰყვნენ. უკანასკნელად თავმოპარსული ახალგაზრდა გადმოვიდა, მკერდზე დურბინდივით ჩამოკიდებული ფოტო-აპარატით.

— სკაჩია გაძვრა-გამოძვრა და ხელად გაიგო, რომ ის მაღალი, სათვალებიანი კაცი „საქართველოს ჩაის ტრესტის“ აგრონომი იყო, ფოტოაპარატიანი კი—გაზეთის კორესპონდენტი.

— როგორაა დღეისათვის კრეფის გეგმა? — იკითხა გიორგიმ.

— შენც ქე იცი, გიორგი, როგორცაა საქმე და რაღას მკითხავ? ხომ ხედავ, ჩამოიქცა წვიმით ყველაფერი,—მძიმედ ამოითქვა შერმანდიამ და ღრუბლით შემურულ ცას შეხედა. — უტრიალებთ ამ ჩაის ბუჩქს, ძაან დააბრკოლა დუყის ზრდა სიცივემ.

— რომ არ შობა ჩაი დუყს, ძალათ უნდა აქნევინო, — ღიმილით ჩაერია ლაპარაკში სათვალებიანი აგრონომი. — ახლა მთლათ ჭყიჟორს კი ნუ გადააბრალებთ, ცოტა თქვენც დააკელით, ალბათ, ხელობა. აგერ ნახავთ, თუ თქვენთანაც ისეთივე მდგომარეობა არ იქნება, როგორიც მელიქაურშია, თუ აქაც არ იქნება ჩაი გადაუხეშებული.

— მაგი ჯერ არ მოსწრებია ისტორიას, სამღვთოს კოლმეურნეობას ჩაი რომ დარჩენოდეს გადაუხეშებული, — დიდის რიხით წამოიძახა სკაჩიამ.

— რამდენი საუკუნის ისტორია აქვს თქვენს კოლმეურნეობას? — ღიმილით იკითხა ცეკას წარმომადგენელმა.

— არა, რაცხა ისტორია აქვს, იმაში, — ცოტა დარცხვენით მიუგო სკაჩიამ.

— მართალია, მართალი, ეს ხუთი-ექვსი წლის ისტორია მთელ საუკუნეებს უდრის, — შეაგება გამამხნევებელი სიტყვა სკაჩიას სტუმარმა .

სათვალეებიანმა აგრონომმა რომ სთქვა, „აგერ ნახავთ, თუ აქაც ისეთივე მდგომარეობა არ იქნება, როგორც მელიქაურშიო“, შერმანდია შეფიქრიანდა. მოაგონდა რომ უკანასკნელ კვირაში კარგად აღარ დაეთვალიერებია პლანტაციები .

— აბა ერთი დაუძახოთ ქალებს, საცდელი კრეფა ჩავატაროთ, — სთქვა ტფილისელმა აგრონომმა.

— კრეფენ დღეს ნარუჯალაში? — შეეკითხა შერმანდია ბრიგადირ დანიელას.

— არა, ახლა ყრუას ნასახლევზე კრეფენ, ნასადილევს გადმოვლენ ნარუჯალაზე, მარა დავუძახოთ, შევამოწმოთ, — სთქვა ბრიგადირმა.

— აბა, გავარდა, ქიშვარდი, თქვენი ბრიგადის ქალებს დაუძახე, ნარუჯალაში გადმოვიდნენ საკრეფად, — მიმართა ქიშვარდის შერმანდიამ.

— აბა, თქვენ ერთი წლიური გეგმები და შესრულება მოიტანეთ, — სთქვა ცეკას წარმომადგენელმა.

შერმანდია კოლმეურნეობის შენობისაკენ წავიდა.

ცეკას წარმომადგენელმა თვალი გააყოლა მის ჩასხმულ მხრებს.

— კარგი ყაზახია ეგ თქვენი ორდენოსანი ხაზეინი, არა? — გურულ კილოზე მოუქცია მან.

— ხაზეინი კი არა, ჩვენი მოჯამაგირეა, — მიუგო კალენიკამ.

— როგორ? — გაიღიმა ცეკას წარმომადგენელმა.

— მე წინად ერისთავის მიწებზე რომ ვმუშაობდი უნაგირაზე, საკუთარი ხელით მიუტანდი და ჩაუყრიდი ნალიაში სიმინდს. მაშინ სულ ტო-

მარა მქონდა ამოჩრილი ილლიაში. შარშან შემოდგომაზე კი შერმანდიამ მანქანით მოაყენა ჩემს ნალიას ას ოცი ფუთი სიმინდი. მაგას რავა წარმოვიდგენდი მე უწინ!

— შერმანდიამ შოვნაც იცის და მოხმარაც, — [illegible] ივაკიამ, — ჩვენს რაიონში ბარე რვა მილიონერი კოლმეურნეობაა, ზოგი სამღვთოზე უფრო დიდიცაა და მეტი შემოსავალიც აქვს, მაგრამ სხვაგან შრომადღეზე შვიდ-რვა მანეთს არიგებენ, სამღვთოში კი წელს თუთხმეტი მანეთი დარიგდა და ხუთი კილო სიმინდი.

— მართლა, რაფერაა მაგი? მელიქაურის კოლმეურნეობას შარშან ჩვენზე მეტი შემოსავალი ქონდა და ცხრა მანეთზე ზევით ვერ ასწიეს შრომა-დღე, — იკითხა ივაკიამ.

— მაქანე საგანია ერთნაირი, — ჩაერია კოლმეურნეობის ბუხჰალტერი. — ჯორბენაძემ იფიქრა, მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარო და გაუშალა ხარჯებს ხელი, ერთ წელიწადს მოინდომა ყველაფრის აშენება. მერე ხელოსანს და მუშას კი არ ევაჭრება, მილიონერი ვარ, მაგი რავა მეკადრება, ოცი მანეთის გულიზა დურგალს ვეღირღიტოვო. ამიტომაა ბევრმა წესდება რომ დაარღვია. გადაუძახა ოცდაათი პროცენტი განუყოფელ ფონდში და კიდომ არ ჩაეტია შიგ. მილიონი რომ აიღო, ებევრა ყაზახს. ან და ნაბოგილევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე აიღე. იმდენ ფულს აბრუნებს, კარგად გამოთქმაც არ შეუძლია. იანვარში წლიურ ანგარიშებს რომ ვაბარებდით, ასე სთქვა რაიონულ თათბირზე: ჩვენს კოლმეურნეობას შემოუვიდაო ერთი მილიონი ოთხას ოცდა ხუთი ათასი და შვიდას ოცდა რვა მანეთი დამატებითო.

— ერთად ვერ თქვა იგი მილიონ ოთხას ოცდა ხუთი ათას შვიდას ოცდა რვა მანეთი? — ჩაურთო სკაჩიამ.

— ჰო, იმდენ ფულს აბრუნებს, გამოთქმაც კი უჭირს, — განაგრძო ბუხჰალტერმა, — გათამამდა ყაზახი, იფიქრა, რაც უნდა ვხარჯო, რა დაეშჩნევაო. მარა ხომ გაგიგონია, ზღვაი კოვზით დაილიაო.

— სწორია სწორი! — დაუდასტურა სეფემ. — კოლმეურნეს ისიც კი უხარია, თუ რაიმე კარგი აშენდა მის კოლმეურნეობაში, მარა თვალი მაინც იმაზე აქვს, წლის ბოლოს რას მიიღებს. შენ რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარ, თუ უთხარი წევრს წლიურ ანგარიშზე: აი, ძმაო ივაკია, ჩვენ კოლმეურნეობას წელს შემოუვიდა ჩაიდან, მანდარინიდან, ვენახიდან, ხილიდან, სახერხიდან მილიონ ნახევარი და ასეთი ასეთი ქარმასკლები ავაშენეთ, შენ ხელზე მოგიწია ერთი პუწკიო, მეორე წელს კი აღარ იმუშავებს ისე გულდაგულ.

ცეკას წარმომადგენელი ისე გუდლასმით უგდებდა ყურს კოლმეურნეობის საუბარს ორდენოსან თავჯდომარეზე, რომ პაპიროსის ნამწვავი პირში ჩაეწურა. ამ საუბარში ხელის გულზე იმლებოდა კოლმეურნეობის საქმიანობა, რის შესამოწმებლადაც ის იყო ჩამოსული. გაზეთის კორეს-

პონდენტი ირგვლივ უვლიდა კოლმეურნეთა ჯგუფებს ხელში მომარჯვებული ფოტოაპარატით.

— სხვაზე ნაკლები არც ჩვენ გვიშენებია, არც ბოსელი, არც თავლა. წელს კლუბიც დავიწყეთ, მარა ათ პროცენტში გამოვედით, და ოცდახუთიათასი მანეთი ეკონომია გვაქვს. ახლა რამდენს წაგვიძახებს წინ იგი ოცდახუთი ათასი მანეთი,—სთქვა ბუხჰალტერმა და სიხარულით ხელები მოიფშვნიტა.

გახალისდა ბუხჰალტერი, ცეკას წარმომადგენელი ასე გულდასმით რომ უგდებდა ყურს და დროგამოშვებით რაღაცას ინიშნავდა ბლოკნოტში.

— დაპირებაზე ორმეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ილარიონია მარჯვე, — სთქვა ივაკიამ, როცა სეფემ ფარდულის აშენების ამბავი დააასრულა.—გამოაცხადებს წლის თავში თექვსმეტი მანეთი დარიგდება წელსო, მერე გაუშლიან ხელს, მიხარჯავენ, მოხარჯავენ და დაიყვანებენ შრომა-დღეს შვიდ-რვა მანეთზე.

— ჰო-დაა იმიზაა, მე რომ ვამბობდი წელან, — თავმომწონედ სთქვა სკაჩიამ,—ჩვენი მოსაზღვრე ორმეთელი კეჭეყმაძეები რომ თხოულობენ, ნება მოგვეცით თქვენს კოლმეურნეობაში გადმოვეწეროთ და ვიმუშაოთო.

ცეკას წარმომადგენელი კვლავ გულდასმით უგდებდა ყურს. კოლმეურნეების სიყვარული გალავანივით ერტყა გარს ორდენოსან კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, რომელიც ახლა ქაღალდებით ხელში მოაბიჯებდა გამგეობის შენობიდან.

— შენს ლანძღვაში ვიყავით ახლა, — ღიმილით შეაგება შერმანდიას სიტყვა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა.

— მართლა? — ოდნავ შესამჩნევი ღიმილით მიუგო შერმანდიამ და ქაღალდები გაუწოდა. — აი ჩაის კრეფის გეგმები წლის დასაწყისიდან. აი კიდევ ჩაის ქარხნის ანგარიშები ჩაბარებულ ჩაის ფოთოლზე.

ცეკას წარმომადგენელმა ქვემოდან გასერილი ნიკაპი დააყრდნო ფართო მკერდს და გეგმების და ჩაის ქარხნის ქვითრების კითხვაში გაერთო.

— როგორ ამოუჯღაბნიათ ეს ქვითრები, ვერ დასწერენ ქრისტიანულად? რა უნდა გაარჩიოს აქ კოლმეურნემ?! — ჯავრობდა ის ჩაის ქარხნის აჩხა-ბაჩხად ნაწერ ქვითრებზე.—რატომ არ აქცევთ ამას ყურადღებას? — მიუბრუნდა ის რაიმიწგანის აგრონომს.

— ცოტა ქე ჩაგიბარებიათ ზედმეტი მეორე და მესამე ხარისხი, — სთქვა ტფილისელმა აგრონომმა, — ეს რომელ ბრიგადას ეკუთვნის? — იკითხა, მან როცა ქვითრების ერთი ნაწილი ჩაათვალიერა.

— ჩემი პლანტაციაა, მესამე ბრიგადის,—სთქვა დანიელამ.—რა ვიცი ვნახოთ, შევამოწმოთ, რა მდგომარეობაშია პლანტაცია.

— სად არიან ამდენხანს მკრეფავები? გახედა შერმანდიამ თემშარას

*
* *

ქიშვარდი მართლა ფინთხივით გავარდა, ამ წუთში შევკრებ ხალხსო. ქაცვნარის სერი გადირბინა, კორტოხიდან გადასძახა მკ[illegible] ალაში გეძახიან საკრეფავად, ვარდოულიდან უცხო ხალხი [illegible].

ქალიშვილებმა მალე მოიყარეს თავი, მაგრამ როცა გაიგეს, ტფილისიდან ჩამოსულებიც არიანო, ისევ თავიანთ სახლებს მიაშურეს, საგარეოთ მორთვას შეუდგნენ. დიდხანს დარბოდა ქიშვარდი ერთი მოსახლიდან მეორესთან, ქალიშვილებს უყვიროდა, მორჩით, გამოეტიეთ აწი სახლიდანო, უცხო ხალხი გელოდებათო. ჯერ სეფეს ჭიშკართან მიიჭრა, პირი დააღო, რომ დაეძახა — ციცინოო, მაგრამ ამ დროს ფანჯრის რახუნი და ჩამტვრეული შუშის ლაწანი შემოესმა. აივანზე ციცინოს ძმა, კაფანდარა კოსტა გამოვიდა, კარები მიაჯახუნა, კიბე ჩაიარა და ჭისკრისაკენ გაემართა. უკან ალვასი მისდევდა, კეჟერე მხლის ფოთლით თავშეხვეული. ბიჯაკის კალთაში აფრინდებოდა, ეხვეწებოდა: — შეჭამე რამე, ასე უზმოდ სად ჩემ სიკვდილში მიდიხარო.

ქიშვარდი მიხვდა, რომ კოსტას და სეფეს ჩვეულებრივი შეჯახება ჰქონიათ ამ დილით. ახლა კოსტასთან და ალვასისთან შეხვედრას მოერიდა. ქიონიასაკენ გადაუხვია. მანამ არ გამოჩნდნენ ქალიშვილები, სანამ აბრეშუმის კაბებში, ფერად ტუფლებსა და ბერეტებში არ მოირთვნენ. ციცინო ყველაზე გვიან გამოვიდა. ქიშვარდის თვალში მოხვდა, რომ რატომღაც ციცინო გამოირჩეოდა ამ ჭრელად მორთულ ქალიშვილებში. რუხი ხალათი ეცვა, განიერი ჭილის ქუდი ეხურა. ნაღვლიანად გამოიყურებოდნენ მისი მუქ-ლურჯი თვალები. თავჩაქინდრული მოდიოდა. ქალიშვილების მხიარულ ჟრიამულში არ ისმოდა იმის ხმა.

ახლა კი მიიჩქაროდნენ ქალიშვილები საბჭოსკენ. ერთი მეორეს უსწრებდნენ. ქიშვარდიმ ძლივს დაიმარტოხელა ციცინო.

— რა უგუნებოთ ხარ დღეს? რა ამბავი იყო თქვენსას?

— აბა კარგი რა იქნებოდა ჩვენს ოჯახში კოსტას გადამკიდე!—ამოოხვრით მიუგო ციცინომ და თვალები მოენამა. — კოსტა ნენასაც მოინელებს და ბაბასაც და ჩვენც აგვალებინებს მუშაობაზე ხელს.

ქიშვარდის ეუცხოვა, ციცინო ასე გაწიწმატებული რომ იხსენიებდა თავის საფიცარ ძმას. წინედ ისე ენას არ მოაბრუნებდა, რომ არ ჩაერთო, „კოსტა ნუ მომიკვდებაო“. ქიშვარდის უნდოდა ჩაეკითხა — მაინც რა მოხდა ასეთიო, მაგრამ ვერ მოასწრო, რადგან უკვე სოფლსაბჭოს ეზოში შედიოდნენ.

— თქვენ, ქალიშვილებო, ალეგროში მიდიხართ თუ ჩაის საკრეფავად?—შეაგება სიტყვა უცხოდ მორთულ მკრეფავებს გრამიტონმა.

— რატომ, გრამიტონ, კოხტად ჩაცმა მუშაობის დროს ხომ არ გვაწყენს,—მიუგო მარგალიტამ, რომელიც საბჭოთა მეურნეობაში გამართულ სასწავლო კრეფიდან იცნობდა გრამიტონს.

საქართველოს სპარლამენტის ბიბლიოთეკა

— არა, კოხტად ჩაცმას რა სჯობია, მაგრამ ამ სიმალლე ქუსლებზე რომ შემდგარხართ, როგორ უნდა გადაადგათ ფეხი ნამიან პლანტაციაში? — არ ეხსნებოდა გრამიტონი.

— თქვენზე უფრო ჩქარა დაბორკილიც გავიართ, — დაუთმო ტანმძიმე გრამიტონს მარგალიტამ.

— თხებივითაა მაგენი, თუ გინდა, ხეზე ავლენ მაგ ტუფლებით, — გადაულაპარაკა სკაჩიამ გრამიტონს.

— ოო, დაიხრჩვი შენ, სკაჩიავ! — მიაძახეს ქალიშვილებმა.

მალე ნარუჯალაში ჩავიდნენ. ქალიშვილები მწკრივებს შეესივნენ. ბორცვი ძალზე დაქანებულია და რომ არ ჩამორეცხოს, ჩაის ბუჩქები კოტაკების *) წესით არის გაშენებული. ზურმუხტის არშიებად უვლიან შაქრის თავივით ამართულ ბორცვს ჩაის ბუჩქები. ამ წესით გაშენებულ პლანტაციაში მწკრივებს შორის ბალახებს არა თოხნიან და ახალ ნაწვიმარზე ჟვავი მუხლებამდე დგას.

ცეკას წარმომადგენელი, გიორგი, შერმანდია და სოფლსაბჭოდან წამოსული ხალხი სადრენაჟო არხის კიდეს მიჰყვებიან.

— ნაპირ-ნაპირ გამოჰყევით, თორემ სულ დაჟვავდებით, დაილუმპებით, — გასძახა შერმანდიამ ტფილისელ აგრონომს.

მაგრამ სათვალეებიანი აგრონომი ჟვავს არ დაგიდევდა, კვალ-და-კვალ მისდევდა მკრეფავებს. ყოველ ბუჩქთან ცუცქდება, გაფაციცებით ფურჩვნის, და შერმანდიას გაფრთხილებაზე — არ გაილუმპოთო, სიცილით უპასუხებს:

— კაცო, სადაური თავადიშვილი მე მნახე, ჟვავით რომ მაშინებ! ჟვავის და წვიმის მეტი რა მინახავს ჩემს ცხოვრებაში! თექვსმეტ წლამდე წუღა არ მცმია ფეხზე. ასე კი არ იყო ყოველთვის, აგერ ქალიშვილები ფერად ტუფლებში გამოწყობილი რომ გამობრძანდნენ ჩაის საკრეფად, — წარმოსთქვა მან ქალიშვილების გასაგონად. — მოდი თუ გინდა ერთი გავეჯიბროთ, ჩამომიდექით ნაპირში თოხით, ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ქალიშვილები უკვე თავაუღებლად ჰკრეფენ. გაისმის გადამტვრეული დუყების ნაზი ხმაური. სათვალეებიანიც ორივე ხელით გამალებით ჰკრეფს.

— ეს რაა? ეს რაა? — გაცხარებით წამოიძახებს ის, როცა სადმე გადაუხეშებულ დუყს წააწყდება, — აგი ორი დღის წინ იქნებოდა საკრეფი, — ეუბნება ის ბრიგადირს.

სამღვთოელი აგრონომი დარცხვენილი მისდევდა ტფილისელ აგრონომს, რომელიც ცალ მუჭში ნაზ დუყს კრეფდა, ხოლო მეორეში გადაუხეშებულს. ერთ მწკრივზე მან რამდენჯერმე აივსო მუჭა და მარგალიტას კალათაში დასცალა. მარგალიტა უფრო ეთამამება სტუმრებს, თვითონ მიირბენს სათვალეებიანთან, როცა ეს უკანასკნელი დუყებით სავსე ხელს

*) ტერასები.

ამართავს. ის ახალ მწკრივზე გადავიდა და ისევე გადაბმულად კრეფს, როგორც ქალიშვილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე სათვალეებიანმა პიჯაკი გაიხადა, ტუნგოს ტოტზე ჩამოკიდა და ისევ შეუდგა კრეფას.

— ბიჭოს, აგი ნამდვილი სტახანოველი ყოფილა, აგი ჟონასაც არ ჩამოურჩება კრეფაში, — მოწონებით ჩაილაპარაკა მარგალიტამ.

ჟონას სახე გაებადრა ღიმილით.

— მაგი ოთხთვალაა, იმიტომ ხედავს ჩვენზე უკეთესად, — გადაულაპარაკა პელომ კლეოპატრას აგრონომის გასაგონად.

— ძაან შახიანი ბიჭია, — სთქვა პელომ. — რა ნახშირივით თვალები აქვს!

— ნახშირივით კი არა, ნაკვერცხალივით, — მიუგო კლეოპატრამ.

— ჩაგწვა ხომ, გოგო! — ჩაიკისკისა მარგალიტამ.

ქალიშვილები თითქოს ვერ ხედავენ, რომ აგრონომი იქვე მესამე მწკრივზე ჰკრეფს და შეუძლია მათი ლაპარაკის გაგონება. ისინი განზრახ ისვრიან ამ გამომწვევ შენიშვნებს. ცდილობენ იმ ძაფების გაბმას, რაც ასეთი წუთიერი შეხვედრის დროს ხდება ხოლმე. ქიშვარდი ციცინოს გასცქერის, თავდახრილი რომ ჰკრეფს და სრულიად არ ერევა ქალიშვილების ჟრიამულში. ციცინო დილიდანვე მოღრუბლულია, წელან საბჭოს ეზოში ჩასვლისას ხომ ჩაულაპარაკა ქიშვარდის — „კოსტა ნენასაც მოიყელებს და ბაბასაც და ჩვენც აგვალებინებს მუშაობაზე ხელსო“. სჩანს, დღეს მაგარი შეჯახება ჰქონიათ სეფეს და კოსტას. იმიტომაა ასეთ მოჟამულ გუნებაზე, — ფიქრობს ქიშვარდი.

— არის სადმე გადაუხეშებული ჩაი? — ეკითხება ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი სათვალეებიან აგრონომს. — ვერ გამოარკვიეთ?

მკრეფავებმა ერთბაშად ასწიეს თავი. დანიელაც შესცქერის ტფილისელ აგრონომს.

— არა, აქ სხვა კოლმეურნეობებზე უკეთესი მდგომარეობაა, მაგრამ ცოტა ამათაც კი დაუკლიათ ხელობა, — მიუგო ტფილისელმა აგრონომმა. — აი, ხომ ვამბობდი მე, — განაგრძო მან და ისევ მწკრივებს მიუბრუნდა: — თვალდახელშუა წაგსვლიათ ჩაი. მართალია, ცუდი ამინდებიც შეგხვდათ, მაგრამ მარტო ჭყიჟორი არ ყოფილა დამნაშავე, ვერც თქვენ დახვედრილხართ მთლად მარჯვეთ. მაგის სწავლება რათ გინდათ თქვენ. ჩაი თუ გადავიდა, თითონ ხომ გადაუხეშდება და ახალ ყლორტსაც არ აუშვებს.

— აბა, ჩაი მართლა მეწველ ძროხასავითაა, თუ დროზე არ მოწველე, მთლად გაშრება, — ჩაერია სკაჩია და ირგვლივ მყოფთ ისეთის გამომეტყველებით გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, ხომ კარგად განვმარტეო.

— არა, საერთოდ ეს კარგად მოვლილი პალნტაციაა, — სთქვა ტფილისელმა აგრონომმა. — ძალიან სწორი, თანაბარი სიმაღლის ბუჩქებია. ეს ზედა მხარე ჩაქვის მეურნეობის საუკეთესო ფართობებს არ ჩამოუვარ-

დება, — მოწონებით ავლებდა ის თვალს პლანტაციას. — ამ ბოლო დროს შეგშლიათ ხელი, თორემ საერთოდ კარგი ნაკრეფია. — ცუდათ ნაკრეფ ბუჩქს შორიდანაც შეატყობს კაცი, ამოჩხირულია და უსწორ-მასწორი.

— აგი რა დაგიწყვიათ აქ? — დაიხარა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი მწკრივებს ქვემოდან კაულებით დამაგრებულ ნოლებისკენ.

— ნიადაგის დასამაგრებელია, არა? — იკითხა ტფილისელმა აგრონომმა.

— მაგის ჯავრმა გამათეთრა მე, — სთქვა შერმანდიამ, — ჩვენი პლანტაციების დიდი ნაწილი ფერდობზეა გაშენებული. შეგვაქვს ეს ძვირფასი სასუქი, ფოსფორი და აზოტი. საიდან სადაა მოტანილი, რამდენი ვაგონი და ნახშირი დასჭირდება მაგის სამღვთომდის მოტანას. ცეცხლი არაა, მაი ღვარს რომ გაატანოს კაცმა?! აგი ტერასები ქე იმაგრებს, მარა ცოტა-ცოტას მაინც რეცხავს წვიმა. ახლა ვცადეთ ასე: ეს ნოლები დაუწყვეთ მწკრივებს ქვემოდან და კაულებით დავამაგრეთ. ჯერ კაი შედეგი მოგვცა და აწი ვნახოთ.

— ჩვენ სხვა სოფლებზე უფრო ღარიბი მიწები გვაქვს, მარა ამ ნარუჯალაზე შარშან სამი ათას ხუთასი კილო ჩაის ფოთოლი ჩავაბარეთ ჰექტარიდან, — სთქვა დანიელამ.

ტფილისელმა აგრონომმა ჩაიმუხლა და გრძელი თითებით დაუწყო ნოლებთან ღვარით მოხვეტილ ნიადაგს ფოფვა. მიწას ხელით ფშვნიდა.

— მართლა კარგი ვაჟია, სულ არ ახასიათებს ამაყობა, — მოწონებით სთქვა მარგალიტამ.

აგრონომმა ხელები გაიბერტყა და უბის წიგნაკი ამოიღო:

— ერთი კვირის წინ შეიტანეთ აზოტი, არა?

— დიაღ, დიაღ, — დაუდასტურა დანიელამ.

— ეს კარგი ცდა ჩაგიტარებიათ, — სთქვა მან და რაღაცეები ჩაინიშნა უბის წიგნაკში.

— ცოტა უნდა ვიჩქაროთ, — სთქვა ცეკას წარმომადგენელმა. — პირველ საათზეა დანიშნული თათბირი. ერთი თქვენი ცნობილი სანერგეც დავათვალიეროთ.

კორესპონდენტმა ფოტოაპარატი მომართა. ქალიშვილებმა შენიშნეს ეს და ბერეტების გასწორება იწყეს. ციცინო კი ისევ თავდახრილი განაგრძობდა კრეფას.

მანქანები პლანტაციის ჭიშკართან იდგნენ. ცეკას წარმომადგენელი, კორესპონდენტი და თბილისელი აგრონომი პირველ მანქანაში ჩასხდნენ. შერმანდია შოფერთან დაჯდა. თემშარაზე გასვლამდე მანქანა უმოწყალოდ ინჯღრეოდა.

— რამდენს იტანენ ეს ჩვენი საწყალი მანქანები, — სთქვა ახათვალეებიანმა აგრონომმა, რომელსაც ყოველ წუთს ბურთივით შეისვრიდა ხოლმე ზევით, როცა მანქანა ორმოში ჩაეხეთქებოდა.

— მანქანა მანქანაა და ჩვენც რამდენს ვუძლებთ, რესურსები უნდა ქონდეს კაცს საჯდომზე ასეთ გზებზე, — სთქვა კორესპონდენტმა.

— წელს გაგვყავს პლანტაციებზე მისასვლელი კარგი შოსე-გზები, — სთქვა შერმანდიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანერგეს რომ მიუახლოვდნენ, შერმანდიას უკანიდან ხმამაღალი შეძახილი შემოესმა:

— უჰ!

— რა იყო, თავი ხომ არ შეაღეთქეთ მანქანის გადმოსახურავს? — მიუბრუნდა შეშფოთებული შერმანდია სათვალეებიან აგრონომს, რომელსაც მანქანის კარი გამოეღო და შოფერს ანიშნებდა, ცოტა ხანს შეჩერდიო. ცეკას წარმომადგენელი, აგრონომი და კორესპონდენტი სანერგეს და მასზე მიყოლებულ ციტრუსოვანების ბაღს გასცქეროდნენ. ხეებს ტოტები ძირს დაეხარათ ნაყოფის სიმძიმისაგან.

— მაინძელო! — ხუმრობით დაიძახა შერმანდიამ და სანერგეს ჭიშკარი შეაღო.

— შეიძლება? — დაიძახა თბილისელმა აგრონომმა, როცა მანდარინის ბაღს მიადგნენ.

— მობრძანდით! — შემოესმათ მანდარინის ხეების მიღმა. და ცოტა ხნის შემდეგ ფარნა გამოჩნდა ვერმორელის მანქანით ზურგზე. მან ფარრო ხელით ერთმანეთზე გადაბმული მსხვილი წარბები მოიჩრდილა და სტუმრებისკენ გამოემართა.

ბორდოსის სითხიანი ვერმორელი ზურგზე უჭყლარტუნებდა, ონკანიდან ლაჟვარდის ფერი შხამი სცემდა. ფარნას ენანებოდა შაბიაბანის სითხის ფუჭად დაკარგვა, ცალი ხელი და თვალი ისევ მანდარინის ბუჩქისკენ ჰქონდა მიმართული, ვერმორელში ჩარჩენილ წამალს ასხურებდა. ერთთავად შაბიამანში იყო ამოწუწული ფარნა. წულები, პაჭიჭები, კარაბანდულა შარვალი და ჭილის ქუდი ლაჟვარდისფრად ქონდა დაჩითული, მხოლოდ გრუზა, გადამბული წარბები და ფოსოებში ღრმად ჩამჯდარი თვალები შერჩენოდა გამოსაცნობად.

— მობრძანდით! — სტუმართმოყვარული ღიმილით გაშალა ფარნამ სახე, დაცლილი ვერმორელის მანქანა ზურგიდან მოიხსნა და ბაღის ჭიშკარი გამოაღო.

— ეს არის ჩვენი სანერგის გამგე, მთელ რაიონში ცნობილი მცდელი მეხილე. — გააცნო შერმანდიამ ფარნა ჩამოსულებს. ამ დროს სეფეც გამოვიდა სანერგიდან სტუმრების შესახვედრად.

სტუმრები ბაღს მოედვნენ. მანდარინის ნაყოფით დახუნძულ ხეებს უვლიდნენ ირგვლივ.

— რა მშვენიერებაა, მანდარინის უნახავს გახდის კაცს, — იძახდა ტფილისელი აგრონომი და ხელს ავლებდა დახუნძულ ტოტებს, რომლებზედაც მეტი ნაყოფი იყო, ვიდრე ფოთოლი.

— ორი ათასი ნაყოფი იქნება თითო ძირზე, არა? — იკითხა კორესპონდენტმა.

— ბეჰ, ზოგ ძირზე სამი ათასიც ჩამოვა, — დაუდასტურა ფარნამ.

— ოჰ, აქეთ ვენახი ყოფილა, შეხედე, რა მშვენივრად ასხია, ბოლიკოურია არა? — იკითხა ცეკას წარმომადგენელმა.

— ეს ბამბუკი ძალიან მოგიგონიათ გასაკრავად, — მოწონებით სთქვა აგრონომმა, რომელიც კუმს მტევნებს ავლებდა ხელს, ამასთან ყუფლებში უცქერდა, დანაცრული ხომ არ არისო — რამდენჯერ შეაფრქვიეთ გოგირდი? ძალიან გადაგირჩენიათ წლევანდელ ჭყიჟორზე!

— ვცდილობთ, რაც გაგვეწყობა, — სთქვა ფარნამ და კორესპონდენტს მიუბრუნდა, რომელიც ძირდაბალი მსხლის ტოტს წაეპოტინა, ერთი ნაყოფი მოსწყვიტა, მოკბიჩა და დაილმიჭა.

— აჰ! მაგი თებერვალში იქნება მწიფე, აგერ ატამი მიირთვით, — დატრიალდა სეფე, მწიფე ატამი დაკრიფა და სტუმრებს ჩამოურიგა.

— ეს მსხალი მიკადია, არა? — იკითხა ტფილისელმა აგრონომმა.

— დიახ, დიახ, მაგი, ჩემის აზრით, შემოსავლით მანდარინს არც კი ჩამოუვარდება. ყინვასაც კარგად უძლებს.

— ოჰ, ჩხავერიც გქონიათ თქვენ აქ? ხომ არ გამოუსხამს ჯერ?

— არა, ჯერ არ გამოუსხამს, გაისს მოგვცემს პირველ ნიშანს, — მიუგო სეფემ.

— ჭურები სად გაქვთ აქ? — იკითხა კორესპონდენტმა.

— ჭურები სულ არ გვაქვს, ბოჭკები და ბოცები გვაქვს, — სთქვა ფარნამ.

— ტეხნიკურად გვაქვს მოწყობილი მარანი, — ჩაერია საუბარში სკაჩია, რომელიც ის იყო ქიშვარდისთან ერთად გამოვიდა ნარუჯალადან.

— აბა, აქ რა გაქვთ? — შეეკითხა ცეკას წარმომადგენელი ფარნას, როცა სანერგეში გადავიდნენ.

— ქე გვაქვს მიცემული საპასუხისმგებლო დაპირება, მარა არ უნდა იყოს მთლად გლახა ჩვენი სანერგე ვარდოულის რაიონში, — წარმოსთქვა ფარნამ გაბრწყინვებული სახით და სანერგის ჩვენებას შეუდგა. — ეს ერთწლიანი ლიმონებია, — დაიწყო მან ფარდულთან გაშენებულ მწკრივებიდან, — შარშან მარიობისთვეშია აგი დამყნობილი. მაშინ საძირე ისე წვრილი იყო, რომ ნემსის ყუნწში გაეტეოდა. ახლა ქე ხედავთ, ორი წლის ნამყენი ეგონება კაცს. ნერგს დიდი მოვლა უნდა. პირველად რომ დავიწყეთ სანერგის მოწყობა, ზოგმა სთქვა, რაზე უნდა დავისვარო ნაკელში ხელი, მამაჩემის ბაღი ხომ არ არისო. ისევ მე და სეფემ, ამ ბერი კაცებმა დავიკაპიწეთ სახელო, ვურიეთ ხელი ნაკელში. ბარე ათჯერ გამოვხელეთ წელს სანერგე. იმიტომ გათამამდენ ასე ნერგები და ხარბად აუშვეს ტანი, ნერგს დიდი პატივისცემა უნდა, — ამბობს ფარნა და მანდარინის მუქმწვანე ჯვერს ისე ავლებს ხელს, როგორც საყვარელ ბავშვს მოსაალერსებლად გადაუსვამენ ხოლმე თავზე ხელს. — ლიმონი აბდალია, თუ პატარა სითბო ნახა, ხელად გეიღვიძებს, გაშლის კვირტს. მანდარინი და ფორთოხალი უფრო ფრთხილი არიან. ამ გრეიფუტის ხასიათს არ ვიცნობთ ჯერ კიდომ კარგად.

შემდეგ ფარნა მეორე ნაკვეთზე გადავიდა და გადრეკილი ლიმონის ხეებისაკენ გაიშვირა შუათითი, რომელსაც ის ჩვეულებრივ საჩვენებელი თითის ნაცვლად ხმარობდა:

— მე ამფერი დაკვირვება მაქვს: თუ ლიმონი მარ ხეებზე იზრდება, მაშინ უფრო ქვერივით მოდის და მსხმოიარობა ნაკლები აქვს. ჩემი გამოსაზრებით, ასე ტოტებგადაღუნულმა უნდა აჯობოს. აგერ ხედავთ, რა კარგად ასხია. ამ ერთ ძირს მოსკოვის გამოფენაზე ვგზავნით.

— შენ ხომ არ მიდიხარ გამოფენაზე? — შეეკითხა ცეკას წარმომადგენელი ფარნას.

— ვნახოთ, თუ დავიმსახურე, — გახსნა ფარნამ ერთად შეზრდილი მსხვილი წარბები, — შეჯიბრებული ვართ ვარდოულის რაიონის სანერგეები, ყველა მისკენ წიწავს, ვნახოთ, საბოლოოთ ვინ გეიტანს ლელოს.

სტუმარმა საათს დახედა.

— უჰ, თორმეტი საათი გამხდარა, თათბირი პირველზე იწყება. აწი მასალები უნდა მოვამზადოთ, — აუჩქარა მან. — თქვენც წამოდით ბარემ, თავისუფალი ადგილები გვაქვს მანქანაში, — მიუბრუნდა ის შერმანდიას და ეპიფანეს.

— არა ჩვენც ახლავე წამოვალთ ჩვენი მანქანით, — მიუგო შერმანდიამ, — აბა, უთხარი ყარამანას, შემოგვახვედროს მანქანა სოფლსაბჭოს თან, — მოუბრუნდა ქიშვარდის, — შენ ცემენტსაც ამოვიტანთ აქეთობისას.

რამდენიმე წუთში ყარამანა კახელებულივით მიაქროლებდა საბარგულს თავდალმართზე დაკეცილ შარა-გზაზე. ქიშვარდის თვალწინ ყოველ მოსახვევში, იქ, სადაც წინათ ისლით დახურული ქოხმახები ახსოვდა, ამოიზრდებოდა ხოლმე ახლად აგებული, კრამიტით გადაწითლებული ოდა, და ახლა, როცა თვითონაც ცემენტისთვის მიეშურებოდა, განსაკუთრებით მწვავეთ განიცდიდა, თუ როგორ ჩამორჩა სხვებს.

თათბირი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, როცა რაიკომის შენობაში შევიდნენ. დერეფანში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ თათბირის მონაწილე კოლმეურნეობების და სოფლსაბჭოს თავმჯდომარეები, პარტკომის მდივნები, აგრო-ტექნიკოსები, ბრიგადირები. ზოგიერთებს საველე ჩანთები გაეშალათ, ცხრილებს ათვალიერებდნენ გაფაციცებით. ზოგს შათგანს სცნობს ქიშვარდი. აი მელიქაურის სოფლსაბჭოს ტანმორჩილი თავმჯდომარე, აქვსენტი კუმსაძე, პირთხელი, ბობრი, მუდამ შეფაკლული ლოყებით, მცქმუტავი და მოუსვენარი, ზედმეტ სახელად შუშხუნას რომ ეძახიან. აი მელიქაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ჯორბენაძე, შინდისფერი ტყირპი რომ გადასდევს ნოლა ცხვირზე, აი ნაბოგილევის სოფლსაბჭოს თავმჯდომარე, აი უკანავას პარტკომის მდივანი...

შერმანდია რაიალმასკომის კანცელარიაში შევიდა და რამდენიმე წუთში მიმართვა გამოუტანა ქიშვარდის:

— ა, თუ აქვთ შენს ბედზე ცემენტი, მოგცემენ საწყობში, ისევ აქ მოაყენეთ მანქანა, აქედან წავიდეთ ერთად თათბირი რომ დასრულდება.

„სოფლიმომარაგების საწყობის გამგეს. მიეცით ჩვენი მარაგიდან სამღვთოს კოლმეურნეობის წევრს ქიშვარდი ქილიფთარს ექვსი ბოჭკა ცემენტი“, — ჩაიკითხა სახე-გაბრწყინებულმა ქიშვარდიმ ბრიგადის ჩასვლისას. მოწერილობა დაკეცა და სასოებით ჩაიდო უბის ჯიბეში.

ყარამანამ საწყობისაკენ დასძრა საბარგული. ქიშვარდი ატაცებული იყო. როგორც კი მიუახლოვდნენ საწყობს, გაქანებული მანქანიდან გადმოხტა. წაიფორხილა, კინალამ კისერი მოიტეხა. კიდევ არა სჯეროდა, რომ მართლა ღებულობდა ამდენი ხნის ნაოცნებევ ცემენტს. საწყობთან საბჭოთა მეურნეობის მანქანები იყვნენ ჩამომდგარი. წყალსადენის მილებს და ცემენტს ტვირთავდნენ. ქიშვარდი საწყობის გამგესთან მიიჭრა და მოწერილობა გაუწოდა.

— ახლავე გავისტუმრებ ქვედობნის მანქანებს, — უთხრა საწყობის გამგემ.

ქიშვარდიმ თავისუფლად ამოისუნთქა, მაგრამ მაშინვე შეეჭვდა — ვაი თუ ჩემ ბედზე არ აუთავდეთ ცემენტიო. შეშფოთებული უტრიალებდა საბარგულებს. სანამ მანქანაზე არ დააწყობდა ბოჭკებს, არ სჯეროდა რომ მართლა ღებულობდა ცემენტს.

— ჰელესა! ჰელესა! — გაბმულად იძახოდნენ მტვირთავები და საბარგულის ძარზე მიდგმულ ფიცარზე მიაგორებდნენ თუჯის მსხვილ მილებს.

ქიშვარდის ეჩვენებოდა, რომ მტვირთავები ზანტად მუშაობდნენ. მოთმინება ელოდა. ორი საბარგული ჯერ კიდევ დასატვირთავი იყო. — როდის მორჩებიან, — ფიქრობდა გულგაწყალებული ქიშვარდი. ყარამანას დაელრეჯა. — მოდი, მოვეხმაროთ, თორემ როდის მოვა ჩვენი ჯერიო. გახელებული დაეძგერა მძიმე თუჯის მილებს. ლარტყებივით ისროდა ქვედობნის საბარგულზე.

— მოიცა, რამ გაგაცოფა! — ამშვიდებდა ყარამანა.

ქიშვარდი თუჯის მილს რომ დაავლებდა ხელს, კისერი მაინც ცემენტის ბოჭკებისაკენ ჰქონდა მოღრეცილი. ეშურებოდა. ჩქარა აეტანა სახლში და დაებინავებინა. გავწყდი წელშიო, იძახოდა ყარამანა. მაგრამ ქიშვარდი ყურადღებას არ ექცევდა მის წუწუნს. ქიშვარდიმ და ყარამანამ მალე მეორე მანქანის ძარაც აავსეს თუჯის მილებით.

— ახალგაზრდები არიან. სისხლი ერჩით. თქვენ აგაშენათ ღმერთმა! — ლოცავდნენ მათ ოფლში გაწურული მუშები.

მაგრამ ქიშვარდი ყურადღებას არ აქცევდა მათ მადლობას. ცემენტის ათფუთიან ბოჭკებს დაეძგერა. ქშენით მიათრევდა თავიანთ საბარგულისაკენ. ახლა ყარამანიც იჩქაროდა. ეშინოდა, ვაი თუ თათბირი დასრულდა და შერმანდია და ეპიფანე დიდი ხანია გველოდებიანო.

ისევ რაიკომის შენობას მიადგენ.

— უჰ, ჯერ სადაა! — თავისუფლად ამოისუნთქა ქიშვარდიმ, როცა რაიკომის შენობის წინ ჩამწკრივებული „გაზები“ და საბარგულები დაინახა. შოფერები რაიკომის წინ ბაღში ისხდნენ.

ყარამანა იქეთკენ წავიდა. ქიშვარდიმ კი რაიკომის შენობაში შეირბინა. კიბეზე ჩამომავალმა ქალიშვილებმა გაოცებით შეათვალიერეს. ქიშვარდიმ მხოლოდ ახლა დაიხედა ტანისამოსზე — ერთთავად ცემენტის მტვერში იყო ამოგანგლული. ისევ ჩაირბინა კიბე, ტანისამოსი გაფერეტა. ყელში მაინც ულიტინებდა ცემენტის მტვერი. ბუფეტისკენ უნდოდა წასვლა წყლის დასალევად, მაგრამ ამ დროს რაიკომის სათათბირო დარბაზის კარი გაიღო და თათბირის მონაწილეები დერეფანში გამოეფინენ.

ეტყობოდა თათბირი ჯერ არ იყო დასრულებული. ღიათ დატოვებულ კარებში ქიშვარდი ხედავს გრძელ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში თავჩარგულ თავებს, რომელთა ზევით თამბაქოს ლურჯი ბოლი დგას. დერეფანშიც დიდი ფაცა-ფუცია, ყველა ჩაის გეგმებზე ლაპარაკობს, მაგრამ ქიშვარდის გონება ისევ ცემენტითაა სავსე.

აი, ჯორბენაძე გამოვიდა დარბაზიდან და ბუფეტისკენ გაემართა. ცოტა ხნის შემდეგ შერმანდიაც გამოჩნდა.

— ერთი ბოთლი ცივი ლიმონადი! — შორიდან მიაძახა შერმანდიამ მებუფეტეს.

— შეგახურეს ხომ? ლიმონათით გინდა გაიგრილო გული, შერმანდი, — შეაგება მას დახლზე დაყრდნობილმა ჯორბენაძემ და ეჩოსავით წინ წამოყრილი კბილები გამოაჩინა.

— ყველა კარგად შეგვახურეს და ქეც გვეკუთნოდა, სულო ცოდვილო. ვერ დავხვდით მაგ ჭყიჟორს ბოლშევიკურად, — მიუგო შერმანდიამ, გამყიდველს ლიმონათის ბოთლი გამოართვა და ჭიქის ძებნას შეუდგა.

— მომცეს ცემენტი, მანქანა აქ არის, — დაუდგა წინ ქიშვარდი შერმანდიას. — ჩვენ ბაღში დავიცდით.

— ჰო, კარგი, — უთხრა შერმანდიამ — თვარა შემოდი აქ, თათბირზე, ერთად წავიდეთ.

— შეიძლება? — იჭვნეულად შეეკითხა ქიშვარდი.

— როგორ არ შეიძლება, თათბირია.

ამ დროს დარბაზიდან ზარის მომხმობი წკარუნი მოისმა.

— ვათავდა შესვენება, შევიდეთ. — სთქვა შერმანდიამ. — ოი, დასწყევლოს ღმერთმა! — დაიძახა მან უცებ, მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ნახევარი ბოთლი ლიმონათი ქაფად გადმოღვრილიყო და ფრენჩზე გადასხმოდა. ჭიქის ძებნას აღარ გამოუდგა, ბოთლი პირზე მიიყუდა, სულმოუთქმელად გამოსცალა და დარბაზში შევიდა. ჯორბენაძე და ქიშვარდი მიჰყვნენ მას.

ქიშვარდის უნდოდა სადმე იქვე შესასვლელთან ჩამჯდარიყო, რომ არავის არ შეემჩნია, მაგრამ ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა. კედელთან ერთი თავისუფალი სავარძელი იდგა, მაგრამ იმის დაჭერა ვერ გაბედა. დიდხანს წრიალებდა, სანამ სკამს მიაგნებდა. ყველა დაჯდა და ის ისევ დადიოდა. ყოველ წუთს მოელოდა, რომ ვინმე პრეზიდიუმის

მაგიდიდან მიაძახებდა — შენ ვის ეძებ, ამხანაგო, და ეს ფიქრი აცხროებდა. ხომ ვერ იყვირებდა, შერმანდიამ მითხრა, კი შეიძლება თათბირზე დასწრებაო. ასეთ გულისხმიერებაში იყო, მაგრამ მას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. როგორც იყო იპოვა თავისუფალი ადგილი ეფანჯარასთან, შერმანდიას გვერდით, და ისე მორიდებულად ჩამოჯდა სკამის კიდეზე, თითქოს მეორე ნახევარი ვინმე სხვისთვის შემოინახაო. აწურულად ზის, თითქმის არც კი ეკარება სკამის საჯდომს, სკამი მაინც უბედურად ჭრიჭინებს და ლაპარაკის მოსმენის საშუალებას არ აძლევს. ყურადღებას სჭიმავს, ცდილობს თათბირის ატმოსფეროში გადავიდეს, მაგრამ ვერ ახერხებს. ცემენტის მძაფრი სუნიც, რომლითაც გაჟღენთილია მთელი მისი ტანისამოსი, ცხვირში ულიტინებს. სულ თვალწინ უდგას საბარგულზე დატვირთული ცემენტის ბოჭკები, სული მისდის, სანამ შინ აიტანდეს და დააბინავებდეს. ციცინოსაც თავს მოაწონებს.

პრეზიდიუმის მაგიდიდან კი ისევ გაისმა ზარის წკარუნი და ცეკას წარმომადგენელი წამოდგა. დარბაზში, რომელიც ამდენხანს ფუტკრის რემასავით ზუზუნებდა, ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა.

— უდიდესი ამოცანა, — დაიწყო ცეკას წარმომადგენელმა, — რომელიც დგას სუბტროპიკულ კოლმეურნეობათა წინაშე, მდგომარეობს იმაში, რომ სავსებით უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება საქართველოს ჩაით და გავთავისუფლდეთ უცხოეთის იმპორტისაგან. — ის ლაპარაკობდა გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლაზე, რომელიც აქ, ჩაის პლანტაციებზე, მიმდინარეობს. — კლასობრივი მტერი ამ ფრონტზე გააფთრებით იბრძვის, ის სარგებლობს ყოველგვარი სისუსტით ჩვენის მხრივ. ტექნიკურმა კულტურებმა სულ გარდაქმნეს ჩვენი რაიონის სახე. ჩაიმ და ციტრუსებმა მთელი რაიონის გლეხობა შეძლებულობის გზაზე დააყენეს, მაგრამ ჩაი და ციტრუსოვნები შრომისტევადი კულტურებია და თვითდინებას არ უნდა მივეცეთ. რას აკეთებს მთელი რიგი კოლმეურნეობების ხელმძღვანელობა? ამინდი წახდა და მუშაობა შეასუსტეს. რითაც საგრძნობი დანაკარგი გამოიწვიეს მაშინ, როდესაც ჩვენ, პირიქით, კიდევ უფრო უნდა დაგვეჭიმა ძალები... აი მაგალითად სამღვთოს კოლმეურნეობას მთელი საქართველო იცნობს და ახლა თავი არ უნდა შეირცხვინოს. მას შედარებით კარგი მდგომარეობა აქვს, მაგრამ აქაურ ამხანაგებს კიდევ მეტის გაკეთება შეეძლოთ. ესენი მაგალითის მაჩვენებლები უნდა იყვნენ დანარჩენ კოლმეურნეობებისათვის.

— ძაან დღე დაგვაყენა, კბილიდან ოფლი გვადინა სირცხვილით, — დრტვინვით გადაულაპარაკა შერმანდიამ ქიშვარდის, — ვერ დავხვდით ჭყიჟორს მაგრა. იმ გადარეულმაც რა დღე დაგვაყენა, მაგრამ იმას ხომ ვერ ვიტყოდი აქ, სასაცილოდ ამიღებდნენ. ახლა რომ გადავრჩებოდეთ და გარდამავალ დროშას არ დავკარგავდეთ, თვის ბოლომდე გამოვასწორებთ ჩამორჩენას და ას პროცენტზე ავაჭენებთ გეგმას. არა ვითომ?

ქიშვარდის სიამაყით ევსება გული, რომ პარტიის ძველი წევრი, ორდენოსანი მას, კომკავშირელ ახალბედას უზიარებს თავის ფიქრებს

და ჭმუნვას. სჩანს ძალიან ღელავს. მას ახლა რცხვენია, რომ ასე ცმუტავდა სიხარულით ცემენტის მიღებისას. ცდილობს სიხარული დაიოკოს. თავის თავს კიცხავს, უსაყვედურებს, რომ ასე უდროოდროს წამოიწყო ოდის შენება. ახლა მთელი ძალღონის დაჭიმვაა საჭირო—ამ ჩამორჩენის გამოსასწორებლად, მას კი შინ ხელოსნები ელოდებიან.

დარბაზი სულგანაბული უგდებდა ყურს ცეკას წარმომადგენელს. ქიშვარდიც ცდილობს თათბირის ატმოსფერაში გადასვლას.

თამბაქოს ბოლი ნისლივით დგას ჰაერში. თვალებს სწვავს, ვიღაცამ ფანჯარა გამოაღო. კვლავ ჟინჟლავდა. ქიშვარდის სახეს საამოდ მოხვდა ნამიანი გრილი ნიავი. ნისლში გახვეულნი იდგნენ ფანჯრის გასწვრივ მაღალ ბორბლებზე დაყუნცული საბარგულები. ცეკას წარმომადგენელი ახლა ჩაის ფოთლის მოსავალზე ლაპარაკობდა, იმაზე, თუ რამდენს იძლევა ერთი ჰექტარი იაპონიაში, ცეილონზე და ჩვენში, მაგრამ როგორც კი მოჰკრა ქიშვარდიმ თვალი საბარგულიდან ამოჩრილ ცემენტიან ბოჭკებს, მყის გაუწყდა ყურადღების ძაფი. ისევ ის დილა დაუდგა თვალწინ, ფრთათეთრი მტრედები რომ ლივლივებდნენ ამომავალ მზის სხივებში. გაახსენდა სკაჩიას დაცინვა: „ქიშვარდი, ალბათ, უხუთშაბათო კვირაში ააშენებს ოდასო“ და თავისი დაქადნება ციცინოს წინაშე: „ბიჭი არ ვიქნები, თუ აგვისტოს ბოლომდე სახურავში არ მოვიყვან სახლსო“. გადაავიწყდა, თუ რა ხდებოდა დარბაზში. ცემენტის ბოჭკებისაკენ კისერ-მოღრეცილი იჯდა. უცებ ღია ფანჯრის რაფაზე გაწუწული ბეღურა შემოჯდა, ცუნცრუკი და ჟღრუტული მორთო. უცნაურად შემოიჭრა თათბირის დაჭიმულ ატმოსფერაში ეს აფორიაქებული ჟღურტული. ყველამ იქითკენ მიიღრიცა კისერი. ვიღაცამ ხელი აიქნია და ბეღურა გაფრინდა. ქიშვარდის შერცხვა. ახლა ამ ბეღურას ჟღურტულივით უმნიშვნელო მოეჩვენა თავისი ოცნება ცემენტის შესახებ. თავის თავზე გაბრაზდა,

— ახლა მთავარი ის არის, — დაასრულა სიტყვა ცეკას წარმომადგენელმა, — რომ ეს ჩამორჩენა გამოვასწოროთ. ჩაის კრეფის გეგმა უნდა შევასრულოთ დროზე, ხარისხიანად და გადაჭარბებით. პლანტაციებიდან უნდა ავიღოთ მთელი ის მოსავალი, რომლის მოცემაც მას შეუძლია...

თათბირმა მიიღო მიმართვა ცენტრალურ კომიტეტისადმი. რაიონის კოლმეურნეთა სახელით თათბირი სიტყვას სდებდა, რომ ჩამორჩენას უახლოეს დროში გამოასწორებდა და წლიურ გეგმას გადაჭარბებით და ხარისხიანად შეასრულებდა.

თათბირი რომ დასრულდა, გიორგი და გრამიტონი დაეწივნენ შერმანდიას, რომელიც ჯორბენაძესთან ერთად ჩამოდიოდა კიბეზე.

— აბა, ხომ ხედავ შერმანდი, როგორაც არის საქმე, — სთქვა გიორგიმ. — ძაან უნდა დავიკაპიწოთ ხელები და დავტრიალდეთ. ცეკას სიტყვა მივეცით, ვალდებულება ავიღეთ თავის თავზე და სიტყვას შესრულება უნდა.

გიორგიმ ისე შეხედა თვალებში შერმანდიას, თითქოს ეუბნებოდა, შენი იმედი მაქვს, არ შემარცხვინოო. დაღლილი სახე ჰქონდა გიორგის: მთელი დღე, დარში თუ ავდარში, რაიონის შარა გზებზე ატარებდა მისი მოუსვენარი „გაზი“ ქიმზე მოფარფატე პატარა ... ...

ლიქაური ხომ უიმისოდაც ყველაფერში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ამიტომ ყარამანამაც მთელი ძალით გაუშვა მანქანა. ბუზარა მომჯდარ მოზვერივით გარბოდნენ სამღვთოს და მელიქაურის საბარგულები. მელიქაურის შოფერი არას დაგიდევდა, რომ მისი საბარგულის ძარაში ჩაგდებული ბოჭკა გაცოფებულივით ტრიალებდა და მგზავრებს ფეხების მომტვრევით ემუქრებოდა, სამღვთოს საბარგულის ძარაზე კი ცემენტის ღრუბელი იდგა.

შერმანდია კაბინის სარკმლებს ურახუნებდა, შოფერს სტუქსავდა, ნუ დაგვახრჩე ცემენტის მტვერში, რა მიგაქენებს, ლელო ხომ არ მიგაქვსო, მაგრამ მელიქაურის მანქანა გახელებული მიჰქროდა და სამღვთოს შოფერს რა შეაჩერებდა. სულმოუთქმელად გადადიოდნენ მანქანები ბორცვებზე და ხონდაკებზე, შხაპუნით მიარღვევდნენ გზაზე დამდგარ გუბეებს, და მანამ არ შეწყდა საბარგულების ეს დოღი, სანამ მოწინავე მელიქაურის მანქანა ხონდაკში არ ჩაეხეთქა და რესორის ფრთა არ გაუტყდა. ყარამანამ ძლივს მოასწრო მის კვალზე მიმავალ სამღვთოს საბარგულის დამუხრუჭება. შიშნაჭამი მგზავრები ჩამოქვეითდნენ.

— ფუჰ! თქვენისთანა გიჟებს მანქანა კი არა, ორი ბატი არ უნდა მიაბაროს კაცმა სამწყემსავად! — სთქვა გულმოსულმა შერმანდიამ. — იხოხეთ ახლა ტალახში მუცელზე!

ყარამანა მელიქაურის შოფერის მისაშველებლად წავიდა, შერმანდია კი ჯორბენაძისკენ გაემართა.

— რა იყო, დიომიდე, ფინთიხივით რომ გამოვარდი, ხომ არაფერი დაგაკლდა გულს?

— გულს დამაკლდა კი არა, თოფი რომ გეკრა, მასე არ მეწყინებოდა, — მიუგო მან. — ისე ჩამოვრჩით ახლა ვითომ, რომ ნადის მოსაყვანად გაგვიხდა საქმე?

— რა მოხდა ასეთი? კაცი რაცხას იხუმრებს, მაგი რავა უნდა გეწყინოს!

— არა, ხუმრობა კარგი საქმეა, მარა მაგასაც აქვს მისი საგანი. რას იფიქრებს ახლა ცეკას წარმომადგენელი და ეს უცხო ხალხი, მელიქაური ყველაზე ჩამორჩენილი კოლმეურნეობა ყოფილა, სხვისი დახმარება სჭირდებაო, — ცხარობდა მელიქაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— არა, კაცო, იმაზე ვთქვი, გიორგი რომ ამბობდა, სოც-შეჯიბრი გავშალოთო.

— კი, მარა ჩამორჩენილებზე რომ დაიწყე ლაპარაკი, რაღა სწორედ მაშინ ქენი ჩემსკენ პირი, — არ მშვიდდებოდა ჯორბენაძე. — თუ შეჯიბრია, შეჯიბრი იყოს. შარშან ქე დაირჩინე რაიონის გარდამავალი დროშა, მარა მაგით არ უნდა დეიამაყო. წრეულს ვნახოთ, ვის დარჩება საბოლოოთ დროშა და ვის დასჭირდება ნადის მოყვანა! შეიძლება ისე წავიდეს საქმე, რომ პირიქით წამოგახმაროთ ხალხი, — უკვე შემარიგებელი დუდუნით დაასრულა მან.

— ვნახოთ, ვნახოთ, — გაიღიმა შერმანდიამ.

ამ დროს მელიქაურის საბჭოს თავმჯდომარე და პარტკომის მდივანი მივიდნენ ჯორბენაძესთან, და სანამ ტალახში ამოგანგლული შოფერები საბარგულის ქვეშ ხოხავდნენ, ყველანი ნადინების ჭალას შეჰყურებენ და მდინარის გაღმა ზეგანზე გადაშლილ ქვედობნის ხაბეჭოს მეურნეობის პლანტაციებს შეჰყურებდნენ.

— რა არ შეუძლია კაცის ხელს! — ისეთის გაოცებით წარმოსთქვა ჯორბენაძემ, თითქოს პირველად ხედავს ამ ჩაის ბუჩქებით მოფარდაგებულ სერებს, ტუნგოს თალარებს, ქარსაფარ ზოლებად ჩარგულ კრიპტომერიების ხეივნებს.

მდინარის გაღმა, შემაღლებაზე ელექტროსადგურის მოტორის ქუთქუთი და მქნევარას ღვედის ტლაშუნი გაისმოდა. მის ზევით ახლად გაშენებული ქალაქი იწყებოდა, შორს კი, ცის დასავალზე, კვლევითი ინსტიტუტის თეთრად შეფეთქილი შენობები მოსჩანდა. ნადინების ნაპირებს შესდევდა ეკლით გადაზრდილი გვინძღები, რომლებშიაც მზის სხივიც კი ვერ ატანდა.

— გახსოვს, ძველად რომ იტყოდნენ, „რას იკრიჭები ნადინევის ჭინკასავითო“, აქ იყვნენ ვითომ ის ჭინკები, ნეტა სად გადასახლდნენ? — იკითხა მაქიმედიმ.

— ჭინკები კი არა, ქაჯი ვერ გაუძლებდა ჩვენ რომ ცეცხლი გაუჩინეთ ამ ეკლის გვინძღებს! გახსოვს, რა ვარახელა გვქონდა, ამ ადგილებს რომ ვკაფავდით ოცდაათ წელში?

— ხო-ხო-ხო, თოვლში რომ ვბარავდით, ცეცხლი რომ გვენთო ტყეში, — არობრობდა ჯორბენაძე.

— დიდი გზები გაკეთდა! — ჩაურთო სიტყვა შუშხუნამ.

— დიდი, დიდი! — დაუდასტურა მაქიმედიმ.

ამ დროს მანქანების საყვირის ხმა გაისმა და სამღვთოელები და მელიქაურლები თავთავიანთ მანქანებისაკენ წავიდნენ.

— დღესვე გამოვიწვიოთ სამღვთოს კოლმეურნეობა სოცშეჯიბრში, — უთხრა თავისიანებს ჯორბენაძემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო საბოლოოდ. — წერილი გაუგზავნოთ, მარა ისე შევადგინოთ, რომ ცოტა გული მოსწვას. ასე მივსწეროთ: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ წინ ხართ, მაგით ნუ დიდგულობთ, ჩვენ გაგისწრებთ და თქვენი ხელით ჩამოგატანინებთ რაიონის გარდამავალ დროშას, ქეიფს ჩვენში გავმართავთ და თამადად შერმანდიას ავირჩევთ-თქვა.

— ხო, ხო, დიდებულია! — მოუწონა მელიქაურის საბჭოს თავმჯდომარემ შუშხუნამ. — დღესვე გაუგზავნოთ გამოსაწვევი წერილი. შეჯიბრის მსაჯებად გრამიტონი და ის პროფესორი დავნიშნოთ, შერმანდიამ რომ დაეამაყა იგენთან — მელიქაურლებს ნადს მოვახმარო.

ჩასვლისთანავე მელიქაურში კრება მოიწვიეს და გადასწყვიტეს სამღვთოს კოლმეურნეობის შეჯიბრებაში გამოწვევა. მეორე დღეს რაიონის გაზეთის „ჩაის ფრონტის“ საველე გვერდი „ელვა“, გამოვიდა, რომელმაც მთელ რაიონს მოჰფინა მელიქაურელების წერილი, სამღვთოელებისადმი მოწერილი, შემდეგი გამომწვევი სათაურით: „ჩვენ დროშას ჩვენ ვემუქრებით“.

წერილი გრძელი მისამართით იწყებოდა: „სამღვთოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, პარტკომის მდივანს, ბრიგადირებს, აგროპერსონალს, ყველა კოლმეურნეს: რაიონულ თათბირის დადგენილებათა საფუძველზე მელიქაურის კოლმეურნეობამ გარდაქმნა თავისი მუშაობა ჩაის პლანტაციების სარეველასაგან გაწმენდის და ჩაის კრეფის საქმეში. გადავწყვიტეთ, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, გაუსწროთ თქვენს კოლმეურნეობას. ამ მუქარას ერთ კვირაში საქმედ ვაქცევთ. მანამდე კი გევალებათ კარგათ შეინახოთ გარდამავალი დროშა და თქვენივე ხელით ჩამოგვიტანოთ მელიქაურის კოლმეურნეთა საზოგადო კრებაზე გადმოსაცემად“.

ეს მუქარის წერილი მეორე დღეს ყუმბარასავით გასკდა სამღვთოში.

— ლელობურთში რომ ვაჯობეთ, იმიზა სკდებიან გულზე, — თავისებურად ხსნიდა სკაჩია მელიქაურელების წერილის გამომწვევ კილოს, — მარა ვერ ეღირსებიან ჩვენი დროშის წაღებას.

ქალი და კაცი, დიდი და პატარა მელიქაურელების მუქარაზე ლაპარაკობდა. ისეთი განწყობილება შეიქნა, რომ კაცს ეგონებოდა, ეს ჩვეულებრივ სოცშეჯიბრებაში გამოწვევა კი არ არის, ლაშქარი მოიწევს სამღთოზეო. იმავ საღამოს კოლმეურნეთა საერთო კრება მოიწვიეს.

ცა საავდროდ იკრავდა შუბლს. სადღაც ელვა აფახულებდა თვალს. შორს, ზღვის მხარეზე, ყრუდ გრუხუნებდა. კოლმეურნეები ქოლგებით და ხელფარნებით მიიჩქაროდნენ კლუბისაკენ. გადაყრუებული მოხუცებიც კი აღარ დარჩენილიყვნენ შინ, ისინი, სხვა დროს რომ არც ბრიგადებში და არც კრებებზე აღარ დადიოდნენ. პუპულაც მოსულიყო ალვასის თანხლებით. სიპიტო, ყაისარა, ლონგინოზ და ელიზბარა ერთად ტრიალებდნენ. იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ კლუბის დარბაზი აღარ ეყოთ, მანდარინის დიდ ფარდულში გადავიდნენ. კრება ეპიფანემ გახსნა. შერმანდიამ რაიკომის თათბირის შედეგები გააცნო ხალხს.

— წლევანდელი გეგმით ოთხასი ათასი კილო ჩაი უნდა ჩავაბაროთ სახელმწიფოს. ახლა მანდარინის მყნობაც მოდის. სხვა სამუშაოც ბევრი გვაქვს. წელს ცოტა სიძნელე შეგვხვდა. ივანობისთვეში ხელშეშლილი დავრჩით, ჭყიჟორმა დაგვაბრკოლა ჩაის კრეფაში. ახლა რამდენიმე დღეში უნდა გამოვასწოროთ ჩამორჩენა. თუ რამე დაგვაკლდა წარსულ თვეს, ახლა უნდა შევასრულოთ. წლევანდელი გეგმა პატარა და იოლი არაა, მარა ბოლშევიკები იმიზა გვქვია, რომ არაფერ დაბრკოლებას არ უნდა შეუშინდეთ და გავექცეთ. ჩვენ ცუდმა ამინდმა და ბუნების ძა-

ლამაც არ უნდა დაგვახევიოს უკან. კიდევ უფრო მაგრა უნდა ვიმუშაოთ. ეს გეგმა გადაჭარბებით უნდა შევასრულოთ. არც ერთი ფოთოლი არ უნდა დაიკარგოს. იქით უნდა გვქონდეს ხაზი, რომ ოცდ[illegible] ათ კილო სიმინდზე ავიყვანოთ წელს შრომა-დღე. ჩვენ [illegible] ვალდებულება გვაქვს აღებული, აგერ კიდომ მელიქაური გვიწვევს შეჯიბრში, დროშაზე გვემუქრებიან, — სთქვა შერმანდიამ და მელიქაურის კოლმეურნეობის მოძართვა წაიკითხა.

— ჰაიტ! ჰაიტ! დროშას თქვენი ხელით ჩამოგატანინებთო, — გაისმა დარბაზში მელიქაურლების წერილის გაგონმწვევი კილოს საპასუხოდ.

— შარშან გარდამავალი დროშა ჩვენ დაგვრჩა, ყველაზე წინ ჩვენ ვიყავით. მაგრამ ამ მიღწევებმა არ უნდა გაგვათამამოს, — განაგრძნო შერმანდიამ. — არვინ იფიქროს რომ ასე პირველ ადგილზე დავრჩებით. თუ ძალიან არ დავიკაპიწეთ ხელები და არ დავტრიალდით, დროშას დავკარგავთ იცოდეთ!

— აგი ისე გამოვა, ვინცხა რომ ამბობდა, ჩემი შვილი შარშან ბედაურს აჭენებდა და ახლა მუთაქაზე ვერ ხტებაო, — ჩაურთო სკაჩიამ. — უკან დახევა არ დაშვენდება ისტორიას.

— ჰო-და, მელიქაურლების წინაშე არ უნდა მოვკაკვოთ თითი. წინადადება შემომაქვს, არ დაუთმოთ მელიქაურს და მათ მუქარაზე საკადრისი პასუხი გავსცეთო! — დაასრულა შერმანდიამ..

— გადამცდარი არიან მაგაში მელიქაურლები, — აქაქანდა სეფე. — ღმერთო შენ მომკალი, რას მიქვია თითის მოკაკვა?! მელიქაურლებიც კარგი ბიჭებია, მარა სამღვთო მიდღემჩი მოწინავე იყო და უნდა დარჩეს!

— მე ბრძოლას ვაცხადებ იმისათვის, რომ პირველი იყოს ჩვენი სანერგის ბრიგადა, — წამოდგა სიტყვა-ძუნწი ფარნაც. — რაიონში კი არა, მთლად საკავშიროთ პირველი უნდა იყოს სამღვთოს მეურნეობა. ხომ გვახსოვს ყველას, ვისზე გვაქვს მიცემული პირობა? ორდენიანი კოლმეურნეობაა ჩვენი კოლმეურნეობა!

ფარნას ნათქვამი ტაშის გრიალმა დაფარა.

— აბა, გადავიდეთ სიტყვებზე, — სცადა კრების კალაპოტში ჩაყენება ეპიფანემ.

— მე მაქ ერთი ღერი სიტყვა, — წამოდგა დარბაზის კუთხეში გრძელკისერა, ნახევრად ქოსა კაცი.

— აბა ჰე, ლონგინოზ, ფერხვე! — ჩაიროხროხა მის გვერდით მჯდომმა ელიზბარამ.

— ჩვენ მოვისმინეთ მელიქაურლების გამოწვევა და შერმანდიამაც გაგვაცნო გეგმები და შინაარსი, — კრინით დაიწყო ყოფილი ერობის მდივანმა. მე დიდი მორეჩე არ ვარ და ბევრს არაფერს ვიტყვი. შე-

ჯიბრში შარშან თუ ვაჯობეთ მელიქაურლებს, ახლაც ვაჯობებთ. უეჭველი საკითხია. უნდა დავირაზმოთ მთლიანად, რასაც მოითხოვს ჩაის კულტურა. მარა მე ერთი საკითხი მინდა ვთქვა ჩემი გამოცდილებიდან და თქვენც დააყურეთ, — ლონგინოზმა ირგვლივ მოიხედა — ბრძელი კისერი, თითქოს თანამგრძნობთ ეძებსო. კრება დაბნეულად ეხედენდა ლონგინოზს, რომელიც იშვიათად გამოდიოდა კრებებზე. ლონგინოზი კბილებს შორის სცრიდა სიტყვებს, წვეთობით ასხამდა, თითქოს უფრთხილდება, ზედმეტი არ დამეღვაროსო, — აქ ბევრი იძახის, მე ამ ვალდებულებას ვკისრულობო, მე ამას შევასრულებ, იმას შევასრულებო, მარა მე მეშინია, რომ მთლად ვერ შევასრულებთ გეგმას. რასაც ვერ შევიძლებთ, იმის დაპირება არ ვარგა, მაშინ გამოგვივა სწორედ სახელმწიფოსათვის პირის შეშლა.

ლონგინოზი შედგა. დარბაზი ყურებდაცქვეტილი ისმენდა, მაგრამ ხმას არავინ იღებდა.

— საკითხი იქინეა, — განაგრძო კრინით ლონგინოზმა, — რომ წრევანდელი ჩაის გეგმა არ იყო შედგენილი მთლად სწორად, მერე ამინდმაც არ შეგვიწყო ხელი, ცუდი კლიმანტიური პირობები შეგვხვდა ამ თვეში და ცოტა ნაშთი გადმოგვყვა იქიდან. ესე იგი, შე მგონია. არ მოვტყვილდები და თქვენც დააყურეთ, ახლა ცოტა თუ არ გადავხედეთ გეგმებს, ნამეტანი დაგვჯორგავს მუშაობა და წელს ვერ გავიმართავთ.

ამ დროს ელვამ შემოანათა ფანჯარაში, სადღაც ახლოს დაიჭექა და ისე მაგრა დაუშვა წვიმამ, თითქოს ფარდულის სახურავზე ვეება რამ ჭურჭელი გადმოაპირქვავესო. ფანჯრის მინებზე წვიმის მსხვილი წვეთები არახუნდა.

— აი, ქე ვამბობდი მე, დაქცევა ამინდია წელს! — გათამამდა ლონგინოზი. — მე მგონია, რაიონს უნდა ვთხოვოთ, რომ შეგვიმციროს გეგმა. მე თავიდან ვლაპარაკობდი, ჩვენი წრევანდელი გეგმა არ არის რეალური თქვა და არა კაცმა არ დამიჯერა.

— ჰო ქეა ცოტა ზორი წრევანდელ ამინდზე გეგმის შესრულება, — თავის კანტურით დაუდასტურა ყაისარამ.

— არ შესრულდება გეგეემა და შეასკდი თუ გინდა კედელს, — თავის მეზობლების გასაგონად ჩაილაპარაკა სიპიტომ.

— სწორია, სწორი! — წამოიძახა ელიზბარამ. — არაა რეალური გეგმა.

— რაა, ბიჭო, სწორი? — შეუჭყივლა ელიზბარას ბრიგადირმა დანიელამ. — შენ, ალბათ, ამ თვეშიც საჩალანდროთ გაქვს კუდი გამოსკვნილი და იმიზა იძახი მასე. რამდენი ხანია გზათ აღარ გაგივლია პლანტაციაში და რა იცი, რეალურია თუ არა გეგმა? მაგი რა ზაბუთია, — მიუბრუნდა ის ლონგინოზს: — ჭყიჟორმა ხელი შეგვიშალაო და ამიტომ ახლა ჩაის გეგმებისათვის ბრძოლაზე უარი განვაცხადოთო. მაგი კი არა, კიდევ უფრო უნდა დავყლიპოთ თვალები. ოთხასი ათასი კილო, რომელიც, რასაკვირველია, ჩვენ გვქონდა გეგმით გათვალისწინებული, უნდა შევას-

რულოთ ხარისხიანად და გადაჭარბებით. მე მგონია, ბრიგადების ჩაიში არ შევირცხვენთ თავს, თუ ამ ეზოს ჩაიში არ შეგვეშალა ხელი. ვთხოვოთ და დავავალოთ კიდეც იმ ხალხს, ვისაც აქვს ეზოს ჩაი, რომ არ დაგვაბრკოლონ გეგმის შესრულებაში. ისე უნდა ვიმუშაოთ ყველამ, სამღვთოელებს რომ შეეფერება.

— არა, მე არ ვარ უარყოფილი გეგმისთვის ბრძოლაზე, — დაიხია უკან ლონგინოზმა, — მე ჩემდა თავად ვიმუშავებ, რაც შემიძლია, ჩვენ ყველამ უნდა ამოუდგეთ გვერდში იმ მასას, რომელიც ჩვენ გვიდგას გვერდში. მე იმაზე ვთქვი, ჭყიჟორმა ჩამოგვარჩინა და ახლა ნამეტანი დაგვტვირთავს გეგმები-თქვა.

— ამხანაგებო! — მჭახე ხმით დაიძახა ჟონამ და ტრიბუნისკენ წავიდა. ეპიფანემ ხელი გაუწოდა და ჟონა მოხდენილად შეხტა სცენაზე.

— ა, როკაპი! როკაპი! როვა თხასავით შეპორჭიკდა სცენაზე, — გადაულაპარაკა დარბაზის კუთხეში გაფხორილმა პუპულამ ალვასის.

— სიწყნარე მაქეთ! — მიაძახეს პუპულას.

— ამხანაგებო! — დაიწყო ჟონამ, როცა სიჩუმე ჩამოვარდა. — ლონგინოზმა აქ სიტყვები დახარჯა, ნამეტანს დავიტვირთებითო. რაიონს ვთხოვოთ გეგმის შემცირებაო, თვარა მე ჩემდა თავად, რაც შემიძლია ვიმუშავებო. უნდა დავირაზმოთ ყველა, რასაც მოითხოვს ჩაის კულტურაო. ერთი იგი ბრძანოს ლონგინოზმა, რაფერი დარაზმვაა მაგი, თავისი ეზოს ჩაი რომ გადაეხეშა. იგი გეგმაში გვეთვლება ჩვენ, იგიც შედის ხომ იმ ოთხასიათას კილოში, ჩვენ რომ უნდა ჩავაბაროთ? ამას მოითხოვს ჩაის კულტურა?!

— **როის, ჟონა, გენაცვალე?** — წამოიძახა დაფეთებულმა ლონგინოზმა.

— მე ნუ კი მენაცვალები, იმ ეზოს ჩაის მოუარე და იგი იქნება გვერდში ამოდგომა! როდის და მაშინ, ქამიტოს რომ მოაკრეფიე ეზოს ჩაი, ისიც გადამწვარი მოიტანა. წინა დღეს სიცხეში ნაკრეფი მეორე დღეს ჩააბარა პუნქტზე, შეხურდა, გადაიწვა ჩაი.

— აბა, ახლა ყველაფერში ქამიტოა დამნაშავე! — აჩორჩოლდა სადღაც კუთხეში ენაბრგვნილი, შტერი ქამიტო.

— აბა, შენც სთქვი ერთი სიტყვა! — წამოუძახეს აქეთ-იქიდან ქამიტოს. — სცენაზე გადი ერთი!

— არა, რა ვქნა, მე ახლა რა ვქნა! ორმოცი ხელი ხომ არ მაქვს, ქამიტომ სიმინდი ჩეიტანოს წისქვილზე, ქამიტომ ძროხა მოწველოს, მერე შუალამეზე ხომ ვერ წევიღებდით პუნქტზე ჩაის, შემეშინდა.

— აბა, ვინცხა დაგხვდებოდა გზაში, მოგიტაცებდა, — მიაძახეს ყმაწვილებმა.

— ჰო-და, რაზე მოხდა მაგი ჩაის გადაუხეშება?..—დაუბრუნდა ჟონა თავის სიტყვას.—აქ ძაან ლამაზად ლაპარაკობდა ლონგინოზი, ყველამ ერთმანეთს გვერდში უნდა ამოუდგეთო, რაფერი ამოდგომაა მაგი, თავისი

ოჯახობა რომ გაგზავნა ამ მოძალებულ სამუშაოს დროს ბათომში საპალტოვეს საყიდლათ?

— კაი ახლა, ჟონა, ღირს მაგაზე ლაპარაკი? — წამოიძახა ალვასიმ.

— ცოდვა გატეხილი სჯობია, — შეესიტყვა ჟონა. — ბოლოდროს ქე საყვედურობთ ქალები, ლონგინოზის ოჯახობა ამ გაბერებულ ჩაის კრეფის დროს ბათომში წავიდა, კოვერკოტის და ბეჟის საპალტოვე იყიდაო.

— ოი, შენ დაგბეჟავს წმინდა გიორგი! — გაურითმა თავისებურად წყევლა პუპულამ.

ლონგინოზი კი გრძელ კისერს აქიცინებდა და ცმუტავდა. ერთხანს პირი დააღო, თითქოს რაღაცის თქმა უნდაო, შემდეგ ისევ მოკუმა და ისეთი სახე გაიკეთა, თითქოს დაქსიტებას აპირებს და ცხვირმა მოატყუაო.

— ლონგინოზის ოჯახობა საექიმოდ წავიდა ბათომში, საპალტოვეს საყიდლათ როდის წავიდა? — გამოექომაგა ლონგინოზს მის გვერდით მჯდომი პუპულა.

— ხო, ბატონო, ხო, საექიმოდ ჩავიდა, — აჰყვა პუპულას ლონგინოზიც.

— აბა, საექიმოთ! — მკვახედ მოუჭრა ჟონამ სიტყვა პუპულას, — ერთი შენ ხარ ავათმყოფი და მეორე ლონგინოზის ოჯახობა. შეიხვევთ თქვენ და ალვასი კეჟერა ფხალის ფურცლით თავს, ავათ ვარ, მუშაობა არ შემიძლია, შაკიკი მაქვს. მართლა ავად რომ იყოს, ვინ რას კადრებს, მარა გადაბირბილებული აქვს სახე, ხეს მოსტკლეცს, რომ დაეტაკოს.

— ოი, შენ მოგსტკლეცს და მოგასინსილებს გამჩენი! — ადუღდა პუპულა. სისხლი მოაწვა სახეზე, თითქოს დასცხაო, გაროზის თავშალი გადაიგდო, ხილაბანდით გადაიკრა თმა. სიბრაზით უელავდა გადმოკაკლული თვალები, მაგრამ ჟონას ვერაფერი უპასუხა.

— გეგმებში არაფერი არ არის შეუსრულებელი. ყველა გამოვიდეთ და დავერიოთ სამუშაოს, მუშაობა ავაწყოთ. ჩაის საკრეფში ადრე გამოვიდეთ, შინ გვიან წავიდეთ. ვიბრძოლოთ გეგმებისთვის ისე, როგორც საამურ ცხოვრებას ესაჭიროება, — დაასრულა ჟონამ.

და ჟონას მოწოდებამ ბიძინა თავისით წამოაგდო ზეზე, სახე ენის დაძვრამდე აუფაკლდა.

— სამღვთოს კოლმეურნეობა არ შეირცხვენს თავს და ენერგიული მუშაობით მიაღწევს იმ შედეგს, რაც დაგეგმილი იყო, მარა ლონგინოზმა რომ სთქვა, ამინდის მხრით ხელშეშლილი დავრჩითო და ამიტომ გეგმები ნამეტანს დაგტვირთავსო, — დაუბრუნდა ბიძინაც ლონგინოზის სიტყვას.

— კაცო, ჩემს მეტს არავის ულაპარაკნია აქ, თუ რაშია საქმე? ჩემი სახელი ენის სალესავი ხომ არ არის ნეტა? — აბუზღუნდა ლონგინოზი.

— არა, სხვებმაც ილაპარაკეს, მარა შენ რაცხა სხვანაირი სიტყვა დახარჯე, ვითომ ჩაის კრეფის გეგმებისთვის ბრძოლაზე უარი განვაცხადოთო.

— არა, თუ კი შევიძლებთ, კი, ბატონო! — დაფეთებულად წამოიძახა ლონგინოზმა, — ვინ მამაძაღლი იტყვის უარს.

— ჰო-და, მაგი საეჭვოდ არ უნდა გავხადოთ. ჩვენ მაგ გეგმას გადავაჭარბებდით კიდეც, ზოგიერთი ელემენტი რომ არ [illegible] ლეგებში. გადაუძახე ამას წინათ ერთ მეზობელს, წამოდი ჩაბ[illegible]ქი, შლეგიანივით გამოვარდა ოდიდან, წალდით გამომენთო, არ ჩამომძახო დღეის ამას იქით დილაზე ჩხიკვივით ეზოში, თვარა წელებს დაგაყრევინებო. არ დაგავიწყდეს მერე, საპალნე მოკოჭილი უდევს საჩალანდროთ პარმაღზე.

ამ დროს ელიზბარა წამოდგა და შეუმჩნევლად გვერდ-გვერდ გავიდა კარებში.

— თითონ არ შობა ხეირს, — განაგრძო ბიძინამ, — და კიდევ საჩხუბრათ მოიწევს, კიდევ ფშუჭავს. რა გარანტია გვაქ ახლა, სხვებიც რომ არ იყოს კიდომ მაგისთანა. კიდომაა შემორჩენილი ზოგიერთები, რაცხარაცხას იმედი რომ აქვს და მეზობლებს ხასიათს რომ უსვრის, უჩურჩულებს ბრიგადაში მიმავალ კაცს — აგერ ნახე ხვალ-ზეგ რა მოხდებაო.

— ჰო-და, უნდა ამოვაძვრინოთ მაგისთანა ხალხი სოროებიდან, უნდა მოვნათლოთ როგორც საკადრისია! — წამოიძახა ივაკიამ.

ბიძინას სიტყვა არა ჰქონდა დასრულებული, რომ სილოვანას დედამ, ტანმორჩილმა ელისაბედმა წამოიწყო ადგილიდან:

— მასეა, ნენა, მაგი, მასე. ჩემს მეზობლობაშიც არიან მაგისთანა ხელის შემშლელები. ქალაქიდან ჩამოსულ მოწაფეებს რომ აქეზებენ, გეგმას ვერ მოგცემენ, არ იმუშავოთ კოლექტივის ფართობშიო.

ზვიადაძის ქალს ფერმა აუარ-დაუარა სახეზე, იგრძნო, რომ ელისაბედი მას გულისხმობდა.

— ოი, შენ გაგაფართოვა სიკვდილმა! — დაისისინა პუპულამ, — რავა მის კომსომოლა ბიჭივით კვიმატია! — გადაულაპარაკა ალვისის.

— ვინაა მაგი სულიერი? მონათლე ერთი სახელით! — მიაძახეს ელისაბედს.

— ვიტყვი, ვიტყვი, მაცალეთ, — დაიქნია ხელი ელისაბედმა, მაგრამ ამ ლაპარაკში ჩაჯდა კიდეც.

— ისე, ლონგინოზმა რომ სთქვა, კრეფის გეგმის შესრულება გაგვიჭირდებაო, — გადასწვდა უკვე დამჯდარი ელისაბედიც ლონგინოზს.

— დიდება შენდა ღმერთო! — წამოიძახა ლონგინოზმა. — რა ვსთქვი, კაცო, ამფერი საშინელი, შვავი ხომ არ ამომსვლია პირიდან!

— ამხანაგებო, მეც მესამე ბრიგადის სახელით ბრძოლას ვაცხადებ მოწინააღმდეგისათვის და იმედი მაქვს, რომ ვინცხას კი ჩამოვიტოვებ უკან, — წამოიძახა ბრიგადირმა დანიელამ. — მე მგონია აქ არავინ დაიხევს უკან. გეგმასაც შევასრულებთ, შრომა-დღესაც ოც მანეთზე გადავახტუნებთ და გამოვალთ გამარჯვებული, გაგიმარჯოს შენ!

— შენც სთქვი სიტყვა, შენ იყავი თათბირზე, — ჰკრა მუჯლუგუნი სილოვანამ ქიშვარდის და ისიც თითქოს ამ წაბიძგებას მოელოდა.

ვარდოულიდან ამოსვლის შემდეგ ქიშვარდი ერთთავად რაიონული თათბირის შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებოდა. წუხელ აღარ დააძინა არც ფარნა და არც ესმა. მთელი ღამე თათბირის შესახებ უამბობდა. ამის შედეგი თუ იყო, ფარნამ დღეს პირველად რომ დასძინა ენა ჯრებაზე. დღესაც კრების დაწყების წინ სულ ამაზე ლაპარაკობდა ქიშვარდი ახალგაზრდებს შორის. — ყველა გვერდში უნდა ამოუდგეთ შერმანდიასო. ახლა აფაკლებული წამოდგა. აღელვებისაგან თუ იყო, ბრიგადირ დანიელას, რომ გამოედავა.

— დანიელა ამბობს, ბრძოლას ვაცხადებ მოწინავეობისათვისო. მაგი არაა სწორი. მარტო ბრიგადირი რა ყოფილა, ყველა პარტიული და კომკავშირელი უნდა იყოს მოწინავე. ჩვენ კიდევ გვყავს ბევრი ცოცხალი ძალა, რომელიც ჯერ არ მონაწილეობს კრეფაში. კომკავშირმა უნდა იკისროს ამ ძალის ორგანიზაცია. უნდა მოვაწყოთ დამატებითი საბავშვო ბაგები, გავშალოთ სტახანოველობა და სოცშეჯიბრი, — სთქვა ქიშვარდიმ და უცებ მიხვდა, რომ შერმანდიას ნათქვამს იმეორებდა. ერთი წუთით შეჩოთირდა, მაგრამ მაინც რიხიანად დაასრულა:—სამღვთომ ღირსეულ სახელს მიაღწია და მომავალშიაც მრავალჯერ გავგზავნით ჩვენს წარმომადგენლებს უმაღლეს ხელისუფლებასთან. ფიცი მივცეთ წრევანდელ წელს, რომ ახალგაზრდობა, კომკავშირი და წვევამდელები, სადარაჯოზე იქნებიან და მოწინავე დროშას ხელიდან არ გაუშვებენ. ამის თქმა მინდოდა მე, — დაასრულა მან.

— ამხანაგებო, — დაიწყო შერმანდიამ, — მე იმედი მქონდა, რომ ჩვენი ხალხი უკან არ დაიხევდა დაბრკოლების წინაშე, თავს არ შეირცხვენდა, პარტიის და ხელისუფლების იმედს გაამართლებდა. წინადადება შემომაქვს, მელიქაურს გავყვეთ ამხანაგურ, სოციალისტურ შეჯიბრში და მათ მუქარაზე დროშის წართმევის შესახებ გავსცეთ საკადრისი პასუხი.

კრება ტაშის ცემით შეხვდა შერმანდიას წინადადებას და მართლაც ჩქარა ეს საკადრისი პასუხი „ჩაის ფრონტის“ უახლოეს ნომერში დაიბეჭდა კიდეც შემდეგი სათაურით: „დროშა კვლავ ჩვენთან იფრიალებს“.

„არც ისე ადვილად დავთმობთ რაიონის გარდამავალ დროშას, როგორც თქვენ ფიქრობთ, ძვირფასო ამხანაგებო!—სწერდნენ სამღვთოელები მელიქაურლებს. — ეს დროშა ჩვენ გასულ წელს ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მივიღეთ, იგი ამაყად ფრიალებს ჩვენთან და იფრიალებს ბოლომდე.

ჩაის ფრონტზე გარღვევის ლიკვიდაციისთვის და ბრწყინვალე გამარჯვების მოსაპოებლად ჩვენ სრული საშუალება გვაქვს მოცემული. ჩვენ ამ გამარჯვების მისაღწევად ვიბრძვით. ფეხზე დგას ქალი, კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, ვკრეფთ ჩაის ფოთოლს, ვსპობთ სარეველას. დღევანდელი მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს, მაგრამ იმედი გვაქვს უახლოეს დღეებში გამოვასწორებთ ყოველგვარ ჩამორჩენას და თქვენთან

ერთად გავსწევთ წინ ახალ გამარჯვებებისაკენ. ასე რომ დროშა ჩვენ დაგვრჩება, თქვენ კი დაგრჩებათ მუქარა“.

მზეც თითქოს შეჯიბრების გამოცხადებას ელოდებოდა. ... შეწყდა. ჭყიჟორი დარკეთილით შეიცვალა. კაშკაშა ... ...

ზადისი იმ დროისთვის გადავდოთ, შეჯიბრი რომ დასრულდება, მაშინ ჩვენც დაგეხმარებითო. ჟონა და ციცინოც გამოვიდნენ ამ კრებაზე აგიტატორებად. მათ თავს იდვეს — ჩამოსულ ქალიშვილებს ერთ კვირაში სულ სტახანოველ მკრეფავებად გავხდითო.

ამრიგად, მარტო მესამე ბრიგადას ხუთი მკრეფავი შეემატა. ბრიგადა თითქოს კრეფის სკოლად გადაიქცა. ყველა ასწავლის ქსენიას და თინას, ტასოს, ელიკოს და შუქურას. გამოუცდელი მკრეფავები ჯერ ბრმა ლეკვებივით ეხეთქებიან ჩაის ბუჩქებს, უმწეოდ აცეცებენ ხელებს, მაგრამ დუყებს ვერ ამჩნევენ.

— სადაა, ჟონა, აქ დუყი? რა ვიცი, მე აქ ვერაფერს ვხედავ, როშელია მოსაკრეფი? — უმწეოდ იძახის წელნაზი, თვალჟუჟუნა შუქურა უზბეკურ ტიუბიტეიკით თავზე და, თითქოს დასწრებაზეაო, კლეოპატრა, მარგალიტა და ქიონია ერთდროულად უხსნიან შუქურას მოსაკრეფად შემოსული დუყების გამოცნობას.

— ა, გოგო! აგერ ნორმალური, ნაზი, ა! კიდევ, ა! კიდევ ნორმალური, მთლად გადაჟუჟუნებულია ბუჩქი. აგერ კიდევ ნაზი ყრუ, აგენი ერთად იკრიფება, — იძახის ქიონია.

მაგრამ შუქურას, ქსენიას და შუტუს უნდათ უთუოდ ჟონასაგან ისწავლონ სტახანოვური კრეფა.

— ა, გოგო, ამას რა დიდი უნივერსიტეტი უნდა! — უხსნის მათ ჟონა. — ფაცია დოლიძე და მართლა ნამდვილი სტახანოველები ასე კრეფენ: ხელს არ მოაცილებენ ბუჩქს, ჯერ ასე ბუჩქის შუა წელზე გეიტანებენ ნაპირს და მერე კიდეებზე კრეფენ დარჩენილ დუყებს.

— როვა „მართლა ნამდვილი სტახანოველიო“, შენ არ ხარ ნამდვილი სტახანოველი? — ეკითხება ქსენია.

— მე ისე, რაცხა გაჭირვების დროს გამოვდგები სტახანოველად, — ღიმილით ბადრავს სახეს ჟონა, კრეფის წესებს უხსნის და თანაც გამალებით მიისწრაფის წინ.

— შენ დუყის დანახვა გვასწავლე და მოწყვეტით ჩვენც კი მოვწყვეტთ, — ეუბნება შუტუ, რომელიც დიდხანს უმწეოდ აცეცებს ხელებს, სანამ დუყს იპოვნიდეს.

— დანახვა რა, თვალში ხომ ვერ ჩაგიჯდები, — ღიმილით უპასუხებს ჟონა.

— მაგი მასეა ყოველთვის, — აიმედებს ციცინო ახალბედებს. — პირველად რომ მიხვალ ჩაის ბუჩქთან, დაიბნევი, თვალი აგიჭრელდება. მთლად გადაჟუჟუნებული რომ იყოს ბუჩქი დუყებით, ისე მოგეჩვენება, ვითომ ახალი მოკრეფილიაო. მერე და მერე რომ გაეჩვევი, ტეხნიკას რომ გაუგებ, შენ თვითონ გაგიკვირდება, სად მქონდა ამდენხანს თვალებიო. მიხვალ, დანახვა და მოწყვეტა ერთია. აგერ ერთ დუყს რომ წყვეტ, მეორე შტიმავს თვალს, ასე გგონია ხელები მისით მოძრაობენო, ვერც კი გრძნობ დაღლილობას. რაცხა გახალისებს შეჯიბრი, გინდა, სხვას არ ჩამორჩე.

ქალიშვილები ჟონას მისჩერებიან. ჟონა ისე ივლებს ჩაის ყლორტებს ხელში, როგორც გამოცდილი მწველელი ძროხის ცურს. თითქოს ერთბაშად არჩევს ბუჩქზე ყველა დუყს. თვალს ვერ შეასწრებს კაცი, ელვის სისწრაფით ჩაიგდებს ცერსა და სალოკ [illegible] ნაზ დუყს, საღსარზე გადააწვენს და გადაამტვრევს. ნაზი [illegible] ტყდება დუყი. ჟუჟუნა წვიმის ხმაურს ჰგავს მოწყვეტილი დუყების ტკაცანი, აივსებს აბრეშუმივით ნაზი დუყებით მუჭას, მერე ფართო ქამარზე ჩამოკიდებულ კალათაში გაიცლის ხელს და იმავე წუთს იწყებს კრეფას.

— ასე უნდა კრიფოთ, ქალიშვილებო, — იძახის ჟონა და თან თავაუღებლად მიჰყვება მწკრივს. ზოგჯერ შესასვენებლად თუ გამართავს წელს და მარცხენა ხელით მუხლს დაეყრდნობა.

— მაშინაა აქვს ჟონას ხელში, მაშინა! — მოწონებით ამბობს ელისაბედი.

— ჩვენ როდის ვისწავლით მასე კრეფას! — უიმედოდ იქნევს ხელებს ელიკო.

— ნუ გეშინიათ, აგერ ნახავთ, თუ ერთ-ორ კვირაში სუყველა სტახანოველებად არ გახდეთ, — იძახის ჟონა.

და მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ ქსენია, თინა, ჩიტოლია და შუქურა კრეფის პირველ „რეკორდებს“ ამყარებენ. ისინი უკვე მოხვდნენ კედლის გაზეთში.

— „„კომუნისტში“ უნდა მოხვდეს ჩვენი სურათი, „კომუნისტში“, ინსტიტუტში წაიკითხავენ, — იძახის ელიკო.

ვენერამ და ბაბუცამ, საექიმოზე რომ სწავლობენ, საბავშო ბაგის მოწყობა იკისრეს. ბინა სილოვანას დედამ ელისაბედმა დაუთმო. სკაჩიამაც დიდად გამოიდო თავი ბაგის მოწყობაზე, ქალიშვილებს ეშველებოდა. თავისი სახელოსნო თითქმის სულ იქ გადაიტანა. ორ დღეში ახალი ბაგა გაიხსნა და ამით ოცდათვრამეტი ახალი მკრეფავი შეემატა ბრიგადებს.

სკაჩია თითქოს ყველაზე მეტად ღელავს გარდამავალი დროშის ბედისთვის. ისედაც მოუსვენარი, ახლა მთელ დღეს კაჭკაჭივით დახტის თავის ყავარჯნებზე დაყრდნობილი. ყოველ საღამოს ბრიგადებიდან მოდის ცნობები და მიფრინავს პატაკი გაზეთ „ელვაში“ ჩაის კრეფისა და თოხნის გეგმების შესრულების შესახებ. მაგრამ ელვაზე უფრო სწრაფად დაქრის ბრიგადიდან ბრიგადაში სკაჩია. მან საღამოს უკვე ზუსტად იცის კრეფის შედეგები თვითეულ ბრიგადაში.

შუალამემდე სკაჩია საწარმოო თათბირზე ზის. მიუხედავად ამისა, დილით უთენია აირბენს კოლმეურნეობის გამგეობის სახლში, მოშლილ რადიორუპორს ააჩხავლებს და დაგვიანებულებს გაახსენებს — პლანტაციაში წასვლის დროაო. ამდენხანს ვერავინ ასწრებდა სკაჩიას. მაგრამ მასაც გაუჩნდა მეტოქე. ეს ბაქურიაა, ყოველ დილით ბუკს რომ ააყვირებს ხოლმე სოფლსაბჭოს აივანზე. და ამ ხმაზე სოფლსაბჭოსკენ მიიჩქარის კუდა შარვლებში, „მაიკებში“ და წითელ ყელსახვევებში გამოწ-

ყობილი მისი რაზმი. აქედან ბუკით და დაფდაფით პლანტაციებისკენ მიიმართებიან. ზოგჯერ საუზმესაც არ დაუცდიან, გზაში ილუკმებიან — მჭადს და ყველს შეექცევიან. მთელი სოფლის ძაღლები მათ კვალს მისდევენ. გაჯგიმული მიუძღვება თავის რაზმს ბაქურია. მზეზე ლაპლაპებს მისი ფისივით შავი ქოჩორი, ხბოს ანალოგს რომ ჰგავს. პიონერები პლანტაციას რომ მიუახლოვდებიან, მჭადის ნარჩენებს ძაღლებს გადაუყრიან, და შეიქნება ერთი ბდღვნა და წეწვა.

მათი ბუკი და დაფდაფი მთელ დღეს ხალისით ავსებს იქაურობას. მაგრამ შეჯიბრების ხალისმა პიონერები კი არა, მოხუცებიც აიტაცა.

ქიშვარდი რომ კომკავშირის ორგანიზატორად გამოჰყვეს მესამე ბრიგადაში, ესმაც გვერდში ამოუდგა შვილს. ესმას სოფლის დედას ეძახდნენ. თუ მომდურებული მეზობლების შერიგება იყო საჭირო, ან რამე სამძიმო, საბოდიშო საქმეზე მისვლა, უთუოდ ესმას მიმართავდნენ. მთელი სოფელი მომადლიერებული ჰყავდა. ახლა მან მთელი სოფლის მოხუცი ქალები ფეხზე დააყენა. იმათაც კი დაიჭირეს კალათები ხელში, ვინც დიდი ხანია აღარ გამოდიოდა სამუშაოზე. ელიზბარას დედა, წელში ორად მოხრილი ლესტანაც კი ჩავიდა საკრეფში, სამფეხა სკამი ჩაიტანა და ასე დამჯდარი ჰკრეფდა ჩაის.

საზიარებლად ხომ არ ჩამოგიყვანიათო, — კარკაცებდნენ ერთხანს ქალიშვილები, მაგრამ მოხუცების ბრიგადამ თავი ისახელა.

ზოგჯერ გათენებამდე ჩადიან პლანტაციებში. ლესტანა ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება, ყოველ დღე ნორმას აჭარბებს. ესმამ კი ერთ დღეს კინალამ ჟონასაც გაუსწრო კრეფაში. მთელი სოფელი ესმას და ჟონას შეჯიბრებაზე ლაპარაკობს. ყრუა კატოც კი ჩაბა ესმამ კრეფაში. და ბაქურია რომ დაჰკრავდა ბუკს, ყრუა კატოს ბადიშებიც*) აღარ დგებოდნენ შინ. ნოდარი, გურამი, ელგუჯა, მაყვალა, მედეა, ეთერი პატარა კალათებით მკლავზე პლანტაციებისკენ გარბოდნენ სათამაშოდ, ვითომ ესენიც მკრეფავები იყვნენ.

ბრიგადებს შორისაც გაიშალა შეჯიბრება გარდამავალი დროშისთვის. ხან ერთ ნაპირზე ფრიალებს დროშა, ხან მეორეზე.

დაუსრულებლად მიედინებიან კანკუთის ჩაის ქარხნისაკენ მწვანე ჩაის ფოთლით დატვირთული საბარგულები, ურმები, ორთვალები, სამ ცვლად მუშაობს ქარხანა, მაინც ძლივს აუდის მოზღვავებული ჩაის ფოთლის გადამუშავებას.

სამლვთოს და მელიქაურს მიმღები პუნქტი საერთო აქვთ.

დღეს ჩაის მიღება გაჭიანურდა. სამლვთოსაც და მელიქაურსაც ბევრი ეკრიფათ. ეზო დაეფარა ჩაის ფოთლით მოპირთავებულ გოდრებს და კალათებს.

---

*) შვილიშვილები

თითქმის შუალამეს იყო მიღწეული, ქიშვარდი და სილოვანა ჩაის მიმღებ პუნქტზე რომ გამოვიდნენ. გზა აქეთ არ ედოთ, მაგრამ განგებ გამოიარეს, მესამე ბრიგადის ქალიშვილებს რომ ჩვენ [illegible] ხედრულად იყვნენ მორთულნი, ქამრები ჯუბებს ზემოდან [illegible] ქადარტყმული.

— ხედავთ, აგერ ორი ვაჟკაცი მოდის გადაქიჩმაჩებული, ესენი, ალბათ, გადარეულის სადარაჯოთ მიდიან, — სთქვა ჟონამ.

— ვარდენა ყაჩაღი არ დაგხვდეთ გზაზე, გუშინ ჭარღალაში შეეჩეხა თურმე მილიციას, — სთქვა კლეოპატრამ და უცბად იგრძნო, რომ ამ მოგონებაზე ზურგზე კანი აებურცა.

— აბა, თუ დაიჭირავთ ორთვალას და ორფეხას, მარგალიტას მიუყვანეთ, მაგი დააფეთა პირველად, — სთქვა სიცილით სკაჩიამ.

— შენ აქ ვაჟკაცობ, თვარა სცადე ერთი მარტო წასვლა ამ ღამით ეკალდიდში! — იტკიცა მარგალიტამ.

— რატომ ვერ წავა? რაღაცა ქამიტოს წამოელანდა და შექნეს ერთი ამბავი! — იჭვნარევი ღიმილით სთქვა ციცინომ.

ამ დროს ჩაის ქარხნის მანქანა შევიდა ეზოში. მისი სანათურების შუქი ციცინოს მიადგა სახეზე. ქიშვარდიმ ირიბულად გახედა. ციცინოს ხეზე მიშვებულ ვაზის ძირზე ეკიდა ხელი, რაღაც ნაღვლიანი ღიმილი უციმციმებდა სახეზე.

— წავიდეთ, — მოწყვეტით უთხრა ქიშვარდიმ სილოვანას და პირველი გადახტა ჩაის პუნქტის ალაგეზე.

ნაციხვარის კორტოხს გადაადგნენ. ზღვის ნიავი მოხვდათ სახეში.

— საიდან გადავიაროთ ამელამ? — სთქვა სილოვანამ.

ქიშვარდის გაახსენდა ჟონას სიტყვები — აგერ ორი გადაქიჩმაჩებული ვაჟკაცი მიდის სადარაჯოთო, და რაღაც გამომწვევი სითამამის მოწოლა იგრძნო.

— იცი რა! მარტო წავალ ამელამ. შენ ჩაის პუნქტზე დაბრუნდი და ქალიშვილები გააცილე.

— მარტო სად ივლი ამ ტყეში, რამე რომ წამოგელანდოს, დაგაფეთებს, — შორს დაიჭირა სილოვანამ.

ქიშვარდიმ ღამის წყვდიადს გახედა.

— წვევამდელი და შიში ვის გაუგონია! ბაღანა რომ ვიყავი, მაშინ გავათენე მარტომ ღამე ჯარღალაში. არა, მე მარტო წავალ, შენ ქალიშვილები გააცილე, — გადაწყვეტით სთქვა მან.

სილოვანა დიდხანს უარობდა. ძლივსძლივობით დაიყოლია ქიშვარდიმ.

— აბა, ჩემ ბრაუნინგს დაგიტოვებ მაინც, — სთქვა სილოვანამ და ბუდიანად გაიძრო ქამრიდან პატარა, თეთრად მოალული რევოლვერი. ვაზნების მჭიდე გამოიღო და ხელახლა გადათვალა, თუმცა ათასჯერ ჰქონდა შემოწმებული და კარგად იცოდა, რომ ორად ორი ვაზნა ჰქონ-

და საიმედო, ქარხნისა, ერთიც კიდევ შინ ნაკეთები. ის ანგარიშში ჩასაგდები არც კი იყო. საკეტი უჩვენა, ახლა სასროლადაა შეყენებული, უთხრა და ფეხი გამოუშალა. მჭახედ გაისმა წყვდიადში სასროლეტის ჩხაკანი. ქიშვარდიმ გამოართვა, ქამარი ბუდეში გაუყარა. ზემოდ მაგრა გადაიჭირა და თითქოს თავის გასამხნევებლად მკერის ძალიან ლობეზე გადახტა. მერე შესდგა, თვალი გააყოლა. სილოვანას ფართო ბეჭები მალე დაიკარგა სიბნელეში. ნაბიჯის ხმაც მიწყდა..

ქიშვარდი კორტოხზე გადავიდა და ხეებს ჩაუარა, სადაც სიპიტომ ყურძნით სავსე გოდორი წააქცია და ფეხით შედგა ზედ. როცა ღამის წყვდიადს გახედავდა, შიში გაუკრთებოდა ხოლმე გულში. გაახსენდებოდა, რომ სილოვანა ჩაის ბიმღებ პუნქტში გაივლიდა და ქალიშვილებს ეტყოდა, ქიშვარდი მარტო წავიდა საგუშაგოზეო. ციცინოც იქ იქნება. ალბათ. როგორც კი გაუელვებდა თავში ეს აზრი, გული გაუმაგრდებოდა ხოლმე. აბა ბონდო ხომ ვერ გაბედავს ურეკზე და ეკალდიდზე მარტო გადავლას...

ბრაუნინგის ბუდეზე მოივლო ხელი. გულში სიმღერა გახმიანდა: „სანადიროდ წასულიყვნენ ამირან და ძმანი მისნი“. კინაღამ ხმამაღლა დასჭექა. საიდან მოაგონდა? ნაციხვარის მეორე მხარეს გადავიდა და უცებ რაღაც სიმამაცის მოზღვავება იგრძნო. აქ გუშინწინ დღისით ტყე მოიარეს ბრიგადის წევრებმა. ახლა ქიშვარდი გამომწვევად უშტერებს თვალებს სიბნელეს, თუმცა ზოგჯერ მასაც აფიქრებს, მართლა ხომ არ არის აქ გადარეული. ამ სიბნელეში ყველაფერი შეიძლება წამოელანდოს კაცს...

გზა შეიცვალა, თემშარის მაგივრად საცალფეხო ბილიკით წასვლა გადასწყვიტა. ჯერ ფეხაკრეფით მიდიოდა, მერმე მოაგონდა ციცინოს ნათქვამი, გადარეული კი არა, ის არ გინდაო. წელში გაიმართა. საცალფეხო ბილიკი ღელის ნაპირს მისდევს. დაყრუებული ბილიკი ანწლის შალდამებითაა გადაზრდილი. ანწლის მწკლატე სურნელება ცხვირში სცემს. თვალი ძლივს არჩევს ბილიკს. ქიშვარდი ფეხით სინჯავს ნაკვალევს. სანახშირე ღელის ნაპირთან ჩავიდა. ჭანჭრობიდან რაღაც გრუხუნი და ჩხაპანი ესმის. ძლივს მოიმხარა. ეს ბექირაძეების წისქვილია. აქ ჭანჭრობი და გაკრული ჩირგვნარი უნდა გაიაროს, ბორცვის ზურგზე გადავიდეს და მაშინ ნადინების ჭალას გადაადგება. ხელის ცეცებით მიდის. ბრაუნინგი ძალზე პატარა ეჩვენება ამ წყვდიადის წინაშე. ლაფანოს ტოტი მოამტვრია. ტოტის გადამტვრევის ხმა უხამსად გაისმა ამ მყუდროებაში. ქიშვარდი თავის გასამხნევებლად იქნევს ღვენთ ჯოხს. რომელიც შხუილით ჰკვეთს მძიმე ჰაერს, ანწლს ქოჩორს აცლის.

გრძნობს, რომ დიდი ხანია დაშორდა ბილიკს. უგზო-უკვლოდ მიდის და მხოლოდ ღელის ღამისეულ ლიკლიკზე იკვლევს მიმართულებას. სასომიხდილად ღირღიტებდნენ ღელის წისქვილის გელაზები. ჩხაპუნებდა ბორბალი. წისქვილთან ჩავიდა. ეს ფერდობი უნდა აიაროს, კორტოხზე გადავიდეს და მერე გავა ეკალდიდში. მაგრამ ადვილი არ არის ამ

სიბნელეში ფერდობზე აბობღება. ისეა გადახლართული ხეები და ბუჩქები ღიჭით, სვიით და კატაბარდით, რომ დღისითაც მახვილი წალდი სჭირდება კაცას, რომ გზა გაიკაფოს. სადღაც კორტოხზე — ტურებმა კივილი მორთეს. ქიშვარდიმ ბრაუნინგის ბუდეზე გაივლო ხელი და თავის გასამხნევებლად ისე ხმამაღლა დასჭყივლა, რომ ხმა ჩაეხლიწა. უცებ გაუელვა თავში, ვაი თუ ამ ხმაზე საიდანმე ამოძვრეს ის რაღაც გადარეულიაო. იგრძნო, როგორ აებუცა ზურგზე კანი. ბრაუნინგი ბუდიდან ამოიღო. ახლა მარჯვენა ხელში ბრაუნინგი უჭირავს, მარცხენაში — ლაფანის ჯოხი.

სუროში გახვეული კუზიანი თხმელები სულ ერთიან აბნელებენ გზას. ხანდიხან თუ გაიციმციმებს ტოტებს შორის ჩამოჭრილი მთვარის შუქი. შკერის ფოთოლი ცივად ხვდება სახეს. ხან ღიჭის ეკალი სულიერ რამე არსებასავით წაეტანება ხალათის კალთას. ახლა ნანობს, რომ საცალფეხო გზით წამოვიდა. ხელები წინ გაწვდილი მიაქვს, რომ გამოშვერილმა ტოტმა თვალი არ გამოუთხაროს. ბრაუნინგი ჩახმახზე შეყენებული მიაქვს და გულში კომანდობს: — ცეცხლი! მაგრამ ამ ორი ვაზნით რას გახდება, ერთს ხომ მაშინვე გაისვრის შესაშინებლად, როგორც კი რამეს მოჰკრავს თვალს. როგორც იყო, ავიდა კორტოხზე. აქ პლანტაცია იწყება.

მცხრალი მთვარე უნიათო სხივებს ესვრის ჩაის ბუჩქებით დაფარულ სერებს. ზეგანზე ტყე გადაკაფულია. მაგრამ აქა-იქ კიდევ დაყუნცულან გვერდებ-შერუჯული ბებერი წიფლები. ჩონჩხებივით გამოიყურებიან ისინი ღიჭის შეტრუსული ლერწებით. რა ჟრიამულია აქ დღისით, როცა მკრეფავები ჩაის ბუჩქებს შეესევიან ხოლმე. ახლა კი მდუმარებას მოუცავს ყველაფერი. კორტოხზე საყუდარი ქოხი დგას, სადაც მომუშაველები წვიმის დროს თავს აფარებენ. ახლა მცხრალი მთვარის შუქზე რა ყრუდ და ბნელად გამოიყურება ეს ფარდული. მაინც ნაცნობ პლანტაციაზე რომ გამოვიდა, გულის ცემა შეუნელდა. შერცხვა კიდეც. ბრაუნინგი, შემართული რომ მიჰქონდა, ისევ ბუდეში ჩასდო.

ფეხაკრეფით მიდის. პლანტაცია დასრულდა, ეკალდიდის ტყე იწყება. ტყის დიდი ნაწილი გაჩეხილია, მაგრამ ბინდი მაინც შიშსა ჰგვრის. ეკალდიდის ტყე ძველად ბავშვების საფრთხობელა იყო. პატარა ბავშვებს ეკალდიდით აშინებდნენ. აღნავლებულ ბავშვებს ეტყოდნენ დედები, გაჩუმდი, თორემ ეკალდიდში წაგიყვან და იქ დაგტოვებ, ორფეხა და ორთვალა მოვა ეკალდიდიდან და წაგიყვანსო. ახლა, როგორც კი შესდგა ფეხი ტყეში, მყის გაცოცხლდა მასში ეს დედის ძუძუსთან ერთად ნაწოვნი შიში. ქიშვარდი ბორცვის ქიმზე ავიდა, საიდანაც თემშარის მოსახვევი მოსჩანს. მას რატომღაც ჰგონია, რომ ამ მოსახვევში უნდა გამოჩნდეს რამე. დაძაბული გასცქერის შორს ამ მოსახვევს და თანაც ყურს უგდებს ღამის მდუმარებას. ოდნავი ჩქამიც კი რაღაც უცნაურად ხმიანდება ამ მდუმარებაში.

სადღაც გამხმარი ფოთოლი მოსწყდება და დაეშვება მიწისკენ, ტოტიდან ტოტზე ეცემა. დღისით ყურისთვის შეუმჩნეველი ეს ფაჩუნი ახლა დიდ აურზაურად გამოისმის ტყის მდუმარებაში. ხან ღამის ყვავი ფრთების ფართხუნით გადაივლის თავზე და მისი უხამსი ფრენილი შეაარყევს მდუმარებას. ეს წივილი აფრთხობს ტოტებში ჩაბუდრებულ პატარა ჩიტებს, დაფეთებულნი ამოფრინდებიან, ტოტებში გაიბლანდებიან და დიდხანს ფართხალებენ. სადღაც, სულ ახლოს, მიწაზე გაფენილი გამხმარი ქვერი გაიფაჩუნებს, და ეს ხმაური ისე მოისმის, თითქოს ვიღაცამ შენს გვერდით ნაბიჯი მოინაცვლაო. ქიშვარდი გრძნობს, რომ ზურგზე ცივმა ოფლმა დაასხა, თმა ყალყზე უდგება, თავზე ქუდს ვეღარა გრძნობს, შიშისგან თვალები საცრის ტოლა უხდება. კვლავ გაიკრავს ბრაუნინგის ბუდეზე ხელს, თვალებს აჭყეტავს, სიბნელეს აშტერდება და შემდეგ სირცხვილეული დაუშვებს ხელს: ეს გომბეშოა, გამხმარ ქვერში ხტუნვით რომ მიდის. „წრ... წრ... წრ...", — გაისმის ჭრიჭინების ხმა. ყოველმხრიდან მოდის ეს ხმაური, კაცს ეგონება, თვით ჰაერი წივისო.

განთიადისთვის ლეშხი მატულობს. ნამის წვეთები მძიმედ ეცემიან მიწაზე მოფენილ ქვერს. ესეც ისე უცნაურად გამოისმის, თითქოს ვიღაც უჩინარი ფეხაკრეფით დადის ტყეშიო. ნება-უნებურად ჟრჟოლა აიტანს ქიშვარდის, უნდა გული გაიმაგროს თავის თავს დასცინის, რომ ამ უხილავს დარაჯობს. თავის თავის გასამხნევებლად დაუსტვინა. დიდხანს უშტიმავდა თვალს ღამის წყვდიადს. ხეები თითქოს ხელახლა იბადებოდნენ ამ დილაბნელიდან. თვალი უკვე არჩევდა კანკუთის ჩაის ქარხნის სახურავზე ამართულ რადიოანძას.

ბულბულმა თვისი ტიავ-ტიავი გააბა და ამ ხმას უცებ ურმის გაუსაპნავი ლილვის *) ჭრიალი და სახრის ტყლაშუნი შეერია. ქიშვარდიმ ერთბაშად ვერ მოისაზრა, საიდან მოდიოდა ეს ხმაური. ამ დროს მოსახვევში დასაპალნებული ჯორი გამოჩნდა. ქიშვარდიმ მაშინვე იცნო ელიზბარას „ჯიმაია", ჯაგჯაგით რომ ჩამორბოდა თავდაღმართში. ჯორი გზას ჰკეცავდა, ცდილობდა, გაევაკებინა, ყოველ მობრუნებაზე გვერდს შეუქცევდა საპალნეს. მალე ურემიც გადმოადგა თავდაღმართს, მაგრამ ჯორმა შორს გაუსწრო ურემს. ხარებმა მოსახვევში დაიოჩნეს, ფეხები გაჩაჩხეს, ერთი ნაბიჯიც აღარ წასდგეს წინ. თავგამეტებით სცემდა შოლტს ელიზბარა, მაგრამ ვერას გზით ვერ ჩამოიყვანა ხარები თავდაღმართზე. ხელათ იცნო ქიშვარდიმ ეს მეგრული ჯიშის მოზვრები, ელიზბარას დედას ლესტანას რომ მიაბარა კოლმეურნეობამ მოსავლელად. ამას წინად ცუდად დასაჭედეს მოზვრები, ჩლიქები მომწვარი ჰქონდათ. ისევ აჰყარეს ნალები. ამიტომ კოლმეურნეობის სამუშაოზედაც არ გამოჰყავდათ ეს ხარები. აქ კი თავდაღმართზე გზა ახალ-დამტვრეული ღორღით იყო მოფე-

*) ღერძის

ნილი. ფეხშიშველებია, წვეტიან ლორღით მოკენჭილ გზას ვერ აკარებენ მომწვარ ჩლიქებსო, გაიფიქრა ქიშვარდიმ. ჩლიქებ-მომწვარი ხარისთვის ახლად დამტვრეულ ლორღზე ტარება ისევე ძნელია, როგორც ფეხშიშველა ადამიანისთვის შუშის ნამტვრევებზე გავლა. მაგრამ დილინაკი ელიზბარა ამას რას დაუდევდა. მას ალბათ ეჩქარებოდა, რომ არავინ შეეფეთებოდა გზაში. წინიდან ჩაუდგა ურემს. თვალები აწითლებული ჰქონდა სიბრაზისაგან. ენა გადმოეგდო და გამეტებით სცემდა მოზვრებს თავ-პირში. ეტყობოდა, ტვირთი თავმძიმედ ედო და მოზვრებს კისერს სწყვეტდა. ყელში საცოდავად ხრიალებდნენ. მთელი სიმძიმე წაბლა მოზვერს ეჭირა, რომელსაც წვრილი, მამლის დეზებივით აწვეტილი რქები ჰქონდა. მეორე, უფრო პატარა, ალისფერ მოზვერს დუჟი მოადგა პირზე, ერთი მტკაველი ენა გადმოაგდო, თვალები გადმოკარკლა, ცალ მუხლზე წამოიჩოქა და გულშემზარავად შებღავლა, თითქოს მშველელს უხმობსო. ქიშვარდის ხარების საცოდაობამ გული გადაუბრუნა.

— უ! შე მართლა საქონელო, შე ურქო! — შეჰყვირა მან და ელიზბარისაკენ გაექანა.

თითონაც არ იცოდა, ხარის მისაშველებლად გარბოდა ასე გახელებული თუ ელიზბარასთან შესაჯახებლად. ქიშვარდის შეძახილზე ჯორი დაფეთდა, დაეშვა დალმართზე, ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიფორხილა და საპალნე გადმოაგდო. ქიშვარდიმ ყური მოჰკრა, როგორი ბაყა-ბუყით დაეცა ძირს ტიკები. ელიზბარამ გადმოყრილი საპალნე რომ დაინახა, სიბრაზისაგან თვალები ლურსმებივით გაუხდა. წისადგარს *) დაავლო ხელი, მაგრამ ჰაერში შემართვა ველარ მოასწრო, ქიშვარდი მკლავში სწვდა, ხელი გადაუგრიხა და გააგდებინა. შემდეგ მთელი ძალღონით ჰკრა გულზე ხელი, განზე გასტყორცნა და გაგუდულ მოზვრების წამოსაყენებლად დაიხარა. იმ წუთშივე ზურგს უკან ცოფმორეული შეძახილი შემოესმა. აფთარივით მიიწევდა მისკენ ელიზბარა ამოწვდილი ბებუთით. ბებუთის დანახვაზე ქიშვარდის ტანში გააჟრჟოლა და, თითქოს რაღაც უხილავმა ძალამ ზე აზიდაო, უსაზმნოდ გადახტა გვერდზე. ხელიც თითქოს თავისით წავიდა რევოლვერის ბუდისაკენ და დილის ბინდბუნდში იელვა თეთრად მოალულმა ბრაუნინგმა.

— არ დაიძრა, თორემ გაგაცივებ! — შესძახა მან ისე ცივად, რომ შეკრული ყბები თითქმის არ გაუხსნია.

დაცლილ გუდასავით ჩაიფუშა ელიზბარა. მოწყვეტილად დაუშვა ხელი, ბებუთის ქარქაშში ჩაგებაც ველარ მოახერხა. ეს თვალში მოხვდა ქიშვარდის. შეფიქრიანდა, ფეხს რომ ითრევს, კიდევ ხომ არაფერი აქვს გუნებაშიო, და თითონაც მომლოდინე მდგომარეობაში იდგა. ელიზბარას კი ის აჩერებდა, რომ ვერ მოესაზრებია, თუ როგორ ჩაეგო ბებუთი ქარქაშში ქიშვარდის თვალწინ. ამ დროს თემშარაზე მანქანის

*) კონკილა.

ხმა გაისმა. ორივემ ერთდროულად მიიხედეს. მოსახვევში ვარდოულიდან მომავალი მსუბუქი მანქანა გამოჩნდა, ქიმზე მოფარფატე პატარა დროშით. ქიშვარდიმ რაიკომის „გაზი“ იცნო. ხელად ბუდეში იკრა ბრაუნინგი და ელიზბარმაც ისე სასწრაფოდ ჩააგო ბებერი ქარქაში, რომ კინალამ ხელი შეაჭრა. მანქანიდან გიორგიმ გადმოჰყო თავი. წამოჩოქებული და გაგუდული მოზვერი რომ დაინახა, მანქანიდან გადმოხტა და გაოცებულმა დაიძახა:

— რა მოგივიდა, ბიჭო, ელიზბარა, შე უკულმართო?

— არაფერი, მოზვრები დამიფეთდნენ, ახალი გახედნილი არიან, კინალამ გადამიგდეს ურემი ფერდში. რაღაც ბედით ქიშვარდი შემხვდა, მაგან გადამარჩინა. — წარბშეუხრელად მიუგო ელიზბარამ გიორგის, ურმის კოფოს შეუდგა მხრით და წამოჩოქებული მოზვრის ზეზე წამოყენებას შეეცადა, თან ქიშვარდის მიუბრუნდა: — წამომიკარი, შენი ჭირიმე. ერთი ხელი, — ისეთის ხმით მიმართა, თითქოს ისინი მთელი გზა ტკბილი მასლაათით მიდიოდნენ.

ქიშვარდი სახტად დარჩა.

„დედა, რა უტეხია, რა ცოცხალი ტყუილი მოიგონა თვალდახელ შუა!“ — გაუელვა მას თავში.

მოფიქრებაც ვერ მოახერხა, ისე ამოუდგა ურემს გვერდში. ჩალდაყი გაასწორეს. ქიშვარდიმ ურემზე დაყრილი ჩალა გადაფურჩვნა. არყიანი ტიკები მოხვდა ხელში. ტიკებს შორის ნერგიანი ყუთები ელაგა, და ხელად მოაგონდა, სიპიტომ რომ უთხრა სათოვლესთან, ურემი მიშოვნე, ნერგი უნდა გავაპაროო. შემდეგ ჯორს აჰკიდეს საპალნე. თანაც ისე უბღვერდა ელიზბარას, თითქოს თვალებით ეუბნებოდა, ყველაფერს მიგიხვდიო. მერე ურემი მოაბრუნა და ისევ სამღვთოსაკენ უქნა პირი. ყველაფერი ეს უსიტყვოდ გააკეთა, თითქოს ელიზბარაც თანახმა იყო შინ დაბრუნებაზე, აღარ ეწინააღმდეგებოდა.

— მოდი, ჩამოჯექი მანქანაში, კი ამოიყვანს ელიზბარა მარტოდ მაგ ურემს შინ, — მიმართა გიორგიმ ქიშვარდის. ქიშვარდი ერთხანს ფეხს ითრევდა, ელიზბარას უბღვერდა, მაგრამ როცა დაინახა, რომ ჩალანდარმა ჯორი წინ გაიგდო და ურემს შუაში შეახვევინა, მანქანაში ჩაჯდა გიორგისთან.

— სად იყო ეგ ელიზბარა? — იკითხა გიორგიმ, როცა მანქანა დაიძრა.

— ეშმაკმა იცის მაგის გზა და კვალი! — რაღაც გაურკვევლად ჩაიბუტბუტა ქიშვარდიმ. ახლა უკვე ეუხერხულებოდა გიორგისთვის ეთქვა, ელიზბარამ წეღან თვალი აგიხვია და მე ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხეო.

ნაციხვართან რომ გამოვიდნენ, გიორგიმ მანქანა სოფლსაბჭოსკენ გაისტუმრა და ქიშვარდის უთხრა, ბრიგადებში ჩავიაროთო. ხვალ ხომ

ოქვენი და მელიქაურის შეჯიბრის უკანასკნელი დღეა, ვნახოთ, როგორ მიდის საქმეო.

ქიშვარდის ეშურებოდა. დღეს მან უკანასკნელად გაგზავნა ხურვალეთში მეურმეების ნადი ქვის ბოძების მოსატანად. სოფლიდან ეზიდებოდნენ. ახლა ჩაის მიმღებ პუნქტში მიიჩქაროდა. უნდოდა მეურმეების მამითადზე ვახშმად მესამე ბრიგადის ხალხი და კოლეურნეობის ხელმძღვანელობა დაეპატიჟნა. ქიშვარდის გულს უკოდავდა, მისას რომ არასდროს არ იმართებოდა წვეულება. ჯერ იყო და ეს დაუსრულებელი გლოვა, ტირილი და გამოტირილი, რომელიც სტუმარს კი არა, მასაც არ აყენებდა შინ. გარდა ამისა, ამდენ ხანს მათი ვიწრო ფიცრულიც აბრკოლებდა. სამღვთოში თითქმის ყველამ პალატზე ოდა წამოიჭიმა, და თავმოყვარე ქიშვარდი თაკილობდა ამ დაბალჭერიან ფიცრულში სტუმრების მოწვევას. ფარნა და ქიშვარდი შრომა-დღეებში სხვებზე ნაკლებს არ ღებულობდნენ. მაგრამ მარტო ხორაგი რას კმაროდა: „თვალი სჭამს და თვალი სვამსო“, ამბობდნენ მეზობლები, და ეს თვალის გამახალისებელი არაფერი იყო მათ ოჯახში. ახლა ქიშვარდიმ მეურმეების ნადი გამოიყენა საბაბად. უნდოდა წვეულება გაემართა და შერმანდია და ეპიფანეც დაეპატიჟნა. მაგრამ ესენი მთელ დღეს ბრიგადიდან ბრიგადაში დარბოდნენ.

ალბათ, ჩაის მიმღებ პუნქტში მიუსწრებს მათ ქიშვარდი. ესმაც უნდა გადმოვიდეს იქ. ახლა იქითკენ მიეშურებოდა. მაგრამ გიორგის ხათრი ვერ გაუტეხა და ბრიგადებში გაჰყვა. დიდხანს დასდევდა უკან. ქიშვარდის უკვირდა, როგორ დარბოდა გიორგი ამდენს ამ აღმართ-დაღმართზე. თითონაც ოფლში გაიწურა და ქიშვარდისაც ქოშინი ამოუგდო. ყრუას ნასახლევზე გადაიარეს, „წითელი სხივის“ პლანტაციაში გავიდნენ. თითქმის შუადღე გახდა, როცა ისევ ეკალდიდისკენ გაუხვიეს. ისევ იმ სანახშირე ღელის ბილიკს მიჰყვებოდა.. ქიშვარდის მოაგონდა, როგორის კრთომით და ხელის ცეცებით მიდიოდა წუხელ ამ ადგილებში. ახლა მთელი სერი მკრეფავებით იყო გადათეთრებული.

— ეს თქვენი ბრიგადაა ხომ? რამდენ პროცენტს დყო გუშინ გასული მთლიანად კოლმეურნეობა? — იკითხა გიორგიმ.

ქიშვარდი წამოწითლდა. გუშინ იმდენი რბენა მოუხდა მეურმეების ნადის გასაგზავნად, რომ ,ველარ მოასწრო დღიური კრეფის შედეგის გაგება.

— გუშინ წინ ასთვრამეტი იყო, გუშინდელი ჯერ არ გამიგია, — მობოდიშებით სთქვა მან. — მგონია, ასთვრამეტივე უნდა იყოს, — გუშინწინდელის მიხედვით ივარაუდა მან და საწონ პუნქტისკენ გაეშურა, რომ დაწვრილებით გაეგო გუშინდელი კრეფის შედეგი.

ბორცვის ქიმზე კიდევ გაისმოდა მთოხნელების ვიო-ჰოოა. გიორგი იქითკენ წავიდა. მეორე ჯგუფი საყუდარში სასადილოდ ემზადებოდა. იქ შენიშნა ქიშვარდიმ სიპიტო და ყაისარა. შეჯიბრების კვირაძალი იყო, ისინიც კი გამოსულიყვნენ სათოხნში.

დღეს შერმანდიამ სტახანოველების საჩვენებელი კრეფა მოაწყო ეკალდიდში. ჟონას სკოლაც იქ არის. გარდამავალი დროშაც მესამე ბრიგადის ნაპირზე ფრიალებს.

აგერ სკაჩიაც გადმოადგა კორტოხს.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

— ა, მოდის რადიო! რა ამბავია პირველ და მეორე ბრიგადაში? გასძახებს მარგალიტა და სკაჩიაც შორიდან იწყებს:

— პირველ ბრიგადამ ნასათიბვარში სამას ოცი კილო მოკრიფა, მეორე ბრიგადამ ქაცვნარში — ოთხასი კილო. — და ასე მოჰყვება სკაჩია, სანამ ყველა ბრიგადის ნაკრეფს არ ჩამოსთვლის.

— არიქა, დავიღუპეთ, ქალებო! გაგვასწრო მეორე ბრიგადამ. ცოტა აამოძრავეთ ხელები! — იძახის ჟონა, მაგრამ მისი წაქეზება საჭირო არ არის, დიდი და პატარა მწკრივებს მოსდებია, ისმის ტკარცალი და გადაძახილი.

— პელო! შენ მაქედან გამოჰყევი ტუნგოს პირდაპირ მწკრივს.

— რომელ მწკრივს მოჰყვები, ცავ კლეოპატრავ?

— შენ სად ხარ, ციცინო?

— აი ჩემი მწკრივია, მარგალიტა! რაფერი ხარ, ცავ, ჩემი ყველაფერი რომ შეგეხარბება.

დღეს ნარუჯალაზე ორჯერ მეტი მკრეფავი მუშაობს, ვიდრე ჩვეულებრივ, ბორცვი გადათეთრებულია მკრეფავებით. მათი ტკარცალი ნადინების გალმა ფერდობსაც სწვდება, სადაც მელიქაურლები მუშაობენ. ჩაის საწონი იქვე ნაპირზეა მოწყობილი. ყანთარი ბალის ტოტზე ჰკიდია. რიგში ჩამდგარი მოპირთავებული გოდრები თითქოს თავისით მიიწევენ სასწორისაკენ. შერმანდია და ეპიფანე აქ დგანან. ბოლო არ უჩანს დღეს ჩაის წონვას. ქიშვარდიც იქეთკენ გაეშურა.

— რას გვაჯობებენ ჩვენ მელიქაურლები, არ მოსწრებია მაგი ისტორიას! — იმედიანად იძახის სკაჩია.

ამ დროს ბალის ტოტზე ჩამოკიდებულ ყანთარს კაული დაუცურდება. ქიშვარდი ხეზე აბობღდება კაულის გასასწორებლად. უცებ პლანტაციის გადალმა, მხრებში მოხრილ კაცს მოჰკრავს თვალს, ორლობეში რომ მოიპარებოდა. სვანურ ქუდზე მაშინვე იცნო ჯორბენაძე.

— აგერ მოდის მელიქაურის დაზვერვა! — დაიძახა ქიშვარდიმ და ძირს ჩამოხტა.

კოლმეურნეები ლობეს გადაადგნენ.

ჯორბენაძე მართლაც დასაზვერავად მოდიოდა. საღამომდის ველარ მოითმინა, როცა ჩაის პუნქტზე შეიტყობდა დღიური კრეფის შედეგებს. უნდოდა გაეგო, როგორ მიდიოდა საქმე სამღვთოს კოლმეურნეობაში. თითქოს ასე შორიდან, ერთის თვალის გადავლებით შეეძლო გამოერკვია, ვინ ვის სჯობნიდა — შესძლებდნენ თუ არა მელიქაურელები გარდამავალი დროშის წაღებას. ჯორბენაძე შეუმჩნევლად აპირებდა ორლობეში გავლას. უკვე ნადინების ჭალისკენ უხვევდა, როცა სამღვთოელებმა შენიშნეს და ყიჟინა დააყარეს.

— არა, არა, დიომიდე! არ გაგატანთ დროშას! — დასძყარა შორიდან სკაჩიამ.

ჯორბენაძე მართლაც მზვერავს ჰგავდა, მოწინააღმდეგეს ... ყველაზე ... ეკიდა. ... ...

ნეტა რას იკლავს ხალხი მაგისთვის თავს? მაგისთანა გარდამავალ დროშას თუ გინდა დღეში ორმოცს შევკერავ. ან ეს ქალები რამ გაბოფა? ვილაცამ ჩაქვში ასოცი კილო ჩაი მოკრიფა დღეში და ჩვენ ... ახალგაზრდა ... ეს ... ამ ქალებს საკუთარ ბაღჩაში არ დაურტყამთ თოხი და ახლა რამ გააცოფათ ამ სხვის საქმეზე?

— შენდა და შენისთანებიზაა მაგი სასხვისო საქმე, თვარა ელისაბედიზა და ასინეთიზა კი არაა, — გაცხარებული ჩაიჭრა ივაკია ყაისარას და სიპიტოს საუბარში. — მაგენმა ახლა გამოიხედეს თვალში, სახლი ააშენეს და კარი. უწინ ასინეთის ბაღნები, დილას რომ გამოიღვიძებდნენ, ისე გაეხვეოდნენ დაწეწილ საბანში, როგორც თევზი ბადეში. ახლა გაიარე მისას, ნახე, ერთი ექვსი ცალი საბანი აქვს ერთმანეთზე შეწყობილი. ამ დროს შრომას მოწონება მოუტანა.

— არა, სიტყვაზე შენც სწორი ხარ, ივაკი, მარა ვისაც ჭკუა და მოხერხება ჰქონდა, ძველადაც ქე ცხოვრობდა გვარიანად, — მოჰყვა თავის კანტურს ყაისარა.

— ჭკუაცაა და ჭკუაც. სხვისი მოხმარის და მოხარჯვის ჭკუა თუ ქონდა კაცს, სერმია თუ ეშოვებოდა, ქე გაიდგამდა ძირს, მარა ეს ხალხი მთლად უტვინო ხომ არ იყო, ამდენ ხანს ასე ჩაფარცხული და კოთხოგამორეკილი რომ იყო? — არ დაუთმო ივაკიამ.

უცებ საიდანღაც ელიზბარაც ამოილანძა. არემარეს თვალი მოავლო და სწრაფი ნაბიჯით გაემართა იქითკენ, სადაც სიპიტო, ყაისარა და ივაკია კამათობდნენ გარდამავალი დროშის შესახებ. სიპიტო და ყაისარა განზე გაიხმო და დიდხანს უჩურჩულებდა რაღაცას.

„ამ დილინდელ შეჯახებაზე თუ უამბობს, — გაიფიქრა ქიშვარდიმ. — იმას თუ უყვება, არაყი და ნერგი რომ უკან დავაბრუნებინე“.

რომ ელიზბარა ქიშვარდის შესახებ ელაპარაკებოდა ყაისარას და სიპიტოს, ეს იქიდან სჩანდა, რომ მათ გაბოროტებით გადახედეს ქიშვარდის, თითქოს თვალებით უპირებენ შეჭმასო.

როგორც იყო, მორჩა ტერენტი სურათის გადაღებას. ჯორბენაძე და გიორგი ჩაის მიმღებ პუნქტისკენ გაემართნენ. შერმანდია და ეპიფანეც მათ გაჰყვნენ. ქიშვარდიმ დრო ვერ მოიხელთა, რომ ამაღამ ვახშამზე დაეპატიჟნა. ამ დროს ქიშვარდიმ თვალი მოჰკრა თავის დედას, ეკალდიდის ალმართს რომ შემოუდგა. ესმა ერთხანს საწონ პუნქტისკენ მიდიოდა, მაგრამ პლანტაციის ჭიშკრისკენ მიმავალ შერმანდიას და ეპიფანეს რომ მოჰკრა თვალი, მათკენ გაემართა.

— მოდი, ნენა, მომყევი ამ პატიოსნებთან, — შემოსძახა მან ქიშვარდის და შავი თავშლით ოფლი მოიწმინდა სახეზე.

— შენ მიდი, ნენა, შენ უფრო დაგხათრებენ, — შეეხვეწა ქიშვარდი დედას და უკან გამოუდგა. ბავშობა მოაგონდა, მუდამ დედის კალთას რომ ეფარებოდა.

ესმამ შერმანდია გაიხმო განზე და დიდი ბოდიშებით და წელადობილათი დაუწყო:

— ჩემო შერმანდი, სულ გაწუხებთ, მარა დღეს [illegible] ხოვარი საქმე მაქვს, მეტი აღარ შეიძლება, ქე ვიცი, მაგის [illegible] ახლა, თავზე ცეცხლი გეკიდებათ, მაგრამ უნდა გვესტუმროთ ასე სამივემ ჩვენსას ამ საღამოს. ქე იცით, ურმების ნადი გვყავს დღეს გაგზავნილი ხურვალეთში, ქვის სვეტები უნდა მოიტანონ. ამფერია ჩვენი ჩვეულება. სვეტებს ძირში ღვინო უნდა მოუქციოთ. ნუ გამიტყუნებთ ამას, ნენავ და შვილო, არ თქვათ, რაფერ გამობენტერებულა მაგი დედაბერიო. რაც სამღვთოში ოდა აშენებულა, ყველას ასე უქნეს და ჩვენ რაზე უნდა გამოვწყდეთ მეზობლობაში. დიდი ამბავია ოდის საძირკველის გადგმა. სულ კოლმეურნეობის წყალობითაა, თვარა ჩვენ ორმოცი წელიწადია, რაც ვაპირებთ ოდის დაწყებას, ვერ იქნა, ვერ მოვაბით თავი. რამდენი ხანია ჩვენს ოჯახში ერთი მრავალჟამიერ არ თქმულა, სულ მგლოვიარეთ ვართ. ილაკრიეს და სიოს დამკარგველს მე რაღა ქეიფის და მხიარულების გული მაქვს, — ესმამ გამხდარ მკერდზე ხელი დაიკრა, თვალის კუთხეები ცრემლით მოენამა: — მარა ამ ბიჭის გულისა ვაწყობთ, მეშინია დაიჩაგრება, მოეჭეჭკება გული. თვითონ ვერ მოახერხა თქმა, შერცხვა სულ რომ გაწუხებთ, — ესმამ ისე გადახედა მის უკან მდგომ ქიშვარდის, თითქოს ბოდიშს ხდისო.

— ურმები გაგვაგზავნია ამ გახურებულ მუშაობის დროს ხურვალეთში და არ მოხათრებია და ახლა ქეიფში დაპატიჟება ეხათრება? — გაიღიმა შერმანდია.

— არა იმის ეხათრება, ახლა ქეიფის გარემოება რომ არ არის, მოძალებული სამუშაო რომ გვაქ, მაგრამ აგი ერთი კიდევ დაგვდევით პატივი. კაცი კაცითაა და ხეი ძირითო.

— ესმა გვპატიჟებს დღეს, ურმის ნადი ჰყავს გაგზავნილი, — გასძახა შერმანდიამ ეპიფანეს.

— ჩვენი დაპატიჟება არაფერია, — სთქვა ეპიფანემ, — მარა მე საერთოდ მაგი ქეიფი მაფიქრებს ამფერ დროს. ხომ გახსოვთ, გზის ტექნიკოსის გაცილებაზე ქეიფი რომ გამართეს ამას წინათ და მეორე დღეს ნასადილევს რომ გამოვიდა სამუშაოზე მეექვსე ბრიგადის ხალხი. ხომ ხედავთ, რაფერ გადაჯინებული არიან მელიქაურლები. აგერ ჯორბენაძეც კი ამოსულა გასაშინჯათ. ნახევარი პროცენტითაც რომ გვაჯობონ. შევრცხვებით, დროშას წაგვართმევენ.

— ძალიან მიჭირს თქვენი გაწბილება, ცალკე თქვენი მეხათრება და ცალკე ფარნას, — სთქვა შერმანდიამ. — წეიქეიფონ. ოღონდ ადრე მოათავონ. ისე მოაწყონ საქმე, რომ ხვალ სხვებმა არ ჩამოუსწრონ ნაპირში. ჩვენც ჩამოვირბენთ ერთ პირს, — თქვა შერმანდიამ და ალაგეზე გადავიდა.

ესმა შინისკენ გაბრუნდა. ქიშვარდი კი სოფლსაბჭოსკენ გაუყვა ეჭიმის, ფოსტის გამგის და მასწავლებლების დასაპატიჟებლად.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალე ბოგბოლხიძე

სერგო ორჯონიკიძე

(ადგილები პოემიდან)

4.

ბიჩერახოვმა ცეცხლი დაანთო
და „რესპუბლიკის“ სახელით ბრძანა:
— „ორჯონიკიძეს აღარ დავუთმოთ
აყვავებული ჩვენი ქვეყანა!

მტერი ყველასთვის საშიშარია,
არ შეიწყალებს რუსებს, არც ქისტებს,
ბოლშევიკები სპობენ შარიატს,
აღარ სწამთ ღმერთი, მაჰმადი, ქრისტე!

ანარქიაში ეძებენ წესრიგს,
სურთ საკუთრება ყოველგან მოსპონ;
ერთა სიცოცხლის გაახმონ ფესვი,
რომ დავემონოთ ყველანი მოსკოვს!“..

ბიჩერახოვის ბრძანებამ გასჭრა,
მოდის ლაშქარი ყოველი მხრიდან;
არც ერთი ბეგი სახლში არ დარჩა,
„ეროვნულ“ დროშას დაბლა არ ჰხრიდა.

დაიგრიალა კაზაკთა ჯარმაც:
— „რომ გვიპატრონოს, დიდ რუსეთს შეჰფერს,
საქრისტიანო დავიცვათ ჯვარით,
ძალა-უფლება ატამანს, მეფეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა თეთრი რაზმი ჩეჩენთა,
რაზმი ოსების, რაზმი ქისტების,
„ერთმორწმუნენი“ შესდგნენ მეჩეთთან.
რომ ქვეყნად მოსპონ „ანტიქრისტენი“.

— „ზეიმით ხენიც უნდა შეირხენ,
როს დამკვიდრდებით თერგის მხარეში;
ძალა-უფლება ხანებს, შეიხებს,
წითელ არმიის მოვსპოთ თარეში!..

და თუ მტერს ზურგი უჩვენოს გმირმა,
ველარ გადურჩეს მრისხანე მაჰმადს;
ის განრისხული ეყოლოს იმამს
და უღალატოს მტრის მიმართ ხმალმა!“..

5.

არმიელები თოფებს ისხამენ.
გამოიღვიძა ველზე მდინარემ,
მოღრუბლულია ზეცა მრისხანედ
და შავი ნისლი ჰბურავს მინარეთს.

აქ შერიპოვი დამწვარ აულებს
საკუთარ ხელით ჭრილობებს ჰბანდა,
ვით ბაირამის დღესასწაული,
კვლავ მძვინვარებდა თეთრების ბანდა.

გუმბათებივით ზეცის თაღებთან
იკუმშებოდა ყუმბარის ბოლი.
გამოეგზავნა მშრომელთ დაღესტანს
მათთვის დამხმარეთ ასი მებრძოლი.

გამხიარულდა ფრონტის სარდალი,
ხედავს ჩაჩანთა ბელადს შერიპოვს,
ქისტთა ლაშქარიც უკვე მზად არის,
შურისძიების გრძნობამ შეიპყრო...

მზად არის მშრომელ კაზაკთა ჯარიც,
ბალყარელი და ყაბარდოელი,
მტერს თავს დაატყდა ზათქით და ზარით
ჩერქეზთა რაზმი — ცეცხლის მთოველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეთერთმეტე არმიის წინსვლა
აზანზარებდა ცასა და ხმელეთს,
საომრად ლაშქარს ლაშქარი მიჰყვა
და ქალაქისკენ იშვერდნენ ხელებს.

6.

ორჯონიკიძე ფრონტზე მზად არის,
აფთარსაც აკრთობს მთაში გავარდნილს,
შეუპოვარი არის სარდალი,
როგორც გრიგალის ველზე ნავარდი.

ბალნარიც თოვლით გადარხილული
ვერაგ მტრის წინსვლას გზა და კვალს უბნევს,
სერგოს ნაბიჯი მხრებდაცხრილული
ჰგავს ქარიშხალით დაფლეთილ ღრუბლებს.

მტერს ეჯახება, მხედრის ხმას ისმენს,
ცეცხლის რკალს ჰკვეთავს ლურჯას ნახტომი,
ველზე გატყორცნილ ხანძარის ისრებს
ჰგავს მხედრის თვალთა გამონაკრთომი.

ხშირად გრიგალი შლის მის ყაბალახს,
მთებს ჰფარავს ჩრდილი ფართო მხრებისა,
მტერთა გვამებთან გაშლილ მთა-ბარად
ყრია ნამსხვრევი ბასრი ხმლებისა.

დენიკინის ფრონტს, როგორც სიბერე,
სწვევია მწუხრი საღამოისა,
კავკასიონის ზეცის სიბნელე
სერგომ საკუთარ მხრებზე მოისხა.

ბალნარიც თოვლით მხრებდაყურსული
დენიკინელებს გზა და კვალს უბნევს,
ხან კომისარის ქურქი რუსული
ჰგავს ქარიშხალით დაფლეთილ ღრუბლებს.

ველზე გაიჭრა ცეცხლის ისარი,
მთანიც შეირყნენ შემოგარენი;
მზე — ცის ხომალდი და კომისარი
არიან თერგის მოხანძარენი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

სადაც გვამები გორებად ჰყრია
და შიშის ზარი აფითრებს ხესაც.
იქ მღელვარ სუნჯის ნაღვლიან ღრიალს
შეერთებოდა დაჭრილთა კვნესა.

აბიბინებულ საჩაჩნოს მინდვრებს
დახოცილთ სისხლით ულებავთ ტანი,
საშინელ წლების მოწამეთ იდგნენ
ამწვანებული ყაბარდოს მთანი.

საღამოს ჩრდილი ხევისკენ მიწვა
და მზის სხივებმა შეკვეცეს ფრთები,
მოძმეთა გვამებს აყრიდნენ მიწას
ნევდით მოსილი მოწყალე დები.

აწიოკებულ აულის ახლო
წითელარმიის იდგა ნაწილი
და დაჰყურებდა მთებიდან დაბლობს
სისხლით მაძღარი თეთრი არწივი...

10.

იდგა სამრეკლო თეთრ ბაირაღით,
ცეცხლს გაერუჯა მისი კედელიც
და ღრუბელთ გუნდებს ყვითელ ვარაყით
მოსავდა ზეცის ოქრომჭედელი.

გროზნიდან მტრებმა ველარ განდევნეს
პარტიზანული რაზმი ჩაჩნების:
ნავთის კოშკების მიმქრალ შადრევნებს
თავზე ეხურათ კვამლის ჩაჩქნები.

აზრიალებდა მავთულთა ბოძებს
გადმოვარდნილი ქარი არჯალი.
კვლავ ტრიალებდა სიკვდილის მოწმე
პირმოელვარე ბასრი ხანჯალი...

წითელ ჯარს გროზნი ხვდება „ვაშათი“.
სოფლებში ბრძოლის დროშებს არხევენ,
შორით დაისი მოჩანს ლაჟვარდით
და ტყვე მუშებიც ხუნდებს ამსხვრევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაშრიალა ტალღები თერგმა,
თერგის მიდამო ისევ იღვიძებს.
მტერს თავს დაატყდა მრისხანე დელგმა —
ლაშქარით სერგო ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ე

ფიცხელი ომი ისევ იწყება.
მტრები შეტევას ისევ ელიან
და მტაცებლური თავდავიწყებით
„ბოჟე ცარიას“ მოიმღერიან...

ფრონტზე უწყალოდ ბანდას რომ აფენს,
ორჯონიკიძის შმაგი ცეცხლია,
რევაზიც ველზე ქურანს მოაფრენს,
მზეს მისი ხმალი მოუვერცხლია.

გურელის ხმალიც დუშმანებს ეძებს,
სასტიკ ბრძოლებში გამოწრთობილი,
გუგუნებს ცეცხლის გაჩენით ველზე
ძვლავ ჯავშნოსანი ავტომობილი.

ქუხს ჯავშნიანი მატარებელი
და გრიალებენ ხელის ბომბები,
არის ხანძარი გაჩაღებული.
მტრის დამარცხების წინამორბედი.

ფრთები გაშალა ცეცხლის ალმურმა.
იწვის ბანაკი თეთრად ნაშენი
და ყუმბარების ბოლმა დაბურა
ცის მნათობები მოკაშკაშენი...

ჰექდა მედროშე:—“მტერმა გაგვისწრო“.
და დაედევნენ თეთრებს ცხენებით,
ბოლმა აღრჩობდა ჯალათ ზანკისოვს,
მას სისხლიანი ჰქონდა ხელები.

უცებ ოფიცრის ხმალმა იელვა,
ტარში გადატყდა რევაზის გორდა
და ზანკისოვმა. მტერმა ცბიერმა
უიარაღო არ შეიცოდა.

და ოფიცერი. სისხლის მსურველი
გმირს დაეჯახა შიშველხმლიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ რევაზთან გაჩნდა გურელი
და ზანკისოვმა იწყო ხრიალი...

მიწას დაედო წითელი ფერი,
სისხლმა შეღება ცხენის ფაფარი,
ბრძოლის ველიდან გარბოდა მტერი
მკვდრებს ვერ იტევდა სანგრის საფარი...

სისხლით გაეძღო ქალაქის მიწა
შეჯახებისას ტყვიების წვიმას,
გროზნის გარემო სიმაგრედ იქცა,
თვალი დახუჭა თეთრმა არწივმა...

ჭაბურღილების შადრევანთ დენას
შეერთებოდა სისხლის ჩანჩქერი,
ქალაქის თაღზე ეკიდა ლხენად
მებრძოლი დროშა წითლად ნაფერი.

13.

ბიჩერახოვის ჯარი დამარცხდა,
და მისი ხროვა ახლა მხდალია,
ზანკისოვს ბასრი ხმალი არ ასცდა
და მაინც სული აღარ დალია.

ივი ბაირაღს ბრძოლით არხევდა,
დღეს მტერთან ყოფნას უჯობს სიკვდილი,
ბოლმას და ნაღველს გულში ახვევდა
წუხდა ჯალათი ღონემიხდილი,

სთქვა: „ხმლით მიცელავს ჯარი მტრისანი.
ბრძოლებში ვიყავ ცეცხლის მთოველი,
დღეს დავმარცხდი და მოკვდა მიზანიც,
სახელის ნაცვლად სასჯელს მოველი.
დიდებაც ქრება, როგორც სიზმარი,
წარმავალია ქვეყნად ყოველი!..
თუმცა გავსულვარ ფრონტზე მამაცად,
დღეს ვინ მიშველის, ყველა მხდალია...
დენიკინელთა ჯარი დამარცხდა,
ალექსეევმაც სული დალია!
სულში თარეშობს ქარი დაჭრილი,
პირცეცხლიანი გარეთ ქარია;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხარეს დარაჯობს შავი აჩრდილი
ღმერთი არ არის, მეფეც მკვდარია!..

ქვეყნის წინაშე ვრჩები შიშველი,
ნისლი გაჰკვრია დღეებს დარიანს...
ღმერთი არ არის, ვინღა მიშველის,
ჩვენი მფარველი მეფეც მკვდარია?!.

„ბიჩერახოვის ჯარი დაეცა,
ტყეში გავარდა ხანძრის გამჩენი;
აღარ შეეძლო თავი დაეცვა,
ტყვია ელოდა ფრონტზე დარჩენით.

მტერმა წაიღო უხვად ბენზინი
და თავს იცავდა კვამლის საბურვით;
მტერმა დასტოვა სახეშეცვლილი
აოხრებული გროზნის სადგური...

დიდი ხნის ბრძოლამ იხსნა ქალაქი,
გავანადგურეთ ცეცხლის გამჩენი;
მტერმა დასტოვა ნავთის მარაგი,
აფეთქებისგან გადანარჩენი.

და ვხედავთ მხარეს, როგორ იღვიძებს:
ხარობს ქალაქი, ხარობს აული“ —
დეპეშით ამცნო ორჯონიკიძემ
ლენინს სახალხო დღესასწაული...

და... ელვარებდნენ მზეზე ვაზნები,
გაპრიალებულ შაშხანის ლულით,
ქუხდა მუსიკა წითელ რაზმების
მხედრულ აღლუმზე აქ ჩამოსული.

პირი დაეღოთ ველზე ზარბაზნებს,
მანქანაც იდგა ტყვიის ჯავშნებით,
და სასწავლებლის საწერ დაფაზე
ლენინს ხატავდნენ ქისტი ბავშვები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპულეი

ამური და ფსიქეა*

ერთ სახელმწიფოში ცხოვრობდა მეფე-დედოფალი. მათ ჰყავდათ სამი ულამაზესი ქალიშვილი. მართალია, უფროსები მეტად ლამაზები იყვნენ, მაგრამ მაინც შეიძლებოდა დაჯერება, რომ ადამიანები მათ შექებას შესძლებდნენ, უმცროსი ქალი კი ისეთი წარმტაცი და სანაქებო სილამაზისა იყო, რომ ადამიანურ ენაზე მის სადიდებლად საკმაო სიტყვებიც კი არ მოიძებნებოდა. ბევრი ადგილობრივი მოქალაქე და მრავალი უცხოელი, რომელთაც ეს შეუდარებელი სილამაზე იზიდავდა თავისი იშვიათი განთქმულობით, წარმოუდგენელი სილამაზის ჭვრეტით განცვიფრებული, მარჯვენა ხელს პირზე იფარებდა, ისე, რომ საჩვენებელი თითი გაჭიმულ ცერზე ჰქონდა მიდებული, თითქოს თვით ღმერთ-ქალს ვენერას თაყვანს სცემსო. ხმაც კი გავრცელდა მახლობელ ქალაქებში და მეზობელ ქვეყნებში, რომ ღმერთ-ქალმა, რომელიც ზღვის ცისფერმა სილრმემ დაბადა და აქაფებული ტალღების ნამმა აღზარდა, განსაკუთრებული ღვთაებრივი მოწყალება მოიღო და ადამიანთა შორის ტრიალებსო. სხვები კიდევ ამბობდნენ, ციურ მნათობთა თესლისაგან ქალწულებრივი იერით დაჯილდოვებული მეორე ვენერა წარმოშვა ხელახლა არა ზღვამ, არამედ დედამიწამ.

2. ეს აზრი დღითი-დღე ღრმა ფესვებს იდგამდა. ქება-დიდება ყოველმხრივ ვრცელდებოდა მახლობელ კუნძულებზე, ხმელეთზე და მრავალ პროვინციაში. მრავალი ადამიანი არა დრკებოდა გზის სიშორისა და ზღვის სილრმის წინაშე, რათა ეხილა თავისი დროის სახელგანთქმული სასწაული. პაფოსში, კნიდოსში და თვით კითერაზედაც კი აღარავინ მიდიოდა ვენერას საჭვრეტად. მსხვერპლის შეწირვა იშვიათი გახდა. ტაძრები დაცალიერდა, საკურთხევლებს თავი დაანებეს, სალმრთო წესები შეივიწყეს, ღვთაებათა ქანდაკებებს გვირგვინებით აღარ რთავდნენ და დაქვრივებული სამსხვერპლოები ცივი ნაცრით დაიფარა. ქალწულს მიმართავდნენ ვედრებით და მოკვდავ ნაკვთთა სახით თაყვანს სცემდნენ დიად ღმერთ-ქალს. როცა დილაობით ქალი გამოდიოდა, მისთვის ძღვენი და შესაწირავი მიჰქონდათ უხილავ ვენერას სახელით, ხოლო როდესაც იგი მოედნებზე გაივლიდა, ბრბო ხშირად პირქვე ეცემოდა და გზას გვირგვინებით უფენდა.

---

*) „ამური და ფსიქეა" ამოღებულია რომაელი მწერლის აპულეის (ცხოვრობდა ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში) სატირული რომანიდან „ოქროს ვირი".

მოკვდავი ქალწულისათვის ღვთაებრივი პატივის უნვად მიკუთვნებამ ძალზე აღანთო ჭეშმარიტი ვენერა და აღელვებული, თავის ქნევითა და ხმამაღალი ბუზღუნით ასე ეუბნებოდა იგი თავის თავს:

3. „ნუთუ მე, ბუნების ნივთთა უძველეს დედას, ბუნებისა უძველეს დასაბამს და მთელი ქვეყნის მშობელს, ვენერას, ისე უნდა მეპყრობოდნენ, რომ მოკვდავ ქალწულს უნაწილებდნენ ჩემს დიდებასა და პატივს და ზეცაში განმტკიცებული ჩემი სახელი მიწიერი უწმინდურობით იბილწებოდეს? განა შევურიგდები იმას, რომ ჩემი უზენაესი უფლებები მოადგილეს გავუნაწილო და მოკვდავი ქალწული ჩემს სახეს ატარებდეს? განა სახელგანთქმულმა მწყემსმა, რომლის მსჯავრი და სამართალი დიდმა იუპიტერმა დაამტკიცა, ტყუილად მომანიჭა უპირატესობა, ჩემი შეუდარებელი სილამაზის გამო, დიად ღმერთ-ქალებს წინაშე? მაგრამ იმ ცრუ სახელის მიმღებს, ვინც არ უნდა იყოს იგი, სასიკეთოდ არ მიუთვისებია ჩემი პატივი. საქმეს ისე მოვაწყობ, რომ თვით ინანებს თავის ნებადაურთველ სილამაზეს“.

მაშინვე მოუხმო თავის ფრთოსან ვაჟს, საკმაოდ თავხედ ბიჭს, რომელიც თავისი ბოროტი ჩვევებით საზოგადოებრივ წესიერებას აბუჩად იგდებდა, ისრებითა და ჩირაღდნებით შეიარაღებული ღამღამობით სხვის სახლებში დარბოდა, ცოლქმარს ერთმანეთს აშორებდა და ასეთი ბოროტმოქმედებისათვის დაუსჯელი რჩებოდა, — ერთის სიტყვით, კარგს არაფერს ჩადიოდა. აი, იმ თავითვე ასე გათავხედებული ყმაწვილი კიდევ უფრო წააქეზა ვენერამ სიტყვებით, წაიყვანა იმ ქალაქში და აჩვენა ფსიქეა — ასეთი იყო იმ ქალწულის სახელი, მოუთხრო მთელი ამბავი სილამაზეზე შეჯიბრების შესახებ და აღშფოთებისაგან აკანკალებულმა ოხვრით უთხრა:

4. „მშობლიურ სიყვარულს გაფიცებ, გაფიცებ შენი ისრის ტკბილ ჭრილობებს და შენი ჩირაღდნის თაფლიან ცეცხლს, შური იძიო შენი მშობლისათვის. სრულად მიუზღე და სასტიკად დასაჯე თავხედი სილამაზე. შეასრულე ის, რასაც შენ სიხარულით აკეთებ ხოლმე და რაც შენი ხელობაა: დეე, ამ ქალწულს უზომოდ შეუყვარდეს სულ უკანასკნელი ადამიანი, ისეთი ადამიანი, რომელიც წარმოშობითაც, ქონებითაც და თვით თავდაცვის უნარითაც ბედმა დაჩაგრა, ისეთი გლახაკი, რომ მთელ ქვეყანაზე უფრო საცოდავი აღარ მოიპოვებოდეს“.

ასე უთხრა და მაგრა გადაჭოცნა თავისი შვილი. შემდეგ სანაპიროს მიაშურა. ის იყო დაადგა მან მოშრიალე ტალღათა ზედაპირს ვარდისფერი ფეხისგულები, რომ ფსკერამდე დავიდა წყლის მორევი და სურვილისთანავე დაუყოვნებლივ გამოჩნდა ზღვის ამალა. თითქოს წინასწარ მომზადებულიყო იგი. აქ იყო ნერევის ქალიშვილთა მომღერალი გუნდი, პორტუნე გაბურძგვნილი ლურჯი წვერით, სალაცია, რომლის კალთა თევზებითაა დატვირთული, და დელფინის პატარა მეეტლე პალემონიც. აი, ზღვაზე ტრიტონთა ჯოგი ნავარდობს: ერთი ტკბილხმიან ნიჟარაზე ნაზად სცემს ნაღარას, მეორე მზის მწველი სიც-

ხის წინაალმდეგ აბრეშუმის ფარდაგს აფენს. მესამეს ქალბატონის თვალებთან სარკე მიაქვს. სხვები ორულლიანი ეტლებით დასცურავენ. ასეთი ამალა ახლდა ვენერას, რომელიც ოკეანისაკენ მიემგზავრებოდა.

5. ფსიქეას კი, შესანიშნავს იშვიათი სილამაზისა [illegible] სარგებლობა არა ჰქონდა თავისი მშვენიერი გარეგნობისაგან. ყველა სტკბებოდა მისი ცქერით, ყველა ადიდებდა მას, მაგრამ არავინ, არც მეფე, არც მეფის შვილი, არც უბრალო ხალხიდან ვინმე არ მიდიოდა მის სათხოვნელად. გაოცებით შეჰყურებდნენ მას, როგორც ღვთაებრივ მოვლენას, მაგრამ ყველას აოცებდა იგი, როგორც მხატვრის მიერ ოსტატურად შესრულებული ქანდაკება. უფროსმა დებმა, რომელთა ზომიერმა სილამაზემაც ხალხში არავითარი გამოძახილი არა ჰპოვა, უკვე დიდი ხანია იშოვეს სამეფო გვარის საქმროები და ბედნიერად იქორწინეს. ფსიქეა კი, ქალწულთა შორის ქვრივი, შინ იჯდა და დასტიროდა თავის მარტოობას მისუსტებული სხეულით და დაწყლულებული სულით, და თუმცა იგი ყველას იზიდავდა, თვითონ მას სძაგდა თავისი სილამაზე. მაშინ საწყალი ქალწულის გაუბედურებულმა მამამ იფიქრა, ჩანს, ზეციურმა წყალობამ მოგვიძულაო, და ღმერთების რისხვით შეშინებულმა მიმართა უძველეს სამისოს—მილეტის ღვთაებას, და ვედრებითა და მსხვერპლის შეწირვით შესთხოვდა უდიდეს ღვთაებას დაჩაგრული ქალწულისათვის ქმარსა და ქორწინებას. აპოლონმა, თუმცა იგი ბერძენი იყო და იონიელიც კი, მილეტური მოთხრობის შემთხზველის პატივსაცემად პასუხი ლათინურ ენაზე გასცა:

„მეფეო, კლდის პირს დააყენე განწირული შენი ქალი,
იგი საქორწილოდ მორთე დასამარხავ სამოსელში,
მოკვდავ სიძეს ნუ მოელი, უბედურო მშობლის თვალო,
ის იქნება ველური და შმაგი, ვით ბოროტი გველი:
ეთერს ფრთებით სჭრის და სერავს, ყველას მწარედ ღლის და ჰქანცავს.
თავის ისრით ყველასა ჩხვლეტს, ასუსტებს და ცეცხლითა სწვავს,
თვით იუპიტერს აცახცახებს, სხვა ღმერთებიც შიშით თრთიან,
მდინარენიც შიშს მოუცავს, სტიქსის წყალიც, საქიოც“.

ასეთი პასუხი მოისმინა უწმინდესი ქურუმისაგან ოდესღაც ბედნიერმა მეფემ. დარცხვენილი და ნაღვლიანი შინ გაბრუნდა და მწარე ბედის ეს განაჩენი თავის მეუღლეს აუწყა. დღე-მუდამ დარბოდნენ, ტიროდნენ, თავს იკლავდნენ. მაგრამ შავბნელი ბედის ბრძანება უნდა აღსრულებულიყო. უკვე შეუდგნენ ბედკრული ქალწულის დამსამარებელი ქორწინების სამზადისს.. ჩირაღდნების შუქი ძლივს ბჟუტავდა შავი ჭვარტლის ნაცრისაგან, საქორწინო ფლეიტის ხმა საცოდავ ლიდიურ ტონზე გადადიოდა, მხიარული სიმღერა სამგლოვიარო მოთქმით თავდებოდა და პატარძალი თავისი საქორწინო თავშალით ცრემლებს იწ-

მენდდა. მთელი ქალაქი თანაუგრძნობდა გაუბედურებული ოჯახის სამწუხარო ბედს, და მაშინვე საზოგადო გლოვა გამოცხადდა.

6. მაგრამ ზეციურ მითითებას აუცილებლად უნდა დამორჩილებოდე, და საბრალო ფსიქეას დანიშნულ სატანჯველისთვის ამზადებდნენ. როცა ყველაფერი მზად იყო დასასაფლავებელი ქორწინებისათვის, მთელი ხალხის თანხლებით, საერთო მწუხარებით გაემართნენ ცოცხალი ადამიანის საზეიმო გასვენებაზე, და მტირალი ფსიქეაც მიდიოდა არა ჯვარისწერაზე, არამედ საკუთარი თავის დასაფლავებაზე. და როდესაც ასეთი უბედურებით შეწუხებული მშობლები უღვთო ბოროტმოქმედების ჩადენას აგვიანებდნენ, თვით ქალი ამხნევებდა მათ ასეთი სიტყვებით:

„თქვენს უბედურ მოხუცებულობას რად აწამებთ ხანგრძლივი ტირილით? თქვენს სუნთქვას, რომელიც უფრო მე მეკუთვნის, რად ჰქანცავთ ხშირი დრტვინვით. რად იუშნოვებთ უნაყოფო ცრემლებით ჩემთვის ეგზომ სათაყვანებელ სახეებს? რად აბნელებთ თქვენს თვალებში ჩემს ნათელს? რად იგლეჯთ ჭაღარას? მაგ წმინდა ძუძუებსა და მკერდში რად იცემთ ხელს? აი შესანიშნავი ჯილდო ჩემი არაჩვეულებრივი სილამაზისათვის! გვიან მიხვდით უღვთო შურის სასიკვდილო თავზარდაცემას. როცა ხალხი ღვთიური პატივით გვადიდებდა, როცა ერთხმად ვენერად მნათლავდნენ, მაშინ იყო საჭირო გლოვა, ცრემლის ღვრა და ჩემი გამოტირება, ვით გარდაცვლილისა. ვგრძნობ, ვხედავ, რომ მხოლოდ ვენერას სახელწოდებამ დამღუპა. წამიყვანეთ და დამტოვეთ იმ კლდეზე, ბედისწერამ რომ მომისაჯა. მწყურია ამ ბედნიერი ქორწინებით შეუღლება, მწყურია ჩემი კეთილშობილი მეუღლის ხილვა. რად უნდა გავურბოდე მომავალს, რომელიც მთელი ქვეყნის დასაღუპადაა გაჩენილი?“

7. ეს სთქვა ქალწულმა, დადუმდა და მტკიცე ნაბიჯით შეუერთდა გამცილებელ ბრბოს. მიდიოდნენ ციცაბო მთის დანიშნულ ნაპრალისაკენ. იმ მთის მწვერვალზე დასტოვა ყველამ საბრალო ქალწული. იქვე დაუტოვეს საქორწინო ჩირაღდნები, რომლებიც მას გზას უნათებდნენ და რომლებიც ცრემლთა წყარომ იქვე ჩააქრო, და თავდახრილნი თავთავიანთ სახლებში დაბრუნდნენ.

მისი მშობლები, ასეთი უკულმართობით ზარდაცემულნი, შინ ჩაიკეტნენ სიბნელეში და სამუდამო წყვდიადს მისცეს თავი. შეშინებულ მთრთოლავ ფსიქეას კი, რომელიც კლდის წვერზე იდგა აცრემლებული, წყნარი ზეფირის ნაზმა რხევამ ჯერ აქა-იქ კალთები შეუნძრია. შემდეგ ტანსაცმელი აუფრიალა და ბოლოს ნელი ქროლვით მაღალი კლდიდან იგი მწვანე ბალახით დაფარულ ღრმა დაბლობში გადაიყვანა და ფრთხილად დაუშვა ძირს.

8. ფსიქეა გრძნობათა ასეთი სწრაფი ცვალებადობის შემდეგ ტკბილად განისვენებდა ნაზი და ამწვანებული კორდის ცვრიანი ბალახის სარეცელზე. კარგა ხანს ეძინა. რომ გამოიღვიძა, მხნედ გრძნობდა თავს. ხედავს დიდი, მაღალი ხეებით დაფარულ ტევრს, ხედავს ბროლივით გამჭვირვალე მდინარეთა ლივლივით თამაშს. ტევრის სწორედ შუაგულ-

ში, მსრბოლავ მდინარის გვერდით, დგას სასახლე, არა ადამიანის ნახელავი, არამედ ღვთაებრივი ხელოვნებით შექმნილი. გადასდგამ თუ არა იქით ნაბიჯს, მიხვდები, რომ შენს წინაშე რომელიღაც ღვთაების ნათელი და ტურფა სავანეა. ლიბანის ხისა და სპილოს ძვლისაგან ... ნაკეთები ჭერი ოქროს ბოძებს ეყრდნობოდა. კედლები ვერცხლით იყო მოჭედილი და ზედ მხეცები და სხვა ცხოველები იყო გამოხატული, ამასთან ისე ცოცხლად, თითქოს სასახლეში შემსვლელთა შესახვედრად მოდიანო. ოო, ჭეშმარიტად საკვირველია ადამიანი! რა თქმა უნდა, ნახევარ ღმერთი ან, უკეთ, ნამდვილი ღმერთი იყო ის, ვინც ამდენი ვერცხლი მხეცებად აქცია. ძვირფასი ქვების ნატეხებით დაგებული იატაკი ნაირ-ნაირ სურათს გამოხატავდა. ჭეშმარიტად ნეტარ არიან ისინი, ვისაც წილად ხვდა ამ თვალმარგალიტებზე ფეხის დადგმა. უზარმაზარი სასახლის სხვა ნაწილებიც აუწერელი სიმდიდრისა იყო. კედლები ისე იყო დაყურსული ოქროთი, რომ მზესაც რომ უარი ეთქვა შუქის მოცემაზე, სასახლეს თვით შეეძლო თავისთვის დღის დაყენება. ყოველი ოთახი, ყოველი სტოა, ყოველი კარის თვით ურდულიც კი ელვარებდა. სხვა მოწყობილება სასახლის სიდიადეს ისე შეეფერებოდა, რომ ჭეშმარიტად იფიქრებდი, თითქოს ძლიერმა იუპიტერმა შეჰქმნა ეს ზეციური სასახლე მომკვდავებთან დასაახლოვებლადო.

9. ამ ადგილის სიმშვენიერით მოხიბლული ფსიქეა, გამხნევებული, ახლო მიდის, გადააბიჯებს ზღურბლს და მალე აღტაცებული ყურადღებით ათვალიერებს უმშვენიერეს სავანის ყველა წვრილმანს. აკვირდება სახლის მეორე მხარეს დიდის ხელოვნებით აგებულ საგანძურს, სადაც უამრავი სიმდიდრეა შენახული. ქვეყანაზე არაფერი არ მოიპოვება ისეთი, იქ რომ არ იყოს. მაგრამ, გარდა ამ საკვირველი სიმდიდრისა, ყველაფერზე საოცარი ის იყო, რომ ამ მთელი ქვეყნის საგანძურს არ ედვა არავითარი ჯაჭვი, არავითარი საკეტი, — მას არ იცავდა არავინ. სანამ ფსიქეა უდიდესი განცვიფრებით უყურებდა ყველაფერს ამას, მოესმა ხოროშესხმული არსების ხმა: „რად გაოცებს, ქალბატონო, ეს ზღვა სიმდიდრე? ეს ყველაფერი შენ გეკუთვნის. შედი საწოლ ოთახში, დაღლილი ხარ, და სარეცელზე მოისვენე. როცა დაბანას მოისურვებ, ბრძანე. ჩვენ, ვისი ხმებიც შენ გესმის, შენი მხევლები ვართ, შენი ერთგული სამსახურისათვის მიჩენილნი. და როგორც კი მოირთვები, დაუყოვნებლივ გაჩნდება მდიდრული სუფრა“.

10. ფსიქეა მიხვდა, რომ ღვთაებრივი კალთის ქვეშ იმყოფებოდა, და ნეტარება იგრძნო. უხილავი არსების ხმის შესმენით ჯერ დაიძინა. მერე აბანოში განიბანა, და დაინახა თუ არა მომრგვალო ამაღლებულ ადგილზე გაშლილი მოწყობილების მიხედვით საუზმისათვის მომზადებული მაგიდა, სიხარულით მოუჯდა მას. მაშინვე გაჩნდა მრავალი სინი თაფლივით ტკბილი ღვინოებით და სხვადასხვა საჭმლით, თითქოს რომელიღაც ქარს მოაქვს ისინი. მოსამსახურეები სრულებით არ ჩანდნენ. ვერავის ხედავდა იგი, მხოლოდ სიტყვები ესმოდა, მსახურებად მხოლოდ

ხმები ჰყავდა. მდიდრული სუფრის შემდეგ ვიღაც უხილავი გამოვიდა და სიმღერა დაიწყო, მეორემ კითარაზე დაუკრა. მან ვერც იგი დაინახა. მის სმენამდე აღწევდა მრავალი მომღერლის ხმა და თუმცა ადამიანთაგან არავინ სჩვენებია, მაგრამ ცხადი იყო, რომ გუნდი მღეროდა.

11. გასართობთა დამთავრების შემდეგ ფსიქეამ დალამებისთანავე დაიძინა. გვიან ღამით მის ყურს რაღაც მსუბუქი ხმაური შეესმა. ასეთ მარტოობაში მყოფი შიშმა შეიპყრო: ჩემს ქალწულებას განსაცდელი ხომ არაფერი მოელისო. თავზარდაცემული იყო და ეშინოდა უბედურებისა მით უფრო, რაც უფრო უცნობი იყო იგი მისთვის. მაგრამ უკვე შემოვიდა იდუმალი მეუღლე, ავიდა მასთან სარეცელზე, ფსიქეა თავის მეუღლედ გაიხადა და სასწრაფოდ გაჰქრა, სანამ მზე ამოვიდოდა. მაშინვე საწოლ ოთახში მომლოდინე ხმები მზრუნველობით გარს შემოევლენ პატრძლის დაკარგულ უბიწოებას. ასე გრძელდებოდა დიდხანს. ბუნებრივ კანონთა ძალით, ახალი საქმე ხშირი მიჩვევისაგან სასიამოვნო გახდა, და უცნობი ხმის ჰანგს განმარტოებულ ფსიქეასთვის სიმშვიდე მოჰქონდა.

ამასობაში მისი მშობლები შეუნელებელ დარდსა და მჭმუნვარებაში ბერდებოდნენ. ფართოდ გავრცელებულმა ხმებმა უფროს დებამდეც მიაღწია. მათ ყველაფერი გაიგეს, საჩქაროდ მიატოვეს თავიანთი სამკვიდრებელი და დამწუხრებულნი და დასევდიანებულნი გაეშურნენ მშობლების სანახავად და მათთან მოსალაპარაკებლად.

12. იმავე ღამეს ფსიქეას ასე უთხრა მისმა მეუღლემ — იგი ხომ მხოლოდ მხედველობისათვის იყო მიუწვდომელი და არა შეხებისა და სმენისათვის:

„ფსიქეა, ჩემო უტკბესო და უძვირფასესო მეუღლევ! ულმობელი ბედი დაღუპვას გიქადის, და მე მოვალედ ვსთვლი თავს, გაგაფრთხილო. შენი დები, შენი სიკვდილის ხმებით შეშინებულნი და შენი კვალის მაძებარნი, მალე იმ კლდეზე მივლენ. თუ მათ ხმამაღლა ჩივილს გაიგონებ, ნუ უპასუხებ და მათ დანახვასაც ნუ ეცდები, თორემ მე მწარე ნაღველს შემამთხვევ, შენს თავს კი აუცილებლად დაღუპავ“. ფსიქეამ თანხმობის ნიშანი მისცა და დაჰპირდა, რომ ქმრის რჩევას შეასრულებს. მაგრამ, როგორც კი ღამის დასასრულს ქმარი გაჰქრა, საბრალომ მთელი დღე ცრემლებსა და ოხვრაში გაატარა. სულ იმეორებდა: ახლა კი ნამდვილად დავიღუპები სანეტარო საპყრობილეში ჩაკეტილი, ადამიანთა ურთიერთობასა და ლაპარაკს მოკლებული. ჩემს მგლოვიარე დებს ვერავითარ დახმარებას ვერ გავუწევ, მათთან მცირე პაემანსაც კი ვერ ვეღირსებიო. იმ დღეს უარი სთქვა აბანოზე, საჭმელზე და სხვა მომღონიერებელ საშუალებაზე და მწარე ქვითინით დაიძინა.

13. წუთსაც არ გაუვლია, რომ სარეცელში ჩაუწვა ჩვეულებრივზე ადრე მისული მეუღლე, გულში ჩაიკრა მტირალი ფსიქეა და ასე უთხრა: „განა ამას დამპირდი, ჩემო ფსიქეა? რას უნდა მოველოდე შენგან შენი მეუღლე, რისი იმედი უნდა მქონდეს? დღე და ღამე, თვით ცოლქმრული ალერსის დროსაც კი შენი ტანჯვა გრძელდება. მაშ ჰქენი, რაც

გინდა, დაუთმე დაღუპვის მოსურნე სულიერ მოთხოვნილებას. ხოლო როცა დაგვიანებით სინანული გეწვევა, მოიგონე ჩემი გულისხმიერი რჩევა-დარიგება“.

მაშინ ფსიქეამ თხოვნითა და იმის მუქარით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მოვკვდებიო, ქმრისაგან თავისი დების ნახვის თანხმობა მიიღო, რათა შეენელებინა თავისი მწუხარება და დალაპარაკებოდა მათ. ასე დაუთმო ქმარმა თავის ახალგაზრდა ცოლს. უფრო მეტიც: ნება დართო მიეცა მათთვის საჩუქრად, რასაც მოისურვებდნენ ოქროულიდან თუ ძვირფასი ქვებიდან. მაგრამ ამასთანავე მუქარით გააფრთხილა, რომ თუ იგი თავისი დების რჩევას აჰყვებოდა და ეცდებოდა თავისი ქმრის გარეგნობა ეხილა მკრეხელური ცნობისმოყვარეობით, ბედნიერების მწვერვალიდან ჩამოვარდება და მის ხვევნა-ალერსს სამუდამოდ დაჰკარგავს. მან ქმარს მადლობა გადაუხადა და გაბრწყინვებული სახით უპასუხა: „დიალაც ასჯერ სიკვდილი მირჩევნია, ვიდრე შენი უტკბესი მეუღლეობის დაკარგვა. ვინც არ უნდა იყო შენ, მე ხომ გაგიჟებით მიყვარხარ, ისე, როგორც ჩემი სული, და თვით კუპიდონსაც კი არ გადარებ. მაგრამ გევედრები, მოიღე მოწყალება, შემისრულე კიდევ ერთი თხოვნა: უბრძანე შენს მსახურს ზეფირს, ისევე გადმოიყვანოს აქ ჩემი დები. როგორც მე გადმომიყვანა“, — და რომ დაეყოლებინა იგი, მიეკრა მთელი სხეულით ვნებიანად, ტუჩებზე კოცნა აღუბეჭდა და ალერსიანად უთხრა: „ჩემო ტკბილო, ჩემო ქმარო, შენი ფსიქეას ნაზო სულო!“ სასიყვარულო ჩურჩულის ძალასა და გავლენას ძალაუნებურად დაუთმო ქმარმა, დაჰპირდა, რომ შეასრულებს ყოველივეს, და განთიადის მოახლოვებისას ცოლის ხელებს თავი დააღწია.

14. დებმა მიიკითხ-მოიკითხეს, თუ სად იმყოფებოდა ის კლდე და ის ადგილი, სადაც ფსიქეა მიატოვეს. მიაშურეს იმ ადგილს. ტირილით თვალებს ისივებდნენ, ხელებს მკერდზე იცემდნენ. მათ დრტვინვას კლდეები და ქვები გამოძახილით უპასუხებდნენ. თავიანთ უბედურ დას უხმობდნენ, სანამ ფსიქეა მათი გულის გამგმირავი მოთქმისაგან აღელვებული არ გამოვარდა სახლიდან და არ უთხრა: „ტყუილად რისთვის იკლავთ თავს საბრალო წუწუნით? აი, აქა ვარ მე, ვისთვისაც თქვენ გლოვობთ. შესწყვიტეთ მოწყენილი ძახილი, შეიმშრალეთ ცრემლთა ხანგრძლივი ღვრისაგან დასველებული ღაწვები, რადგან სურვილისამებრ შეგიძლიანთ მოეხვიოთ მას, ვისაც ასე გლოვობთ“. მაშინვე მოუხმო მან ზეფირს და გადასცა ქმრის ბრძანება. მყისვე გამოცხადდა ზეფირი მშვიდი ქროლვით და ფრთხილად გადმოიყვანა დები. აი, უკვე ეხვევიან და სწრაფად ჰკოცნიან ერთმანეთს, კვლავ ჩამოსდით ცრემლები მხოლოდ ახლა სასიხარულო ბედნიერებისგან. „მხიარულად შემოდით, — ეუბნება ფსიქეა, — ჩვენს თავშესაფარში, ჩვენს კერასთან და თქვენს ფსიქეასთან თქვენი მჭმუნვარე სულები დაიწყნარეთ“.

15. ასე ეუბნება ფსიქეა დებს და უჩვენებს ოქროს სასახლის უთვალავ სიმდიდრეს. მათ სმენას უამრავი მსახურის ხმებს აპყრობს, წინადა-

დებას აძლევს, ისარგებლონ მშვენიერი აბანოებით და იშვიათად მდიდრული სუფრით. ასე რომ ბოლოს უამრავი ღვთაებრივი ნივთით დამტკბართა სულის სილრმეში შურმა გაიღვიძა.

ბოლოს ერთმა მათგანმა დიდის დაჟინებით და ცბობასმოყვარეობით დაუწყო გამოკითხვა: ვინ არის ამ ღვთაებრივ ნივთთა პატრონი, როგორია და რას აკეთებს შენი ქმარიო. მაგრამ ფსიქეამ ქმრის დარიგების დარღვევის შიშით საიდუმლო არ გაამჟღავნა, მხოლოდ სახელდახელოდ შეთხზა, რომ ის ახალგაზრდა კაცია, ლამაზი, მისი ტუჩები პირველი ღინღლითაა დაფარული, უმთავრესად მთასა და ბარში მონადირეობას ეწევაო. და წინასწარი განზრახვით, რათა ხანგრძლივი ლაპარაკის დროს თავისი გადაწყვეტილება არ დაერღვია, დატვირთა ისინი საჩუქრებით, ოქროს ნივთებით და ძვირფას ქვებიანი ყელსაბამებით. მოუხმო ზეფირს და უბრძანა, უკანვე გადაეყვანა ისინი.

16. როცა ეს განკარგულება დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული, შინისაკენ მიმავალი კეთილი დები, შურის ნაღველით აღვსებულნი, ბევრსა და გაცხარებით ლაპარაკობდნენ. ბოლოს ერთმა მათგანმა ასე დაიწყო.

„აი ბრმა, მკაცრი და უსამართლო ბედი! მოგწონს შენ, რომ ერთი დედმამის შვილებს ასეთი სხვადასხვანაირი ბედი შეგვხვდა? ჩვენ, რაც არ უნდა იყოს, უფროსები ვართ. ბედმა კი უცხოელ მამაკაცთა მოსამსახურედ გაგვხადა, მოგვწყვიტა მშობლიურ კერას, თვით სამშობლოსაც კი. ასე რომ, ყოველივეს მოშორებულნი, ჩვენს არსებობას განდევნილებივით მივათრევთ. ის კი, სულ უმცროსი, უკვე მოღლილი შვილოსნობის ნაყოფი, ისეთი სიმდიდრისა და ღვთაებრივი ქმრის პატრონია, რომლის გამოყენებაც კი არ იცის, როგორც საჭიროა. ხომ დაინახე, დაო, რამდენი განძეული და ძვირფასი ტანსაცმელია იმ სახლში, რა ბრწყინვალე მარგალიტებია და, გარდა ამისა, რამდენი ოქროა ფეხრთქვეშ გაბნეული? და თუ ამასთანავე ქმარიც ისეთი ლამაზია, როგორც იგი გვარწმუნებს, უფრო ბედნიერი ქალი ქვეყანაზე აღარ არსებობს. შეიძლება ისე მოაჩვენოს თავი ღვთაებრივ ქმარს, ისე განუმტკიცდეს სიყვარული, რომ მან ფსიქეაც ღმერთ-ქალად აქციოს. ჰერკულესს გეფიცები, საქმეს ასეთი პირი უჩანს. იგი ასე იქცეოდა, თავი ასე ეჭირა. დიაღ, იგი ზეცას უმიზნებს; ქალი ღმერთ-ქალად ითვლება, თუ კი მას უხილავი მსახურნი ჰყავს და თვით ქარებს მბრძანებლობს. მე უბედურს კი რა მხვდა წილად: უპირველეს ყოვლისა ჩემი ქმარი მამად მერგება, გოგრაზე უფრო ქაჩალია, ყოველ პატარა ბიჭზე უფრო სუსტი, და შინ ყველაფერი ჩაკეტილი აქვს“.

17. სიტყვა მეორემ ჩამოართვა: „მე კი როგორი ქმრის მოთმენა მიხდება: ნეკრესის ქარებისაგან მოკრუნჩხული, კუზიანი და ამიტომაც ჩემთან იშვიათად მოსიყვარულე. მეტწილად ჩემი საქმე ის არის, რომ თხელი ხელებით ვზელ მის გამრუდებულ, ქვასავით გამაგრებულ თითებს, ვადებ მყრალ მალამოს და ვახვევ ჭუჭყიან ჩვრებს. თითქოს მე კანონიერი ცოლიც კი არ ვიყო, არამედ მოსამსახურე, მომვლელი ქალი.

ყური მიგდე, დაო. გულახდილად გეტყვი, რასაც ვგრძნობ. შენ თუ გინდა, ზიდე შენი ბედი მონური მოთმინებით, მე კი ვერ ავიტან, რომ ულირს ასეთი სანეტარო ბედი ხვდა წილად. გაიხსენე, როგორ ამაყად და გამომწვევად იქცეოდა, თვით თვისი კვეხნითაც კი ამტკიცებდა თავის ქედმაღლობას. მერე ასეთი სიმდიდრით გულგამაგრებულმა ჩვენ ნამცეცი გადმოგვიგდო და მაშინვე, ჩვენი იქ ყოფნით შეწუხებულმა, ეგბრძანა ქარს თავიდან მოვეშორებინეთ. მე არ ვიყო ქალი, სუნთქვა შემიწყდეს, თუ იგი ასეთი სიმდიდრის მწვერვალიდან არ ჩამოვაგდო! თუ შენც, რაც სრულიად ბუნებრივია, ამ შეურაცხყოფამ აღგაშფოთა, მოდი ერთად გადავწყვიტოთ, როგორ მოვიქცეთ. მაგრამ საჩუქრებს, რომლებიც წამოვიღეთ, ნურავის ვუჩვენებთ, ნურც მშობლებს და ნურც სხვა ვინმეს. ნუ გავამხელთ აგრეთვე, რომ ფსიქეა გადარჩენილა, ისიც საკმარისია, რომ ჩვენ ვნახეთ (უმჯობესი იყო, არ გვენახა), არა თუ მშობლებსა და მთელ ხალხს ვაუწყოთ მისი ნეტარი ცხოვრების ამბავი. სრული არ არის იმისი ბედნიერება, ვისი სიმდიდრეც არავინ იცის. იგი გაიგებს, რომ ჩვენ მოსამსახურეები კი არა, დები ვართ. ახლა დავუბრუნდეთ ქმრებს და ჩვენ ღარიბს, მაგრამ პატიოსან კერას. ყველაფერი აუჩქარებლად და გულმოდგინედ მოვიფიქროთ და ხელახლად დავბრუნდეთ ამაყის დასასჯელად".

18. ორი უკეთური ბოროტ გეგმაზე შეთანხმდა. ამგვარად, მათ დამალეს დისაგან მიღებული ყველა მდიდრული საჩუქარი, დაიწყეს თმების გლეჯა და ღაწვთა ხოკვა (რაც მათ მართლაც დაიმსახურეს) და ძალად მოიდინეს ცრემლები. შეაშინეს მშობლები, რომელთაც წყლული ხელახლა გაიხსნა, და სასწრაფოდ გაეშურნენ თავიანთ სახლებისაკენ, რათა მოემზადებინათ ჭეშმარიტად მამისმკვლელობის ბადალი ბოროტმოქმედება უდანაშაულო დის წინააღმდეგ.

ამასობაში ფსიქეას მეუღლემ განაახლა ღამის საუბარი. იგი ასე არწმუნებდა ფსიქეას: „ხედავ, როგორი საფრთხის წინაშე დგახარ? ბედმა შორიდან დაგიწყო ომი და თუ თავდასაცავად ძალიან საიმედო ზომებს არ მიმართავ, მალე პირისპირ შეგებმება. ცბიერნი მთელი ძალღონით ამზადებენ შენ საწინააღმდეგო სასჯელს. მათი მთავარი მიზანია, დაგითანხმონ შენ, შეიტყო ჩემი გარეგნობა, რომელსაც, როგორც ერთხელ უკვე გაგაფრთხილე, დანახვის შემდეგ ველარ იხილავ. ამგვარად, როცა ეს ავი ჯადოქრები, ბოროტი გეგმით აღსავსენი, კვლავ მოვლენ აქ—ხოლო ისინი რომ მოვლენ, ვიცი, — შენ მათ ნურაფერს ეტყვი. თუ თანდაყოლილი გულუბრყვილობისა და სულიერი სინაზის გამო ამის შესრულება არ ძალგიძს, მაშინ ნუ მოუსმენ ნურავითარ სიტყვას ქმრის შესახებ და ნუ უპასუხებ. ჩვენი ოჯახი ხომ მალე გაიზრდება. შენი საშო ახალ ბავშვს ატარებს ჩვენთვის. ეს ბავშვი ღვთაებრივი იქნება, თუ დუმილით დაიცავ საიდუმლოებას. ხოლო თუ საიდუმლოებას გაამჟღავნებ, მომაკვდავი იქნება იგი".

19. ფსიქეა ამის გაგებაზე სიხარულით გაიფურჩქნა და ღვთაებრივი ჩანასახის იმედისა და თავისი მომავალი ნაყოფის სიამაყით ზეიმობდა. დედის საპატიო სახელი ამხიარულებდა.

მოუთმენლად ითვლის, როგორ გადიან დღეები და მიმდინარეობენ თვეები. უკვირს უჩვეულო, უცნობი ტვირთი და განაყოფიერებული საშოს თანდათანი ზრდა. ის ორი ჭირი კი, ორი ბილწი ალქაჯი, გველის შხამით მსუნთქვი, ბოროტი სისწრაფით მოეშურებოდა საცდუნებლად. მცირე ხნით გამოცხადებული მეუღლე ხელახლა არწმუნებდა ფსიქეას: „აი უკანასკნელი, უკიდურესი შემთხვევა. მავნე სქესი და მოსისხლე მტერი შეიარაღდა. დაიძრა ბანაკიდან, ჩამწკრივდა, და უკვე საომარი საყვირის ხმა გაისმის. შენი ბოროტი დები შიშველი მახვილით შენ ყელს სწვდებიან. დიდი უბედურება გემუქრება. უნაზესო ფსიქეა, შეიბრალე შენი თავი, შეგვიბრალე ჩვენ და წმინდა თავშეკავებით ააცილე სახლს, ქმარს, შენს თავსა და ჩვენს ყრმას მოსალოდნელი განსაცდელი. ნეტავ არ ნახავდე იმ საძაგელ ქალებს, რომლებიც, შენდამი მომაკვდინებელი სიძულილისა და შებილწული სისხლის გამო, ღირსი არ არიან, შენ დებად იწოდებოდნენ, არ მოუსმენდე მათ, როცა ისინი სირინოზების მსგავსად მაღალი კლდიდან თავიანთ დამღუპველ ხმას კლდეებს მოჰფენენ“.

20. ფსიქეა გულამოსკვნილი ტირილით აბუნდოვანებდა სიტყვებს და ეუბნებოდა: „რამდენადაც ვიცი, შენ უკვე გქონდა დრო დარწმუნებულიყავი ჩემს ერთგულებასა და სიჩუმეში. ახლაც სულიერი ძლიერების არანაკლებ საბუთს მოგცემ. მხოლოდ უბრძანე ჩვენს ზეფირს, რომ მორჩილად შეასრულოს ყოველივე, შენი უწმინდესი სახის დანახვის უარყოფის სამაგიეროდ დების ნახვის ნება მაინც დამრთე. გაფიცებ შენს ორსავე მხარეს დაფენილ ამ სურნელოვან კულულებს, შენს ნაზ, მომრგვალო, ჩემის მსგავს ღაწვებს, შენი რაღაც იდუმალი ცეცხლით სავსე მკერდს. ოდესმე ჩვენს პატარაში მაინც ვიცნობ შენს ნაკვთებს. ეხლა კი ნება დამრთე მოვეხვიო ჩემს დებს და შენთვის თავდადებული ფსიქეას სული ამ სიხარულით დაამშვიდე. შენი სახის შესახებ ერთ სიტყვასაც არ დავძრამ. თვით სიბნელე აღარ მაწუხებს, რადგან შენი სინათლე თან მახლავს“.

ამ სიტყვებით და საამო ხვევნით მოჯადოებულმა მეუღლემ თავისი თმით შეუმშრალა ცრემლები, ყველაფრის შესრულებას დაჰპირდა და გაჰქრა, სანამ გათენდებოდა.

21. შეთქმულების მომწყობი დები მშობლების მოუნახულებლად მარდად მიდიან გემიდან პირდაპირ ნაპრალისაკენ, მიდიან გადამყვანი ქარის დაუცდელად, და სილრმეში ცვივდებიან. მაგრამ ზეფირმა გაიხსენა მეფური ბრძანება და თავის სურვილის წინააღმდეგ კალთით აიყვანა ისინი და ნელი ქროლვით მიწაზე დაუშვა. ისინი დაუყოვნებლივ მიძვრებიან სახლში, ცბიერად ეხვევიან დას, სიცრუის საუნჯეს ღრმად შალავენ და პირმოთნე სიტყვებით მიმართავენ ფსიქეას:

„აი, ფსიქეა, შენ უკვე წინანდებური გოგონა აღარა ხარ. მაგრე თვით გახდები დედა. იცი, რამდენ სიკეთეს ატარებ ჩვენთვის ამ შუცლით? როგორ გაამხიარულებ ამით მთელს ჩვენ ოჯახს. ჩვენთვის კი როგორი ბედნიერება იქნება ამ ოქროს მოვლა! თუ, როგორც მოსალოდნელია, ბავშვი სილამაზით მშობლებს დაემსგავსა, უთუოდ კუპიდონს წარმოშობ ქვეყანაზედ“.

22. ასეთი თაღლითური სინაზით თანდათან ეუფლებიან დის სულს. როგორც კი მგზავრობისაგან დაღლილებმა სავარძლებში მოისვენეს და ცხელი აბანოს ორთქლისაგან მოსულიერდნენ, ფსიქეა უმშვენიერეს სასადილოში საკვირველი და საუკეთესო საჭმელებით გაუმასპინძლდა მათ. მისი ბრძანებით, კითარა ჟღერს, ფლეიტა წკრიალებს, გუნდი მღერის. უხილავი მემუსიკენი მსმენელთა სულს აამებენ ამ უტკბესი მელოდიებით. მაგრამ საძაგელი ქალების ბოროტება არ შენელდა უტკბესი სიმღერის ნაზი სირბილისაგან. პირიქით, მათ საუბარი გამართეს წინასწარ მოფიქრებული ტყუილებით მახის დასაგებად. მალულად ეკითხებიან, ვინ არის მისი ქმარი წარმოშობით, სადაურია და რას აკეთებს. ფსიქეამ თავისი გულუბრყვილობით დაივიწყა, რასაც წინათ ამბობდა, კვლავ მოგონებას მიმართა და სთქვა, რომ მისი ქმარი მახლობელ პროვინციიდანაა, მსხვილ სავაჭრო საქმეებს ეწევა, შუახნის კაცია მცირე ჭაღარით. ეს ლაპარაკი აღარ გააგრძელა. ხელახლა დატვირთა დები ძვირფასი საჩუქრებით და უკან გასაბრუნებლად ქარს გადასცა.

23. ზეფირის ნელი ქროლვით აყვანილნი შინ რომ ბრუნდებოდნენ, ერთმანეთს ასე ელაპარაკებოდნენ: „რას იტყვი, დაო, ამ ბრიყვის ცოცხალ ტყუილზე? მისი ქმარი ხან ყრმაა, რომლის ტუჩები პირველი ღინღლითაა დაფარული, ხან ჭაღარა-შერეული შუახნის კაცი. ვინ უნდა იყოს, რომ ასე მოკლე ხანში უცბად მოხუცდა? დაო, იმ საძაგელმა უსათუოდ ან მოგვატყუა ან და თავისი ქმარი თვალითაც არ უნახავს! ამ ორში რომელიც არ უნდა იყოს მართალი, უპირველეს ყოვლისა საჭიროა მისი ბედნიერების მწვერვალიდან ჩამოგდება. თუ მისი ქმარი სახეს არ უჩვენებს, მაშასადამე, ის მისთხოვებია რომელიღაც ღმერთს და დასაბადებლად ღვთაებრივ ბავშვს ამზადებს. ეს კი მართალია, რომ სანამ იგი ღვთაებრივი ბავშვის ბაგეთაგან (ღმერთმა ნუ ჰქნას!) „დედას“ გაიგონებდეს, მე მაგარი მარყუჟით თავს ჩამოვიხრჩობ. დროა დავბრუნდეთ ჩვენს მშობლებთან და შევსთხზათ შესაფერი ტყუილი“.

24. ასე შურით ანთებულებმა მშობლებთან მოილაპარაკეს გაიძვერულად და უძილოდ გატარებული ღამისაგან დაღლილნი დილა ადრიან გაფრინდნენ კლდისაკენ, ხოლო იქიდან ქარის მიერ ჩვეულებრივად ჩაყვანილნი თვალებიდან ცრემლებს იწურავდნენ და თავიანთ დას ეშმაკურად ელაპარაკებოდნენ: „ბედნიერო, ნუთუ არ გეშინია მოსალოდნელი ხიფათისა? წყნარად ზიხარ და ნეტარად გრძნობ თავს იმიტომ, რომ არ იცი, რა უბედურება გწვევია. ჩვენ კი მთელ ღამეს თვალი არ დაგვიხუჭავს და შენს საქმეზე ვფიქრობდით: შენი მომავალი საფრთხე

მწარედ გვტანჯავს. ჩვენ, შენი ჭირ-ვარმის მოზიარეებს, არ შეგვიძლია არ გითხრათ, რაც დანამდვილებით გავიგეთ. თურმე შენთან მალულად წვება უზარმაზარი, მრავალ მარყუჟად დახვეული ქვენმძრომი, რომელსაც კისერი სისხლის მაგიერ შხამითა აქვს სავსე. ხოლო ხახა უფსკრულივით დაღებული. გაიხსენე, პითიას მისანმა რომ გიწინასწარმეტყველა გველ-ვეშაპთან შეუღლება. ამასთან მრავალ გლეხს, მონადირეს და მრავალ აქაურ მეზობელს დაუნახავს, თუ როგორ ბრუნდებოდა იგი საღამო ჟამს საძოვრიდან და მახლობელი მდინარის თხელ ფონებზე ცურვით გამოდიოდა.

25. ყველა გვარწმუნებს, რომ შენ საჭმელებით გაამებს, უნდა გაგასუქოს და როგორც კი შენი მუცელი ორსულობით უკიდურესად გაიზრდება, ჩაგყლაპოს, ისე, როგორც ნოყიერი საზრდო. ახლა არჩევანი შენს ხელთაა: ან ისურვებ გაუგონო შენს ძვირფას, გადარჩენაზე მზრუნავ შენს დებს და სიკვდილის თავიდან აცილებით იცხოვრო ჩვენთან უშფოთველად, ან და უსასტიკეს ქვეწარმავლის შიგნეულობაში ჩაიმარხო. თუ მოგწონს ეს განმარტოებული უდაბნო და გირჩევნია უსაზარლესი და სახიფათო სიყვარულის ფარული სიახლოვე და შხამიანი გველის ალერსი — შენი ნებაა, ჩვენ, როგორც დებმა, ჩვენი ვალი მაინც მოვიხადეთ".

გულუბრყვილოსა და ნაზ ფსიქეას ელდა ეცა ასეთი საშინელი სიტყვებისაგან. დაავიწყდა ქმრის ყველა რჩევა-დარიგება და საკუთარი დაპირება. უბედურების ქვესკნელში ჩასავარდნად გამზადებული, თრთოლით, სასიკვდილოდ გაფითრებული, ენადაბმული ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩურჩულით ეუბნება დებს:

26. „თქვენ, ძვირფასო დებო, როგორც მოსალოდნელი იყო, თქვენს წმინდა მოვალეობას ასრულებთ და ისინიც, ვინც ასეთი ცნობები მოგაწოდათ, როგორც ჰგავს, არა სტყუიან. მე ხომ არასოდეს თვალით არ დამინახავს ჩემი ქმარი, სრულებით არ ვიცი, როგორია იგი. ღამღამობით იდუმალი მეუღლის მხოლოდ ხმა მესმის და ძალაუნებურად ვურიგდები იმას, რომ განთიადისას იგი მირბის. ასე რომ შემიძლია სავსებით დავიჯერო თქვენ მიერ ნათქვამი, რომ იგი რაღაც ურჩხულია. თვითონაც ხშირად მუქარით მიკრძალავდა თავისი თავის ხილვას. დიდ უბედურებას მიქადდა, თუ მისი გარეგნობის ხილვას გავბედავდი. თუ თქვენ შეგიძლიათ რამე თქვენი დაღუპვის გზაზე დამდგარ დის საშველად, ახლავე იღონეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაგვიანებული უმოქმედობა თავიდან აღმოჩენილ სასიკეთო მზრუნველობას გააბათილებს".

მაშინ, უკვე ღია ჭიშკარიდან უპატრონო დის სულთან შეჭრილმა ბოროტმა ქალებმა ყოველივე ნიღაბი მოიშორეს, გამოააშკარავეს მთელი თავიანთი სიცრუე და იერიში მიიტანეს გულწრფელი პატარძლის დამფრთხალ მოსაზრებაზე.

27. ბოლოს ერთმა მათგანმა სთქვა: „რადგან ნათესაური კავშირი გვაიძულებს შენი გულისათვის ყოველგვარი საფრთხის წინაშე თვალი დავხუჭოთ, გიჩვენებთ ჩვენ მიერ დიდი ხნის მოფიქრებულ საშუალებას,

რომელიც ერთად-ერთი გზაა შენი ხსნისათვის. აიღე გალესილი ხანჯალი, მეტი სიბასრისათვის ხელის გულზე გაისვი, ფარულად დამალე იმ მხარეს, საითაც შენ ყოველთვის წვები. შემდეგ, მოიმზადე პირამდე ზეთით სავსე კარგი ლამპარი, რათა მეტი სინათლე ჰქონდეს, და რომელიმე ქილის ქვეშ დამალე. ყველაფერი ეს უდიდესი საიდუმლოებით მოამზადე. როცა იგი დაკლაკნილი სხეულის თრევით ჩვეულებისამებრ სარეცელზე ამოვა, გაწვება და პირველი ძილით შეპყრობილი ღრმა განსვენებას მიეცემა, რაც შეიძლება ჩუმი ნაბიჯით, ფეხშიშველი, ლოგინიდან წამოხტი, ლამპარი ბნელი საფარველისაგან გაანთავისუფლე, დიდებული გამარჯვების მიღწევისათვის სინათლით ისარგებლე, მარჯვენა ხელში ორპირიანი მახვილი დაიჭირე, მაღლა ასწიე და საძაგელი გველის თავი ძლიერი დაკვრით სხეულს მოაცალე. ჩვენი მხრივაც დახმარება გექნება: როგორც კი მისი მკვლელობით შენი ხსნის საშუალებას მოიპოვებ, ჩვენ მოუთმენლად დაგელოდებით, დაგეხმარებით ამ სიმდიდრის წაღებაში, და შენ, რომელიც ადამიანთა მოდგმას ეკუთვნი, ღირსეულ მამაკაცსაც მოგიძებნით საქმროდ“.

28. ისედაც აღგზნებულ დას ასეთი გაალმასებული სიტყვებით გულში ცეცხლი დაუნთეს. თვითონ კი, მოსალოდნელ უბედურებას რომ მორიდებოდნენ, დასტოვეს ფსიქეა და, ფრთოსანი ქარის საშუალებით კლდეზე გადყვანილნი, სასწრაფოდ გაიქცნენ. მაშინვე გემით გაემგზავრნენ.

მარტოდ-მარტო დარჩენილი ფსიქეა კი (თუმცა, ბოროტი ალქაჯებით აღელვებული, მარტო არ იყო) მშფოთარე ზღვის მსგავსად მწუხარებაში ქანაობდა, და თუმცა გადაწყვეტილება მიღებული იყო, სული მაინც ჯიუტობდა: მისი აზრები მერყეობდნენ და გრძნობები აკავებდნენ უბედურებისაგან. ჩქარობს, აყოვნებს, შეუპოვრობს, თრთის; სასოწარკვეთილია, განრისხებული და ბოლოს ერთსა და იმავე სხეულში ეზიზღება გველ-ვეშაპი და უყვარს კიდეც ქმარი. მაგრამ უკვე ღამდებოდა და იგი ბოროტმოქმედებისათვის მზადებას შეუდგა. აი, დაღამდა კიდეც. ქმარი მოვიდა, ჯერ სიყვარულის სიტკბოებას მიეცა, ხოლო შემდეგ ღრმად მიიძინა.

29. აქ კი ფსიქეა დასუსტდა სულითაც და სხეულითაც. მკაცრ ბედს დამორჩილებულმა ღონე მოიკრიბა, ლამპარი გამოიღო, ხანჯალი ხელში აიღო და სძლია ქალურ გაუბედაობას. მაგრამ, როგორც კი მიტანილი სანთლით ქვეშაგების საიდუმლოება განათდა, დაინახა ყველა მხეცთა შორის უნაზესი და ულამაზესი ურჩხული, დაინახა ლაღად მწოლარე თვით სახელოვანი მშვენიერი ღმერთი კუპიდონი. მის დანახვაზე თვით სანათურმაც კი ტკაცანი გაიღო და მკრეხელის დანის პირი უფრო მეტის კაშკაშით გაბრწყინდა. ასეთი სანახაობით შეშინებული ფსიქეა დაიბნა, ღონემიხდილი გაფითრდა, კანკალით დაიჩოქა თავის მკერდში იარაღის დასამალავად. იგი ამას ჩაიდენდა კიდევაც, რომ ასეთი ბოროტმოქმედების წინ ხელიდან იარაღი არ გავარდნოდა. ქანცგაწყვეტილი და იმედდაკარგული, რაც უფრო მეტხანს უყურებდა ღვთაებრივი სილამაზის მქო-

ნე სახეს, მით უფრო იკრებდა ღონეს. ხედავდა ოქროს თავს სურნელებით გაჟღენთილი მშვენიერი თმით, რძისფერ კისერსა და შეწამულ ლაწვებს, გარშემოვლებულს ხვეულოვანი კულულებიფ. ერთი კულული კეფიდან ძირს ეშვებოდა, სხვები შუბლზე დაფენილიყვნენ და მათი შუქ-მფინარე ბრწყინვალებისაგან თვით ლამპარში ალი შეირხა. ფრთოსანი ღვთაების მხრებს იქით ამოზრდილი ფრთები თეთრ ყვავილებად ელვარებდნენ და თუმცა ფრთები ისვენებდნენ, ნაზი და მსუბუქი ბუმბულის ბოლოები მაინც თრთოდნენ. ფსიქეა ხედავდა გამონაკვთილსა და ნათელ სხეულს, ასე რომ ვენერს შეეძლო არ ენახნა, რომ ასეთი შვილი შობა. საწოლის ფეხებთან ეწყო ქველმომქმედი დიდი ღმერთის იარაღი, შვილდი და ისართა ბუდე.

30. დახარბებული და ამასთანავე ცნობისმოყვარე ფსიქეა თვალს არ აშორებდა ქმრის იარაღს. ბუდიდან ერთი ისარი ამოიღო, თითის წვერით ბოლო გაუსინჯა, მაგრამ რადგან აღელვებისაგან სახსრები უთრთოდა, ისარი იჩხვლიტა და კანიდან ვარდისფერი სისხლი წვეთ-წვეთად გადმოვიდა. ამგვარად, თავისდაუნებურად ფსიქეა თვით ენთებოდა სიყვარულის ღმერთისადმი ტრფობით. შეიგრძნო თუ არა ღვთისადმი გულისთქმა, ბაგე გახსნილი ვნებით დაიხარა და შიშით, რათა მას არ გაღვიძებოდა, სწრაფად დაუწყო მხურვალედ და ხანგრძლივად კოცნა. მაგრამ სანამ იგი, ასეთი ნეტარებით დამთვრალი, სასიყვარულო ვნებით მოცოცხლებული, ღელავდა, მისმა ლამპარმა უსაზიზღრესი გამცემლობით, ბოროტი შურით თუ იმიტომ, რომ თვითონაც მოინდომა შეჰხებოდა და ეკოცნა ეგზომ ნათელი სხეულისათვის, სანათურის ბოლოდან ცხელი ზეთი ღმერთის მარჯვენა მხარს დააწვეთა. ეჰა, შე თაღლითო და კადნიერო, სიყვარულის საზიზღარო მსახურო ლამპარო! შენ დასწვი ღმერთი, რომელიც თვით არის ყოველი ცეცხლის მფლობელი. უთუოდ პირველად რომელიმე საყვარელმა გამოგიგონა, რათა ღამით რაც შეიძლება მეტხანს ესარგებლა თავისი სურვილის საგნით. იგრძნო თუ არა წვა ღმერთმა, წამოხტა და, დაინახა რა შერყვნილი და შელახული ფიცი, საჩქაროდ განთავისუფლდა უბედური მეუღლის კოცნისა და ხვევნისაგან და უსიტყვოდ გაფრინდა.

31. წამოდგა თუ არა იგი, ფსიქეა ორივე ხელით მარჯვენა თეძოზე საცოდავ დანამატად შემოეჭდო. მაგრამ, ბოლოს, ღრუბელთა მიღმა, სივრცეში, დიდიხნის ფრენით დაღლილი, ძირს ჩამოვარდა. შეყვარებულმა ღმერთმა იგი მიწაზე მწოლარე არ დასტოვა, შეფრინდა მახლობელ კვიპაროსზე და ღრმად აღშფოთებულმა ასე მიმართა მისი მწვერვალიდან:

„უგულწრფელესო ფსიქეა! მე მოვიქეცი მშობელ ვენერას სურვილის წინააღმდეგ. მან მიბრძანა შთამეგონებინა შენთვის ვნება ადამიანთა შორის ყველაზე უკანასკნელისა და უბადრუკის მიმართ; მაგრამ მე არ მინდოდა შეუფერებელი მეუღლისათვის გამეწირე და ვამჯობინე თვით მოვფრენილიყავ შენთან შეყვარებულის სახით. ვიცი, რომ სისულელე

ჩავიდინე: სახელგანთქმულმა მეისრემ საკუთარი იარაღით ძეგჰერი და მეუღლედ გაგიხადე, როგორც ჰგავს, იმისთვის, რომ შენ ბველვეშაპად ჩაგეთვალე. შენ მოინდომე ხანჯლით მოგეკვეთა ჩემთვის თავი, რადგან მასზე იმყოფება ის თვალები, რომელთაც შენ შეგიყვარეს, ყოველთვის გაფრთხილებდი, ყოველთვის მეგობრულ რჩევა-დარიგებას გაძლევდი შენი პატივცემული შთმგონებელი თავიანთი ბოროტი გამოგონებისათვის დაუყოვნებლივ პასუხს აგებენ ჩემს წინაშე. შენ კი მხოლოდ ჩემი დაკარგვით დაგსჯი". სთქვა ეს და ფრენით ცის სივრცისკენ მიაშურა.

32. ფსიქეა კი, მიწაზე გართხმული, მწარე მოთქმით, გულდაწყვეტილი შეჰყურებდა ქმარს, სანამ თვალი მიუწვდებოდა მისი ფრენისათვის. მაგრამ როცა თანდათან გაზრდილმა მანძილმა ფრთების საშუალებით მოტაცებული მეუღლე მის თვალთაგან მიაფარა, იგი გაექანა მახლობელ მდინარისაკენ და ნაპირიდან გადავარდა. მაგრამ უწყინარმა მდინარემ, თვით წყლის აღმგზნები ღმერთის პატივისცემით თუ თავისი მორიდებით, იგი მყისვე აყვავებულ ნაპირზე გადმოსვა, როგორც უვნებელი ტვირთი. წყლის ნაპირს, ბორცვზე, შემთხვევით სოფლის ღმერთი პანი იჯდა. იგი ხელს ჰხვევდა მთის ფერიას „გამოძახილს", რომელსაც სხვადასხვა ხმაზე სიმღერას ასწავლიდა. მახლობლად თხები ხტოდნენ და ნაპირზე ბალხს სძოვდნენ. თხათა ღვთაებამ ლმობიერად მოუხმო ცოცხალ-მკვდარ და აღელვებულ ფსიქეას, და, რადგან მისი უბედურება იცოდა, ალერსიანი სიტყვებით ამშვიდებდა:

„საყვარელო გოგონავ, მე სოფლის მცხოვრები ვარ, ფარას ვაძოვებ, მაგრამ ღრმა მოხუცებულობის წყალობით ხანგრძლივი გამოცდილებითა ვარ განსწავლული. აი რა: როგორც ვატყობ — და ამას ჭკვიანი ხალხი განგების საჩუქარს უწოდებს — შენს ბარბაცით სიარულზე, მთელი შენი სხეულის მეტისმეტ სიფითრეზე, შენს ხშირ ოხვრაზე, შენ უსაზღვრო სიყვარულით იტანჯები. გაიგონე ჩემი რჩევა და ნუ ეცდები, ხელახლა წყალში ჩავარდნით ან სხვა რაიმე ნაძალადევი სიკვდილით წინასწარ დაიღუპო თავი. სევდა მოიშორე და მწუხარება გაჰფანტე. უმჯობესია ვედრებით მიმართო ღმერთთა შორის უდიდეს კუპიდონს, და რადგან იგი განებივრებული და თავნება ყრმაა, ეცადე ალერსიანი სიტყვებით და სიფრთხილით შენდა სასარგებლო განწყობილება შეუქმნა".

33. ფსიქეამ მწყემსთა ღმერთის ამ სიტყვებს პასუხი არ გასცა, მხსნელ ღვთაებას თაყვნი სცა და გზას გაუდგა. როცა მან საკმაოდ გრძელი გზა გაიარა, რომელიღაც ბილიკით უკვე საღამო ჟამს საკმაოდ დაღლილმა ერთ ქალაქს მიაღწია, სადაც ერთ-ერთი მისი დის ქმარი მეფობდა. ამის გაგებაზე ფსიქეამ მოინდომა დისათვის თავისი იქ ყოფნა ეცნობებინა. როგორც კი შეიყვანეს იგი დასთან, ურთიერთ ხვევნისა და მოკითხვის შემდეგ, დამ ჩამოსვლის მიზეზი ჰკითხა. ფსიქეამ ასე დაიწყო:

„გახსოვს, როგორ მაქებებდით, რათა გველვეშაპი, რომელიც ქმრის ცრუ სახელწოდებით ჩემთან ღამეებს ათევდა, ორპირი ხანჯლით განმეგმირა, სანამ თავისი გაუმაძღარი ხახით მე უბედურს მშთნმთქავდა. მაგ-

რამ, როგორც კი, პირობის თანახმად, ლამპრის სინათლეზე მისი სახე დავინახე, წარმომიდგა საოცარი ღვთაებრივი სანახაობა: ტკბილი ძილით შეპყრობილი თვით სახელგანთქმული ვაჟი ვენერასი. ვიმეორებ, დავინახე თვით კუპიდონი. სილამაზის ხილვით აღტაცებული [illegible] ასეთი ნეტრების სიმდიდრით შეძრწუნებული, სანამ [illegible] ტკბობის შეუძლებლობით ვიტანჯებოდი, სწორედ იმ დროს, უბოროტესი შემთხვევის გამო, მოელვარე ლამპარმა მხარზე ზეთი გადააწვეთა. იმ წუთშივე ტკივილისაგან გაღვიძებულმა, დამინახა თუ არა ლმპრითა და იარაღით ხელში, მითხრა: ამდენად სასტიკი ბოროტმოქმედებისათვის შენთან ახლავე კავშირს ვწყვეტ, შეგიძლია შენი მონაგარი წაიღო, მე კი შენს დას — აქ შენ დაგასახელა — საზეიმო ქორწინებით შევეულლებიო. და მყისვე უბრძანა ზეფირს, გამოვეგდე თავის სახლიდან.

34. ფსიქეამ ვერც კი მოასწრო სიტყვის დამთავრება, რომ მისი და, აღგზნებული გიჟური სწრაფვის მძვინვარებით და დამღუპველი შურით, ქმრის ეშმაკურად მოტყუილებით, თითქოს რაღაც ცნობა მიეღოს მშობლების გარდაცვალების შესახებ, მაშინვე გემზე ავიდა და პირდაპირ ცნობილ ნაპრალს მიაშურა. თუმცა სრულიად სხვა ქარი ჰქროდა, მაგრამ იმედით დაბრმავებულმა წამოიძახა: „მიმიღე მე, კუპიდონო, შენი ღირსეული მეუღლე! შენ კი ზეფირო, შენს მეუფეს მხარი დაუჭირე!“ და მთელი თავისი ძალით უფსკრულში გადაეშვა. მაგრამ დანიშნულ ადგილს ლეშის სახითაც კი ვეღარ მიაღწია, რადგან კლდეებზე დახეთქებით და ქვიდან ქვაზე გადაგორებით მისი სხეული დაიმსხვრა, რაც მან სამართლიანად დაიმსახურა. მისი შიგნეული ფრინველთა და მხეცთა იოლ ნადავლად გადაიქცა. ასე დაიღუპა იგი. არ დაყოვნებულა არც შემდეგი შურისმაძიებელი სასჯელი. ფსიქეამ თავისი ხეტიალით მიაღწია მეორე ქალაქამდეც, სადაც მეორე და იმყოფებოდა. იგიც იმგვარადვე გაება ნათესაობის ბადეში და გაეშურა ქარაფისაკენ ბოროტმოქმედ შეუღლებისათვის. პირველი დის მსგავსად ისიც უფსკრულში გადაიჩეხა და იქ ჰპოვა აღსასრული.

35. ამასობაში, სანამ ფსიქეა კუპიდონის ძებნით ქვეყნებს უვლიდა, თვითონ კუპიდონი, დაწვისაგან ჯერ კიდევ გამოუმრთელებელი, თავისი დედის საწოლში იწვა და კვნესოდა. მაშინ უთეთრესი ფრინველი თოლია, ზღვის ტალღებზე რომ ფრთებით სცურავს, ღრმა ოკეანეში სასწრაფოდ ჩაყურყუმელავდა. იქ მობანავე და მოშხაპუნე ვენერას წინაშე წასდგა და მოახსენა, რომ მისი შვილი დაიწვა და ძლიერი ტკივილისაგან კვნესის, არავინ უწყის მორჩება თუ არაო. და ყველა ქვეყანასა და ხალხში მითქმა-მოთქმა და ბუზღუნი გაისმის, ვენერას და მის მოდგმას ცუდად იხსენიებენო: ვაჟი თითქოს სიყვარულის მთებზე გრილდება, ხოლო თვით ვენერა სულ ოკეანეში ბანაობს, თავის საქმეებს ჩამორჩა და ამის გამო აღარც არავითარი ვნებაა, აღარც სიამოვნება, აღარც კეთილშემკობილება, და ყველაფერი არაკეთილსანახავი, უხეში და ველური გახდა; აღარც ცოლქმრული ქორწინებაა, აღარც მეგობრული

კავშირი, აღარც ბავშთაგან პატივი, არამედ საერთოდ უსირცხვილობა და ბინძური შეუღლებისაგან სიმწარე და ზიზღი მეფობსო. ეს მოლაყბე და ცნობისმოყვარე ფრინველი ასე ჩასჩხაოდა ვენერას ყურებში და აძაგებდა მის ვაჟს. განრისხებულმა ვენერამ უეცრად წამოიძახა: „ალბათ, ჩემს საყვარელ ვაჟს ვიღაც მეგობარი ქალი გაუჩნდა. აბა, შენ, ერთად-ერთო ჩემო ერთგულო მსახურო, მითხარი, რა ჰქვია მას, რომელმაც კეთილშობილი და წმინდა ვაჟი შეაცდინა? იქნებ იგი რომელიმე ფერიაა, ან ჰორთა, ან მუზების გუნდიდან, ან ერთ-ერთი გრაცია, ჩემი მსახურთაგანი?“

არ გაჩუმდა ყბედი ფრინველი და უპასუხა: „არ ვიცი, ქალბატონო. ერთი ქალწული, რომლითაც იგი მეტის-მეტად გატაცებულია, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ფსიქეად იწოდება“.

მაშინ განრისხებულმა ვენერამ ხმამაღლა წამოიძახა: „თუ მას მართლა სილამაზით ჩემი მოქიშპე და ჩემი სახელის მომტაცებელი ფსიქეა უყვარს, ნამდვილად ის უმგვანო ამ საქმეში მაჭანკლად მე მთვლის, რადგან ჩემი მითითებით გაიცნო იგი“.

36. ასეთი შეძახებით სასწრაფოდ ამოცურდა ზღვის ზედაპირზე და თავის ოქროს საწოლ ოთახს მიაშურა. იქ მართლაც ავადმყოფი შვილი დახვდა, და კარის ზღურბლიდანვე მთელის ხმით შეჰყვირა: „რა წესია ეს? განა ჩვენს წარმოშობასა და შენს კარგ ყოფაქცევას შეეფერება, რომ შენ, შენი მშობლის, ქალბატონის დარიგების წინააღმდეგ, მის მაგიერ, რომ ჩემი მტრისათვის სასირცხვილო ვნება შთაგენერგა სასჯელის სახით, ასეთ ასაკში, ჯერ კიდევ ყრმა, ნაადრევად იკრავ მას შენს გარყვნილ გულში და გგონია, რომ მე მოვითმენ ჩემს რძლად იმას, რომელიც მეზიზღება? ან იქნებ ფიქრობ, მოტანტალევ, საზიზღარო გახრწნილო, რომ შენ ერთს შეგიძლია ჩვენი გვარის გაგრძელება, მე კი წლების მიხედვით დაორსულება აღარ ძალმიძს? მაშ იცოდე, შენზე უკეთეს მეორე ვაჟს გავაჩენ ან, უკეთ, შენდა დასამცირებლად ვიშვილებ ვინმე მონათაგანს და მას გადავცემ ამ ფრთებს, ჩირაღდანსაც, შვილდსაც, თვით ისრებსაც და მთელ ჩემ იარაღს. ეს საჭურველი ასეთი მოხმარებისათვის როდი მოგეცი. მამის ქონებიდან არაფერი ამის მსგავსი არ გრგებია. ყრმობიდანვე განებივრებული მყავდი, ხელმარდი იყავი, უფროსებს ყოველთვის ყოველგვარი პატივისცემის გარეშე ეჯახებოდი. თვით შენს დედას კი, გეუბნები, მკვლელო, ყოველდღე ჰქურდავ, ხშირად სცემ და არაფრად აგდებ, როგორც რომელიმე ქვრივს. სრულებით არ გეშინია სახელგანთქმული ღონის მქონე და უდიდესი მოლაშქრე შენი მამინაცვლისა. გარდა ამისა, ჩემს ჯიბრზე დაეჩვიე მისთვის ხასად ქალწულების მიყვანას. აი ნახავ, ამ ეშმაკობისათვის ინანებ და გაიგებ, როგორი საამო იქნება შენი შეუღლება? ასეთი დაცინვის შემდეგ რა ვქნა? როგორი საშუალებით მოვაჭკუიანო ეს უკულმართი? განა ჩემს მტერს, „თავშეკავებას“ უნდა მივმართო, რომელსაც ხშირად ამ ბიჭუნკელას გარყვნისათვის შევურაცხყო-

ფდი? საშინელებად მიმაჩნია იმ გაუთლელ სოფლის დედაკაცთან ლაპარაკი. თუმცა, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს შურისძიება, მისი ათვალისწუნება მაინც არ შეიძლება. სწორედ მას და არა სხვას შეუძლია იყოს ჩემთვის უფრო სასარგებლო, რათა ეს მატანტალა უფრო მკაცრად დავსაჯო, კაპარჭი წავართვა, ისრებისაგან განვაიარაღო, შვილდი დავუსუსტო, ჩირაღდანი ჩავუქრო და თვით სხეულზედაც კარგად გავინავარდო. მხოლოდ მაშინ ჩავთვლი ჩემს შეურაცხყოფას ანაზღაურებულად, როცა იგი ოქროზე მეტად მბრწყინავ ამის კულულებს, რომელთაც ამ ხელებით ხშირად ვუალერსებდი, მოპარსავს, ხოლო ფრთებს, მე რომ ჩემი მკერდის ნექტარის წყაროთი ვნამავდი, ძირში მიაჭრის".

37 ეს სთქვა და განრისხებული გაიქცა. მაგრამ ვენერას ნაღველი მაინც არ შენელებულა. გზაზე შემოხვდნენ ცერერა და იუნონა, და მისი მოლუშული სახის დანახვაზე შეეკითხნენ, რად აბნელებენ მოელვარე თვალების სილამაზეს მისი შეჭმუხვნილი წარბები? მან უპასუხა: „მართლაც, ისეთ დროს შემხვდით, როცა სულიერი აღშფოთების გამო მზადა ვარ თავს რამე დავმართო. გეევედრებით, ყოველ ღონეს მიჰმართოთ და მომინახოთ გაქცეული მფრინავი ფსიქეა. ჩემი სახლის დიდი შერცხვენა თქვენთვის, რა თქმა უნდა, დაფარული არ არის. და ეს თავს დამატეხა იმან, რომელსაც მე აღარ შემიძლია შვილი ვუწოდო".

ამაზე ღმერთ-ქალებმა, რომლებმაც ყველა მომხდარი ამბავი იცოდნენ, ვენერას ანთებული რისხვის დასაწყნარებლად უპასუხეს: „ქალბატონო, რა ბოროტმოქმედება ჩაიდინა შენმა შვილმა, რომ ასეთი ჯიუტობით ეწინააღმდეგები მის ბედნიერებას და გინდა დაღუპო იგი, ვინც მას უყვარს? საკითხავია: რა ცოდვაა, გაუღიმოს ლამაზ ქალწულს? განა არ იცი, რომ იგი უკვე დიდი ყმაწვილია? იქნებ დაგავიწყდა მისი წლოვანება? ან იქნებ იმიტომ სტუქსავ, რომ თავის წლოვანებისათვის ასეთი ყმაწვილური შეხედულება აქვს და ჯერ კიდევ ბავშვად გეჩვენება? შენ დედა ხარ და აზრიანი ქალი, ამავე დროს კი შვილის ცელქობას თვალყურს ადევნებ, თავგასულობას აბრალებ და შენი მშვენიერი ვაჟის მოქმედებაში ჰკიცხავ შენსავე ეშმაკობასა და სიამოვნებას. რომელი ღმერთი ან ადამიანთაგანი დაუშვებს, რომ შენ ყველგან ადამიანებში ვნებიანობა სთესო, თუ კი შენი სახლიდან სიყვარულის სწრაფვას სდევნი და ქალთა სისუსტის საზოგადოებრივ სახელოსნოს ჰხურავ?"

ცერერა და იუნონა იქ არ მყოფ კუპიდონს თავგამოდებით იცავდნენ და ცდილობდნენ ამით მისი გული მოეგოთ. ვენერა განრისხდა, რადგან მისდამი მიყენებულ შეურაცხყოფას დასცინოდნენ. განშორდა მათ, დაწინაურდა და ჩქარი ნაბიჯით სხვა მხრით, ზღვისაკენ გაეშურა.

38. ამასობაში ხეტიალით ყველგან თავისი ქმრის კვალის მაძებარ ფსიქეას მით უფრო იპყრობდა სულიერი მოუსვენრობა, რაც უფრო თავდადებით მზად იყო, რომ უკვე არა ცოლქმრული ალერსით შეენელებინა მისი რისხვა, არამედ მონურად შეევედრებოდა. და, აი, დაინახა რა ციცაბო მთის მწვერვალზე ტაძარი, გაიფიქრა: ვინ იცის, იქნებ აქ

არის ჩემი მეუფის სამყოფელიო, და მაშინვე იქით მიმართა თავისი ჩქარი ნაბიჯი, რომელსაც იმედმა და აღთქმამ დახარჯული სიმარდე დაუბრუნა. აი, უკვე მაღალი მთის ფერდობზე ასული, საკურთხეველს მიუახლოვდა. ხედავს პურის ბულულებს, ზოგან ძნებად შეკრულ პურს და ქერის თავთავებს. იქ იყო ნამგლები და მკისათვის საჭირო ყოველგვარი იარაღი, მაგრამ ყველაფერი ეს სხვადასხვა ადგილას უწესრიგოდ და უპატრონოდ ეწყო, როგორც ეს ხდება ხოლშე, როცა მუშები პაპანაქებაში ყველაფერს მიყრი-მოყრიან. ფსიქეამ ყველაფერი ეს სათითაოდ გადააწყო, გულმოდგინედ დაჰყო, საჭიროებისამებს გაანაწილა, იმ ფიქრით შეპყრობილმა, რომ მან კი არ უნდა უგულებელჰყოს ტაძარი და ღმერთთა წესები, არამედ ყველგან ლმობიერი სათნოება უნდა ეძიოს.

39 დაკვირვებული და გულმოდგინე მუშაობის დროს მას თავს წამოადგა მარჩენალი ცერერა, რომელმაც შორიდანვე შესძახა ფსიქეას: „ჰოი, სიბრალულის ღირსო ფსიქეავ! გაშმაგებული ვენერა შენს კვალს მთელ ქვეყანაზე შეშფოთებული დაეძებს, საშინელ სასჯელს გიმზადებს, მთელ თავის ღთაებრივ ძალას შენდამი შურის საძიებლად მომართავს, შენ კი ჩემთან ჭირნახულს ჰკრეფ და შენი დახსნისათვის არავითარ ღონეს არ მიმართავ“!

მაშინ ფსიქეა პირქვე დაემხო და მდუღარე ცრემლებით ფეხებს უნამავდა, თმებით მიწასა და ღმერთ-ქალის ნაკვალევს ჰფარავდა და უდიდესი ვედრებით მოწყალებისაკენ მოუწოდებდა:

„გაფიცებ შენ ნაყოფიერ მარჯვენას, მკის სასიხარულო წესებს, წმინდა კალთების მდუმარ საიდუმლოებას, ქურუმთა ფრთოსან ეტლს, შენს მსახურებს, სიცილიის ნიადაგის ხნულს, მტაცებლურ ეტლს, ჭირნახულ დედამიწას, პროზერპრინას უმზეო ქორწინებაზე ჩასვლას, ნაპოვნი ქალიშვილის მზის სინათლეზე ამოყვანას, გაფიცებ ყველაფერს, რაც ატიკის ელევსინის საკურთხეველშია დაფარული, დახმარება გაუწიო შენი მფარველობის ქვეშ მოსულ უბედურ ფსიქეას სულს. ნება მომეცი, რამდენიმე დღით მაინც, ამ თავთავთა ბულულებს შევაფარო თავი, სანამ დიადი ღმერთ-ქალის საშინელი გულისწყრომა დროთა სრბოლისაგან შენელდებოდეს ან მანამდე მაინც, სანამ დავისვენებდე და დიდი ხნის ტანჯვისაგან შილეულ ძალღონეს აღვიდგენდე“.

40. ცერერამ უპასუხა: „შენი თვალცრემლიანი ვედრებით შეშფოთებული ვარ და მინდა დაგეხმარო, მაგრამ სრულებით არა მაქვს აზრად ჩემს ნათესავ და ამასთანავე კეთილ ქალს გადავეკიდო, ასე რომ ახლავე წადი ამ შენობიდან და მიმადლე, რომ არ დაგიჭირე და ყარაულს არ ჩაგაბარე“.

ფსიქეა ამ მოულოდნელმა უარმა უფრო მეტად შეაწუხა, და იგი დაუძლურებული ხელახლა გზას გაუდგა. ღრმა დაბლობის ხშირ ტყეში შესანიშნავი ხელოვნებით ნაგები ტაძარი დაინახა. თავისი ბედის გასაუმჯობესებლად არც ერთი საშუალება (თუნდაც იგი სათუო ყოფილიყო)

არ სურდა გაეშვა ხელიდან. პირიქით, მზად იყო მიემართა ღვთაებისათვის, რომელი ღვთაებაც არ უნდა ყოფილიყო იგი. მოწყალების მძებნელი ფსიქეა ალაყაფის კარს მიუახლოვდა. დაინახა ძვირფასი შესაწირავები და ოქროს წარწერებიანი ქსოვილები, რომლებიც სვეტებზე იყო გადაფენილი და კარიბჭეებზე მიკრული. ამ წარწერებში ბალლობას უცხადებდნენ ღვთაებას. იქვე იყო აღნიშნული სახელი ღმერთ-ქალისა, რომლისადმიც მიძღვნილი იყო საჩუქრები. ფსიქეამ ცრემლები შეიმშრალა, მუხლთ მოიყარა, ხელები მოხვია ჯერ კიდევ გაუცივებელ სამსხვერპლოს და ლოცვა წარმოსთქვა:

41. „დიდი იუპიტერის დაო და მეგობარო! ხარ შენ სამოსის უძველესს საკურთხეველში, რომელსაც შენი დაბადების, ბავშვური ტიკტიკისა და ძუძუმწოვრობის ერთად-ერთ მოწმედ ადიდებენ, თუ მაღალი კართაგენის ნეტარ ნავსადგურში იმყოფები, სადაც შენ გრაცხენ ქალწულად, რომელიც ზეცას წრიტაცა ლომმა, ან ინაქეს ნაპირების ახლოს, რომელიც შენ უკვე ჰექა-ქუხილის ღვთაების მეუღლედ და ღმერთ-ქალების დედოფლად გადიდებს, თუ არგოსელთა სახელოვან კედლებთან თავმჯდომარეობ, გევედრები შენ, რომელსაც მთელი აღმოსავლეთი სიგიად გრაცხს, ხოლო დასავლეთში ყველგან ლუცინას გიწოდებენ, ჩემს უკიდურეს გაჭირვებაში მფარველ იუნონად მომევლინე და, თავზე დამტყდარ სატანჯველთა გამო შეშინებული და ქანცმილეული, მოსალოდნელ საფრთხისაგან გამანთავისუფლე. რამდენადაც ვიცი, სიხარულით უწევ მფარველობას საფრთხეში მყოფ საბრალო ქალებს“.

როცა იგი ამგვარად შეჰღაღადებდა, უცებ გაჩნდა მის წინ იუნონა მთელი თავისი სიდიადით, როგორც ასეთ ღმერთ-ქალს შეეფერებოდა. მან მაშინვე მიმართა ფსიქეას: „დამიჯერე, რომ სიხარულით შეგისრულებდი თხოვნას, მაგრამ სინდისი ნებას არ მაძლევს ვიმოქმედო ჩემი რძლის, ვენერას, სურვილის წინააღმდეგ, იმ ვენერასი, რომელიც ყოველთვის შვილივით მიყვარდა. არ მაძლევენ ამის ნებას არც კანონები, რომლებიც გვიკრძალავენ სხვა ქვეყნებიდან გამოქცეულ მონათა მფარველობას მათი პატრონების ნებადაურთველად“.

42. თავისი იმედების ხელმეორე მარცხით შეშფოთებულმა ფსიქეამ, რომელიც ვერასგზით ვერ ეღირსა თავისი ფრთოსანი მეუღლის პოვნას, ხელი ჩააქნია თავის ბედზე და ასეთ ფიქრებს მისცა თავი: „ვის შეუძლია სცადოს ჩემი დახმარება, ვის შეუძლია მხარი დამიჭიროს, როცა არც ერთ ღმერთ-ქალს, მიუხედავად სურვილისა, არ ძალუძს სარგებლობა მომიტანოს? ყოველმხრივ მახეებს მიგებენ და ახლა საით და ვისკენ მივმართო ჩემი ტერფები, რათა დიდ ვენერას მოუშორებელ თვალს დავემალო? დროა, ჩემო თავო, ვაჟკაცური გამბედაობით შეიარაღდე, საშუდამოდ უარჰყო ცარიელი, ფუჭი იმედი და ნებაყოფლობით დაემორჩილო დედოფლის განკარგულებას. იქნებ ამ, თუმცა დაგვიანებული, თავმდაბლობით შესძლო მისი სასტიკი დევნა შეანელო? ვინ იცის, იქნებ ისიც, ვისაც ამდენი ხანი დაეძებ, იქ, მშობლის სახლში, იპოვო?“

ამგვარად, საეჭვო თავმდაბლობის ცდისთვის, უფრო სწორად, დალუპვისთვის განმზადებული ფსიქეა ფიქრობდა, რით დაეწყო თავისი სათხოვარი სიტყვა.

43. ვენერამ კი, დედამიწაზე ძებნის უნაყოფობაში დარწმუნებულმა, ზეცას მიაშურა. ბრძანა, შეებათ ეტლი, რომელიც ოქრომჭედელმა ვულკანმა შეუღლების წინ მშვენიერი ხელოვნებით გააკეთა, როგორც საქორწინო საჩუქარი. წმინდა ხერხით გამოასწორა, ოქროს შემცირებით სილამაზე შეჰმატა, და იგი უფრო გამშვენიერდა. მრავალ მტრედთაგან, მუდმივ რომ დედოფლის ოთახის წინ დაფრინავენ, განირჩევა თოვლივით თეთრი ორი წყვილი. ისინი მხიარული ფრენის დროს ჩამოსხმულ ყელებს გაიბერტყავენ, ძვირფას მოსართავებში ებმებიან და ეტლში ქალბატონის ჩაბრძანების შემდეგ სიხარულით მაღლა მიფრინავენ. ვენერას ეტლს მხიარული ჭიკჭიკით მიაცილებენ ბეღურები და სხვა წკრიალახმებიანი ჩიტები. ტკბილად ავსებენ ჰაერს ნაზი სიმღერით და ღმერთ-ქალის მობრძანებას იუწყებიან. ღრუბელი იშლება, ცა იხსნება თავისი ქალიშვილის წინაშე. უმაღლესი ეთერი სიხარულით ღებულობს ღმერთ-ქალს, და დიდ ვენერას მომღერალ ამალას შემხვდომ არწივებისა და მტაცებელი ქორების არ ეშინია.

44. მან მაშინვე იუპიტერის სამეფო პალატებისაკენ მიაშურა და ამაყად გამოუცხადა იუპიტერს, რომ მისთვის აუცილებელია ხმოსანი ღმერთის, მერკურის დახმარება. იუპიტერის ლეგა წარბებს უარი არ გამოუხატავთ. გახარებული ვენერა, მერკურის თანხლებით, დაუყოვნებლივ მიწაზე დაეშვა და თანამგზავრს მღელვარებით უთხრა: „ჩემო ძმაო, არ-ყადიელო, შენ იცი, რომ შენს დას, ვენერას, არასოდეს მერკურისაგან დაფარულად არაფერი არ გაუბედავს. ყოველ შემთხვევაში შენთვის ცნობილია, რომ დიდი ხანია ვეძებ და ვერ მიპოვნია ჩემგან გაქცეული მოსამსახურე ქალი. მეტი გზა აღარა მაქვს, შენი საშუალებით სახალხოდ უნდა გამოვაცხადო, რომ ვინც მის სამყოფელ ადგილს მიჩვენებს, დავაჯილდოვებ. აი ეს საჩქაროდ გამოაცხადე. ამასთანავე დაწვრილებით და ზუსტად ჩამოსთვალე მისი ნიშნეულობა, თუ კი ვინმემ არ იცის, რათა თუ ვინმე მის ბოროტად დამალვას გაჰბედავს, უცოდინარობით თავის მართლება არ შეეძლოს“. ამ სიტყვებით გადასცა მას ფურცელი, სადაც აღნიშნული იყო სახელი ფსიქეა და სხვა, და მაშინვე გაბრუნდა თავის სახლში.

45. მერკურიმ არ დააყოვნა დავალების შესრულება და მყის შემოირბინა ხალხი. განცხადება ასეთი იყო:

„იმ შემთხვევაში, თუ ვინმე შესძლებს დააბრუნოს ვენერას ლტოლვილი მსახური, მეფის ასული, სახელად ფსიქეა, ან დაასახელოს ადგილი, სადაც იგი თავს აფარებს, ამის შესახებ მურტიის საზღვრებს იქით გზირ მერკურის ვანუცხადოს, რისთვისაც ჯილდოდ მიიღებს თვით ვენერასაგან შვიდ ტკბილ კოცნასა და თაფლივით ალერსიანი ენის ერთ შეხებას“.

მერკურის ამგვარმა მოწოდებამ და ჯილდოს მიღების სურვილმა ყველა წააქეზა. ძებნის დაწყებას ერთიმეორეს ასწრებდნენ. საქმის ასეთმა ვითარებამ საბოლოოდ გადააწყვეტინა ფსიქეას, უკუეგდო ყოველგვარი დაყოვნება. იგი უკვე უახლოვდებოდა თავისი მეუფის ალაყაფის კარს, რომ უცებ ვენერას შინაყმათა რიცხვიდან „ჩვეულებამ" მიირბინა და შეუტია: „საძაგელო მსახურო, როგორც იყო მოისაზრე, რომ ქალბატონი გყავს! ნუთუ შენი ფლიდი ხასიათის მიხედვით მოიგონებ, რომ არ იცოდი, რა შრომად გვიჯდებოდა შენი ძებნა? მაგრამ კარგია, რომ სწორედ მე ჩამივარდი ხელში, თითქოს ჯოჯოხეთურ მუხრუჭში თვით გაჰყავი თავი. დაუყოვნებლივ დაისჯები თავხედობისთვის!" — სწრაფად სწვდა თმაში და წაათრია. ფსიქეა კი არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა.

46. როგორც კი დაინახა ვენერამ, რომ ფსიქეა მიიყვანეს და მის წინ დააყენეს, რისხვისაგან სიგიჟემდე მისული ადამიანივით ხარხარი წასკდა. თავი აიქნია, მარჯვენა ყურის ქექვა დაიწყო. უთხრა:

„როგორც იქნა ნახვის ღირსი გახადე დედოფალი! ან იქნებ ქმრის მოსანახულებლად მობრძანდი, შენის წყალობით რომ წყლულებისაგან იტანჯება? მაგრამ იმედი გქონდეს, რომ შევსძლებ გაგისწორდე ისე, როგორც კეთილ რძალს ეკადრება!" მერე დაიყვირა: „სად არიან ჩემი მსახურნი „ზრუნვა" და „ჭმუნვარება"? ძახილზე მსახურნი გამოცხადნენ. ქალბატონის ბრძანებით, ფსიქეა წაიყვანეს, გაამათრახეს, სხვადასხვა გვარად აწამეს და მერე ისევ ქალბატონს მიჰგვარეს. ვენერამ კვლავ გადაიხარხარა, მერე უთხრა:

„უთუოდ გგონია, რომ ჩემში თანაგრძნობას გამოიწვევს შენი გაბერილი მუცლის დანახვა, რომლის მშვენიერი ნაყოფი ჩემს გაბედნიერებას აპირებს დიდედის სახელწოდებით? სწორედ დიდი პატივია ჩემთვის აყვავების წლებში დიდედად ვიწოდო და მოვუსმინო, როგორ უწოდებენ მონა-ქალის ბავშვს ვენერას შვილიშვილს. ჩემის მხრით სისულელე იქნებოდა იგი მემკვიდრედ მეცნო: შეუღლება შეუფერებელი იყო, ამასთან-იგი მოხდა ქალაქ გარეთ მდებარე შენობაში, უმოწმეებოდ და მამის ნებადურთველად, ამიტომ იგი კანონიერად არ შეიძლება ჩაითვალოს. მისი შედეგიც უკანონო იქნება, თუ მე მისი შობის საშუალებას მოგცემ".

47. ეს რომ სთქვა, ეცა ფსიქეას, ტანსაცმელი შემოაგლიჯა, თმით ათრია და სცემა. შემდეგ აიღო ჭვავი, ქერი, ფეტვი, ყაყაჩო, მუხუდო, ოსპი და ლობიო, ყველა ეს ერთმანეთში აურია, ბლომად დაახვავა და უთხრა ფსიქეას:

„მე მგონია, ასეთ საძაგელ ყურმოჭრილ მონას საყვარლის მოჯადოვება, გარდა ერთგული სამსახურისა, არაფრით შეეძლო. მეც მინდა შენი ცოდნის გამოცდა. ეს შერეული თესლების ხვავი გადაარჩიე, როგორც წესი და რიგია, ცალცალკე მარცვლებად, ხარისხის მიხედვით, და შენი ნამუშევარი საღამომდე წარმომიდგინე შესამოწმებლად".

ასე უბრძანა და თვითონ საქორწინო ლხინში წავიდა. ფსიქეამ ხელიც არ მიაკარა ამ არეულ და გადასარჩევად შეუძლებელ ხვავს, იგი შეწუხებული იყო მკაცრი ბრძანებით და არ ინძრეოდა. უცებ ერთმა პაწაწა ხის ჭიანჭველამ, დედამთილის შურით აღშფოთებულმა ჭიანჭველამ, რომელმაც იცოდა, თუ რა ძნელი იყო მსგავსი სამუშაო, რომელსაც ძალზე შეეცოდა ღვთაების მეუღლე, მიირბინ-მოირბინა, გულმოდგინედ მოუწოდა მეზობელ ჭიანჭველებს და სთხოვა მათ: „შეიცოდეთ ყველას მკვებავი დედამიწის მკვიდრნი, შეიცოდეთ ამურის ახალგაზრდა ლამაზი მეუღლე და სწრაფად გამოეშურეთ უბედურის დასახმარებლად“. დაიძრა ექვსფეხა ცხოველთა ლაშქარი. მათ დიდის გულმოდგინეობით გადაარჩიეს თესლის ხვავი, ხარისხის მიხედვით დაანწილეს და სასწრაფოდ თვალს მიეფარნენ.

48. საქორწინო ზეიმიდან ვენერა გვიან დაბრუნდა. ღვინით შეზარხოშებული კეთილსურნელებას აფრქვევდა, მთელი სხეული მოელვარე ვარდების წნულებით ჰქონდა მორთული. და ასე გულმოდგინედ, ზეადამიანური ძალღონით შესრულებულ სამუშაოს დანახვაზე შეჰყვირა: “საძაგელო, შენი არ არის, შენი ხელის ნამუშევარი არ არის! ეს იმან გააკეთა, ვისაც თავის თავისა და შენდა საუბედუროდ მოეწონე!“ ამ სიტყვებზე გადაუგდო ფსიქეას შავი პურის ნატეხი და დასაძინებლად წავიდა. ამ დროს იმავე სახლის ცალკე ოთახში ჩაკეტილი კუპიდონი ფხიზლად იყო. ფრთხილობდა ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავისი დაუდგრომლობით ჭრილობა არ გაემწვავებინა, ნაწილობრივ კიდევ იმიტომ, რომ თავის სატრფოს არ შეხვედროდა. ასე გავიდა შავბნელი ღამე განმარტოებულ. თუმცა ერთ ჭერქვეშ, მაგრამ ცალცალკე მყოფ მიჯნურთათვის.

და როგორც კი ავროორა ცის თაღზე აღმობრწყინდა, ვენერამ ფსიქეას მოუხმო და ასეთი სიტყვებით მიმართა: „ხედავ იმ ტევრს, მდინარის ნაპირამდე რომ აღწევს, რომლის ღრმა მორევის მიხედვით ვერ იტყვი, ახლოა თუ არა მისი სათავე? იქ ყოველგვარი თვალყურის უდევნებლად დაეხეტებიან კარგად გამოკვებილი, ოქროს მატყლით შემოსილი ცხვრები. გიბრძანებ, დაუყოვნებლივ მომიტანო ერთი ბღუჯა ძვირფასი მატყლი იშოვე, რა გზითაც გსურდეს“.

49. ფსიქეა სიხარულით გაეშურა არა იმიტომ, რომ დავალება შეესრულებინა, არამედ იმიტომ, რომ მდინარის ტალღებში ხსნა ეპოვა თავის უბედურებისაგან. მაგრამ უცებ მდინარიდან მოისმა უტკბილესი მუსიკის შშობლის, ნელი ნიავისაგან აშრიალებული მწვანე ლერწმის ხმა: „ამდენ უბედურებათა გადამტანო ფსიქეავ! ჩემს წმინდა წყალს შენი ავი სიკვდილით ნუ შებილწავ, ნურც მიუახლოვდები ახლა ამ საშინელ ცხვრებს: პაპანაქების დროს ისინი ჩვეულებრივ გიჟდებიან და ადამიანს ემუქრებიან ხან რქებით, ხან მაგარი შუბლით, ხან კიდევ შხამიანი კბენით. მაგრამ ნაშუადღევს, როცა გზის მცხუნვარება ნელდება და ფარა მდინარეში გრილდება, შეგიძლია ამოეფარო ფართო ჭადრის ხეს, რომელსაც ჩემსავით ეს მდინარე ასასზრდოებს; როგორც კი ცხვარი დასცხრება, საკმაო მახ-

ლობელი ხეების წვერების დარხევა, რათა დახრილ ტოტებზე გარჩენილი ოქროს მატყლი მოიპოვო".

50. ასე ალალმართლად და ადამიანურად არიგებდა ლერწამი წამებულ ფსიქეას და ასწავლიდა, თუ როგორ დაეღწია თავი დარუბანისგან. ფსიქეაც გულმოდგინედ ისმენდა მის რჩევას, და არც უნანნია: ყველაფერი ისე შეასრულა, ფარულად მოკრიბა მთელი კალთა რბილი ოქროსფერ-მოყვითალო მატყლი და ვენერას მიართვა. თუმცა ფსიქეამ აასრულა ასეთ ხიფათთან დაკავშირებული ბრძანება, მაგრამ ქალბატონის გული მაინც ვერ მოიგო. ვენერა წარბებშეჭმუხვნილი მწარე ღიმილით ეუბნება: „ჩემთვის უცნობი არ არის ის მრუში, რომელმც ეს საქმე გააკეთა. მაგრამ, აი, გამოგცდი, როგორც საჭიროა, და გავიგებ, მართლა ასეთი სულიერი ძლიერებისა და გონების პატრონი ხარ თუ არა. ხედავ, აი იმ მთის ციცაბო კლდეს, სადაც ღრუბლოვან წყაროდან შავი წყლები გამომდინარეობენ, რომლებიც ამ ბარს უახლოვდებიან / და სტიქსის ჭაობების მორწყვის შემდეგ კოკიტის ხმაჩახლეჩილ ტალღებს ასაზრდოებენ? იქიდან, წყაროს ღრმა სათავიდან, ყინულოვან წყალს ამოიღებ და დაუყოვნებლივ ამ ჭურჭლით მომიტან". ამ სიტყვებს გამძვინვარებულმა ვენერამ წყევლა-კრულვა დაურთო და ნათალი ბროლის ბოთლი მიაწოდა.

51. ფსიქეა აჩქარებული ნაბიჯით გაეშურა მთის მწვერვალისაკენ იმ იმედით, რომ იქ მაინც ჰპოვებდა თავისი გაწამებული სიცოცხლის აღსასრულს. მაგრამ როგორც კი მწვერვალზე ავიდა, მიხვდა, თუ რა საბედისწერო დაბრკოლება ელობებოდა ამ საქმეს. კლდე ძალზე დიდი იყო, საშინლად დაქანებული და უიმედო სიმაღლისა. თავისი ქვიანი ვიწროებიდან იგი შემაზრზენი ხმაურით ისროდა წყაროებს. წყაროების წყალნი ძირს ეშვებოდნენ და, ვიწრო არხში შემალულნი, მეზობელ დაბლობში გამომდინარეობდნენ. მარჯვნივ და მარცხნივ ღრმა ხვრელებიდან გრძელ კისერ-გამოწვდილი მძვინვარე ვეშაპები იხედებოდნენ. მათი თვალები შუდამ მოუხუჭავად ფხიზლობდნენ. ამასთან ლაპარაკის უნარის მქონე წყალნი თავდასაცავად ხანგამოშვებით ყვიროდნენ: „უკან! რას ჩადი? უფრთხილდი! საით? გაიქეც! დაიღუპები!" ფსიქეა დარწმუნდა, რომ დავალებას ვერ შეასრულებდა და გაქვავდა. გამოუვალ საშიშროებათა სიძნელის გამო თავზარდაცემული უკანასკნელ იმედს — ცრემლებსაც კი მოკლებული იყო.

52. მაგრამ უდანაშაულო სულის ტანჯვა არ გამოეპარა კეთილი განგების სამართლიან თვალს. მოულოდნელად თავს წამოადგა მაღალი იუპიტერის ფრინველთა მეფე, ფრთებგაშლილი, მტაცებელი არწივი. გაიხსენა თავისი ძველი სამსახური, როცა კუპიდონის შთაგონებით იუპიტერისთვის ფრიგიელი მერიქიფე მოიტაცა. იფიქრა, თუ კუპიდონის მეუღლეს გასაჭირში დროზე დახმარებას აღმოუჩენს, ამით პატივს სცემს თვით ღმერთს. მან დასტოვა იუპიტერის მაღლობები, ქალის თვალწინ დაიწყო ფრენა და ბოლოს უთხრა: „შენ, გულუბრყვილოვ, ასეთ საქმეებში გაძოუცდელს, ნუთუ იმედი გაქვს, რომ ერთ წვეთ წყალს მაინც მოიპარავ

ან, თუნდაც, მიუახლოვდები ამ წმინდა, მაგრამ საშიშ წყალს? განა აო გაგიგონია, რომ ამ სტიქსის წყლებისა ეშინიათ ღმერთებს და თვით იუპიტერსაც კი? როგორც თქვენ ღვთაებათა ძლიერებას ჰფიცულობთ, ისე ზეცის მკვდრით ჩვეულებად ქვთ მოწმედ სტიქსის დიდებას მოუხმონ. მომეცი შენი ჭურჭელი!“ და არწივმა სწრაფად ბრჭყალებში მოიმწყვდია ბროლის ჭურჭელი, უზარმაზარი ფრთები წონასწორობაში მოიყვანა, ვეშაპთა დაღებულ ხახებს, დაღრჭენილ კბილებსა და სამწვერიან ენებს შორის ხან მარჯვნივ და ხან მარცხვნივ იხრებოდა და ასე მიაშურა სასურველ წყალს. როცა მათ შეჰყვირეს, გაგვეცალე, სანამ უვნებელი ხარო, მან საპასუხოდ ჰოიგონა, ვენერას ბრძანებით ვარ მოსული მისი დავალების შესასრულებლადო, და წყაროსთან მისვლის საშუალება მიეცა.

53. ამგვარად ავსებული ჭურჭელი ფსიქეამ სიხარულით მიიღო და სწრაფად მიუტანა ვენერას, მაგრამ ახლაც კი ვერ დაიმსახურა განრისხებული ღმერთ-ქალის ქება. ვენერა ბოროტი ღიმილით უარეს ბედს უმზადებდა უბედურს. მან მიმართა ფსიქეას: „როგორც ვხედავ, შენ დიდად გამოცდილი ჯადოსანი ყოფილხარ, რომ ასე ასრულებ ძნელ დავალებებს. მაგრამ აი, ჩემო კარგო, რა უნდა გამიკეთო: წაიღე ეს ქილა და სასწრაფოდ გაეშურე საიქიო ქვესკნელის ორკეს სამეფოში. იქ პროზერპინას მისცემ ქილას და ეტყვი: ვენერა გთხოვს გაუგზავნო შენი სილამაზის სულ მცირედი ნაწილი — ერთი დღით მაინც, რადგან მან საკუთარი სილამაზე დაკარგა, სანამ ავადმყოფ შვილს უვლიდა-თქო. მაგრამ დაუყოვნებლივ დაბრუნდი, რადგან მე იმ სილამაზით ღმერთების კრებაზე დასასწრებლად ძალიან ჩქარა უნდა ვისარგებლო“.

54. ფსიქეამ მაშინ მეტად, ვიდრე ოდესმე, იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა, რადგან ყველაფერი ცხადად უჩვენებდა, რომ მას ნამდვილად დასაღუპავად გზავნიდნენ. ამაზე მეტი რაღა იქნებოდა? უბრძანებდნენ, თავისი ფეხით წასულიყო ტარტარში, გარდაცვლილთა სულებთან. იგი დაუყოვნებლივ გაეშურა ერთი მაღალი კოშკისაკენ, იქიდან ძირს გადასავარდნად, რადგან ფიქრობდა, რომ ეს საუკეთესო საშუალება იყო ქვესკნელში მოსახვედრად. მაგრამ კოშკმა უეცრად ხმა ამოიღო და უთხრა: „უბედურო, შენი აღსასრული ქვესკნელში რად უნდა ეძიო? ახალი საშიშროება და შრომა აგრე ადვილად რადა გგვრის სასოწარკვეთილებს? შენი სული რომ სხეულს განშორდება, რა თქმა უნდა, ტარტარში წახვალ, მაგრამ იქიდან ველარავითარი გზით ველარ დაბრუნდები. მომისმინე:

55. აქვე ახლოს არის ლაკედემონი, კეთილშობილი აქაიის ქალაქი. მის მახლობლად მონახე დასახლებული ადგილებით გარშემორტყმული ტენარი. იქ არის დიტის ხვრელი, ღია ჭიშკრიდან გაუვალი გზა სჩანს. როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებ და იმ გზას დაადგები, პირდაპირი მიმართულებით წადი და ორკეს სამეფოს მიაღწევ. მაგრამ იმ წყვდიადში ცარიელი ხელებით არ უნდა შეხვიდე, თითოეულში თაფლითა და ღვინით შეზავებული ქერის ნამცხვარი დაიჭირე, ხოლო პირით სპილენძის

ორი ფული წაიღე. გაივლი თუ არა მომაკვდინებელი გზის საგრძნობ ნაწილს, შეშით დატვირთული კოჭლი ვირი შეგხვდება კოჭლივე გამდენით. გამდენი მოგმართავს თხოვნით, აუწიო კონიდან, გადმოვარდნილი შეშა. მაგრამ შენ ხმა არ გასცე და ჩუმად განაგრძე გზა. მალე მიცვალებულთა მდინარეს მიაღწევ, რომლის უფროსად ქარონია დაყენებული. იგი გასამჯელოს მოითხოვს და მხოლოდ მაშინ გადაგიყვანს პატარა ნავით მეორე მხარეს. როგორც ხედავ, გარდაცვლილთა შორისაც ანგარებაა. არც ქარონი და ჯერც თვით დიდი ღმერთი დიტი უსასყიდლოდ არაფერს არ აკეთებენ და ღარიბმა მოკვდავმა გზისათვის ფული უნდა მოიმარაგოს, რადგან თუ მას ნაღდი სპილენძი არ ექნება თან, არავინ დართავს ნებას სული განუტევოს. გადაყვანისთვის ერთ ფულს მისცემ იმ ბინძურ მოხუცს. მაგრამ ისე, რომ თვით მან უნდა გამოგიღოს პირიდან ფული, როცა ნელ რუს გადაივლი, გარდაცვლილი მოხუცი გამოცურდება, გახრწნილ ხელს გამოგიწვდის და გთხოვს, ნავში ჩასვა. მაგრამ სიბრალულის გრძნობას არ მიეცე: იგი უადგილოა.

56. როცა, მდინარეზე გადასვლის შემდეგ, მცირე მანძილს გაივლი, ქსოვაში გართულ მოხუც მქსოველებს დაინახავ; ისინი გთხოვენ, ოდნავ მაინც შეახო ხელი მათ ნამუშევარს. მაგრამ შენ ხელი არ ახლო. ყველაფერი ეს და ბევრი ამის მსგავსი ვენერას ცბიერების შედეგი იქნება, რათა ხელიდან ერთი ნამცხვარი მაინც გაგაგდებინონ. ნუ გგონია, რომ ამ ნამცხვარის დაკარგვა უბრალო საქმე იყოს: ერთიც რომ დაჰკარგო, დღის სინათლეს ვეღარ იხილავ. პროზერპინას კარებთან დაგხვდება უზარმაზარი და საშინელი ძაღლი. გააფთრებული ყეფით იგი ტყუილად აშინებს გარდაცვლილებს, რომელთაც ის ვერავითარ ვნებას ვერ მიაყენებს. ის მუდამ პროზერპინას კარებთან წევს შავს აივანზე და დიტის ფართო პალატებს იცავს. მას დასამშვიდებლად ერთ ნამცვარს მიუგდებ და იოლად გაივლი მის გვერდით. თვით პროზეპინამდეც მიაღწევ, იგი სიყვარულითა და ლმობიერად მიგიღებს. გთხოვს, რბილად მოისვენო და მდიდრული სუფრა იგემო. მაგრამ შენ მიწაზე დაჯექი და მხოლოდ შავი პური აიღე, შემდეგ კი მოახსენე, რა საქმეცა გაქვს. მიიღე, რასაც მოგცემენ და უკან გამობრუნდი. დარჩენილი ნამცხვრით ძაღლის მძვინვარება დააცხრე. ძუნწ მოხუცს გადმოსაყვანად შენახული სპილენძის ფული მიეცი. მდინარეზე რომ გადმოხვალ, წინანდელი გზით უკან დაბრუნდები და კვლავ იხილავ მნათობთა ფერხულს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაგაფრთხილო: არ იფიქრო ქილის გახსნა, რომელიც ხელში ვექნება, ნუ ეცდები მასში დამალული ღვთაებრივი სილამაზის საუნჯის ნახვას.“

57. ასე გადასცა მას შორსმჭვრეტელმა კოშკმა თავისი წინასწარმეტყველება. ფსიქეამ დაუყოვნებლივ ტენარს მიაშურა, თან დარიგებისამებრ სპილენძის ფული და ნამცხვრები წაიღო. საიქიოს გზით გაემართა. ვირის საწყალ გამდენს ჩუმად გვერდი აუარა. გადამყვანს სპილენძის ფული მისცა, გამოცურებული მიცვალებულის თხოვნა უყურადღებოდ დასტოვა,

მქსოველთა ვედრება არაფრად ჩააგდო, ძაღლის მძვინვარება ნამცხვრით დააცხრო და ასე მიაღწია პროზერპინას სასახლეს. დასასახლოებს მიერ რბილი სავარძლის შეთავაზებამ და მდიდრულმა სანოვაგემ ვერ შეაცდინა. ფსიქეა შავი პურით დაკმაყოფილდა, პროზერპინას ფეიერვერკ დაჯდა და ვენერას დავალება გადასცა. მიღებისთანავე დამალა სავსე და დაცობილი ქილა. ძაღლს გულის მოსანადირებლად უკანასკნელი ნამცხვარი პირში ჩაუდო. დარჩენილი სპილენძის ფული გადმოსაყვანად გადაიხადა, და ქვესკნელიდან ბევრად უფრო გამხნევებული გამოვიდა, ვიდრე იქ შედიოდა. კვლავ იხილა ნათელი ქვეყანა და თაყვანი სცა მას. თუმცა დავალების შესრულებას ძალიან ჩქაროდა, მაგრამ ახირებულმა ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო იგი: „რა სულელი ვარ. — გაიფიქრა, — თან მიქონდეს ღვთაებრივი სილამაზე და მცირეოდენიც კი რ ავიღო აქედან ჩემთვის, ჩემი მშვენიერი შეყვარებულის მოსაწონებლად!“ გაიფიქრა ეს და ქილას თავი მოხსნა.

58. არავითარი ღვთაებრივი სილამაზე არ იყო იქ: ქილიდან ამოვარდა ჭეშმარიტად სტიგიური ქვესკნელის ძილი. მთელი მისი სხეული სქელმა ბურუსმა მოიცვა და ისე შებოჭა, რომ ნაბიჯის გადადგმაც კი ველარ მოახერხა და იქვე ბილიკზე დაეცა. ისე გაუნძრევლად იწვა, როგორც მომაკვდინებელი ძილით შეპყრობილი. ხოლო მძიმე წყლულისაგან განკურნებულმა კუპიდონმა ველარ მოითმინა ფსიქეას ამდენი ხნის მიუსვლელობა, გაძვრა იმ ოთახის მაღალი ფანჯრიდან, რომელშიაც დატყვევებული იყო, და დიდი ხნის დასვენებული ფრთებით ორმაგი სისწრაფით გაჰქროლა. იპოვა თავისი ფსიქეა, დიდის მზრუნველობით მოაშორა ძილი, შეინახა იგი თავის ადგილას ქილაში, ფსიქეა უხიფათოდ გაღვიძა თავისი ისრით და უთხრა: „აი, შე საბრალოვ, კინაღამ კვლავ დაგღუპა შენმა ცნობისმოყვარეობამ. წადი. გულმოდგინედ შეასრულე დედიჩემის მიერ დავალებული საქმე, ხოლო დანარჩენისთვის მე ვიზრუნებ“. ამ სიტყვების შემდეგ კუპიდონი გაფრინდა, ფსიქეა კი პროზერპინას საჩუქრით ვენერასთან გაეშურა.

59. ძლიერი სიყვარულით შეპყრობილმა კუპიდონმა, თავისი დედის მოსალოდნელი სისასტიკით შეშინებულმა, ძველ ეშმაკობას მიმართა: სწრაფი ფრთებით ზეცის მაღალ თაღებში ასრიალდა, სევდიანი სახით და ვედრებით იუპიტერთან მივიდა და საქმის ვითარება აცნობა. იუპიტერმა კუპიდონს ლოყაზე ხელი მოუცაცუნა, მიიტანა მისი ხელი თავის სახესთან, დაჰკოცნა იგი და უთხრა: „პატივცემულო შვილო! მართალია, არასოდეს შენ ღვთაებათა კრების მიერ მოკუთვნებულ სათანადო პატივს არ მცემდი, პირიქით, ამ მკერდს, სადაც წინასწარ განისაზღვრება სტიქიონთა და მნათობთა მოძრაობის კანონები, ხშირად მიწყლულებდი და მიწიერ შემთხვევათა გულისთქმით მიკოდავდი, ამით ჩემს პატივსა და კეთილ სახელს ჩირქს სცხებდი, მარღვევინებდი კანონებს, თვით იულიოსის კანონს და საზოგადოებრივ ზნეობასაც კი და ამას აღწევდი იმით, რომ დასამცირებლად მშვენიერ გარეგნობას ხან გველის, ცეცხლის, მხეცის

ფრინველის, ხან კიდევ შინაური პირუტყვის სახედ მიცვლიდი, — მაგრამ გავიხსენებ ჩემს თავმდაბლობას და აგრეთვე იმას, რომ შენ ჩემს ხელში გაიზარდე და შევასრულებ ყველა შენ სურვილს, მხოლოდ ასეთი მოწყალების სამაგიეროდ, თუ ამჟამად დედამიწაზე მოიპოვება განსაკუთრებული სილამაზის მქონე ქალწული, უნდა მომგვარო შე."

60. ეს სთქვა და მერკურის განკარგულება მისცა, მოეწვია ღმერთების კრება და გამოეცხადებინა მათთვის, რომ ვინც ზეციურ საბჭოს არ დაესწრება, ჯარიმად ათიათასი ნუმი გადახდება. ასეთი ჯარიმით შეშინებულ ზეციერთ სწრაფად აავსეს ღმერთთა საკრებულო, და ყველაზე უფრო ამაღლებულ ადგილას მჯდომმა იუპიტერმა ასე დაიწყო:

„მუზათა შორის ამორჩეულო ღმერთებო! თქვენ, რა თქმა უნდა, იცნობთ ამ ყრმას, ჩემი საკუთარი ხელით გმოზრდილს. გადავსწყვიტე, ლაგამი ამოვდო მის ახალგაზრდულ თავხედ სიშმაგეს: ბოლო უნდა მოეღოს იმას, რომ ყოველდღიური მრუშობისა და ყოველგვარი სისაძაგლის დაბრალებით სახელს უტეხენ. უნდა აღმოვფხვრათ ამ ამბების ყოველგვარი საბაბი და შეუღლების ხლართით შევბორკოთ მისი ბავშვური თავაშვებულობა. მან თავისი არჩევანი ერთ ქალწულზე შეაჩერა და მას უბიწოება დააკარგვინა. დეე დარჩეს იგი ამასთან, დეე, დაეუფლოს მას და ფსიქეას მკერდზე მარადი სიყვარულით ინერატოს".

შემდეგ ვენერას მიუბრუნდა:

„შენ კი, ჩემო ქალიშვილო, უკუაგდე ყოველიგვარი სევდა და ნუ გეშინია, რომ შენი შთამომავლობა ან შენი სახელი დაზარალდება მოკვდავთან ქორწინებით. საქმეს ისე მოვაწყობ, რომ შეკავშირება მოქალაქეობრივი წესის შესაფერისი იყოს."

მერკურის განკარგულება მისცა და ფსიქეა ზეცაში ააყვანინა. იუპიტერმა მიაწოდა ფსიქეას თასით ამვროზია და უთხრა:

„მიიღე ეს, ფსიქეავ, უკვდავ იქმენ და კუპიდონი ნურას დროს ნუ მოშორდება შენს მკერდს. დეე, თქვენი კავშირი სამარადისო იყოს!"

61. სწრაფად შლიან მდიდრულ საქორწინო სუფრას. საპატიო ადგილი ეჭირა სიძეს, რომელსაც თავისი ფსიქეა მკერდზე მიეკრა. ასეთსავე მდგომარეობაში იყო იუპიტერი თავისი იუნონათი, და ასე, თან მიმდევრობით, დანარჩენი ღმერთებიც. ნექტარს, ღმერთების ამ ღვინოს, იუპიტერს აწვდიდა მისი მერიქიფე, სახელგანთქმული სოფლელი ყრმა. დანარჩენ სტუმრებს კი — ლიბერი. ვულკანი საჭმელებს ამზადებდა. ჰორები ალისფერ ვარდებს და სხვა ყვავილებს ჰფენდნენ, გრაციები კეთილსურნელებას ასხურებდნენ. მუზები ჰაერს სიმღერით ავსებდნენ. აპოლონი კითარაზე დამღეროდა. ხოლო მშვენიერი ვენარა მუსიკის ჰანგზე საამოდ ცეკვავდა. მუზები მღეროდნენ და ფლეიტებზე უკრავდნენ, სატირები და ჭაბუკი პანები სალამურებს აკვნესებდნენ. ასე გადასცეს კუპიდონს ფსიქეა. და მალე მათ შეეძინათ ქალიშვილი, რომელსაც ჩვენ „გულისთქმას" ვუწოდებთ.

თარგმ. **თ. ყიფიანისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ამისულაშვილი

თერთმეტი მუხა

სად ლაჟვარდები მარგალიტებს ჰფანტავენ უხვად
და მკერდმოხატულ დედამიწას დაჰკრავს რძის სუნი, —
დგას რაინდულად ტოტმაგარი თერთმეტი მუხა,
როგორც თერთმეტი ძმადშეფიცული!..
ბევრჯელ უსვრიათ
ქარაშოტებს ღრუბლის ქამანდი,
რომ ეს მუხები მოეტაცნათ საბუდრიანად,
ბევრჯელ ყოფილა ყიამეთში მეხთა ნავარდი
და უდენია სისხლის ნიაღვარს, —
მაგრამ გმირები,
უძლეველნი დარჩნენ გმირებად,
ნუჟრიან მხრებზე წამოუსხამთ ლურჯი ნაბდები...
ჩაივლის მგზავრი,
შეჩერდება დაყრილ ჩრდილებთან, —
შუბლზე გადუვლის შარავანდედი!..
ბევრგან ყოფილა,
არ უნახავს ასეთი მხარე!
ყველგან უდაბნო,
ყველგან დარდი და მწუხარება.
დაჯდება დინჯად,
ამოიფშვნეტს დასიცხულ თვალებს
და იტყვის: მორჩა უიმედო გზებზე ტარება!..
მიმოიხედავს. —
მოჰყვებიან მგზავრებს მგზავრები
და მოაცილებთ კალმახიან წყლების მაყრული!
წითლად ბრწყინავენ
ყაირები და უზანგები...
ავშარას ჰგლეჯავს ბედაური, მათრახ დაკრული,
მოდიან, მოაქვთ სიმხურვალე დამწვარ ტერფებით,
იხიბლებიან!..
ირგვლივ მთები, ირგვლივ სიმწვანე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდიან, მანძილს მოარღვევენ, როგორც ვეფხვები,
რომ გაიხარონ ახალ მიწაზე!..
დგანან მუხები
და ფოთლების წყნარი შრიალით
ესალმებიან უსამშობლო ადამიანებს!..
აქ ვეღარ მოვა ბნელი ღამე ქარიშხლიანი,
აქ ღამეებმა თავის დროზე გადაიარეს!..
დადგება ჟამი,
ამ უბადლო საჩრდილობელში
კიდევ მრავალი დაიჩოქებს ვაჟკაცურ მუხლით,
დაჰკოცნის ფესვებს,
გადეშვება ფიქრის მორევში
და ჩაუქრება სახეზე მწუხრი!..
დგანან მუხები...
მკლავებივით გაშლილ ტოტებზე
ჭანგ-დაბასრული არწივები სხედან ზვიადად,
თუ ვინიცობა ყვავ-ყორნები გაჩნდნენ ოდესმე,
მათი ჯილაგი ამოაგდონ ძირფესვიანად!..

1938 წ. 12 ივლისი.
ქ. ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამ მიცკევიჩი

ყირიმის სონეტები

Wer den Dichter
Will Uerstehen,
Muss in Dichter's
Lande gehen.
Goethe im Chuid Nameh

I. აკერმანის ველი

მივცურავ, თითქოს ოკეანე ვერ მაუძლურებს.
ყურყუმელაობს ეტლი, ვით მძაფრ წყალდიდობაში.
ახმაურებულ ბალახებში, ყვავილთა ზღვაში.
უკან ვიტოვებ მჩხვლეტავ შამბის მარჯნის კუნძულებს.

გზებს, ყორღნებს ფარავს გაწოლილი ბინდი ღამისა.
აწ ჩემი ნავის წინამძღოლნი მაღლა ცაშია!
ეს რა ციალებს? ღრუბლებია? თუ რიჟრაჟია?
არა! აბრწყინვებს დნესტრს ნათურა აკერმანისა. *)

სიჩუმეს არღვევს ცაზე წეროთ გაფრენის ხმები,
თვით შევარდენის თვალთაგან რომ ნისლმა დაჰფარა.
ისმის, თუ როგორ არხევს ბალახს პეპელა ფრთებით,

ვით მისრიალებს ბალახში სიპი ანკარა.
ამ სიჩუმეში ისე ვფხიზლობ, რომ მივუხვდები
ხმას თვით ლიტვიდანც!.. მაგრამ იგი არ ისმის, არა!

II. ზღვის მდუმარება.

ტალავრის ალამს არხევს ქარი, ნელად სისინებს.
მშვიდად სთვლემს ზღვაცა, სხვა დროს რისხვით გულანთებული.
ასევე ტურფა, სანატრელთან შეერთებული,
სტკბება სიამით, გაიღვიძებს, ისევ იძინებს.

---

*) მთვარე.

და იალქანიც, ვით ალამი ომგადახდილი,
სთვლემს სიპ ანძაზე, ხომალდიცა ქანაობს ნელა.
თითქოს, ერთ ადგილს ჯაჭვით დაბმულს, წინსვლა ეძნელა-
ისვენებს იგი მეზღვაურიც, მგზავრი დაცდილი.

ეჰ ზღვავ! შენს ტალღებს შეჰფარვია სიპინი შავი;
სძინავს ღრმა ფსკერზე მოკრუნჩხულსა გრიგალთ წინაშე,
ხოლო დარში კი გაშლის იგი ცაცებს მსახვრალებს.

ეჰ თავო! შენშიც მოგონების სთვლემს გველეშაპი, —
სთვლემს ქარიშხალში და ვნებათა მრისხანე ქარში,
ხოლო როს გული მშვიდად სძგერს, ჩამისობს ბრჭყალებს!

III. მგზავრობა ზღვითა.

იზრდება ზათქი. თითქოს რაზმავს ზღვა თვის ურჩხულებს-
მზად ხართ, ყმაწვილნო? — მეზღვაურიც აწ კიბეს ასდევს-
ავიდა კიდეც, შეეფარა უჩინარ ბადეს,
ვითა ობობა, — და იქიდან უმზერს უფსკრულებს.

ქარია! ქარით გაიბერა გემი, წინ იწევს,
აიწყვეტს თავსა ქედმაღალი და ყვინთავს ბუქში,
ქელავს ტალღებსა, არად უჩანს ზეცა პირქუში,
შუბლით კვეთს ღრუბელთ და ფრთების ქვეშ ქრთ შემოისევ-

და ჩემი სულიც ქროლავს აქ, ვით ანძა მორევზე,
ავშლი ოცნებას, დავამზგავსებ იალქნის ძაფებს.
ზღვის ხმაურს ირთავს მყის ამალა ლხენით იმ ველად-

გავიშვერ ხელებს, მივეყრდნობი მე ერდოს გემზე,
თითქოს ეს მკერდი ძალას მატებს მას და სისწრაფეს.
ოჰ შვებავ! აწ ვგრძობ, თუ რას ნიშნავს ყოფნა ფრინველად-

IV. ქარიშხალი.

აფრა დაიხა, საჭე გატყდა, გმინავს უფსკრული.
ისმენს მგზავრთა ძახილს და ტუმბოთა ჭრიალს საზარელს.
მეზღვაურთ ბაგირთ გამოგლიჯავს ზღვა უკანასკნელს
და სისხლისფერ მზეს თნ ჩაჰყვება იმედი სრული.

ზეიმობს ბუქი, ღმუის. ხოლო იმ ზღვის მთა-კედლებს
ასდევს ზევითკენ მორევიდან სიკვდილის ჩრდილი,

მრავალ სართულებს გადალახავს რისხვით აღვსილი,
ვითა მებრძოლი, შერჩენილი კედლის ნანგრევებს.

ერთი აქ ოხრავს. მიწოლილა იქ ცოცხალ-მკვდარ
სხვა ეთხოვება, რაც მის ირგვლივ მეგობრებია.
ზოგიც ლოცულობს: უნდობ სიკვდილს ებრძვის მინდობით.

და ფიქრობს ერთი მგზავრთაგანი განზე გამდგარი:
„ბედნიერია, ვის, თუმც ძალა შემოკლებია,
ძალუძს ილოცოს, ან ჰყავს ვინმე — უთხრას: მშვიდობით!“.

V. მთების სანახაობა კოზლოვის მინდვრებიდან

პილიგრიმი

იქ, სჩანს, ალაპი ცით მიმართავს ყინულთ გალავნებს!
იქნებ ანგელოზთ განუმზადა ტახტი ყინვიდან?
იქნებ ჩრდილოის დიეთ ალაგეს ბჭენი მიწიდან,
რომ გზა შეუკრან აღმოსავლის ვარსკვლავთ ქარავნებს!

ჰა მთვარე ზვავი! თუ სტამბოლის ალია წვისა?
იქნებ სად ბინდი, სად ჩილატი ღამემ გაჰფინა,
მეზღვაურთათვის აუნთიხარ სინათლედ წინა
ალაჰს, კანდელო, დაკიდულო გუმბათზე ცისა?

მ ი რ ზ ა

იქ მე ვყოფილვარ: ყინვა მეფობს; ვნახე სათავე
რუ-მდინარეთა, ელვარება საღამოს ცეცხლის.
ჰირით თოვლს ვყრიდი, შორეული გზა მოვათავე,

სად დგას ღრუბელი, სად არწივი თავის ფრთებს ვერ შლის...
გადავრჩი ჭექათ, ღრუბლები რომ ჭიდილს მართავენ,
იქ, სად ჩემს ჩალმას დაჰნათობდა ვარსკვლავი ზეცის,
ჩატირდაჰია!

XIV. პ ი ლ ი გ რ ი მ ი

ჰო, მესმის!!

VI. გ ა ხ ჩ ი ს ა რ ა ი

დაუქმებულა დღეს გირეის ეგ სრა მაღალი!
აქ წინკართ ბევრჯერ დაგვა ფაშის შუბლით ელირსა.
სად იდგა სოფა, ტახტი, წყარო მოწყალებისა —
დღეს კალია ხტის და დახოხავს ქვეწარმავალი.

ფერად ფანჯრებში შეპარულა ხავსი საზარი
და დაფარულან მით კედლები, ძველი თაღები.
დამთავრებულა ბუნებასთან ბრძოლა თავხედი,
მოსჩანს წარწერა „პარტახიო“, ვით ვალტასარის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა დარბაზში მარმარილოს ნახავთ კიდობანს,
და ჰარამხანის შადრევანი წარმოგვიდგება.
ის უდაბნოში ცრემლთ მარგალიტთ აფრქვევს და მოსთქვამს:

„სადღა გამქრალხართ, სიყვარულო, ძალავ, დიდებავ!
აწ შეწყვეტილი თქვენი დენა ცრემლთ ვილას მოჰბანს.
ოი სირცხვილო! თქვენ გამქრალხართ, — წყარო იქნება“.

VII. ბახჩისარაი ღამით

ჯამით *) იშლება ხალხი, ლოცვით დანამძიმები.
ჩანთქავს მწუხრიცა იზანის ხმას მდუმარებაში.
ალაპლაპდება დასავლეთი, როგორც ბადახში.
სატრფოსკენ გასწევს ღამის მეფეც ვერცხლის მძივებით.

შორით ვმზერთ ჰარემთ ვარსკვლავების ხშირ ჩირაღდნებით.
მოსჩანს მათ შორის საფირონის უსაზღვრო ცაზე
ერთი ღრუბელი, ვითა გედი მთვლემარი ტბაზე
თეთრი გულითა, ოქროსფერი ქობით და ფრთებით.

ჩამობნეულან ჩრდილნი ჯამის და კიპარისთა.
თავს იმ გრანიტის ბუმბერაზ კლდეთ ვინ გაუტოლებს?
იმ შაითანთა, იბლისს **) რომ ჰყავს თითქოს თავისთან

კარავის ჩრდილში; ხან კი მწვერვალთ დახვეულ რგოლებს
მოსწყდება ელვა უმძაფრესი ქროლვის ფარისთა ***) —
და ყრუ უდაბნოს სილაჟვარდეს გადაუქროლებს.

VIII. პოტოცკის ქალის სამარე

უცხო ბაღთ შორის, გაზაფხულის ტურფა კალთაზე
უდროოდ დასჭკნი, ნორჩო ვარდო, შვებაც გავლილი
გულს განგეშორა: პეპელათა თითქოს ყვავილის
გულში სახსოვრად მხოლოდ მტვერნი შემოგთავაზეს.

---

*) მეჩეთით.
**) ლიუციფერს.
***) ფარისი — ბედუინი — მხედარი.

პოლონეთს ილტვის, ჩრდილოეთში, ვრსკვლავი ყველა!
რათ მიილტვიან იქ, ნეტავი, უფრო ყველაზე?
განა, სანამდის ჩაჰქრებოდა მზერა და აზრი,
შენ არ ამოწვი გზა ჩრდილოეთს ვარსკვლავთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასულო ჩემი პოლონეთის! ტანჯვით ვარ მკვდარი.
ვინ მომაყაროს საფლავს მიწა ძმურის შეხებით.
ხშირად მომესმის შენს საფლავთან მგზავრთ საუბარი...

და სიტყვა იგი მშობლიური ალმადგენს გზნებით...
მწამს, როს მგონისა დაირხევა შენს ხსოვნად ქნარი,
ჩემს საფლავს ნახავს ახლოს — და მეც მახსენებს ქებით.

IX. ჰარამხანის საფლავები

მირზა პილიგრიმს

აქ ვენახიდან ტრფობის მტევნებს მოუმწიფართა
ვხედავთ სუფრაზე ალაჰისა; აქ ნიჟარანი
ალმოსავლეთში ბნელ საფლავთა ჩრდილში ჰფარავენ
ნორჩ მარგალიტებს, მოშორებულთ განცხრომის ზღვათა.

მათ ფარდა ჰფარავს დავიწყების, დროთა ჩრდილები,
და, ვით ბუნჩუკი საფლავთ შორის ქვესკნელთ ჯარების,
სჩანან — ყაუხი და სახელნი ბინადარების,
გიაურების უცხო ხელით ამოჭრილები.

ოი, ყვავილნო ედემისა! ახლოს ნაკადთა
მორცხვ ფოთოლთ ჩრდილში თქვენ დაგიჭკნათ ყვავილნი დღეთა.
ველარ გიხილონ საუკუნოდ ურწმუნოთ თვალთა!

აწ უცხოელის თვალით ვბღალავ თქვენს სავანეთა.
ვკადნიერებდი! მომიტევე, ალაჰ, მართალთა!
ერთი ღა ვდგევარ მე აქ უცხო და ვაფრქვევ ცრემლთა.

X. ბ ა ი დ ა რ ი

ცხენს მივაჭენებ. მიჰქრის იგი გაშმაგებული.
ამ ზღვის მორევში მსურს სიშმაგით დავიტკბო გული.

ფეხქვეშ მიცურვენ და ჰქრებიან, ვით ტალღა ზღვისა.
შეიდროთ შეკრულან გზად ტყე-ველნი-ყორენი კლდისა,

ხოლო როს ძალა დაელევა ჩემს ცხენს გაქაფულს,
და სხივთ ჩააქრობს; ჩამოწვება სუდარა ბნელი,
ვითა სარკეში დამსხვრეულში იგივ კლდე-ველი
იგივე ტყენი ამინთებენ მზერას დაღალულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სძინავს ყოველსა. მე კი ვფხიზლობ, ვუმზერ ზღვის ურვას.
შფოთით ასკდება ნაპირს აშლილ ტალღების წყება.
თავს ვუხრი მათა. ხელთ მივუშვერ — და ტალღებს მხურავს

ქაოსი ბნელი. ზღვაც ხმაურით კვლავ გაივსება.
ველი, რომ აზრი, ნავებრ, შვების მორევს შესცურავს
და, თუნდაც წუთით, ეღირსება თავდავიწყება.

XI. ალუშტა დღისით

აწ მთა იშორებს თვის მკერდიდან ბურუსთ მოხვეულთ,
და ოქროს ყანაც შესდგომია ნამაზს *) ნაადრევს,
შრიალებს ტევრი მწვანე ქოჩრით, ძირს ფანტავს, აბნევს,
ვით ხალიფების კრიალოსნის — ლალებს, ბროწეულთ.

ყვავილებშია ველი მთელად. ყვავილთ კი დაჰფრენს
პეპელათ ჯარი, ვით ნაწნავი ცისარტყელასი.
ცა დასცქერს მინდვრებს ბრილიანტთა ნამქრით აღსავსე
და შორს კალიათ ფრთებგადაშლილ სუდარას აფენს.

ხოლო სად უფსკრულს ტიტველი კლდე გასცქერის ახლა,
ზღვა აქოჩრილი შეუპოვრად ნაპირს ეკვეთა, —
ფაფარაყრილი ცოფს ჰყრის იგი უფსკრულის ნაღვლად.

ელავს სინათლე მის ქაფებში, ვით თვალში ვეფხთა.
იქ კი — შორ ზღვაზე დაირხევა მსუბუქად ტალღა
და ბანაობენ იქ ხომალდნი და გუნდნი გედთა.

XII. ალუშტა ღამით

გრილი სიო ჰქრის. ჰქრება მზეცა სხივმოციალე.
ჩატირდაჰს მხრებზე დაებჯინა ქვეყნის ნათური.
დაიმსხვრა, წითლად მიმოჰფანტა სხივთა ალმური —
და ჰქრება. ფხიზლობს პილიგრიმიც მოხეტიალე.

მთებს თალხი ხურავთ. შავი ღამე ველთ დაეფინა.
რუს წანწკარს ისმენს თითქოს ძილში ღიღილოთ ველი.
ტკბილი მუსიკა სწვდება გულსა, ყვავილთ სურნელი,
სმენისთვის უცხო, იდუმალი ყვავილთა ფშვინვა.

*) ლოცვას.

ღამეა. ძილად მიწვევს ჩრდილი და მდუმარება, —
და მეტეორის ღელვა უცბად გამიხელს თვალებს.
თითქოს დაენთო მთა-ველს ოქრო აუარება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდალისკა ხარ, ალერსით რომ გვაძინებს, გვავსებს,
ღამევ მზის ქვეყნის! და როს ძილად მიგვეხარება,
თვალის ნაპერწკლით კვლავ გვიღვიძებ ნდომას და ალერსს.

XIII. ჩატირდაჰ.

მირზა

კრთომით ვემთხვევი მუსლიმანი მტვერს შენს კალთათა,
ანძავ ყირიმის, ხომალდისა, დიდო ჩატირდაჰ,
აშორებულო მაღალ ღრუბლებს და კლდის ნაპირთა,
ოჰ მინარეთო მთელი ქვეყნის, ფადიშავ მთათა!

ზიხარ შენთვინა ცის ჭისკართან ცად ანაბერი,
ვით გაბრიელი, რომ უფარავს ედემის კარი.
მოსასხამად გვაქვს ულირსნი ტყე, ენგიჩართ ზარი.

რიდე გაქვს ღრუბლის, მოქსოვილი, ელვით ნაკერი.
მზე გვიმზერს ცით თუ შემოდგომა სუსხთა მთოველი,
ველს კალია სპობს, გიაური სადგომებს გვიწვავს, —
შენ დგახარ ისევ, ჩატირდაჰო, ყრუ, უშფოთველი,
ცა ქვეყნის შუა, ვით თოლმაჯი დასცქერი მიწას,
ქვეშ გაგიშლია ჭექა-გრგვინვა, ხალხი ყოველი —
და ქვეყნის მიმართ ისმენ უფლის ბრძანებას, რისხვას.

XIV. პ ი ლ ი გ რ ი მ ი

ფეხქვეშ დამეგო მხარე ტურფა, ბარაქიანი,
თავს ცა დამნათებს და ირგვლივ ვმზერ მზიურ სახეთა;
რათ ითხოვს გული წარსულ დროის მღელვარ საქმეთა,
რათ უბრუნდება განვლილ გზასა ნდომა გვიანი?

ლიტვავ! შენი ტყის დღეს სიმღერა გულს უფრო ავსებს,
ვიდრე ბულბულნი ბაიდარის, ქალნი სალღირის. *)
ვარჩევ შენს ჭაობთ განუწყვეტელ ძებნას ნაპირის
აქ ამ ლალებსა თუთის ხეთა და ანანასებს,

შორეულ მხარეს რა მიტაცებს? გულო, სად მიწვევ?
განუწყვეტელად რაღად ვოხრავ, — განშორებული?
მაზე, ვიზედაც ვიყავ მე ყრმა შეყვარებული?

*) მდინარე ყირიმში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწ შეფარვია ის სამშობლოს შორეულს მისებრ,
სად ყოველივე, თვით კვალიცა დატოვებული,
სახსოვარია. დღეს მიგონებს, ნეტავი, ისევ?

XV. გზა უფსკრულზე ჩუფუტ-კალეში.

მირზა და პილიგრიმი

მირზა

ღმერთს ახსენებ და ცხენს მიუშვებ გულანათრთოლი.
პირი არიდე! და გონება მიანდვე ტორებს!
მარჯვეა ცხენი! უფსკრულს ზომავს, მას თვალს უსწორებს.
აი, იჩოქებს, ღრმად ჩაასო ისლებში ფოლი —

და დაეკიდა. — ნუ ჩასცქერი, დაღუპვა გელის:
ვით ალ-ქაირის ღრმა ჭას, აზრი მას ვერ ჩასწვდება.
ხელებს ნუ გაშლი, ფრთები აღარ გამოებმება,
აზრს ნუ გადისვრი, რადგან აზრი, ვით ღუზა გემის.

მცირე ნავიდან ჩაშვებული ბობოქარ ზღვაში,
ელვისებრ წავა, მაგრამ მის ფსკერს ვერ დაერჭობა.
გადააბრუნებს თვით ნავს, მისცემს უფსკრულს სათრევლად...

პილიგრიმი

მირზა! მე კი იქ ჩავიხედე! მიწის ნაპრალში...
და, რაცა ვნახე, იქნებ შევძლო იმ ქვეყნად მბობა,
რადგან ცოცხალთა აღარ მყოფნის სიტყვა სათქმელად.

XVI. მთა ქიკინეის

უფსკრულს გახედე, ვითომ ცასა, ღრუბლით ნაფარავს,
ეგ ზღვაა. — ვით ის ფრინველთა მთა შორის ტალღების,
მეხდაცემული, ქვეშ განრთხმულა, ვით ტყე ანძების,
და მოჰფენია ნახევარსა ლაჟვარდ კამარას.

ლურჯი ველი კი დაუფარავს თოვლის თეთრ კუნძულს.
ღრუბლის გორაა ეგ კუნძული, ცამ რომ ატარა,
მის მკერდით ღამემ ნახევარი მიწა დაჰფარა.
ხედავ მის შუბლზე მოელვარე ბაფთსა ანთებულს?

ელვაა იგი! ცხენის ცხარედ გადაჭენებით
ხევს გადავლახავთ. აქ შევჩერდეთ ქვეშ. უფსკრულია.
ჯერ მე გავქროლავ, — შენც მზად იყავ ბოლტით, დეზებით.

კლდით მითვალთვალე. და როს შთამნთქავს ხევი სრულიად,
ქუდს დაინახავ ჩემსა, ზღვაზე კრთოდეს. ვით ფრთები!
თუ არა — ამ გზით ვერა სულდგმულს ვერ გაუვლია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

XVII. კოშკის ნანგრევები ბალაკლავში.

შენ დაგამშვენეს ოდესღაცა ამ კოშკთა მაღალთ,
ოი ყირიმო უმადურო, გიცავდნენ თანა!
დღეს, ვით გიგანტთა კენჩხოები, აქ მთებზე დგანან
ბუდედ ქვეშმძრომთ და ადამიანთ, ქვემძრომზე დაბალთ.

კოშკს ავყვეთ. ღერბზე აქ წარწერას ვხვდებით ბოლოში.
ბოჰატერისა არის იქნებ იგი სახელი.
მტვერში სთვლემს — ალბათ — გამარჯვების დღეთა მნახველი,
როგორაც მატლი, გახვეული ვაზის ფოთოლში.

უმშვენებია აქ ჩუქურთმით ელინს კედლები.
მონღოლთ რომისა ეშინოდათ მახვილის ბასრის.
მექის პილიგრიმს უმღერია ლოცვა ნამაზის.

კუბოთ დაჰფრენენ დღეს ყორანნი აქ შავის ფრთებით.
ასევე ჭირით ამოწყვეტილ უდაბურ ადგილს
კოშკიდან შავნი დაჰყურებენ ბაირაღები.

XVIII. აიუდაჰი

მიყვარს მე მზერა, — აიუდაჰის კლდეზე დაყრდნობით, —
ტალღების სრბოლის, ნაპირებს რომ ეხეთქებიან,
შეიკუმშვიან, თან ღმუიან, შემდეგ სკდებიან
ურიცხვ ფერებად, თოვლთ შხეფებად, გმინვით და გმობით.

ასკდება ზვირთი ხმელეთს. თითქოს გველეშაპთ ჯარებს
შეუკრავთ პირი და უტევენ ნაპირთ უცხოებს;
კვლავ უკან ილტვის, თან ტრიუმფით ნაპირთ უტოვებს
თვალისმჭრელ მარჯნებს, მარგალიტებს, ძვირფას ნიჟარებს.

ასევ შენს გულსაც, ყრმავ-პოეტო, ხშირად რისხავენ
ალნი ვნებათა, ზვავი გრძნობა, ზვირთი მრისხანე.
მაგრამ როს ხელში ფანდურს იღებ, — ფრთებს შეისხამენ

და მყის გტოვებენ, იმარხვიან შენდა უვნებლივ.
იმ ლექსებით კი — რომ დასტოვე უკვდავნი, მხნენი, —
დაგიდაფნავენ მაგ ამაყ შუბლს საუკუნენი.

თარგმანი პოლონურიდან **იასამანისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. თუმანიანი

მარო

1

ჩვენი სოფლის ფართო სერი
ღრმა ხეობას გადასცქერის;
ატყორცნილი მაღლა, მთებზე,
დგას პიტალო მაგარ კლდეზე.
შეუპყრია დარდებს, ზრუნვას,
მის კაეშანს რა განკურნავს.

მარხვის ტეხა ჩვენს სოფელში
თუმც არ გვახსოვს თავის დღეში,
ვლოცულობდით, დღე ცისმარე
ვაწყდებოდით საყდრის კარებს,
მაგრამ დღეებს შავი ყოფით
ვერ გადურჩით წლიდან წლობით.

სამწუხარო, შემზარავი
მსურს გიამბოთ აქ ამბავი,
რომლის მწარე მოგონება
მე ყოველთვის მაღონებდა.

2.

სოფლის ზემოთ, ალაგს მზიანს
წნორის ხეა ამართული;
ჯერ იმას არ შეხებია
მოსაჭრელად კაცის ცული.
დგას ობოლი, მარტოდ მარტო,
გაუშლია ჩრდილი ფართო.
იქვე ხევში პირმცინარე
მიცქრიალებს მთის მდინარე;
მწვანე მინდორს თვალციმციმა
ესხურება ვერცხლის მძივად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც ზაფხულში, შუადღისას,
გვაგრილებდა ტალღა წყლისა.
ჯგუფ-ჯგუფად და სათითაოდ
დავდიოდით საბანაოდ.
ჩვენი მღერა, ჟრიამული
შორს ისმოდა მხიარული.
ხან ბავშური გატაცებით
ოქროფრთიან პეპლებს ვდევდით
და საფლავთან, წნორის ძირას,
ვისვენებდით დაღალული,
სად ლოდის ქვეშ, ხევის პირას
მარო იყო დამარხული.

ო, რამდენჯერ მწარე გრძნობით
მაგონდები, ჩემო მარო,
ჩემი სიყრმის და ბავშობის
თანშეზრდილო მეგობარო.

3.

ცხრა წლის მარო ბროწეულის
ყვავილივით ქალი დადგა,
როცა მათ ქოხს შორეული
ორი მგზავრი კარს მოადგა.
მაროს დედამ, რა თქმა უნდა,
შინ თავდარიგს როცა მორჩა,
ძვირფას სტუმრებს წინ დაუდგა
ხმიადებით სავსე ხონჩა.
მოსულებმა თქვეს „მადლობა“,
დაილოცენ სავსე გულით:
თქვენი სახლი, ჯალაბობა
მუდამ იყოს მხიარული.
„—პური არ გვსურს. ჩვენ გვსურს გთხოვოთ
თქვენი შვილი მოგვათხოვოთ“.
მამა არყით ილოცება:
„იყოს, ღმერთო, შენი ნება!“
დაეთანხმენ: ჩობანს კაროს
მიათხოვონ ჩვენი მარო.

4.

მწყემსი კარო იყო ჯმუხი,
წვერჯაგარა, აყლაყუდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის შეხვედრას ყველა უფრთხის
და უსხლტება განზე მუდამ.
მხოლოდ სიდედრს სიძე კარო
მოსწონდა და აფასებდა
და მარომაც შეიყვარა,
„კარგიაო“, სულ აქებდა,
„მას მოაქვსო ჩემთვის ხილი:
ქიშმიში და ვაშლი ტკბილი“.

5.

ერთხელ კარო ზურნით, დაფით
კარს მოადგა სასიმამროს:
ქალიც მორთეს დიდის ამბით,
მოახურეს ჩადრი მაროს.
გამოაწყეს საქორწილოდ,
შეულებეს ინით ხელი
— „გსურს შეირთო ცოლად, შვილო?“
შეეკითხა კაროს მღვდელი.
— „დიახ, მსურსო!“ უთხრა კაროომ.
შეკითხვაზე სდუმდა მარო.
მაროს მამა ადგა მყისვე
და დალოცა თავის სიძე:
„გქონდეს, შვილო, რიგი ფქვაში
და მარჯვენა, ვით კლდე სალი“.
თქვა მამამ და სიძის სახლში
წაიყვანეს დედოფალი.

6.

იქნებ გრძნების ავი ძალით
გაგვითვალეს პატარძალი?
ან იქნება მის ტანთსაცმელს
ფარულად მგლის ქონი წასცხეს?
ეს ვერავინ ვერ გაიგო.
როგორ მოხდა, ან რა იყო.
მხოლოდ ნორჩი პატარძალი
უარზეა. არ სურს ქმარი.
მამის სახლში გამობრუნდა,
უკან წასვლა აღარ უნდა.
ტირის, ოხრავს გულსაკლავად
ამბობს: „ქმართან აღარ წავალ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარს დედა, სულის ტოლი.
მე არ მინდა ვიყო ცოლი.“

7.

მამა გასწყრა, სცემა მწარეთ,
გამოაგდო შვილი გარეთ.
„შეგარცხვინა უფლის ძალმა,
არ გიხილოს ჩემმა თვალმა,
ალარ დადგა ფეხი სახლში,
შემარცხვინე კაცი ხალხში!“
მარომ ნაცემ, მტირალ სახით
მიატოვა მამის სახლი.

8.

კაროსაგან წამოსული,
მამისაგან დაწყევლილი,
ძრწოდა მარო ბრაზმოსული,
მშიერი და დაფლეთილი.
ეზო-ეზო სხვის კარებზე
დადიოდა გასათბობლად;
ხან ტყე-ღრეში ჯაგნარებზე
იძინებდა მარტოდ, ობლად.

9.

თვე თვეს ცვლიდა... დრო წავიდა.
და პირდაპირ, ერთხელ, მთიდან
შემზარავად გადმოგვძახეს:
— „ჰაუ, ხალხო, დაინახეთ,
დაირჩოო ხეობაში
წითელკაბა ქალი წყალში“.
შეგვაძრწუნა ამ ამბავმა,
მდინარესთან გავჩნდით სწრაფად,
სად საბრალო მაროს მამა
ღრიალებდა საცოდავად.
უბედური მაროს დედა
გულმოკლული ქვითინებდა.
ცრემლს აფრქვევდა გვერდით კარო.
ასე მოკვდა ჩვენი მარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.

მხოლოდ იგი წინაპრებთან
არ დამარხეს ბედით კრული;
სოფლის ბოლოს, სადაც ერთგან
წნორის ხეა ამართული,
ძოვიდნენ და ნიჩბით, ბარით
ამოთხარეს იქ სამარე —
უწირავად, ცრემლით, ზარით
მარო მიწას მიაბარეს.
და უბრალოდ განათალი
ქვა დაადეს გულზე შავი.

11.

სამარესთან მაროს დედა
დადიოდა, ცრემლს აფრქვევდა.
და ქვითინით გულგამგმირად
ჩასძახოდა მაროს ხშირად:
— „ვინა გცემა, მაროჯან!
ვინ დაგწყევლა, მაროჯან!
სად გაიქეც, მაროჯან!
მოდი სახლში, მაროჯან!
ღრმადა გძინავს, მაროჯან?
არ იღვიძებ, მაროჯან!“
თმაგაშლილი მაროს დედა
ლოდს ცრემლებით ასველებდა.
ქვაზე, როგორც ალვა რგული,
საკმეველი ეგზნებოდა
და საფლავთან სანთლის შუქი
ცისკარივით ენთებოდა.

თარგმანი ვ. გორგაძისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თედო სახოკია

სურათები წარსულ ცხოვრებიდან

შიო მღვდელი

I

... სასულიერო სასწავლებელში მღვდლის შვილების შესვლას წინ უძღოდა მთელი პერიოდი, პერიოდი მოსამზადებელი, პერიოდი „განსაწმენდელში“ ყოფნისა. „განსაწმენდელი“ იყო რომელისამე, იმ დროისათვის თვისის განსწავლულობით ცნობილი მღვდლის სახლი. პრაქტიკით დაკანონებული იყო მომავალ მღვდლისათვის ასეთს სახლში ამა თუ იმ პერიოდის გატარება: ჩვევა მღვდლობის მომავალ ცხოვრებისა, სასულიეროთა წრეში უშუალოთ ტრიალი, მათის ცხოვრების დაწვრილებით გაცნობა, წერა-კითხვაში და, განსაკუთრებით, „დავითნის“ კითხვაში გავარჯიშება, ზოგიერთ ფსალმუნის ზეპირად დასწავლა, ერთის სიტყვით — მღვდლობის საძირკვლის ჩაყრა. ასეთი წინასწარი „სტაჟი“ ყველა მომავალ სამღვდელოსათვის იდეალი იყო და განა ყველას არგუნებდა ხოლმე ბედი ასეთს ოჯახში მოხვედრას, რომ აქ შეეძინა დასაბამი ტრაპეზის მსახურისა და მღვდლისათვის საჭირო მომავლის ცოდნისა?..

ასეთი ოჯახი იყო — ოჯახი შიო მღვდლისა, რომელიც ჩემის გამზდელის სოფლის და მის მახლობელ სოფლების „სულიერ“ მოძღვრად ითვლებოდა და იქვე ცოტა მოშორებით ცხოვრობდა. ამ ოჯახშივე იზრდებოდა ჩემამდე ოცდაათ წელს წინათ მამა-ჩემიც. აქ უსწავლია ხარის ბეჭზე მხედრული წერა-კითხვა, აქ უსწავლებიათ „დავითნი“-ს კითხვა, უზეპირებინებიათ ფსალმუნები: „ნეტარ არს კაცი“ და „მიწყალე მე, ღმერთო“... აქ უზიდნია ტყიდან ზურგით შეშა, წყაროდან კოკით წყალი, წისქვილში ზურგით სიმინდი დასაფქვავად, აქ უგდია ყურე საქონლისათვის, აქ უზრუნია მის კვებისათვის და აქვე... ბევრჯელ გდებულა ხრამში ცემისაგან დაოსებული, ცხვირიდგან სისხლნადენი, გულწასული, ოდეს შიოს შეყვირებაზე „დავითნის“ კითხვის დროს ასოები ხტომას დაიწყებდა მის თვალწინ, ერთის სიტყვის მაგიერ სხვა წამოსცდებოდა, ან როცა ენა სრულებით გაკერპდებოდა და უარს იტყოდა „წმიდა მამათა“ ნაწერის გამოთქმაზე...

აქ მარგუნა ბედმა მცირე მასშტაბით მეც გამომეცდა ის პერიპეტიები, რაც მამამ გამოიარა „სიბრძნის“ სასახლეში შესასვლელად.

მამამ მიმიყვანა შიოსთან და ჩააბარა ჩემი თავი „ცოტა რისამე სასწავლებლად“ („ჭიჭე მუთუნიშ დაგურაფალო“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორაკის კალთაზე ტყეში გაკაფულია 8 — 10 დღის მიწა. აქ არის სიმინდის სათესი ადგილი, აქავეა ურიცხვი ხეები წაბლისა, ხურმისა და თხმელისა, რომლებზედაც გასულია ძველის ჯიშის ვაზები: „შონური“ (სვანური), „ოჯალეში“ (მზვარის), „ჭვიტილური“, „პუმპული“ და აგრეთვე სამეგრელოში ახლად შემოსული „ადესა“ (იზაბელა). აქვეა კაკლის ხეები, თხილნარი, ბროწეულის ბუჩქები, კომში, ვაშლი, მსხალი, საკუთარი წყარო, ბოლოს — აქვეა „საისლედ“ (საცა სახლის სახურავებისათვის ისლი დგას) გაშვებული ორი ქცევა მიწა. ეზო, კოინდარდათესილი, კიდევ ცალკეა. ეზოს შუაში უზარმაზარი კაკლისხეა, და მის ქვეშ ტოტებიანი მარგილია მაგრად ჩარჭობილი, მოსულ სტუმრის ცხენის მისაბმელად (ახლო მეზობლებს გარდა, სხვა ადგილიდან მოსული კაცი უეჭველად ცხენიანი უნდა ყოფილიყო, განსაკუთრებით თუ სამღვდელი იყო, ან პრივილეგიურის (თავადი, აზნაური) წოდებისა.

სწორეთ ამ მხარეს, საცა სამზარეულოა, ანუ, როგორც აქ ეძახიან — სამზადია და ბოსელი, ნახევარი ქცევა ადგილი, ნაკელიანი, ბოსტანს უჭირავს. შიგ უთესიათ: პრასა, წიწაქა, ოხრახუში, ნიახური, რეჰანი, ქინძი, უცხო სუნელი, ხული, ჭარხალი, ხახვი, გოგრა და ეგ არის და ეგ... არც პომიდორის ხსენებაა სადმე, არც კართოფილისა (კართოფილი რუსების მოგონილად და მათივე საჭმელად მიაჩნდათ). ბოსტანშივე, განაპირას, შვიდიოდ ძირი სკა დგას, საიდანაც ყოველ ზაფხულის პირას მამა-პაპათა ხერხით — კვამლის საშუალებით — თაფლი ამოაქვსთ ხოლმე და ამ ამოღების დროს აუარებელი ფუტკარი იხოცება.

ამ ეზო-ყანა-ვენახ-ხილნარს გარშემო უვლია მაგარი ღობე გარეულ თხილის წკნელისა, შიო მღვდლის ქონების დასაფარავად უპატრონოდ მავალ და უღლებიან ღორ-საქონლისაგან... ხოლო ქურდების შემოსვლისაგან კარმიდამოს იფარავს ორი ნაგაზი, რომელთაც შეუძლიათ ცხენიდან კაცი ჩამოიღონ.

მაგრამ ქურდებისა და ღორ-საქონელს გარდა, კიდევა ჰყავს ამათზე არანაკლები საშიში მტერი შიოს ცოლშვილსა და მისს ავლა-დიდებას: ეს არის მღალავი, „ავის თვალის“ პატრონი. ეტყობა, შიოს მღვდლობა, მისი „მადლიანობა“ საკმარისი არ არის, მღალავებს, „ავის თვალის“ პატრონებს კრიჭა აეკრასთ, მათს მავნებლობას ძალა გაუქარწყლდესთ და აჰა, შიომ, თავის თანამოძმე ერისკაცთა მსგავსად, რომელთაგან მხოლოდ გარეგნულათ (ანაფორით) განსხვავდება, თორემ გონებრივად მათთან ერთად განვითარების ერთს დონეზედა დგას, აღმოაჩინა მათს წინააღმდეგ წამალი. და აჰა, მაღალ ღობის მარგილები, საჩინო ადგილას, ჭიშკარს ახლო, საიდანაც ყველაზე ადვილათ შეიძლება

შემოხედვა და თვალის გადავლება ღობეს შიგნით მოქცეულისათვის, დასარყულია ცხენის ან ძროხის თავის ქალებით, ბუნებრივად გახვრეტილ რიყის ქვითა, სახლის აივნის ზღურბლზე დაჭედილია ცხენის ნალი, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც გახვრეტილ ქვასა და საქონლის თავის ქალას. სამივე ეს უხსოვარ დროითვე ითვლება ყოველ სიავის ამრიდებლად. ისე ძლიერია შიოს თანამემამულეებში ეს რწმენა, რომ შიოსაც-კი, რომლის წინაშე ძრწიან ყოველნი ძალნი მიწიერნი, ანგარიში გააწევინა და მიამართვინა მის ცვა-ფარვისათვის. ეტყობა, არც შემცდარა შიო, ამიტომ რომ მის ოჯახში, როგორც ქვემორე დავინახავთ, ყველაფერი, ადამიანებიდან მოკიდებული შინაურ პირუტყვამდე, დუღდა და გადმოდიოდა. მრევლი ერთთავად იმას იძახდა: ღმერთი ვისაც (იგულისხმე შიოს) მისცემს, ორივ ხელით მისცემსო...

დაქანებულ ეზოს სილრმეში წამოდგმულია მეგრული ოდა ანუ ხის სახლი, სულ მუხის სქელ ფიცრებისაგან შეკრული, ზევიდანაც მუხისავე ყავრით გადახურული. კედლებს დროთა-ვითარებისაგან ნაცრის. უფრო მოშავო, ფერი გადაჰკრავს. სახლს ქვეშ პალატი ანუ ცხენის დასაბმელი აქვს, ქვიტკირით გამოშენებული. სულ ხუთის ოთახისაგან შესდგება სახლი. ამათგან ერთი ოთახი სახლის გასწვრივაა, სულ უკანასკნელი 10 მეტრი სიგრძე ექნება და 5 მეტრიც განი. ეს ოთახი მთავარი ოთახია, სადაც მიმდინარეობს ამ სახლის მცხოვრებთა მეტი დრო დღე და ღამის განმავლობაში. დღისით ოთახი — სასადილოა, სასტუმროა, აქვე ლოცულობს ხოლმე სახლის უფროსი, ხოლო ღამით კედლის გასწვრივ მიკეთებულ ტახტზე, სადაც ჭილობი და ნაწილობრივ ფარდაგია გადაფენილი, სამხრეთ კუთხეზე შიოს სარეცელს გაუშლიან. ეს არის ბამბის, ერთ გოჯის სისქე ლეიბი ჩითგადაკრული, ჩითის საბანი ბამბისა, ყუითქუყის ბალიში ჩითის საპირეანი, მუთაქა სიმინდის ფოჩით გატენილი. ამ ლოგინზე დამწოლად, რა თქმა უნდა, ნაგულისხმევია მეტად მაგარ ხერხემლის ძვლის და გვერდების პატრონი კაცი, რადგან ბამბის სიფრიფანა ლეიბი წოლისაგან უარესად გაბრტყელებული ხმელა ფიცრის სიმაგრეს ერთი ბეწოთიც არ არბილებს. მაგრამ აქაურებს, რაც თავი ახსოვთ, ასეთ ლოგინზე მოუსვენებიათ თავიანთი სხეული, ყოველთვის ტკბილადა სძინებიათ, უძილობა რა არის, არ გამოუცდიათ.

შიოს სასთუმალი ზედ ებჯინება ოსმალურ ხელოვნების, რკინაშემოკრულ ზანდუკს, ანუ, როგორც აქ ეძახიან, სეფეთს, რომელშიაც ალაგია შიოს ტანისამოსი და სხვადასხვა საბუთის ქაღალდები, ბაღდადის ხელსახოცში გამოკრულები. უმთავრესად აქ ინახება პარკში ჩაწყობილი რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინეს დროის ვერცხლის მანეთიანები, ანუ, როგორც მაშინ სამეგრელოში ეძახდნენ ამ ფულს, „ჯვრიანი“ მანეთიანები. ეს სახელი მანეთიანებს იმიტომ ერქვა, რომ ცალ მხარეზე დიდი ჯვარი ჰქონდა გამოხატული, ხოლო მეორე მხარეზე ეწერა რუსულად ფსალმუნის სიტყვები: „ნუ ჩვენთვის (უფალო), ნუ ჩვენთვის, არამედ სახელსა შენსა“. ყოველი ძველი კაცის, და მით უფრო მღვდლის,

იდეალი იყო: ასეთი მანეთიანები ასი მაინც დარჩენოდა სიკვდილს შემდეგ. ასეთი მანეთიანები შიოს რამდენი ედო პარკში, არ ვიცოდით. ვიცოდით მხოლოდ, რომ სეფეთი შემცველი იყო ასეთის ძვირფასის განძისა და ვეპყრობოდით ყოვლადის მოწიწებითა და კრძალვით, როგორც წმინდა რამ საგანს, რომელსაც თვინიერ შიოს ხელებისა, სუბალო სიკვდილის შვილის ხელები ვერ მიეკარებოდნენ.

შიოს სარეცლის ქვემორე იმ ტახტზედვე განისვენებდნენ ხოლმე სტუმრები მათის ღირსების რიგზე: შიოს სარეცლის ფეხთით უფრო ღირსეულს (თავადს ან აზნაურს, ან კიდევ მღვდელს) ეშალა ლოგინი და სხვები იმას მისდევდნენ, ამათვე მისდევდნენ შინაურები მამრობითის სქესიანი.

ამ ერთ დიდ ოთახის გაყოლებაზე ოთხი ოთახია და შიგა ცხოვრობენ ამ ოჯახის წევრები დედათა სქესიანი, როგორც გათხოვილები, ისე გათხოვების სულწასულად მომლოდინენი. დილაობით ლოგინები აიკრიფება და ცალკე საკუჭნაოში შეინახება. სახლს წინ დიდი, ათის მეტრის სიგრძე აივანი აქვს ნახარატევ რიკულიანი, ლაზების ხელობისა.

ამ შიოს დიდ ოთახის თითქმის მთელ სიგრძეზე შინაურულათ, ცულით გათლილ მუხის ფიცრების მაგიდაა, რომელსაც სულ უკანასკნელი ორმოცი სული შემოუსხდება. მაგიდის სიგრძეზედვე გრძელი მერხია ჩამოსაჯდომად, ხოლო მის მოპირდაპირე მხარეს მაგიდას ტახტის საშუალებით უსხედან.

ოთახის ერთ კუთხეში, იქ, სადაც სახლის უფროსის საწოლია, მაღლა, კუთხეში, დაკიდებულია ფიცარზე ზეთის წამლებით მეგრელ მხატვრის მიერ დახატული სურათი მეგრელთა „მფარველის", „წმიდა" გიორგი „ძლევამოსილისა", რომელიც თეთრ რაშზე ზის და ლახვრით ვანგმირავს გველეშაპსა; მის გვერდით, კედელზედვე, მიწებებულია ლითოგრაფიული სურათი: დახატულია ღრუბლები ცაზე, თვით ცაზე ზის ჭალარაშართული, დიდწვერა, მრისხანე გამომეტყველებიანი საბაოთი და შორი-ახლო ქვეშიდან შემოხვეული ჰყავს უსხეულო ანგელოზები, თავებისა და ფრთების სინაბარა. ამ სურათებს ქვეშა დგას პატარა მაგიდა. ზედ ალაგია: სიწმიდის კოლოფი აბრეშუმის ბუდიანი, კურთხევანი, ჟამნი, ლოცვანი და სხვა საეკლესიო წიგნები. ყველა შავის სამოგვის ტყავის ყდიანებია, ძალზე გაშავებულები და თაფლის სანთლის ნაღვენთით დალაქავებულ ფურცლებიანები. მათს შორის „კურთხევანს", როგორც შიოს პირად ბიბლიოთეკის წიგნს, წინა გვერდზე ასეთი წარწერა ამშვენებს: „საღრმთო კურთხევანი ესე არს მღვდლის შიოსი". ბოლოში კიდევ ასე აწერია: „კურთხევანი ესე სყიდულ არს ორ მანეთ და ათ შაურად. ჩყჲდ-სა (1864) წლისა, თებერვლის ა-სა დღესა შიო მღვდლის მიერ. უფალმა მშვიდობაში მოახმაროს პატრონსა მისსა. ამინ". ყდის თეთრ ქაღალდზე მიწერილი აქვს დაბადების თარიღი ზოგიერთ შვილისა. მაგიდაზედვე დგას საწვნის მსგავს ფაიფურის ჭურჭელში ნაკურთხი წყალი და უსუპი. იქვე დევს ბზის ფართე კბი-

ლებიანი სავარცხელი შიოს თმა-წვერის სავარცხნად. სავარცხელი ერთგვარ წმიდა ნივთად ითვლება და თვინიერ შიოსი ხელს ვერავინ ახლებს. მახლობლად, კედელზე მიჭედილ ლურსმანზე ჩამოკიდებულია შიოს ოლარი, ანაფორა, ქუდი და სამელნე ბატის ფრთიანი. რომლითაც შიოს ათასში ერთხელ რის წვალებით გამოჰყავდა სამკუთხიანი ლურსმულ დამწერლობის მსგავსი ასოები ქართულის მხედრულის ანბანისა. ოთახის აღმოსავლეთ კედლის შუა ალაგას დიდი ბუხარია თლილის ქვისა, სადაც ნახევარი ურემი შეშა შეეტევა, ზამთარში შიგ ცეცხლი განუწყვეტლივ ანთია და სტუმარ-მასპინძელი ეფიცხება.

როცა ზამთრობით შიოც უზის ამ ბუხარს, უეჭველად გრძელტარიანი (ერთის მეტრის სიგრძისა) ყალიონი უჭირავს ხელში, ყალიონს წალებზე წამოიბერტყავს და თუ მეზობელი ვინმე გლეხიცა ზის მის გვერდით, უეჭველათ მის თუთუნით გაავსებინებს და ბუხრიდან ნაკვერცხალს ამასვე დაადებინებს ხოლმე. თანა სწევს თუთუნს და თანაც აპურჭყებს ბუხარში. თუ ზაფხულია და ბუხარში ცეცხლი არ ანთია, პატარეები არა ვშორდებით და მის ყალიონისთვის ნაკვერცხალი მაშით ან მუგუზალი სამზარეულოდან მოგვაქვს და ყალიონზე ზედ დავუდებთ ხოლმე. შიოს ყალიონსა და ჩითის ქისას თუთუნისათვის ხელს ვერავინ ახლებს შიოს გარდა და ორივე საღმრთო წერილის წიგნებთან ერთადაა შენახული შიოს სასთუმალთან.

ბუხართან ახლოს, კედელზე, უკიდია ჩარჩოში ჩასმული სამღვდელო ღრამატა ანუ სიგელი მღვდელმთავრისაგან ბოძებული კურთხევის საწამებლად. ეს სიგელი ხუცურადაა დაბეჭდილი და შეადგენს შიოს სიამაყეს, თავმოსაწონებელ საგანს და ერთგვარ სიწმიდის შარავანდედით არის მოსილი. სტუმარი მღვდლები უეჭველად უნდა მივიდნენ სიგელთან, ეშხიანათ წაიკითხონ და ცხონება გაუგზავნონ ეპისკოპოზს, რომელიც ესდენ „ჰზრუნავდა“ ხალხისათვის და სულიერ მოძღვრებს უკურთხებდა ხოლმე მათს შორის ქრისტეს სარწმუნეობის გასავრცელებლად და „სწორე“ გზაზე დასაყენებლად.

ამ სიგელს გვერდით კედელზე იმპერატორ ალექსანდრე მე-II-ის და მის სახლეულობის სურათია. ცოტა მოშორებით რუსეთ-თურქეთის (1876 წ.) ომის ნახატებია, რომლებზედაც დამარცხებულები ყველა ბრძოლაში წითელფესიანი თურქის მხედრობა გამოდის და გამარჯვებული რუსის სოლდათები ხიშტებმოღერებულები თავზე ადგანან.

ბუხრის გვერდით კუთხეში ჰყუდია შვინდის მოგრძო ჯოხი, რომელსაც შიო, უბრალო ერის კაცის მიერ სახმარ ჯოხისაგან გასარჩევად, კვერთხს ეძახის (მოსე წინასწარმეტყველის კვერთხის მოსაგონებლად) და რომელიც მოჭედილია ვერცხლით. ამ მოჭედილობას ასეთი წარწერა აქვს: „კვერთხი ესე ვარ კუთვნილება მღვდლის შიოსი, დასათურგნად ძვირის მოქმედთა და უკეთურთა“. ოსტატს „მაღალღირსი“ მღვდლის სახელთან თავისი გვარიც დაუწერია უკვდავსაყოფელად: „ხელოვნება მირიანოვებისა“. მირიანოვები (იგივე მირიანაშვილები) ძმები

იყვნენ ქუთაისში, ცნობილი ოქრომჭედლები. იმ დროინდელ მღვდლების კვერთხებზე და ერისკაცების ქამრებზე თუ ვერცხლით მოჭედილ სატევრებზე ეს გვარი ხშირათა ჰხვდებოდა კაცსა. ბოლო კვერთხს რკინითა ჰქონდა მოჭედილი. შიო როცა ქვეითად მიდიოდა სადმე ან ეკლესიაში ადიოდა, კვერთხი უეჭველად თან მიჰქონდა, როგორც სიმბოლო მღვდლობისა, მსგავსად ანაფორისა და თმა-წვერისა.

რისთვის მიმიყვანა მამაჩემმა შიო მღვდელთან და არა სხვასთან? ჯერ ეს ერთი—ნათესავი ვიყავ და არც ისე შორეული: დის შვილიშვილი. მეორე და უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ასეთი ძველი, საღმოთო წერილის მცოდნე მღვდელი 30 კილომეტრის რადიუსზე მეორე არ მოიძებნებოდა. როგორც გნებავდესთ, ისე ბრძანეთ: მთელი მღვდელ-მსახურების წიგნები, როგორც საზოგადოდ მისის დროის მღვდლებმა, ზეპირად იცოდა. წირვაზე რომ იდგა, წიგნს იშვიათად მიიშველიებდა, ჩვეულებრივ ამბად უჩნდა — ყველაფერი წიგნში ჩაუხედავად ეთქვა. მესამე მიზეზი კიდევ ისა, რომ ტრადიციით, სკოლების უქონლობის გამო, იმ დროს მომავალს სამღვდელოს მხედრული წერა-კითხვა და საღმრთო წერილი უფროს ერთ შემთხვევაში მღვდლის ოჯახში უნდა ესწავლნა. მცოდნე და საღმრთო წერილში განსწავლული მღვდლის ოჯახი საზოგადოთ ერთგვარი სკოლა იყო მომავალ სასულიეროთათვის. სრულებით ბუნებრივი იყო, რომ ყველანი უფრო მცოდნე მღვდელს ეტანებოდნენ. ასეთი იყო შიო მღვდელიც. ამ ოჯახში რიგი მოდიოდა და რიგიც მიდიოდა უკვე სწავლადამთავრებული. მოიყვანდენ, ვთქვათ 14-15 წლის ბიჭს. სარჩოდ სახლიდან უზიდავდნენ თვეში ორ ქილა (32 კილომდე) სიმინდის ფქვილს და მის შესაფერ ყველსა და ლობიოს. ახალი მოსული ოჯახში მსახურობდა როგორც ნამდვილი მოჯამაგირე. წიგნს ასწავლიდნენ შიოს უფროსი შვილები, მარტვილში სასულიერო სასწავლებლებში სწავლადამთავრებულნი და მამასთან დიაკვნის როლის ამსრულებელნი და თან მომეცადინენი სასწავლებლად მობარებულ ბიჭებთან. სწავლება მოწაფეთა ჩვეულებრივ გრძელდებოდა 7—8 წელიწადს. სასულიერო წიგნების შესათვისებლად საუკეთესო, ნაცად და ერთადერთ „პედაგოგიურ“ ხერხად ითვლებოდა ცემა: სახაზავით ხელის გულზე, წკნელით სხეულის სხვადასხვა ნაწილზე, ხელით ყურიმალზე, დაქოჩრა თმისა. პედაგოგი ზოგჯერ ისე გულმოდგინეობდა, რომ გულწასული მოწაფე წყლით მოსაბრუნებელი ხდებოდა. ალბად აქედან წარმოდგა ანდაზა: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების.“ სწავლების დროს შიო ასეთს ხერხს მიმართავდა არა მარტო უცხოთა შვილების მიმართ, არამედ თავისიანების მიმართაც. თავი და თავი კანონი შიოს „პედაგოგობისა“ ეს იყო: ერთხელ არ ეთქვა ტკბილი სიტყვა, ერთხელ არ მოეალერსებინა თავის შვილებისათვის. მტკიცედა ჰქონდა შეგნებული მთელი მნიშვნელობა და ძალა ანდაზისა: „შვილი მტრულად გაზარდე, — მოყვრულად გამოგადგებაო“. და მტკიცედ და მეტად მტკიცედაც ასრულებდა ამას. ეს სისასტიკე აღზრდის საქმეში

ტრადიციით გადმოდიოდა მამისაგან შვილზე. ეს მიაჩნდათ პედაგოგიკის ღერძად, საფუძვლად, ბერკეტად. შვილებიც შიოს უცქეროდნენ ყოვლადის რიდითა და ძრწოლითა. მისს განრისხებას ერიდებოდნენ, ვითარცა ჭირსა. იცოდნენ, რომ შიო იყო უფროსი და ბრძანებელი არა მარტო მათი, არამედ მთელის მრევლისა და მრევლის იქითა მყოფთაცა; იცოდნენ, რომ წინაშე მისსა „ძრწოდნენ და მას ჰმონებდნენ ყოველნი ძალნი მიწიერნი". კიდეც ამიტომ იყო, რომ სახელი შიოსი და ნათქვამი მისი „არა მოიღებოდა ამაოსა ზედა".

ამ სწავლების პერიოდში მომავალი სადიაკვნონი შიოს ეკლესიაში დაჰყავდა რიგრიგობით პრაქტიკისათვის, ხანაც მრევლში გაიყოლიებდა სხვადასხვა საეკლესიო წესების ასრულების დროს მოსახმარებლად. მერე, თუ ნიჭს გამოიჩენდა, სადმე დიაკვნის ადგილის შოვნაშიაც ჰშველოდა ხოლმე.

შიოს თანამეცხედრეც წყრომითა და მრისხანედ ელაპარაკებოდა შვილებს, ალერსიანი სიტყვა არავისათვის ემეტებოდა.

დედ-მამის წახედულობით, შვილებსაც მრისხანება ემჩნეოდათ როგორც ერთმანერთთან ურთიერთობაში, ისე გარეშეებთანაც. ჩემს ყურს ერთხელ არ გაუგონია ერთი ტკბილი, ერთი ალერსიანი სიტყვა აქაურებისაგან. საშინლად განირჩეოდა ამ მხრივ აქაურობა ჩემის ძიძის სახლისაგან, სადაც ჩემს ფერება-ალერსში ამოსდიოდა ყველას სული.

მე რომ მიმიყვანა მამამ, მოკითხვის შედეგ გამომცადეს, რომ გაეგოთ: რა ვიცოდი ან შევძლებდი თუ არა შემეთვისებინა ის ცოდნა, რასაც ასე ესწრაფებოდნენ მაშინდელნი სამღვდელონი. ს-ის რუსულ სკოლაში ყოფნა და იქ შეძენილი ცოდნა რუსულ ლოცვებისა გამომადგა. რუსულ ლოცვებისა და რუსულადვე „უფალო, შეგვიწყალენ"-ის და „წმიდაო ღმერთო"-ს გალობაში საერთო ქება დავიმსახურე იქამდე, რომ როცა შიო საღამოობით ლოცვად დადგებდა, მის დიაკვნობის როლი მე უნდა მეკისრნა. სამწუხრო ლოცვაზე რუსულად ვამბობდი „წმიდაო ღმერთო"-ს და სხვა ლოცვებს, „მშვიდობიანებზე" რუსულად ვგალობდი „უფალო შეგვიწყალენ"-ს ან, როგორც აქ ეძახდნენ, „გოსპოდი პომილუის". მართლად ვგალობდი თუ არა, რა მოგახსენოთ (არა მგონია კი). ის-ღა ვიცი, რომ შურის თვალით მიყურებდნენ ყველანი და განსაკუთრებით შიოს შვილები და სადიაკვნონი და უკვირდათ — „ერთი ციდა ბავშვი" რუსულათ გალობას როგორ ვახერხებდი! ყველანი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ულურ ტრაპეზის სანაქებო მსახური გამოვიდოდი!.. ყოველივე ეს მესმოდა, და ადვილი წარმოსადგენია, რა გაზვიადებულის აზრისა უნდა ყოფილვიყავ ჩემის „ნიჭიერებისა" და მომავალ ცხოვრების ლამაზ პერსპექტივების შესახებ.

მართალია, ჩვეულებრივს ჩემის ხნის ბავშვებში გასაცვლელი არ ვიყავი. „ცოდნითა" და „ნიჭიერებით" „ჩამოდექს" ვერვინ მეტყოდა. შავრამ არა თუ გადაკვრით და ნართაულათ, აშკარათ მაგრძნობინეს.

რომ დიაკვნობასთან პარალელურათ საოჯახო, ჩემის ძალ-ღონის საფერ საქმეებშიაც უნდა მიმეღო მონაწილეობა. ასეთები იყო: საქონლის გამორეკვა ბოსლიდან, რომელიც სამზარეულოსა ჰქონდა მიკეთებული, სპილენძის თუნგით წყლის მოტანა წყაროდან, ჭიშკრის გაღება სტუმრებისათვის, ან ღიად დარჩენილ ჭიშკრიდან ეზოში შემოსულ უღლიან ღორების და საქონლის გამორეკვა ძაღლების შემწეობით, საღამოს ქათმების დამწყვდევა საქათმეში, რაიცა ზოგჯერ არც თუ ისე მეადვილებოდა, თუმცა სირბილში ბიჭი ვერა მჯობნიდა, ამიტომ რომ აქაური ქათმები ნახევრად გაველურებულები იყვნენ, განსაკუთრებით ყვერულები, რომელთაც, თავად ხოხბების მსგავსებს, ხოხბებისებრ ემარჯვებოდათ ფრენა. ყველაზე საძნელო იყო საღამოს ქათმების დამწყვდევა საქათმეში.

ერთს საღამოს, სრულებით უმიზეზოდ (ამის დამტკიცება ფიცს ქვეშ შემიძლია, ჰო ჩემმა მზემ!) ძალზე გაჭირვეულდნენ ქათმები, აღარ ინდომეს საქათმეში შესვლა, თითქო გარედ დარჩენას და ტურის კერძად გახდომას ჰლამიანო. თავს ვადექით და იმათის დამწყვდევის მომხრენი ვიყავით: შიოს თანამეცხედრე, მოსამსახურე გოგო ცირუ და მე. მარჯვენა ფლანგზე მე ვიდექი, შუაწელიდან შიოს ცოლს (იგივე ჭაკადუხე) კაბის მარცხენა კალთის გაწევით მოჰქონდა იერიში, ხოლო მარცხენა ფლანგიდან გვშველოდა მოსამსახურე ცირუ. შიოს ცოლის იქ ყოფნით ნახევრად აკანკალებული. არ ვიცი, მე ვერ გამოვიჩინე ფხა, თუ რა იყო მიზეზი, მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ უკვე ჩამობნელდა და უმეტესი წილი ქათმებისა დაუბინავებელი გვრჩებოდა. ერთმა ყვერულმა ფრთებიც-კი მოიშველია, გვერდით გამიქროლა და სულ გადიკარგა. შიოს ცოლმა მოინდომა გაფრენილ ყვერულის ჯავრი ჩემზე ამოეყარნა. თან რომ უფრო აღეძრა ჩემში ენერგია და სიმარდე გაეცხოველებინა, ამისთვის სამზარეულოდან საქათმისა და ქათმების უფრო კარგათ დასანახავათ გამოტანილი მუგუზალი, რომელიც ფანრის მაგივრათ ეჭირა ხელში და რომელსაც იქით-აქეთ აქნევდა ცეცხლის გასაღუვებლად და საგნების დასანახავად, გაქცეულს მომიქნია და ისე მარჯვედაც მესროლა, რომ სწორედ ფეხებში მომახვედრა. ცხადი იყო, ჭაკადუხემ მუგუზალი იმ განზრახვით მესროლა, რომ თუ ორივე ფეხი არა, ცალი მაინც მოეტეხნა და შემდეგში ცალფეხა უფრო ადვილი დასამორჩილებელი ყოფილვიყავ. გავიქეცი, ვიცოდი, ჭაკადუხეს ქოშებში ჰქონდა ფეხები შეყოფილი და იმედი მქონდა ვერ დამეწეოდა. მართალია, გავიქეცი, ჩემის ზურგის ჩვენებით დავანახვე ჩემი უმწეობა და ვფიქრობდი — ამით სიბრალულს აღვუძრავ გულში და შევეცოდები ჩემს დღეში მყოფი, დაზარალებული, ფეხნატკენი, ასკინკილა მორბენალი-მეთქი. მაგრამ რაკი მე მაინც განვაგრძობდი ფეხების ხმარებას და არ ვაპირებდი ხელში ჩავვარდნოდი, დალოცვილმა მოიშველია ასეთი ძალა, რომლისათვის მანძილს მნიშვნელობა არა ჰქონდა, რომელსაც ხელი ყველგან მიუწვდებოდა და ჩემს ჯავრს ულურ ამოაყრევინებდა. ასეთი იყო შიოს სამრევლო ეკლე-

სიის პატრონი — მთავარანგელოზი. და აჰა, ჭკადუხემაც სრულებით შეგნებულათ და დიდის თხოვნით შესთხოვა უაპელაციოდ გავესამართლებინე ულირსი ნათესავი შიო მღვდლისა: 1) ჩემის კისრისათვის დაგრეხილი ფორმა მიეცა, რათა ესწავლებინა ჩემთვის, „ოროლო“ — უნდოდა ქათმებს უკან დევნა და ადამიანურათ მათი დამწყვდევა საქათმეში; 2) არ მოვსწრებოდი ანაფორის შემოსვას.

ყველაფერი მოწმობდა, რომ ჭკადუხე ალარ ხუმრობდა... სულაც დავანებე თავი ქათმებს და მთელს ერთს საათს თავს ვარიდებდი გაკაპასებულს დედაკაცს. ინსტიკტურადა ვგრძნობდი, რომ ასე უნდა მოქცეულვიყავ, თორემ ხელში რომ ჩავვარდნოდი, ვინ იცის, მთავარანგელოზის განაჩენისათვის არც-კი დაეცადნა და თვითონ განეზრახნა იმის შესრულება, რასაც წმინდანსა სთხოვდა. მერე, სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ვაჟკაცს, ქალის მიერ ნაცემს, თვალები სად უნდა გამეხილნა!..

ჭკადუხე დიდხანს არ დამშვიდებულიყო და პირიდან სულ ცოფებსა ჰყრიდა. მე ხომ ამ სიბნელეში შორს ვერ წავიდოდი და სახლის მიბნელებულ სამალავებში უნდა დამალულვიყავ. სახლში არავინ დარჩენილა, რომ ჩვენი ამბავი არ გაეგო. საქმეში თვით შიო ჩაერია. დამიწყეს ძებნა. რომ ჩამიარეს, ჩავახველე და თავი ადვილად ვაპოვნინე. ალმითქვეს, მეტი არაფერი დაგემართება ამ ინციდენტის გამოვო. შიომ ცოლს უბრძანა, ჩემთან შერიგების ბაირაღი აეღაოთხა, რაც მიყო, ეკმარებინა და რისხვა ალერსად შეეცვალნა.

მართალია, შიომ შემარიგა ჭკადუხესთან, მაგრამ მე მაინც კარგახანს მეშინოდა, მისი წყევლა არ ამხდომოდა და მთავარანგელოზს მართლა კისერი არ მოეგრიხნა ჩემთვის, ისიც ასე ცოტა რისთვისმე. მთავარანგელოზს სანთლის დანთებას დავპირდი, თუ მაპატიებდა.

შერიგების შემდეგ ქათმების დამწყვდევაში ჭკადუხეს მის გუნებისადა ვშველოდი. მთავარანგელოზს ალბათ შეეცოდე, სავსებით არ უსმინა ჭკადუხეს, არ დამსაჯა და ხელი შემიწყო გამოსწორებულვიყავ და რაკი ჩემი გამოსწორება დაინახა, საჭიროდა სცნო ჩემის კისრისათვის სწორი ფორმა შეენარჩუნებინა. მით უფრო მეშინოდა ჭკადუხეს წყევლისა, რომ მღვდლის ცოლი იყო და ძიძისაგან გაგონილი მქონდა, მღვდლის ცოლის წყევლას მეტი ძალა ჰქონდა, ვიდრე უბრალო სიკვდილის შვილისას, და მეორეც ისა, რომ როცა ძიძას ვეურჩებოდი და ისიც თავისდა უნებურად დამწყევლიდა, თან არ ავიწყდებოდა სწრაფად ჩუმად დაეტანებინა სიტყვა „ვარი“ (არა), ე. ი. ვსწყევლი კია, მაგრამ ეს წყევლა ნურმც მიუვა წყევლადაო.... ჭკადუხემ კი პირდაპირ გამწირა, „ვარი“ არ დაატანა წყევლას, ასეთს წყევლას კი ჩვეული არ ვიყავ. სამაგიეროდ, მთავარანგელოზმა, ეტყობოდა, ჭკადუხეს თხოვნის მეორე ნაწილი შეუსრულა: მღვდლობა არ მეღირსა და ვერ განვაგრძე ჩემს გვარში ეს ტრადიციით მომავალი როლი უსისხლო მსხვერპლის შემწირველისა და ტაბლების მაკურთხებლისა.

ჩვენივე მოვალეობა იყო—საქონლის მოვლა: ჩალის მოტანა, წყლის დალევინება, ზოგჯერ ხარ-ძროხის ძებნა საღამოს, როცა ტყეში სადმე ნეკრებს შერჩებოდნენ, გაერთობოდნენ და დროზე შოსვლა არ მოაგონდებოდათ. სულ ჰყავდათ სახლში: ერთი ჯორი, ერთი ცხენი, ერთი სახედარი, ერთი უღელი ხარი, ორი მეწველი ძროხა, ორი ხბო, ორი ცხვარი, გოჭებიანი ღორი. ყველაზე უარესი, ავზნიანი, ტყუპ-ტყუპ წიხლის მსროლელი ჯორი, ანუ, როგორც საალერსოდ ვეძახდით, კოკინია იყო შიოსი. იმ თქმულებას, რომელიც ჯორზე სამეგრელოში არსებობდა და რომლის თანახმად ჯორი ეშმაკისაგან იყო გაჩენილი, სრულებით ამართლებდა შიოს კოკინია.

ამრიგად, ყველა ამ ცხოველებში პირველობა ჯორსა ჰქონდა როგორც ამ ოჯახის უფროსის სახედან პირუტყვს, და ისიც შიოს ცხოვრებაში ჰაი, ჰაი რომ დიდის მნიშვნელობისა იყო.

მთავარი პირუტყვი, ეგრე ვსთქვათ, საძირკველი მღვდლის ოჯახისა სამეგრელოში და საზოგადოდ დასავლეთ საქართველოში ჯორი იყო. სამღვდელოდ მზადებას შეუდგებოდა მეგრელი თუ არა, უნდა შესდგომოდა შესაძენად ჯორის შეთვალიერებას ისევე, როგორც საცოლის მოძებნას. მღვდელი, ჯორი და ხურჯინი შეადგენდა სამებას — ერთარსებას, განუყოფელსა, განუშორებელს. მღვდელი უჯოროდ სამეგრელოში იმ დროს წარმოუდგენელი იყო. ჯორი მღვდლის პიროვნების განუშორებელი ნაწილი იყო. თუ მღვდელი მიდიოდა გზად, მის ლაჯებ ქვეშ უეჭველად ჯორი იქნებოდა, ათასში ერთხელ, მარცხად — ცხენი. ჯორი ცხენზე ძვირად ჰფასობდა. თუ კარგი თოხარიკი ცხენი ოთხ-ხუთ თუმნად ჰფასობდა, კარგ ჯორში უნდა მიგეცათ სულ უკანასკნელი ექვსი-შვიდი თუმანი. ცხენის ფასთან შედარებით ზედმეტი ფასი ჯორისა სრულებით ანაზღაურებული იყო ხოლმე ამ პირუტყვის სწორუპოვარის და მრავალგვარ თვისებებით: ჩლიქები მაგრები აქვს და პატრონს შეუძლია დაუჭედავად ატაროს, ისიც მაშინდელ მოუკირწყლავ გზებზე; შეუძლია საათში 8-10 კილომეტრის მანძილი გაატაროს თავისი პატრონი; ავადმყოფობა იშვიათად ან სულაც არა ჰკიდებს ხელს; მის საკვების menu მეტად სადაა—„მცირესა ზედა კმა არს". დაღლის დროს ძალ-ღონის აღსადგენად, ცხენთან შედარებით, მისთვის ნაკლები დროა საჭირო. მამასებ მომთმენია, ღონიერია, მაგრამ ავი და გულღრძოა. ნაქებია მისი წვივმაგრობა და აღმართში კურდღელივით ამსვლელია. მაშინდელ სამღვდელოთათვის ჯორისა აბა სწორედ ეს თვისებები იყო დასაფასებელი და სახარბიელო! დიდ მანძილზე გაფანტულ მრევლში სასიარულოდ, და ისიც გამუდმებით, აბა სწორედ ჯორი და მარტო ჯორი გამოდგებოდა.

ჯორი საანდაზო ცხოველად იყო გადაქცეული: მღვდლის ჯორიაო (პაპაშ ჯორირე), იტყოდნენ ისეთ ადამიანზე, რომელსაც უქმელ-უსაქმელად, — დაუსვენებლივ და გამწედ მუშაობა შეუძლია. მართალია, ბუნებამ ჯორს უძეოდ გადაშენება*) დაუწესა, მაგრამ, სამაგიეროდ, იმა-

*) სამეგრელოში ქალი ჯორზე არ დაჯდებოდა, — უძეობა დამჩემდებაო.

ვე ბუნებამ ჯორს დედმამის სიცოცხლეზე გაცილებით მეტის ხნის სიცოცხლე მიანიჭა. შიოს კოკინია, როცა ჩვენ პირველადა ვნახეთ, უკვე მეოცდაათე გაზაფხული იყო, რაც მღვდლის ოჯახს და მის მღელვარე ცხოვრებას შესცქეროდა და ამ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობაც მიუღია ჭირსა და ლხინში; პატრონი ას წელიწადს ძიტანებული დამარხა. ძველებურის ჩვეულების თანახმად, ესეც უნდა ჩაეყოლებინათ პატრონისათვის საფლავში, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხალხი მეტად პრაქტიკული შეიქმნა: დასჯერდნენ იმას, რომ საფლავს გარეშე შემოატარეს სამჯერ, შინ დააბრუნეს და გადასწყვიტეს შიოს შინდარჩენილ უფროს შვილის ხელში გადასულიყო კოკინია. ბევრი იდარდა პატრონის სიკვდილი, მაგრამ ათს წელიწადს კიდევ დადიოდა ნაცნობ (და მერე როგორ!) ადგილებში საკურთხების საკურთხებლად ახალ პატრონის ხელში და 40 წლისამ, უკვე დაუძლურებულმა, გაძვალტყავებულმა, ზურგზე უნაგირისაგან ანაღლეტ ადგილას თეთრბალნიანმა, ამდენის მღვდლების მაყურებელმა, ამდენ ქორწილებსა და ტირილში დამსწრემა, ერთგანაც და მეორეგანაც პატრონთან პატივნაცემმა (როცა შიო ქორწილში იჯდა, კოკინიასათვის უეჭველად სიმინდი უნდა დაედგათ ბარქაშით), წელიწადში ექვსჯერ მაინც მარტვილში ნამგზავრმა, სული განუტევა. ამდენ ნამსახურს და ნაამაგდარს უმადურმა ხალხმა, როგორც დასაბამითვე სჩვევიათ, ამაგი და სამსახური არ დაუფასა და მიწაში დამარხვაც არ აღირსა; ეზოდან შორს გადაათრიეს, ხრამში გადაუძახეს და ქოფაკებსა და ტურებს მისცეს საძიძგნად.

გარდა ამისა, სამეგრელოში ჯორსა სთვლიდნენ უაღრესად მღვდლის საჯდომ ცხოველად. ერისკაცი, თუ არ მოხუცებული თავადიშვილი და საპატიო აზნაური, ამ ცხოველზე იშვიათად თუ შეჯდებოდა. ქურდი იშვიათად მოიპარავდა ჯორს, იმიტომ რომ იმ ადგილში, საცა უნდა გაესაღებინა (აფხაზეთში) ნაქურდალი ჯორი, ამ პირუტყვს მეტად ზიზღით უყურებდნენ, როგორც სახედრის ჩამომავალს (თუნდაც სანახევროდ). ამასთან ერთად, არასანდო იყო: ახალ პატრონის სახლიდან გაიპარებოდა და მოსძებნიდა ისევ ძველს პატრონს. ჭენებაც არ ემარჯვებოდა მისს რჯულს, და მეგრელ მხედრისათვის კი ტაიჭი უხმარია, თუ კარგი მორბენალი არ არის. ასე რომ ჯორის პატრონი მთელის 98%-ით უზრუნველყოფილი იყო მის დაკარგვისაგან, რაც დიდი პლუსი იყო მღვდლისათვის იქ, სადაც სხვის ქონებას მაინც და მაინც საიმისო პატივს არა სცემდენ, სადაც სხვის საჯდომ პირუტყვის მითვისება სავაჟკაცო, სასახელო საქმედ ითვლებოდა და სადაც იშვიათი მოსახლე იყო, თუ თვითონ ქურდობას არ ეწეოდა, თავის სიცოცხლეში სამჯერ-ოთხჯერ მაინც არ დაჰკარქვოდეს პირუტყვი, განსაკუთრებით საჯდომი პირუტყვი.

მღვდელთათვის ჯორი კიდევ იმით იყო ხელსაყრელი, რომ ჭაკი ჯორი შთამომავლობის გასაჩენად არ მაკდებოდა, მაშასადამე, წელიწადი-თორმეტი თვე პატრონს შეეძლო მოურიდებლად ეხედნა; ულაყ

ჯორსაც კავალრობის თავი არა ჰქონდა, მაშასადამე, თავისუფალი იყო არშიყობასთან შეერთებულ დროს კარქვისაგან.

აი, ყველა ის უპირატესობა, რაც ჯორს ცხენთან შედარებისა ჰქონდა და იმერეთის სასულიეროთათვის მისს თავს სასარგებლოდ ხდიდა. გარდა ამისა, ოდიშარ „სულიერ“ მამათა აზრით, ჯორს ალბათ იმ გარემოებისათვისაც ეტანებოდნენ სამღვდელონი, რომ თვით „მაცხოვარი“ ჯორის მამაზე კი არა, არამედ თვით ჯორზე იჯდა, ოდეს იერუსალემში შევიდა ბზობას და ამ მოსაზრების დამამტკიცებელ ნიშნად ითვლება ის ორი სამკუთხედი ხაზი, რომელიც ბაბთასებ ჩამოსდევს ჯორს, განსაკუთრებით ოქროს ფერისას, ბეჭების თავიდან ქვევით ფეხებამდე. ეს ხაზები, თანახმად ლეგენდისა, ანაბეჭდია იესო ნაზარეველის ხელებისა, რომელთაგან ცალი დააჭირა ჯორს ზედ ასვლისას და მეორე-ასვლის შემდეგ. ამიტომ ეძახოდნენ ქ რ ი ს ტ ე ს ჯ ო რ ს ისეთ ადამიანს, ვინცა ცდილობდა, ყველასთვის ეამებინა, ყველასთვის ემსახურნა, ყველას გული მოეგო.

მაშასადამე, ყოველგვარი, როგორც პრაქტიკულ, ისე სულიერ ხასიათის მოსაზრება ამ პირუტყვს ანაფოროსანთათვის უალრესად საფერ და ზედგამოჭრილ პირუტყვადა ხდიდა.

კოკინია, მართალია, როგორცა ვსთქვით, დიდსხანს ემსახურა თავისს პატრონს, მაგრამ არ შეიძლება ითქვას — ტკბილადაო. თავის ჯიშის ჯიუტობა რომ მოუვლიდა, ვერას გზით ააღებინებდით ხელს. ალბად აქედან განჩნდა საანდაზო თქმა თავისნათქვამ, გაჯიუტებულ კაცზე — ჯ ო რ ზ ე შ ე ჯ დ ა ო! ჯერ ეს ერთი, კოკინია უნდა შეეკაზმნა ან თვითონ მისს მაღალღირსს პატრონს, ან პატრონის უფროსს შვილს, სხვა ადამიანის ხელს არაფრის დიდებით დაადგმევინებდა უნაგირს თავისს ზურგზე. მისმა პატრონმა მისი ყველაფრის გამძლე და მომთმენ ზურგით ხუთს შვილს უზიდა საგზალი მარტვილში. კოკინიაც, თავის მამის საფერ მოთმინებით, ითმენდა ამ შორის გზით სიარულს, ამ გზაზე მისთვის ნაცნობი იყო ყოველი მოსახვევი, ყოველი ხე, ყოველი ხიდი თუ ბოგირი, ყოველი ფონი მდინარეზე, სოფლები და დაბები, სადაც უნდა გაევლო, კაცებიც კი, ვისაცა ხვდებოდნენ გზაზე, ისიც კი იცოდა, სად, ვის სახლში უნდა გაჩერებულიყო ღამე მისი პატრონი მგზავრობის დროს. ერთი ლაპარაკი არ იცოდა, თორემ სხვა ყველაფერში ზოგიერთ ადამიანს არ ჩამოუვარდებოდა, შიოს აზრით კი, — ადამიანებზე უკეთესიც იყო. შეძახება ან აღვირის მოწევა არც კი სჭირდებოდა, გზიდან გადაუხვევდა, კისერს წინ წაიგრძელებდა, მამისეულ გრძელ ყურებს კისრისაკენ გადიწყობდა და თოხარიკით, აჩქარებით გაექანებოდა ნაცნობ სახლისაკენ, სადაც მოელოდა თუნდ ერთის ღამით ტვირთის მოშორება ზურგიდან, გაგორება, მოსვენება, მუხლებში ქარის ამოღება, საკვების ჭამა...

კოკინიამ წლების განმავლობაში ქსელა მარტვილში მიმავალი გზა, წლების განმავლობაში სწია მწარე ჭაპანი შიოს შვილებისათვის საგზ-

ლის ზიდვისა. ბოლოს, ალბათ, მოჰბეზრდა ეს დაუსრულებელი გოლგოთა და გადასწყვიტა — თავის ულმობელ პატრონისათვის, რომელსაც მარტვილში გამოსაზრდელი შვილები არ ელეოდა, ეგრძნობინებინა, რომ: მართალია, მღვდელს ვემსახურები, მაგრამ მეც ცოცხალი არსება მქვიან და დამსახურებული მაქვს დასვენებაო, და თუ დასვენებას არ მაღირსებთ, ნურას უკაცრაოთ, თუ გავიფიცებიო, ჩემებურად პროტესტს გამოვაცხადებო.

როგორ და რაში გამოიხატა კოკინიას ეს გაფიცვა და ეს პროტესტი?

შიოს სოფლიდან მარტვილში მიმავალი გზა უნდა გასულიყო ჯერ ახალსენაკში და მერე ძველ-სენაკში. ეს დაბები ყველა დასავლეთ სამეგრელოს და სამურზაყანოს მღვდლის ჯორისათვის მეტად ცნობილი იყო, რადგან აქ უნდა გამოევლო მარტვილში ჩასვლის დროს. ორივე დაბა წარმოადგენდა ორ-რიგად ჩამწკრივებულ ხის ერთსართულიან დუქნებს. ეს იყო და ეს. მოშორებით სოფლელები ესახლნენ. ამ დუქნების დახსომება კოკინიასათვის საძნელო სრულებით არ იყო, ისიც მის საოცარ ხსოვნისათვის, რომელიც მამისაგანა ჰქონდა გამოყოლილი.

შიო უკვე მეხუთე სამღვდელო შვილსა ზრდიდა მარტვილში. მოდის სახლიდან დატვირთული სურსათ-სანოვაგით. კოკინია ჰკვნესის პატივცემულ სიმძიმის ქვეშ. უკან მოძღვარს თავისი შვილი უზის. მშვიდობით გამოიარეს ახალსენაკი. გამოიარეს შხეფის გორაკები, ქვაშიხორი, შხეფის ციხე, გამოჩნდა ძველი-სენაკის მაცხოვრის ეკლესია, ძველი სენაკის უზარმაზარი ჭადარი, რომელიც თავისს ღრუში ექვს კაცს ჩაიტევდა. ის იყო, დაუპირდაპირდნენ დუქნების დასაწყისს. კოკინია ერთბაშად გაჩერდა, თავი მაღლა აიღო, იყნოსა, ნესტოები გაიბერა, თავი დააქნია, შეიბერტყა თავისი გრძელი მამისეული ყურები, დაიჭიხვინა, სწრაფათ მოტრიალდა და სანამ მხედარი გონს მოვიდოდა, ამას უკვე უკან ჰქონდა დარჩენილი შხეფი და იორღით, თითქო უკანიდან ვინმე მოსდევსო, თავი ამოჰყო ახალსენაკში. მხედარი მოხამუზებითა სჩხვლეტს ფერდებში, უჯავრდება, თავზე გადმოავლინა თავის მაკურთხებლის რისხვა, მაგრამ შიოს წყევლამაც ვერ გადააწერინა პირჯვარი კოკინიას. პირქით, ყოველივე ეს თითქო აქეზებდა კოკინიას შეემოკლებინა გზა და მალე ჩასულიყო სახლში. გარეშე ხალხი უყურებდა და ვერ მიმხვდარა, რათ, რისთვის მოაქანებს შეშფოთებულ, თმა-წვერ აჩეჩილ, ანაფორააფრიალებულ ხუცესს! ოღონდაც რომ მეტად უხერხული იყო შიოსათვის, როგორც მღვდლისათვის, ასეთს მდგომარეობაში ყოფნა! კოკინია-კი მიჰქრის, მიჰქრის ჩაუფერხებლივ. ერთ საათში უკვე შინ იყო გამარჯვებულის სახით. მისს ჯიშს მეტყველების ნიჭი რომ ჰქონოდა, უეჭველათ იტყოდა: „გახლავართ ბიჭი, შიო მღვდელი დავაბრუნე შუაგზიდან თუ არაო!"...

საერთო გაოცება... ვიშ-ვიში მღვდლის ცოლისა, წყევლა ჯორის ჯიშისა, მის გაჩენისა...

მეორე დღეს ისევ შეჰკაზმა პატრონმა. გუშინდელი ამბავი, რა თქმა უნდა, ცუდი კაცის შეხვედრას დააბრალა. დღეს კარგი ფეხის შეზობელი შეიხვედრა ეზოდან გამოსვლისას, პირჯვარიც გადასახა ჯორს და წყევლა შეუთვალა ეშმაკს, მავნეს. დარწმუნებულია, რომ დღეს კოკინიას არაფერი შეუშლის ხელს. მაგრამ ძველსენაკის დუქნებს დაუახლოვდნენ თუ არა, კოკინიამ მათემატიკურის სიზუსტით განიმეორა გუშინდელი ოინი...

აშკარა შეიქნა ბოროტი განზრახვა კოკინიასი. გაქირი იყო კოკინია, მაგრამ არც მისი პატრონი იყო მიუხვედრელი, ეშმაკობას მოკლებული. მესამეჯერ წასვლაზე, სანამ ძველსენაკს მიუახლოვდებოდა შიო, გზას გადაუხვია, სოფელში შევიდა, შორი გზა მოიარა, დაბა ძველსენაკი განზე დასტოვა და ამგვარად გასცდა სახიფათო ადგილს. მოატყუეს კოკინია. იმანაც განაგრძო მარტვილისაკენ მიმავალი გზა, და ამ დღიდან სულ ასე მოტყუებით დაჰყავდათ.

შიოს, როგორც ყველა მღვდელს, არ უყვარდა, რომ იმის საჯდომ ჯორზე სხვა შემჯდარიყო, ეს თავის დამცირებად მიაჩნდა. ასე ამბობდა ხოლმე: ყველაფერი მთხოვოს კაცმა ჯორსა და ცოლს გარდაო. ყველამ იცოდა ესა და ერიდებოდნენ მისთვის ჯორი ეთხოვნათ. მაგრამ ერთ მისს მეგობარ მღვდელს, უჯოროდ დარჩენილს, მარტვილში შვილი ჰყავდა და ულურ უნდა წასულიყო. მივიდა შიოსთან და ჯორი სთხოვა. შიომ გააბრთხილა: აბა რა გიყო, ჯორს ვერ დაგიჭერ, თხოვებით კი გათხოვებ, მხოლოდ ისეთი ზნე სჭირს: ძველსენაკიდან შეიძლება უკან გამოგაბრუნოსო. მღვდელმა—რაც მომივა, მომივიდეს, შენ ოღონდ მათხოვეო. შეუკაზმეს. შეჯდა მღვდელი და გზას გაუდგა.

სამ საათის უკან თავშიშველი, ანაფორააფრიალებული, შველის მთხოვნელი მღვდელი ოფლში გაწურულმა კოკინიამ ისევ შიოს ეზოში შემოიყვანა. ძველსენაკისათვის თვალი მოეკრა თუ არა, უკანვე გამოჭრილიყო. ცოცხალმკვდარი მოძღვარი გადმოსვეს. გულმოსულმა თავის მაკურთხებლის მადლით დასწყევლა ეს შეჩვენებული პირუტყვი და დაიფიცა უკუნითი უკუნისამდე საჯდომი არ დაეკარებინა ამ ეშმაკის ნათესავ ცხოველის ზურგზე...

II

მთელს შიოს ოჯახში შინაურები და გარეშენი ოცნი იყვნენ. შვილები, ოთხ გარეთ გასულს (ზოგი ღვდელი და საკუთარ მრევლის პატრონნი, ზოგი გათხოვილი). გარდა, თორმეტნი იყვნენ. ყველანი როგორც ქალები, ისე ვაჟები — მაღლები, მოსულები, ლონივრები. ზღაპრებში მდევის შვილებისა რომ გამეგონა, სწორეთ ისა მქონდა წარმოდგენილი, შიოს შვილების რუხრუხს რომ ვუგდებდი ყურს და მათს მდევურს მიხვრა-მოხვრას რომ ვუცქეროდი. სახელებიც მეგრულის ყურისათვის უცნაურები ერქვათ. მონათვლის დღეს

რა სახელიც ამოუვიდოდა ბავშვს კურთხევანში, შიოს ცოდვად სთვლიდა ეს სახელი არ დაერქმია და კურთხევანში ნაჩვენებ გზისათვის თუნდ იოტის ოდენა გადაეხვევა. ხოლო რადგან კურთხევანში ქართველ წმიდანების სახელები კანტი-კუნტად გამოერეოდა, და უფრო ბერძნების წმიდანების სახელებსა ხვდებოდა კაცი, სამეგრელოში და განსაკუთრებით მღვდლის ოჯახში, ნათლობის სახელები ყველას ბერძნული ერქვა. მაგალითად, შიოს სახლში ერთმანერთში გერეოდათ ასეთი სახელები ქალებისა: ევლაპია, პელაგია, ელპიდა, ეპრაქსია, პისტიკაჟების სახელებიც შორს არ მიდიოდა ქალების სახელებისაგან: პროკოფი, პანტელეიმონი, ქსენოფონტე, არისტარხო! ხოლო რაკი მეგრელების სმენას ეს სახელები არ ეგუებოდა და გამოსათქმელათაც ადვილი არ იყო, ბავშვების ძიძები თავიანთს გაზრდილებს თავისებურ სახელებს არქმევდენ: ძაბუ, ჭუტა, ცირუ, ჯუკუ, ჯვებე, ბუხუ, გუძა, ხუტა და სხ. შინაურობაში ეს მოგონილი სახელები ბოლომდე შერჩებოდათ, ნათლობის სახელები მხოლოდ ნათლობის საბუთებში თუ აღმოაჩნდებოდათ. თვითონ შიო წინააღმდეგი იყო ამ სახელებისა — კერპთაყვანისმცემლების საქმედ მიაჩნდა.

უსაქმურად გაჩერებულს შიოს სახლში ვერავისა ჰნახავდით, ყველა რასმე აკეთებდა. ქალები ქსოვდნენ როგორც საჩოხე შალებს, ისე დარაიას, მოჰყავდათ აბრეშუმის ჭია, ართავდნენ მატყლისა და ბამბის ძაფს, ქსოვდნენ შინაურებისათვის მატყლის წინდებსა და ხელთათმანებს. ზამთარში შინაურ ფრინველის ბუმბულს არჩევდნენ, ჩიჩიხით ბამბას კურკას აცლიდნენ, იმზადებდნენ სამზითვო ბალიშებს, დედასა ჰშველოდნენ შინაურ ფრინველის გამრავლებაში.

წერა-კითხვა, შინნასწავლი, ქალებმა ყველამ იცოდა. იმ დროს საქალებო სასწავლებელი სამეგრელოში არ არსებობდა და ფიქრადაც არავის მოსდიოდა სკოლაში ქალი შეეყვანა. აუგიც იყო ქალისათვის სკოლაში ყოფნა, მამაკაც მასწავლებლებთან ურთიერთობა — გაირყვნებიანო. სჯერდებოდნენ შინაურულად ნასწავლ წერა-კითხვის ცოდნას, რომ შესძლებოდათ საიდანმე მოწერილ ბარათის წაკითხვა, სამაგიეროც დაეწერნათ მთხოვნელისათვის. იმ ნაკლს, რაც სკოლაში უმყოფობითა ჰქონდათ, ოჯახში შეივსებდნენ ხოლმე საოჯახო ცოდნის შეძენით.

ქსოვას გარდა ქალებს უნდა სცოდნოდათ კარგათ ჭრა-კერვა ახალუხისა, ძიქვისა, თეთრეულისა, ყაბალახისა, სამოგვის წუღა-მესტისა. საკმარისი იყო მიგეტანათ მასალა და ისინიც დაუზარებლად და თანაც უსასყიდლოდ გიკერავდნენ ყველაფერს. სასყიდელზე ხმის ჩამოგდება ერცხვინებოდათ. საქებური იყო გასათხოვარ ქალისათვის, როცა კარგის ხელოვანის (მკერავის) სახელი ექნებოდა გავარდნილი. გათხოვების დროს ამით ერთის შანსით მეტი ემატებოდა მისს ღირსებას. და ასეთის ხელობის ცოდნაც, წერაკითხვის (რა თქმა უნდა, ქართულის) ცოდნასთან ერთად, ჩვეულებრივ, მღვდლის ოჯახიდან გამოდიოდა.

როგორ იწყებოდა დღე შიო მღვდლის ოჯახში?

ინათებდა თუ არა, მღვდლის ცოლი კესა, იგივე ჭკადუხე,*) ლოგინიდან წამოხტებოდა. ტანთ ეცვა საშინაოდ ჩითის კაბა, კაბის ქვეშ, როგორც იმ დროს მეგრელ ქალებს ეცვათ ხოლმე, ჭყეტია, ფერის, განიერ ტოტებიანი პერანგის ამხანაგი. სტუმრებთან და [illegible] ადგილებში ჩითის კაბა შალის კაბად შეიცვლებოდა. თავზედაც თავი-ჩითი ჰქონდა ჩიხტი-კოპზე გაკეთებული. ერთხელ უკვე მოდიდან გამოსული ხაბარდაც გაიკეთა. ის იყო და ის, მერე მის ტანზე „მოდის“ ტანისამოსი არ გვინახავს.

პირველად მოსამსახურე გოგო ცირუს უნდა გაეგონა ჭკადუხეს ხმა. და ვაი მისი ბრალიცა, თუ ლოგინიდან მოუხდებოდა პასუხის გაცემა... ასეთს შემთხვევაში მარტო თავისს ძალას არ ენდობოდა და მთავარანგელოზს მიანდობდა გოგოსათვის ძილით გაუშაძღარი თვალები ორივე სამუდამოთ დაევსო, ამასთან ერთად ფეხებიც დაუმტვრეველი არ შეენარჩუნებინა, ამ „ცოცხლად მკვდარს“ („თელო ღურელს“) სიარულის უნარი საბოლოოდ დაჰკარგვოდა. თვითონ ჭკადუხე მკბენარის კვერცხებით აჭრელებულ შავ, ჯალჯივით თმას უარესად აუბურძგნიდა და ყვავის ბუდეს დაუმსგავსებდა. გოგო დახეულ კაბას გადიგდებდა თუ არა, საქათმისაკენ გადაეშვებოდა ქათმების გამოსაშვებად და საკენკის დასაყრელად. მოახლე დაჯი**) უკვე დიდის ხნის ამდგარი იყო და კოკიანა წყაროზე იქნებოდა წასული. იქიდან დაბრუნებული ნაცარში გახვეულ ნაღვერდლის გამოქექვას და ცეცხლის დანთებას შეუდგებოდა. ან თუ ჩამქრალი იქნებოდა, თავის ქმარს ბურდღუიას ტალ-კვესით გაანთებინებდა ცეცხლს. ბურდღუიასთან ერთად მოჯამეგირე ძოკია შეუდგებოდა ღორების გამოშვებას, საქონლისათვის ჩალის დაყრას, თუ ზამთარი იყო, თუ ზაფხული — მინდვრად გაშვებას. მერე დაჯი ძროხების წველას მიჰყოფდა ხელს. ამას მოჰყვებოდა რძის ფაფის მოხარშვა, ვახშმად მონარჩენ ღომის თხლად ალყა-ალყა დაჭრა და ნაღვერდალზე მოხალვა და შინაურების საუზმე სამზარეულოში, ცეცხლა პირას, უტაბაკოდ.

ოჯახის უფროსიც მზეს უნდა აჰყოლოდა. ახალუხს ჩაიცვამდა, ქუსლშეკეცილ ჩუსტებში ფეხებს შეჰყოფდა, ოლარს გადიკიდებდა და

---

*) ჭკადუხე მეგრულად — ჭკადუას ქალსა ნიშნავს. სამეგრელოში იმ დროს გათხოვილს ქალებს გასათხოვრობის გვარებს ეძახდნენ მეზობლები. შიოს თანამემცხედრე ჭკადუას ქალი იყო და შიოც ჭკადუხეს ეძახდა, ცოლი კი ქმარს „პაპას“ (მღვდელს) ეძახდა.

**) შიოს ცოლი აზნაური იყო და მზითევში ჰყავდა მოყოლილი გლეხი ბურდღუია პერტაია და მისი ცოლი დაჯი (დარეჯანი). დაჯი ჭკადუხეს ემსახურებოდა შინ, ხოლო ბურდღუია უმთავრესად ყანის დამმუშავებლადა ჰყავდა. ჩემს იქ ყოფნაში ბატონ-ყმობა გადავარდნილი იყო, ყმები განთავისუფლებულები. მაგრამ ბურდღუია და მისი დაჯი მაინც განაგრძობდნენ ძველის წესწყობილების მიერ დაკისრებულ ფუნქციების ასრულებას. შიოს, რა თქმა უნდა, ეს სრულებით ბუნებრივად და ნორმალურად მიაჩნდა.

შეუდგებოდა საცისკრო ვედრებას. ლოცვად დამდგარს შიოს, მეც უკან უნდა ამოვსდგომოდი, როგორც მისი დიაკვანი. ლოცვა და საერთოდ საღრმთო წერილის კითხვა შიომ ისევე იცოდა, როგორც სხვა იმის დროის მღვდლებმა: სხაპა-სხუპით, ერთი-მეორის გადაბმით. ისე-რომ გარეშეს ვერაფერი გაეგო მისი ნათქვამისა. სასვენი ნიშნები, ხმის აწევ-დაწევა მისთვის არ არსებობდა. ერთს რომ თავში დაიძახებდა მაღალის ხმით, მერე თანდათან უკლებდა ხმას, მოისმოდა ნირშეუცვლელი დუ-დუნი, ძილის მომგვრელი. ალბათ ჰფიქრობდნენ, რომ მისი გაუგებრად ნათქვამი ლოცვა სრულიად გასაგები იყო იმისთვის, ვისდამი ეს ლოცვა მიმართული იყო. თან გეგონებოდათ, რაც უფრო მალე იტყოდა შიო ლოცვას, რაც უფრო მალე სთხოვდა ზეციერს სათხოვარს, მით უფრო მალე, ჯერს გარეშე, სხვა მილიონ მლოცველებზე ადრე, უსმენდა ღმერ-თი და დააკმაყოფილებდა მის თხოვნასაო. ამასთან კილო ლოცვისა ჩხუბის გუნებაზე მდგარ კაცის კილოს უფრო ჰგავდა, ვიდრე მთხოვნე-ლისა, მომალერსებელ, მომფერებელ კაცისას. პირველში მიკვირდა და ჩემს თავს ვეკითხებოდი — ვის ეჩხუბება „ბაბუა"-მეთქი?!..

კვერექსების თქმის დროს ისმოდა მხოლოდ პირველი სიტყვა ყო-ველ კვერექსისა და დასასრულ სიტყვის „ვილოცოთ"-ის მხოლოდ მე-ორე ნახევარი: „ცოთ". ამას რომ გავიგონებდი, ვიცოდი, „უფალო შე-გვიწყალენ" უნდა მეთქვა. ან როცა უნდა ეთქვა: „ქრისტესა ღმერთსა ჩვენსა შეევედროთ," გარკვევით მოისმოდა ბოლო სიტყვის მეორე ნა-ხევარი: „დროთ" და მეც „შენ, უფალო"-ს ვეტყოდი.

ზოგჯერ შიო სახატეს ერთბაშად თავს ანებებდა, თითქო ლოცვაზე უფრო მძიმე რამ მოაგონდაო, ლოცვის გაუწყვეტლად ჩემიანად ძირს ჩავიდოდა, რომ თავის თვალით შეემოწმებინა, მოჯამაგირე ღირსე-ულად იდგა თავის პოსტზე თუ არა: საქონელი ხომ იყო ბოსლიდან გა-მოშვებული, კოკინია ხომ იყო სამურველით გაწმენდილი, უწყლოდ ხომ არ იყო დარჩენილი ან ბარქაშით სიმინდი დაუდგეს თუ არა. თან კორექტივი შეჰქონდა მოჯამაგირის ნაკეთებში: ან გაწმენდას დაუ-წუნებდა, ან დაყრილ სიმინდის რაოდენობა ეცოტავებოდა. ამ დაწუ-ნების განსამარტებლად, იმავე ტემპით, რა ტემპითაც ლოცვას ამბობდა, ასეთი სიტყვები ისმოდა: „იმ ღორიშვილს (მოჯამაგირეს) ჩალა არ და-უყრია ჯორისათვის", ან „წისქვილში წასაღებად სიმინდი არ დაუფხვნია იმ ვირიშვილს". ასეთი დამატებთი სიტყვები ანუ Adenda ფრჩხილებში ითქმოდა, სხვათა შორის.

სახლის კიბეზე ასვლამდე შიო თვალს მოჰკრავდა ღიადარჩენილ ჭიშკრიდან ეზოში შემოსულ ღორებს, კოინდარს რომ სძოვდნენ, ლოც-ვას თავს ანებებდა (რა თქმა უნდა, დროებით) და შესძახებდა მოჯამა-გირე ძოკიას ასეთის ხმით, რომელზედაც არ ითქმოდა — ტკბილი ყო-ფილიყო ან ლოცვად მდგარ და ღვთისადმი ვედრების აღმავლინებელ ადამიანისას ჰგვანებულიყო: „წიე, წიე, შე ღორისშვილო, შე ვირის გა-ვარდნილო, ათასი ღორი... შენის დედმამის სულს! ვერა ხედავ, ღო-

რებმა ეზო დააქციეს!.. სადა ხარ, შე მამაძაღლო, შე დედაძაღლო!?“ ამ კომპლიმენტებს ზედიზედ რამდენჯერმე განიმეორებდა, ალბათ იმისთვის, რომ ნათქვამისათვის მეტი ძალა და რიხიანობა მიეცა და დარწმუნებულიყო — ჩემმა ნათქვამმა ხომ სათანადო ეფექტი მოახდინაო.

ამ ქათინაურებს ზოგჯერაც შიო, უსისხლო მსხვერპლის შემწირველი, სრულჰყოფდა მოჯამაგირის ყვრიმალის ენერგიულის მასაჟით, რადგან მარტო სიტყვიერ გაწყრომას საკმაოდ არა სთვლიდა. და ამას „ჭკუის სწავლებას“ ეძახდა. ალბათ, მოჯამაგირეც „ჭკუის სასწავლად“ და მისივე სასიკეთოდ სთვლიდა შიოს ამ მასაჟს, ვინაიდან, ერთხელაც არის არა ცდილა ამა თუ იმ სახით პროტესტი განეცხადებინა. შიოს მხრივ ეს ერთგვარი ხერხიც იყო, გაეგებინებინა ძოკიასათვის თავისი სურვილი. ღვთის წინაშე, ძოკიასაც ზედმეტად მიაჩნდა პროტესტის გამოცხადება. რომ გამოეცხადებინა, ვაი თუ უფრო მეტი მოჰხვედროდა შიოსაგან და მეორეც ისა, რომ ვერ წარმოედგინა, თუ კანონი არ იყო მისთვის მორჩილება, მორჩილება სრული, სიტყვის შეუბრუნებლად. რადგან წლიურად 15 მანეთს ღებულობდა ჯამაგირად! ჯერ ხომ არსად გაგონილა, მღვდლისათვის და ისიც შიო მღვდლისათვის ურჩობა გაეწიოს ვისმე! მოჯამაგირე ხომ იმის მოჯამაგირე იყო, რომ ყველაფერი მოეთმინა შიოსაგან, ცემაც, მით უფრო ლოცვად მდგარისაგან...

ამ ღორსა, ვირსა და სხვა ოთხფეხთან დასანათესავებელ ცხარე სიტყვებს ისევ გამოებმოდა ზეციური ამბები, წმიდანთა სახელები, ვედრებანი საალაო და საიქაო მრავალ მოწყალების გადმოსავლენად, მხოლოდ ცხარე სიტყვების ცხარედ თქმის შემდეგ ლოცვაც ერთხანს ძალაუნებურად ცხარედ ითქმოდა. ამ ნაირ ინსპექციის შემდეგ აივნის კიბეზე რომ ავიდოდით, შიო კიდეც დაიძახებდა: „აღვუსრულოთ საცისკრო ვედრება ჩვენი უფალსა! ასე რომ შიოს განსაკუთრებულ უნარიანობას უნდა მიეწეროს, რომ ერთსა და იმავე დროს ორს, დიამეტრულად მოწინააღმდეგე ხასიათის საქმეს ერთად აკეთებდა: პირნათლად გამოდიოდა ზეციერთანაც და საალაო ზრუნვასთანაც.

შიოს სავალდებულოდ მიაჩნდა ლოცვაში ისეთი სიტყვები ჩაემატებინა, რაც მისს ღირსებას ნაკლებ უნდა შეჰფერებოდა, და რაც, ნით უფრო, ლოცვანში, არა მგონი, წერებულიყო, თუნდა ისეთ შემთხვევაზე, რომელსაც მაინცა და მაინც არა სჭიროდა ასეთი ენერგიული სიტყვები. შიოს მიერ თავის აზრის გამოსახატავად ასეთის სიტყვების ხმარებას ყველამ ისე შეაჩვია ყური, რომ სრულებით ნორმალურად მიგვაჩნდა ასეთის ქართულის მოსმენა და ვერცს წარმოგვედგინა, თუ მღვდელს ან უფროსს ვისმე მოჯამაგირისათვის უამსიტყვებოდ შესძლებოდა მიმართვა. ასეთის სიტყვებითვე გამოხატავდა შიო თავისს აზრს მოჯამაგირესთან ლაპარაკის დროს, როცა კარგ გუნებაზე იყო, ე. ი. „გვამსა შინა პური არსობისა“ იყო და პურს გარდა „ღვინო, მახარობელი კაკაცის გულისა“. „გლეხს სხვანაირად არ შეიძლება ადამიანი ელაპარაკოს. ღორად დაბადებულა, ღორია და ღორადვე დარჩების ამიერით

უკუნითი უკუნისამდე", იტყოდა ხოლმე შიო თავის ტოლთან ლაპარაკის დროს. როცა ლაპარაკობდა, იშველიებდა თვალებს, ხელებს, ფეხებს, მთელს ტანს, რომ ნათქვამისათვის მეტი ენერგიულობა, ეფექტიანობა, ამომხატველობა, სიმტკიცე, ძალა და ფასი მიეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა დროს, გარეშე ლოცვისა, შიო ძოკიას მაგარ სიტყვებს არ დააჯერებდა. სიტყვებს თან უნდა დართოდა, როგორც ილუსტრაცია, მუჯლუგუნები. ორგულობისათვის მოჯამაგირეებისთვის უეჭველად უნდა ეჩვენებინა, რომ მისს მარჯვენას ჯვარის გადასახვას გარდა პრაქტიკულ ცხოვრებისათვის საჭირო რამეც ემარჯვებოდა. და მანამდე სცემდა, სანამ არ დაარწმუნებდა, რომ ადამიანს თავის მოვალეობის, თუნდაც დაუსრულებელის, აუსრულებლობა, ისიც შიო მღვდლის სახლში, დაუსჯელად არ ჩაუვლიდა.

საცისკრო ვედრებას, ეზოს ინსპექციას, მოჯამაგირისათვის „ჭკუის სწავლებას" რომ მორჩებოდა შიო, მისთვის, ცოტა არ იყოს, დაღლილისათვის, პირი უნდა დაებანინებინათ. ცირუს მოჰქონდა სპილენძის ტასტი, ერთ-ერთ მის ქალს — სპილენძისავე თუნგით წყალი, შინ ნადული საპონი და პირსახოცი. პირს დაიბანდა, წვერს დაივარცხნიდა, ულვაშებს დაიგრეხდა, ხოლო ერთ-ერთი ქალიშვილი მოვიდოდა და თმას დაუწნავდა. წვერს, როგორც მღვდლობის ემბლემას, განსაკუთრებულის ფარეზობით ივარცხნიდა, ნელ-ნელა; რომ ბზის თხელკბილებიან სავარცხელს თმა არ დაეგლიჯნა, ცალ ხელს ქვეშიდან ამოუდებდა, ამოუსვამდა წვერს. *) ამას შემდეგ, თუ მწირველი არ იყო, ცალკე მოერთმევოდა საუზმე.

წინასწარ, დილის საქმიანობას რო მორჩებოდა ჭკადუხე, როგორც სარდალი, ქალებს თავთავიანთ საქმეს მიუჩენდა. და ისინიც სიტყვა-შეუბრუნებლივ ასრულებდნენ მისს ბრძანებას. ეგ იყო მხოლოთ, — ერთმანეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა არა ჰქონდათ. როგორც ჟამგადასულებს, მუდამ აღრენილებს, მუდამ ნერვებაშლილებს, დღე ისე არ გაივლიდა, ერთმანერთისათვის არ შეეტიათ ჯერ სიტყვიერათ და მერე დასაქოჩრავად. მათს ხმებს მკაფიოდ არჩევდნენ ერთის კილომეტრის მანძილზე. გრძელ თმებსაც, კოჭებამდე რომ სცემდათ, დიდი ჯაფა დაადგებოდა ხოლმე. სანამ ძმები არ ჩაერეოდნენ საქმეში, მანამდე გაჩერება არ მოაგონდებოდათ. თმააწეწილებს, ლოყებდაღადრულებს, ქშენაავარდნილებს, მეტისმეტად სიბრაზისაგან გაფითრებულებს მუხლი მოსწყდებოდათ და იქით-აქეთ ოთახებში ჩაიკეტებოდნენ. მერე უბრალ იყვნენ და მთელი კვირეები გავიდოდა, სანამ ერთმანეთს ხმას გასცემდნენ.

---

*) ალბათ სამღვდელო წვერისათვის ასეთის ზრუნვის შედეგადაა გამოთქმული ანდაზა: „მღვდელო, შენს წვერს კარგად მოუარეო" (პაპა, სქან ფრიმულს ჯგირო მუკულეა).

ქალები რომ საქალო საქმეს მოჰკიდებდნენ ხელს, ვაჟები, თუ ყანის დამუშავების სეზონი იყო, ყანაში წავიდნენ მეთოხე, „ლეხების თავდგმურებად. ყანის დამუშავება ხდებოდა ან ნადისა ან და „მოსახმარებლად“ მოწვეულ ლეხების და ბურდღუიას საშუალებით. დაქირავებულის მუშის საშუალებით მღვდლის ყანა არასდროს დამუშავებულა. თუ საყანე სამუშაო არ იყო, შვილები საღმრთო წერილს კითხულობდნენ და ხუცურის კითხვაში ვარჯიშობდნენ, ან კიდევ მამას ეხმარებოდნენ, როგორც უკვე დიაკვანნი და მომავალნი სამღვდელონი.

ნამდვილი ქორწილის ან ნათლობის შთაბეჭდილებასა სტოვებდა შიო მღვდლის სახლი, ოდეს ოჯახის წევრები გრძელ სუფრას გარშემორიგებულნი უსხდნენ. ჩვეულებრივს დღეს მაგიდა შიშველი იყო, მხოლოდ სტუმრიანობას ან დღესასწაულებში ამ სიშიშვლეს ჰფარავდა ნარმის სუფრა, ღვინოის და სხვაგვარ სითხისაგან იმდენად დალაქავებული, რომ ფერების დიდ ექსპერტსაც კი გაუჭირდებოდა გამოეცნო მისი პირვანდელი ფერი. სუფრის თავში იჯდა თვითონ მამათმთავარი, თეთრწვერა სახლის უფროსი შიო, იქით-აქეთ უფროს-უმცროსობის რიგზე უსხდენ ვაჟები, რომელთაგან სულ უფროსი 25 წლისა იყო და სულ უმცროსი 14 წლისა. სუფრის მეორე თავში, შიოს პირდაპირ, იჯდა დიასახლისი და იმასაც შემორიგებული ჰყავდა, ისიც უმცროს-უფროსობის რიგზე, ქალები. მდევის შვილების მსგავს ქალ-ვაჟთ რომ უყურებდა კაცი, შიში აიტანდა და ძალა-უნებურათ თავს დაეკითხებოდა — ნეტავ, რა საჭმელმა უნდა გაუძლოს ამდენ პირსაო!.. საჭმლის სიუხვე თქვენ მაშინ უნდა გეკითხნათ, როცა სტუმრებიც მოემატებოდნენ! სტუმრებს კი აქ ნახავდით დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა, განსაკუთრებით სამღვდელოთ.

მოახლე დაჯი შემოიტანდა თუჯის ქვაბს, რომელშიაც ერთი ცხვარი თავისუფლად მოიხარშვოდა. ქვაბი პირთამდე სავსე იყო სიმინდის ღერღილის ღომით და თეფშებზე ლაგებას შეუდგებოდა. ერთ-ერთი ქალი ოხშივრიან ღომს ყველას ჩამოურიგებდა. აქ უნდა ითქვას შიოს საქებრად, რომ თებშებს მაშინ სამეგრელოში აქა-იქ ოჯახში თუ შეხვდებოდა კაცი და ისიც უფრო საჩვენებლად, თავის მოსაწონებლად, ვიდრე სახმარად. უმეტესობა ჯერ ისევ ხის ჯამებს (ატარებს) ხმარობდა. ამავე დროს სავალდებულო იყო შემოეტანათ სპილენძის ტაშტი, რომელსაც, რაც მექვაბეს სახელოსნოდან გამოსულა, გახეხვა არა ღირსებია და სპილენძის თუნგით წყალი, ყველასათვის — უფროს-უმცროსობის რიგზე, ხელები დაებანინებინათ და საერთო სარწყულზე შეეწმენდინებინათ. ამასობაში დიასახლისი ყველს (სულგუნს ან კბილის ყველს) დასჭრიდა და თავ-თავის კერძს ხელით გადააწოდებდა ყველას უფროს-უმცროსობის მიხედვით. თუ სტუმრები ჰყავდათ, მაშინ ხსნილში ქათმის ხორცი გამოჩნდებოდა სუფრაზე. ხოლო მარხვასა და ოთხშაბათ-პარასკევობით — ლობიო. ბოლოს, სახლის უფროსი ადგებოდა და დაიწყებდა „მამაო ჩვენოს“ და აკურთხებდა სუფრას, სხვები ფეხზემდგარ-

ნი უსმენდნენ და სანამ უფროსი არ დაჯდებოდა, ზეზე იდგნენ. შიო სუფრას რომ აკურთხებდა, ყველანი პირჯვარს გადაიწერდნენ და შეუდგებოდნენ ჭამას. თუ უცხო ვინმე, საპატიო, იჯდა სუფრაზე, შიო მე რუსულად მათქმევინებდა „მამაო ჩვენოს“, რომ ამ[illegible] ჯვარმოეჩინა გარეშეს წინაშე, — ნახეთ, შიოს სახლში რუსულადაც [illegible] ლოცვის თქმაო!..

ყველაზე უხვად, რა თქმა უნდა, შიოს დაედებოდა ხორცეულობა. და ისიც ჭამის დროს ნიშნად პატივისცემისა და ყურადღებისა თითო ნაჭერს შესთავაზებდა საპატიო სტუმრებს, რასაც ისინი მადლობის მოხსენებით მიიღებდნენ. ეს ჩვეულება სამეგრელოს მთავრისაგან ყოფილა დატოვებული და იმ დროს აქა-იქ დარჩენილი თავადებისა და საერთოდ შეძლებულ ოჯახებში, როგორიც იყო, მაგალითად, შიოს ოჯახი, როგორც მღვდლისა.

რა თქმა უნდა, საჭმელის მისაღებად რამე იარაღს, მაგალითად, ჩანგალს, ანუ კოვზსა და ხელსახოცს სუფრაზე ვერა ნახავდით, რადგან არც ერთი არ იყო ცნობილი და საჭირო. საფრანგეთის მოგზაურ შარდენის აქ ყოფნის შემდეგ ძალიან ცოტათი გამოიცვალა სამეგრელო. ღომს საჭრელად, რა თქმა უნდა, დანა არ სჭიროდა, სახვრეტისათვის კოვზი სრულებით ზედმეტი იყო, რადგან წელიწადი ისე გაივლიდა, წვნიანი არ გაკეთდებოდა სახლში, ათასში ერთხელ ავადმყოფის (გაცივებულის) სამკურნალოდ „ტიბუს“ თუ გააკეთებდნენ და ხის ჯამით შეახვრეპინებდნენ, ან მაწონი თუ გაჩნდებოდა, იმისთვის რქის კოვზები იყო. მაშასადამე, სამი თითი, რომლის საშუალებით პირჯვარს ვიწერდით და რომლის მობაძვით, ალბათ, ევროპელთა ჩანგალი წარმოიშვა, მშვენივრად ასრულებდა თავისს დანიშნულებას და უყვედრელად და ურცხვენელად მიჰქონდა ცხელ-ცხელი, წინასწარ დაგუნდავებული ლუკმები ღომისა პირისაკენ, და ზოგჯერ იმავე თითებით (ცერი, სალოკი და შუა თითი) სუფრაზედვე, სადილად თუ ვახშმად ჯდომის დროს, იწმენდნენ ცხვირს (მაშინ ცხვირსახოცი არ იცოდნენ), და მერე თუ რამე ზედ შერჩებოდა თითებს, კაცი — ახალუხის და ქალი — კაბის კალთებს მიიშველებდნენ მოსაშორებლად. გამონაკლისს შეადგენდა შიო, რომელსაც ბაღდადის ხელსახოცი ჰქონდა ქამარზე გაკეთებული. ეს ბაღდადი ყოველგვარ დანიშნულებას ასრულებდა, რაც მის ფერებს აშკარად ეტყობოდა. მსგავსადვე თუ ვისმე დაახველებდა, სრულებით ბუნებრივად მიაჩნდათ იქვე, ფეხებთან, დაეხველებინა და მერე ფეხებით წაეშალნა მისი კვალი. ეს ჰიგიენის ან კიდევ ესთეტიკის საწინააღმდეგოდ არავის მიაჩნდა და ამა თუ იმ სახით პროტესტის გამოცხადება აზრად არავის მოუვიდოდა.

თუ ჭამამდე, ანუ, როგორც შიო ეძახდა — „მუცლის მსახურებამდე“ ყველას გამგელებული თვალები ჰქონდა, სახე ნერვიული, სამაგიეროდ, რაც უფრო ჩადიოდა გვამსა შიგან ცხელი ღომი, ნელ-ნელა ჰქრებოდა სისასტიკე სახისა, და მისს ადგილს კმაყოფილება იჭერდა, და ეს კმაყო-

ფილება სუფრის აღების მოახლოვებისას სრულის სამოთხის ბეტარების გრძნობად გადაიქცეოდა და თან ენას ამოიდგამდნენ. ჭამის დაწყებისას კი არც ლაპარაკი ისმოდა, არც სიცილი, — ყველა იმდენად ჯარიული იყო მეტად სერიოზულის საქმით. ხარბის თვალებითა ჰზომავდნენ წინდადგმულს ღომის მოცულობას, დიასახლისის მიერ მოცემულ შესატანებელს, ზომავდნენ დროს, რომელიც მოუნდებოდა მათს მოსპობას. მთელი წყება ყბებისა თითქმის ერთად აიწეოდა და დაიწეოდა, ერთხმად აწკაპუნებდნენ პირს და ავსებდნენ გვამს...

სუფრაზე ღვინოცა ჩნდებოდა ხოლმე ადესისა, მხოლოდ უფროსთათვის, უმცროსები საჭმელს წყაროს წყალს დააყოლებდნენ ხოლმე. შიო მოსაბოდიშებლად ანდაზით დაადასტურებდა ღვინის ასეთის განაწილების სამართლიანობას:

„ღვინო — უფროსთაო,
წყალი — უმცროსთაო“.

მერე ამავე აზრის დასამტკიცებლად ქართულად ამ ლექსაც მოაყოლებდა:

„ბერიკაცი თვრესო,
ვაჟკაცს ერთი ხვდესო,
ყმაწვილს სუნი მიედინოს, —
ღმერთს თაყვანი სცესო“.

და ყმაწვილებსაც ძალაუნებურად უნდა ერწმუნებინათ, რომ ღვინის სმა მათთვის ჯერ ადრე იყო.

ჭამის გათავებისას სახლის უფროსი კიდევ იტყოდა ლოცვას, მადლობას შესწირავდა უფალს „ყოვლითა სიკეთითა“ განძღომისათვის და უკვე გამაძღარი სააქაო სიკეთითა, შესთხოვდა — ზეციერი სასუფეველიც არ მოეკლო. ამის შემდეგ უფროსებს ტასტი და თუნგით წყალი მიერთმეოდათ და პირს გამოარეცხვინებდნენ. დასასრულ, ამათ შეეძლოთ სუფრას მოჰშორებოდნენ და აივანზე გამოსულიყვნენ.

შემთხვევა არ ყოფილა, შიოს როდისმე წამოსცდენოდეს — მადა არა მაქვსო. არც ის გაგონილა მისგან — ესა და ეს საჭმელი მწყენს, ვერ ვინელებო. უფალს მადლობასა სწირავდა, რომ საზრდოს აძლევდა. მხოლოდ სჭამდა დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა ერთნაირის გულმხურვალებითა, წადიერებითა და ერთნაირისავე მადითა: დილას, სადილობამდე, სადილობას, ნასადილევს, ვახშმობამდე, ვახშმად,თუ შეხვდებოდა.... ნავახშმევსაც. სჭამდა ყველაფერს, რაც საკბილოდ მოხვდებოდა. ადვილად მოერევოდა: მთელს დედალს, შეეძლო ამისათვის დაემატებინა ნახევარი გოჭი, გოჭისათვის ერთი ხარის ბეჭი (ბეჭი ტყემლით!)... არც იმისათვის შეიხრიდა წარბებს, უკეთუ ბატკნის ხორცსაც დაუმატებდნენ. გვამსა ში-

ნა ასეთის ზოოლოგიურ კოლექციის ჩაშვებას „ხმევას“ *) ეძახდა. რომ მორჩებოდა და თვინიერ გამოხრულ ძვლებისა არაფერი ეჭნებოდა სუფრაზე, იტყოდა: „ვიხმიეო“ („ქიპკაკალი“). ამას შემდეგაც მის გვამში, უნდა ვიფიქროთ, კიდევა რჩებოდა ადგილი ახლის სახმევის მისარქმელად...

ასე მადიანად სჭამდა შიო წელიწადის ყველა თვეში, ზამთარსა თუ ზაფხულში, მარხვასა თუ ხსნილში, შინაურობაში, თუ სტუმრად ყოფნის დროს. შიომ განსაკუთრებით სტუმრობაში იცოდა თავის გამოჩენა, რამაც მეტად პოპულიარული გახადა. ემარჯვებოდა სმა,ანუ, როგორც იგი, სასულიეროდ განწყობილი, ეძახდა სმას — „ამბორის ყოფა“ ყოველგვარ სასმელისა, რაც კი მაშინ ხელში მოხვდებოდა; „ამბორს უყოფდა“: ღვინოს, პილატეს ცრემლს, სამეგრელოში თურქეთიდან კონტრაბანდით შემოტანილ კონიაკს; სვამდა ჭიქით, ყანწით, კათხით, ერთის სიტყვით, ყოველგვარ ფორმის, ყოველგვარ დროის, სიდიდისა და მასალის სასმისით. **) სულს ვერ წავიწყმენდთ და ვერ ვიტყვით, რომ შიო მღვდელი მთვრალი ვისმე ენახოს. სიტყვა „ამბორის ყოფა“ შიომ ნათლობის საგალობელსაც მიუმატა და ორსტრიქონიან საგალობლის მაგივრად სამსტრიქონიანი გამოუვიდა:

„რაოდენთა ქრისტეს მიერ ნათელგვიღებიეს,
და ქრისტე შეგვიმოსიეს,
...ღვინოს ამბორგვიყოფიეს“...

ამ საგალობლის თქმა ასეთის ვარიანტით სმის დროს ხშირათ უყვარდა და როცა იტყოდა, თვითონვე უხაროდა, — რა კარგათ მომივიდა ამის თქმაო!.. სმის დროს, რა თქმა უნდა, ხუმრობის გუნებაზედაც დადგებოდა და როცა ვინმე მისს სადღეგრძელოს დალევდა და ეტყოდა: ერთ ოც წელიწადს კიდევ გვიცოცხლოს შენი თავი ღმერთმაო, შიო არც თუ ხუმრობით, ნათქვამს გაუსწორებდა:

— შე კაი კაცო, რა გეხარჯება. რომ არ ვიცი!.. ას წელიწადსო, რო სთქვა, შენ თვითონ რა დაგაკლდება!..

წვეულებასა თუ ქორწილ-ქელეხში რაკი ყველამ იცოდა შიოს ჭამა-სმის უნარიანობის ამბავი, რაც რამ ებადათ, ყველაფერი ერთად მოჰქონდათ და ერთად დაულაგებდნენ წინ, რომ ჯერ მისი თვალები გამაძღარიყო. რო დაასრულებდა „მუცლის მსახურებას“ (ეს პროცესი დიდხანს გრძელ-

---

*) ეს სიტყვა, როგორც სხვა ბევრი რამ, მაშინ, რა თქმა უნდა, არ მესმოდა. მხოლოდ მერე, სულ გვიან გავიგე, რომ განსვენებული დ. ჩუბინაშვილი საერთოდ ჭამა-სმას ეძახდა ხმევას, ასე რომ ამ სიტყვის გაგება შიოს მიერ და მისი განმარტება დ. ჩუბინაშვილისა ერთმანეთს, ცოტა არ იყოს, არ უდგებოდა.

**) განსაკუთრებით კათხას აძლევდა შიო უპირატესობას, რადგან ეს ჭურჭელი საეკლესიო ბარძიმს მოაგონებდა. და კათხით, რომელშიაც, სულ უკანასკნელი, ერთი ლიტრი ჩადიოდა, ღვინის სმის დროს უეჭველად უნდა მიეყოლებინა ძველებუ-

დებოდა), ხელს ნაზად, სულ ნაზად გადაუსვამდა მუცელს, მერე წვერზედაც ჩამოისვამდა ხელს, გრძელს ულვაშებს გაისწორებდა და იტყოდა:

— თუ სჭამოს კაცმა, ასე უნდა სჭამოს!.. მადლი უნდა ჭამოს ჭამას, მადლი!. მაშა! აგაშენოსთ ღმერთმა! ახლა შემიძლიან გულიანათ ვილოცო, თქვენ თუ ხორციელი საჭმელი მაჭამეთ, მე შემიძლიან სულიერი საჭმელი გაჭამოთ: ვსთხოვო ღმერთსა თქვენი მშვიდობა, თქვენი დღეგრძელობა, თქვენი ცხოვრება და დარწმუნებულიცა ვარ ღმერთი შემისმენს წმინდის გულით ნათხოვნს. გაკურთხოსთ უფალმა, ბარაქა მისცეს თქვენს ოჯახსა, თქვენს საქონელსა. ასე, შვილებო, ასე უნდა შეინახოთ სულიერი მამა.... თქვენთვისვეა სასარგებლო. მე თქვენთვის ვარ გაჩენილი. თუ მე კარგათ ვიქნები, ლოცვას არ მოგაკლებთ. თუ კარგათ არ ვიქენ, აბა თქვენ თვითონ განსაჯეთ, სუსტმა, მშიერმა, როგორ ვილოცო, ან როგორ უნდა ვსწირო ეკლესიაში!.. ან რა მადლი აქვს ასეთის კაცის წირვალოცვას!.. ახლა, შვილებო, აქ რომ მაჭამეთ და გამაძღეთ, დანარჩენი ულუფაც შინაც გამატანეთო, — დაამთავრებდა შიო დალოცვას და ალერსიან სიტყვებს, რაც იშვიათად წამოსცდებოდა პირიდან და თუ წამოსცდებოდა, მხოლოთ და მხოლოთ გვამის საფუძვლიანად ამოვსების შემდეგ.

შიო მღვდლის ოჯახში საჭმლის რაოდენობა და სიჩხინტე მატულობდა შობას ვიდრე ნათლიღებამდე, როცა სახლში საშობაო ღორი იკვლოდა და თანაც ნათლიდედებს ძღვნად მოჰყავდათ მსუქან-მსუქანი ყვერულები და მოჰქონდათ შინ გამომცხვარი ღვეზილები თუ ხაჭაპურები. შიოს და მისს ოჯახს მაცხოვრის დაბადების დღე პირდაპირ აკურვებდა სავსების მორევში. ასეთი ძღვენი აუარებელი მოსდიოდათ, რადგან ნათლიდედები უთვლელნი ჰყავდათ. ზოგიერთ გლეხს ბედნიერებად მიაჩნდა, თუ მღვდელი ან მღვდლის ოჯახის წევრი (სასურველი იყო მამათა სქესისა) მისს შვილს მიმრქმელად დაუდგებოდა და „მისს ოჯახში მირონს შეიტანდა.“ შიოს ოჯახის წევრს თითოეულს, სულ უკანასკნელი, 3-4 ნათლული მაინცა ჰყავდა. ნათლიდედა (პირსელი) ცდილობდა საშობაოდ მოეტანა სანაქებო ძღვენი, ისეთი, რომ მღვდლის ცოლს ჭკადუხეს დაწუნება

ეს მეგრული სუფრული სიმღერა:

გეშვია, გეშვია
ახალი დო ჯვეშია...
გეშვი ღვინი, გეშაწკუპი,
აშო მომიხარკალე...
მა დედიბი მუშო მოკო,
ცირა მომიჩაკალე...
(დალიე, დალიე
ახალი და ძველია (ღვინო)...
დალიე ღვინო, ამოწრუპე,
მერე აქეთ გადმოიგდე (ხის ჭურჭელი)...
მე ბებერი რაღათ მინდა,
გოგო ძალით მომითრიე...

არ შესძლებოდა, სხვა ნათლიდედების მიერ მოტანილზე უფრთესი, რისთვისაც საჩუქრებსაც ღებულობდა. საჩუქრის რაოდენობა დამოკიდებული იყო ძღვნის ღირსების და მიმღების გულუხვობაზე: მინიმალური — ფულად ერთი აბაზი და მაქსიმუმი—სამშაურიან ჩითის ბევრი — მანათად ღირებული.

შიოს ოჯახში სასტიკად იყო დაცული შენახვა: ოთხშაბათ-პარასკევისა, შობის მარხვისა (40 დღე), დიდმარხვისა (48 დღე), პეტრეპავლობის მარხვისა (15 დღე) და მარიამობისთვის მარხვისა (14 დღე მარიამობისთვეში) ანუ სულ 117 დღისა უოთხშაბათ-პარასკევოდ. ამ მარხვაში საჭმელად ჰქონდათ: უმთავრესად ლობიო, რომელსაც შესატანებლად მიემატებოდა: შავი ბოლოკი, მწნილი ხულისა, ჭარხლისა, პრასისა, თალგამისა და სხვა მწვანილის, ხოლო ახალ გაზაფხულზე—ჭინჭარი, ეკალა, ბოდერია, ნაცარქათამა და ათასში ერთხელ თევზი.

დიდი ირიდი და პატივისცემა გვქონდა ეკლესიისა და მის მსახურთა. მხოლოთ ძალაუნებურათ წამოგვცდებოდა მათდამი საყვედური ამ მარხვის გამოგონებისათვის...

ადვილი წარმოსადგენია, ადამიანს როგორ უწყალებდა გულს ეს ნირშეუცვლელი menu საჭმელისა და რა სული-სულზე მოველოდით მარხვის გათავებას და გახსნილებას!.. შობა და აღდგომა ჩვენთვის იმდენად იყო დიდი და ბრწყინვალე დღესასწაული, რამდენადაც იმათს გათენებისას ბოლო მოეღებოდა ლობიოს ჭამას!..

საჭმლის მხრივ ყველაზე „მკვდარი სეზონი“ მღვდლის სახლში იყო. გაზაფხული და ზაფხული, რადგან ამ დროს ქორწილი არ იმართებოდა. და, მაშასადამე, არავითარი საკლავი არ იკვლოდა. და აჰა, შიოს რზუნვაც არსობის პურისათვის გაორკეცებულის ენერგიით იჩენდა ხოლმე თავს. ქორწილდებოდნენ უფრო შემოდგომისას, როცა ჭირნახული ბინავდებოდა, საქონელს ბალახი და სიმინდი უხვადა ჰქონდა და სუქდებოდა. ქორწილის გადახდაც უფრო ადვილი იყო დარის მხრივ. მეორე პერიოდი ქორწინებისა იყო ნაახალწლევი, დიდმარხვის ხორციელის აღებამდე. ცხოველი და უხვების სეზონი შიოსა და მის ოჯახისათვის აბა ეს დრო იყო! ჯერ ეს ერთი, ფულად შემოდიოდა ჯვარისწერის ჰონორარი. თუმცა აღუნიშვნელად ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, თუ რა სიძნელით შემოდიოდა ეს ჰონორარი. შეუძლებელი იყო, ჩხუბი და უსიამოვნება არ წამძღვარებოდა ჯვარისწერას, ამ ფრიად სასიამოვნო აქტს მეგრელის ცხოვრებაში. შიო ჯვარისაწერ ნეფეს მოსთხოვდა 15 მანეთს, ისე ეკლესიის კარს არ გაუღებდა, რადგან ჯვარისწერისთვის 15 მანეთზე ნაკლების გამორთმევა მღვდლობის პროფანაციად მიაჩნდა. ნეფე 3 მანეთს შეაძლევდა. შიო 2 მანეთს რომ დაუკლებდა, ნეფე ხუთ შაურს წაუმატებდა. გაიმართებოდა მოციქულობა, ვაჭრობა, ლანძღვა, ზოგჯერ შიო გასაქცევადაც გაიწევდა. ბოლოს, იმით გათავდებოდა, რომ ოთხ მანეთად ჯვარს დასწერდა, ძაღლუმადურად დალოცავდა და გაისტუმრებდა.

მეორე სახარბიელო მხარე ჯვარისწერისა იყო, რომ მღვდელი უეჭველად ესწრებოდა ქორწილს და საუკეთესო ნაჭრები საკლავისა იმასა და დიაკვანსა ხვდებოდათ. რასაც მოერეოდა (და რას არ მოერეოდა), ხომ იქვე, ალაგობრივ, სჭამდა და სვამდა, და საუკეთესო ნაჭერი ხორცისა თუ პური შინ უნდა გამეეტანებინა. ალბათ ახეთმა შემთხვევამ შეჰქმნა მღვდლებზე გამოთქმული ანდაზა: „აქ გამაძღე, შინაც გამატანეო“. — ჯერ გაივსებოდა ჯიბეები (ყველაფრის ჩამტევი ჯიბეები მღვდლისა და ისიც შიოსი!) და დანარჩენი ჩადიოდა ხურჯინში ანუ „შიოს მარანში“, რომელიც იტევდა ყოველგვარის სივრცის და ხასიათის სურსათ-სანოვაგეს, უმსა თუ მოხარშულს, და რომელიც სულ მუდამ უნაგირის უკანა ტახტასა ჰქონდა შემოკრული: მაშინაც, როცა სადმე მიდიოდა და იმედი ჰქონდა რისამე წამოღებისა და მაშინაც, როცა არ ესვიდა რამე გამოეტანებინათ. ორივე ყური ხურჯინისა კარგათ რომ გაივსებოდა, აეკიდებოდა კოკინიას; ზედაც მე დავჯდებოდი და მოვიდოდით გულნებიერათ სახლში, სადაც დაგვინახავდნენ თუ არა ჩვენი მოუთმენლად მომლოდინე შინაურები, შორიდანვე გამოგვეგებებოდნენ. ხურჯინიდან დიასახლისი თავის ხელით ამოალაგებდა ხოლმე და თან კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებდა გამომგზავნს. შეუძლებელი იყო არ დაეწუნებინა გამოგზავნილი, შეუძლებელი იყო „ღორი ყაზახის“ (გლეხის) ადრესით ქება გაემეტებინა: „თავის დღეში ვერ ისწავლის მღვდლის პატივისცემასო“. თან შიოს მიმართავდა, როცა მისი მოტანილი ნასაკურთხევი იქნებოდა:

— პაპა, *) იმ ვეთანძარა (ვითა მძოვრმა) დედაკაცმა ასე მჭლე ქათმით უნდა აცხონოს თავის მიცვალებულის სული? მაგისმა მზემ! ან შენ როგორ უკურთხე ასეთი მჭლე ქათმით! თვალები სადღა გქონდა? არ იცი განა, თუ ერთხელ შეარჩინე, მეორეჯერ უარესს გიზამს. ყაზახი თავზე არ უნდა დაისვა...

მოჰქონდა შიოს ქელეხებიდანაც. რა თქმა უნდა, მე მის უკან ხურჯინზე დამჯდარს განუყრელადა მხედავდნენ კოკინიას. ზურგზე. უკვე „პატარა დიაკვანს“ მეძახდნენ, რადგან „მშვიდობიანების“ თქმას რუსულად „გოსპოდ პომილუის“. „წმინდაო ღმერთოს“ და „მამაო ჩვენოს“ მივაყოლებდი. რა თქმა უნდა, მაყურებლები, რომელთაც რუსი არცკი ენახათ, არამცთუ რუსული გალობა გაეგონათ, გაოცებულები შემომცქეროდნენ: როგორ ახერხებს ერთი თითის ტოლა ბავშვი რუსულად ლოცვის თქმასაო! ღმერთმა გაუზარდოს მისს დედ-მამას მისი თავი და რო გაიზრდება, რა იქნებაო! წარმოგიდგენიათ, როგორ წამაქეზებდა არჩეულ გზით სიარულისთვის ასეთი ქათინაურები, რომლებიც სრულებით დამსახურებულად მიმაჩნდა...

---

*) ცოლ-ქმარი ერთმანეთს ნამდვილ სახელს არ ეძახდა, არამედ მეტსახელს. როცა ერთმანეთს მიმართავდნენ, ჭკადუხე ქმარს — პაპას ეძახდა, შიოც ცოლს — ჭკადუხეს ეძახდა.

ერთი მოხუცებული გლეხი გადაიცვალა. იმის ტირილში ვართ, ახალი შემოღებული იყო სამეგრელოში: ბაზარ ადგილას ფურნეში გამომცხვარ თეთრ პურით გამასპინძლება სატირლად მოსულ მეზობლებისა. პურთან შესატანებელი ლობიო იყო ხოლმე. მაგრამ ულობიოდ [illegible] პურს მადიანად შეექცეოდნენ, რათგან პურის თესვა სამეგრელოში გადავარდნილიყო და რუსეთიდან მოზიდულ და ალაგობრივ გამომცხვარი პური და ისიც თეთრი იშვიათი საშოვნელი და ფუფუნების საგანი იყო. მღვდლისათვის მდინარეში დაჭერილი თევზიც ეშოვნათ და ცოტა ზეთისხილი, რომელიც მაშინ თურქეთიდან შემოჰქონდათ.

ჯერ იტირეს მიცვალებული, მეგრულ წესისამებრ, ზარით.

ეზოში მთელის სოფლის ხალხი ირევა: ქალი, კაცი, დიდი, პატარა. მიცვალებული სახლის აივანზე ასვენია. კუბოს გარშემო უსხედან შავებიანი ქალები, თმაგაშლილები, მოთქმით სტირიან და ჩამოსთვლიან (თვალუა) სააქაოდან გარდასულის ვაჟკაცობას, მომღერლობას, ცეკვის ცოდნას, ჭირსა და ლხინში მეზობლისა და მოკეთის გატანას. ჭიშკართან ახლოს, ღობის გასწვრივ, ორი კაცი დგას და სატირლად შემოსულ ხალხს, ქვეითსა და ცხენოსანსა, ჰშველიან: ცხენებს ჩამოართმევენ და იქვე ღობის სარებზე გადაუგდებენ ცხენების აღვირს. მერე ცხენისაგან განთავისუფლებულ მოტირალთ ჩამოართმევენ იარაღს: სატევარს, ხმალს, დამბაჩას, ქუდს თუ ყაბალახს და იქვე დადგმულ ფიცარზე დააწყობენ. ამასობაში იქვე მდგარი გუნდი, ხუთის კაცისაგან შემდგარი, იწყებს „ზარს“ — ერთგვარ სამგლოვიარო საგალობელს, რომელშიაც მხოლოდ ორი სიტყვა მოისმის: „ვაი, ვაი!“ ამ ორ სიტყვას პირველი ხმა, მოძახილი, თუ ბანი სხვადასხვა გვარად უტრიალებს და ის დანიშნულება აქვს,— სატირლად მისული კაცი დააღონოს, დააძმაროს, ტირილის გუნებაზე დააყენოს, თვალებზე ცრემლები მოჰგვაროს. მოტირლები მწკრივში შეიძლება იყვნენ ორი, სამი, ექვსიც. მწკრივს იქით-აქეთ აედევნებიან თითო კაცი და ზარის ხმაზე გაემართებიან. თან თავებში წაიშენენ ორსავ ხელს და დაიწყებენ „ვაი-ვაის“ ძახილს. მივლენ მიცვალებულთან, ივიშვიშებენ, მიცვალებულს შესტირებენ: ცოდვაა, შე საბრალო, შენი სააქაოს მოშორება, უშენოთ ჩვენ რა გვეშველება, შენ იყავ ჩვენი დამხმარე ჭირსა და ლხინშიო. ცერემონმეისტერები ხელს მოჰკიდებენ და უკან წამოიყვანენ — გეყოფათ ტირილი, თავს ნუ მოიკლავთო. უკან დაბრუნებულთ მისცემენ თავიანთს იარაღს და აქედან გაუძღვებიან სეფისაკენ ულეხის საჭმელად.

მოტირალი ქალებიც იმავე წესით მოდიან სატირლად. ამათ თმა გაშლილი აქვსთ და გაშლილ და ჩამოშვებულ თმაზე ორისავ ხელის თითებს ჩამოისვამენ ხოლმე. თან ჰკივიან, სახეზე ფჩხილებს ჩამოისვამენ, ვითომ ლაწვებს იღადრიან სიმწარისაგამო. ამათაც მიცვალებულთან მოიყვანენ, "გააძღობენ“ ტირილით და უკანვე აბრუნებენ, რომ ახლა მეორე რიგი წამოიყვანონ მოტირალთა და სხ.

სახლს მოშორებით, სეფას გვერდით, მინდვრად, ცეცხლი გაჩაღებული, მიწაში ცეცხლის იქით-აქეთ კაპიანი სარებია ჩარჭობილი, რომლებზედაც მკლავის სიმსხო ჯოხებია გადებული და ჰკიდია ულარმაზარი სპილენძის ქვაბები, რომლებშიაც იხარშვის ლობიო მოტირალებისა.

ვისაც ტირილი გათავებული აქვს, შეუძღვებიან სეფაში, რომელიც გრძელ კარავს წარმოადგენს, სახელდახელოდ შეკოწიწებულს ყავრებისა თუ ფოთლიან ხის ტოტებისაგან. პურისმწდე ჯერ შორეულთ დასხამს სუფრაზე, საპატიო მოტირალს — საპატიო ადგილას, მანდილოსნებს — მანდილოსნებთან. რიგი რომ მორჩება ჭამას, ახლა მეორე რიგს მოუსმენ სუფრას. აქა სთავაზობენ პურს, ლობიოს და ღვინოს მიცვალებულის შესანდობად. მოტირალნი ერთ ნაწილს პურისას შესჭამენ და დანარჩენი, ხელსახოცში გამოკრული, შინ მიაქვსთ. ლობიოს მოხარშვა და მოზელა რამდენსამე მეზობელსა აქვს ნაკისრები. როგორც ამათი, ისე ცერემონმეისტერების და მოზარეთა სამსახური უსასყიდლოა, — ერთგვარი სამეზობლო შესაწევარია, ჭირში ურთიერთი დახმარება და მიშველება.

შიო, როგორც მღვდელი, და მე, როგორც მისი დიაკვანი, რა თქმა უნდა, საპატიო ადგილას ვისხედით, სუფრის თავში. პურისა მთელი კალო გვედგა წინ. თევზი ცოტა მეც მარგუნა შიომ. პურს დახამებულმა, პური იმდენი ვჭამე, ქამარი შევიხსენი და დიაკვნურის პირით ძალაუნებურათ ცხონება შევუთვალე მიცვალებულს, რომელმაც ასეთი კეთილი საქმე, როგორიც სიკვდილია, მოიფიქრა და იმდენი ხალხი პურით დაგვაძღო... შეუჭმელ პურს შიომ ორი გაუჭრელი პური კიდევ მიუმატა, შინიდან წაძოღებული პატარა ტიკჭორა (ასეთს შემთხვევაში ტიკჭორა უეჭველათ უნდა წამოეღო ხოლმე) ღვინით გაავსებინა, ცოტა თევზიც მიაყოლა და სულ ყველაფერი ხურჯინში ჩავუშვით.

ტირილი მორჩა. ყველანი გაძღნენ. შიოს წესი უნდა აეგო მიცვალებულისათვის და უკვე უნდა გამოესვენებინათ. კუბო საკაცეზე (ჯალამბერზე) დააკრეს და ის იყო, შიო უნდა გასძღოლოდა და შევდგომოდით ეკლესიისაკენ მიმავალ ალმართს. ჭირისუფლებმა შიოს მიუგზავნეს სოფლის მოწინავე და კარგი მოლაპარაკე კაცები და მორიდებით აკითხვინეს, თუ რამდენს დასჯედრებოდა წესის აგების და ეკლესიაზე მიცვალებულის გაძღოლისათვის.

— მანეთს ნაკლებ ფეხს არ მოვიცვლიო, — შეუთვალა შიომ.

ჩემი პატარა გონება ვერ მიხვედრილიყო, თუ ამდენ პურის ჭამის შემდეგ შიოს ფული რისთვის უნდა გამოერთმია ჭირისუფალისათვის; მე იმისი ყოფილვიყავ, სრულებით უფულოდაც გამოვასვენებდი... მაგრამ თქვენს ლხენას აბა მე ვინა მკითხავდა!.. გაიმართა მოლაპარაკება. ჭირისუფლებმა უკვე ათი შაური აძლიეს, მეტი არ შეგვიძლიანო. შიომ იწყინა: — არა, შვილონიასა, მე ათშაურიანი მღვდელი არ გახლავართ, ჩემი ლოცვა და სხვა მღვდელი რომ გინახავსთ, იმის ლოცვა ერთი არ გახლავსთ! თქვენ წელიწადში ერთსა თუ ორს თუღა მოგაგონდებათ სიკვდილი და მაშინაც ათის შაურის მეტი რომ არ ავიღო, აბა ამიშენ-

ღება ოჯახი... ესეც არ იყოს, ხომ გაგიგონიათ, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. აქაო და თქვენის გვარისა ვარო, განა თავი უნდა აგაგდებინოთ და ანაფორა შეგარცხვენინოთ!.. აქამდე რითი ვერ გაიგეთ, რომ სხვა მღვდლებთან დასატოლებელი არა ვრ!.. არა, ათს მაურს როგორ მიბედავთ, როგორ?!.. — შესძახა შეტევაზე გადასულმა მოძღვარმა.

შუაკაცებმა მთელი მჭევრმეტყველება იხმარეს. ეცადნენ, შეებრალებინათ შიოსთვის ჭირისუფლები, ხან საიდან მოუარეს, ხან საიდან, მისის ადრესით ქათინაურებიც არ დაიშურეს, მაგრამ ვერას გახდნენ. შიო არ დაერიდა, ისედაც დაძმარებული ხალხი უარესად დაეძმარებინა. საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ შიომ ოლარი გადაიძრო კისრიდან, დაჰკეცა, ჩემთვის უნდა მოეცა ხურჯინში ჩასადებლად და მიცვალებული სულაც მიეტოვებინა. ათიოდ ნაბიჯი განვლო კიდეც ჭიშკრისაკენ, ჭირისუფლებმა ათ შაურს ორი შაურიც მოუმატეს. მაგრამ სანამ არ დაუთვალეს, ისე ოლარის ხელი არ ახლო. გულმოსულმა მიცვალებულს წესი აუგიჩემის დახმარებით და ის იყო, ეზოდან უნდა გასულიყო, ისე მოაგონდა, რომ ხურჯინში პური და ღვინო კი ჰქონდა, მაგრამ კარგი იქნებოდა მის ყანაში მომუშავე გლეხებისათვის ლობიოც წამოეღო. დაუძახა მზარეულს და უთხრა, ხურჯინის ცალ ყურში ლობიო ჩაეყარნა. მზარეულმაც, რომელიც შიოსა და ჭირისუფლების ვაჭრობას ყურს უგდებდა, ალბათ, ჯავრის საყრელად, ხურჯინი ლობიოთი კი გაავსო, მაგრამ ლობიოსათვის მისი ნახარში ცხელი წყალიც დაემატებინა. აჰკიდეს „კოკინიას“ ხურჯინი და შიოს ავჟანდი ჩამოუწიეს. შიოც გულნებიერათ შეჯდა, როგორც გამარჯვებული კაცი, რომელსაც კნინი წინასწარგრძნობა არა ჰქონია, რომ მგზავრობის სულ რამდენსამე ნაბიჯს შემდეგ რამე უსიამოვნო ინციდენტის განცდა მოელოდა. მე შიოს უკან მომისვეს ხურჯინზე და გავუძეხით მიცვალებულს.

დაიძრა პროცესია, რომელსაც ჯორით წინ შიო მიუძღვებოდა. ასიოდ ნაბიჯი გვექნებოდა გავლილი, ისე კოკინიამ მძიმე მომენტის საფერი თავშეკავებულობა ვერ გამოიჩინა და ერთბაშად დაიწყო ჭიხვინი, საკბენად ეტანებოდა ყველას, სულ ტყუპ-ტყუპ წიხლებსა ჰყრიდა, და თან იქარებოდა მაღალის ხმით და ერთ ალაგას ტანა-ჯორივით ტრიალებდა. გარშემო ხალხი სულ შემოიფანტა. ეტყობოდა, აღარც თავისს მხედარს ინდობდა და მისს გადმოგდებასა ჰლამობდა. მაგრამ შიო უნაგირზე თავს იმაგრებდა. მე კიდენ, რაც ძალა და ღონე მერჩოდა, მისს ანაფორას დავებღაუჭე. თან ვსტიროდი და თანაც კივილი მოვრთე. სრულებით დამავიწყდა, რომ არა ჰხამდა—„დიაკვანს“ შემშინებოდა და მით უფრო—მეტირნა. ისიც უცხო ხალხის წინაშე!.. მე კი ამ კილოთი მინდოდა კოკინიასათვის გამეგებინებინა, რომ შეიძლებოდა მომავალი მღვდელი გადმოვარდნილიყავ. რამე მომეტეხნა და, უკეთესს შემთხვევაში, რამე მტკენოდა. კოკინიას ასეთი საქციელი იმდენათ გაუგებარი იყო სულიერ მოძღვრისათვის, რამდენადაც მოულოდნელი. ჯერ შეუტია: რა დაგემართა, შე სამგლეო! მაგრამ, ეტყობოდა, პატრონის შეტევამ სათანადო ეფექ-

ტი ვერ მოახდინა პირუტყვზე, — ისევ განაგრძობდა წიხლების სროლას და ხმიანობით ბუღის გამოშვებას. მაშინ შიომ ყველაზე საშიში და, მისის აზრით, ყველაზე ძლიერი წყევლა იხმარა, რასაც, ჩვეულებრივ, მეტად მძიმე გარემოებაში მყოფი მიჰმართავდა: „შეგაჩვენოს ჩემის მაკურთხებლის მადლმა და ძალამაო!“ მაგრამ არც ამან გასჭრა. შიოს ეგონა, რომ კოკინია უსაბუთოდ იქცეოდა ასე. ის კი არა, სრული საბუთი ჰქონია ამაზე მეტიც ექმნა. სხვადასხვა ხასიათის ხმაურობა ერთმანეთში ისე აირია, რომ ძნელი იყო გარეშეს გამოეცნო, ვის რა აწუხებდა, ვის რა უჭირდა. ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა: არიქათ, ხურჯინში ჩაყრილ ცხელ ლობიოს ბრალი იქნებაო. მართლაც, ცხელ ლობიოს და მის ნახარშ წყლის სიმხურვალეს ხურჯინს გარეთ გაეტანებინა. ჯორს ჰმწვავებია და იძულებული გამხდარა დაერღვია ზრდილობის წესები, ერთის სიტყვით, მოქცეულიყო ისე, რაც არ შეეფერებოდა არც მომენტს და აღარც მხედრის მაღალ-ღირსებას.

მგლოვიარე სახეებს ბარემ არ უხდებოდათ თავშეუკავებელი სიცილი, ბოლოს ხარხარად გადაქცეული. კიდევ ბედი, მიცვალებული ახალგაზრდა არ იყო, და სიცილი, მათ-და უნებურათ გამოწვეული, ეპატიებოდათ.

როგორც იყო, ძირს ჩამოგვსვეს, ოინის მიზეზი ლობიო ყველას თვალწინ ხურჯინიდან წამოჰყარეს, და ჯორი მხოლოთ მაშინ გახდა თანახმა მისს ზურგზე შეევსით, როგორც მისი საპატიო და თანშეზრდილი მხედარი, ისე მისი შვილის-შვილი. ბარემ დაენანა შიოს, რომ სახლში ულობიოდ მიუვიდოდა ჭკადუხეს...

ხალხს კი ერთხელ კიდევ მიეცა შემთხვევა გაეკილნა თავის „სულიერ“ მოძღვრის გვამი, რომლის ამოვსება შავს მიწას თუ-ღა შეუძლიანო. სოფლელთ დიდხანს ჰქონდათ ეს ამბავი სალაპარაკოდ და განსაკუთრებით შიოს, როგორც ნიმუში „ღორების“ (გლეხების) თავგასულობისა. ამ შემთხვევაში ბრალი, შიოს აზრით, სავსებით ამათ ედებოდათ.

მეორე შემთხვევაც იყო დიდხანს სალაპარაკოდ. ერთმა დედაკაცმა შიოს ორმოცის წირვა თხოვა შიოს თავის გარდაცვალებულ ქმრის სულის „საცხონებლად“. თუთხმეტ მანეთად გარიგდნენ. შიომ უწირა. მაგრამ დედაკაცმა დაპირებულის მიცემა ვერ შესძლო. თუ მოცემის თავი არა გქონია, რას მაწირვინებდიო. — უსაყვედურა შიომ. — დიდი საქმეა, თუ შენი მუტრუკი სოსრანის (ქმრის სახელი) სული სამოთხეში არ შევიდოდა!.. ჯანი გაგვარდეს, რაკი ფული არ შეგიძლია, შენი დეკეული რომ დაგიდის ის მაინც მომიყვანე სახლში. რაკი ვუწირე, უკან ვერ წამოვიღებ ჩემს წირვას. მე ჩემი გამიკეთებია; ახლა ქმარი სასუფეველში შევა თუ არა, მისი საქმეა.

ბარემ ემძიმებოდა დედაკაცს დეკეულის მიცემა. მაგრამ ვაი თუ ჩემის უხანო მიცვალებულის სულს დავუმძიმოვო და მოუყვანა მოძღვარს დეკეული, რომელიც რამდენსამე თვეში უნდა დამაკებულიყო.

III

შიოს შეეძლო ეთქვა—უშფოთველად მიმაქვს ჩემი [illegible] ოჯახი სავსე ჰქონდა, ერთი შვილი დიდის ხნის მღვდელი [illegible] სამ სხვა მღვდლად ეზრდებოდა. ქალები ზოგი სამღვდელოს მიათხოვა, ზოგი აზნაურს, დანარჩენებსაც შესაფერისად გაათხოვებდა. არ აკლდა საკურთხები, ნათლობა, ჯვარისწერა, მიმოსვლა საკალმასოდ სოფლელთა დედაკაცებთან.

ჰო, შეეძლო ეთქვა, ბედნიერი ვარო, რომ ერთი გარემოება არა.

შიოს ეკლესიაში შემავალი მრევლი 500 კომლისაგან შესდგებოდა, და გაფანტული იყო ხუთ ოთხკუთხ კილომეტრის სივრცეზე. სასულიერო მთავრობამ ამოდენა სამწყსოს ორი მწყემსი მიუჩინა მომვლელად და ყურისმგდებლად: ერთი შიო და მეორე — ივანე მღვდელი, ისიც შიოს თანამოგვარე. ორთავეს უნდა ეზრუნათ სამწყსოს „სულიერ“ საჭიროებისათვის და სამაგიეროთ სამწყსოსაც უნდა ეტვირთვნა მათი შენახვა, მათი მატერიალური უზრუნველყოფა. ასე რომ მთავარანგელოზის ეკლესია ორშტატიანი იყო.

შიოს, სხვა ყველაფერში სასულიერო მთავრობის მორჩილს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდა ამ მთავრობის ასეთი განკარგულება. იგი კმაყოფილი იქნებოდა — მარტო იმას დაჰკისრებოდა მრევლის მოვლა და მთელი შემოსავალიც მას დარჩენოდა. ახლა-კი მოცილე გამოუჩნდა, რომელიც პირიდან ლუკმას აცლიდა. ოღონდაც, რომ მათი ურთიერთობა შეგობრული არ იქნებოდა, ოღონდაც, რომ მათს შორის მტრობა ჩამოვარდებოდა, მტრობა სამკვდრო-სასიცოცხლო. შიო სამჯობინოდა სთვლიდა ყველაფერი მისი ყოფილიყო, ყველაფერი მას დარჩენოდა, მოცილე არავინ ჰყოლოდა. ანორმალურად მიაჩნდა სხვისთვის რამე, თუნდ ზედმეტი, გაემეტებინა, მით უფრო ივანესათვის. იძახდა: ისეთს (ივანესთანა) გლახაკს რათ უნდა რამე, ჭამის შნოც არ მიუცია მისთვის ღმერთსაო!.. ქვეყანა ჩემისთანას უნდა ჰქონდეს საჭმელადო. დიაღაც საბუთიცა ჰქონდა ასე ეთქვა!..

ეს მტრობა ჯერ ჩუმი იყო, ყრუ, მერე გულში ერთად დაგუბებულმა დაგროვილმა სიძულვილმა გამოხეთქა და უფრო ხელშესახები სახე მიიღო.

რამდენად შიო იყო ომახიანი, შემმართებელი, იერიშის მიმტანი, იმდენად ივანე მღვდელი იყო უძლური, გაჭირვებისა და მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევის ყოველს უნარს მოკლებული. ტანად ჩია, მაჩვის ტაბიკი, დაგვალული, ჩაწყვეტილ და წრიპინა ხმიანი აბა სად დაეტოლებოდა ახოვანს, ომახიანს, მკლავღონიერს შიოს!.. ეკლესიაში ივანეს ხმას კატის კნავილს ეძახდა შიო თავის ხმასთან შედარებით.

ამ ისედაც ბუნებისაგან დაჩაგრულს შიო ყოვლადის უდიერობით ჩაგრავდა; ივიწყებდა, რომ ივანეც მისებრ ტრაპეზის მსახური იყო. შისი თანაძმა „უსისხლო მსხვერპლის“ შეწირვითა. ჰხამდა, უბირ ხალხის საჩვე-

ნებლად მაინც ადამიანური მოქცევა გაემეტებინა მისთვის. მაგრამ მისი ერთად-ერთი აზრი და ზრუნვა ის იყო, რომ გზაზე გადალობებული მოქიშპე, „პირიდან ლუკმას რომ აცლიდა“, მოეშორებინა და ამისათვის არავითარი საშუალება ეზოგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით სამწყსო, რაკი ხედავდა ამ ბუნებისაგან დაჩაგრულს, თვით შიოსაგან აბუჩად აგდებულს მოძღვარს, ანდაზისა არ იყოს — გაჭირვებულს დააჭირეო („გაჭირვებულს გეუნჭირია“), ჰო, თანაგრძნობის მაგიერ, ეს სამწყსოც ივანეს მოძულეთა ბანაკში მოექცა. ჯვარის წერისა, მიცვალებულის გასვენებისა თუ სხვა წესების შესრულებისათვის გაცილებით ნაკლებს ჰონორარს აძლევდა ივანეს, ვიდრე შიოსა. მაგ., ივანესთან ისეთი საკურთხი მიჰქონდათ საკურთხებლად, რომლის მსგავსის მოტანას შიოს ვერ გაუბედავდნენ. ივანემ იცოდა, რომ ყოველივე ეს შიოს ბრალი იყო, მაგრამ , როგორც სუსტი და დაჩაგრული, ხმას ვერ იღებდა, ბოლმას გულში იმარხავდა.

მის გვარში შიოს, ისეთისათვის, როგორიც ივანე მღვდელი იყო. არამცთუ მღვდლობა არ ემეტებოდა, თვით, მისი სიცოცხლე ზედმეტად მიაჩნდა, თვით მის გაჩენასაც ბუნების შეცდომადა სთვლიდა. ივანე ღვთის მიერ გაჩენილთა რიცხვში არ ჩაირიცხებოდა: ტყუილად მიწას ამძიმებს და მთელს გვარს თავსა გვჭრისო. შიოს ვერ მოენელებინა, სულ იმას იძახდა: მღვდლად როგორ აკურთხა ჭყონდარმა *) ასეთი გლახაკი, ასეთი უკაცობის კაციო. საკურთხებელი კაცი გაუწყდა იმ დალოცვილსაო!..

ივანე თავის თავს ბოლოს და ბოლოს მართლა რომ დასჯილადა სთვლიდა, ღმერთს ემდუროდა: იმ დროს როცა შიოს მთელი ჯოგი ჰყავდა შვილებისა, მთელი 18 სული, ჩემთვის იმ დალოცვილმა ღმერთმა ორის შვილის მეტი ვერ გაიმეტაო, რომ მხარში ამომდგომოდნენ, მტერს შეჰშინებოდა, რიდი ჰქონოდა ჩემიო.

ცოლიც რომ სუსტი შეახვედრა ბედმა!... აბა სად შიოს თანამეცხედრე ჭკადუხე, პირდაპირ სარქალ დედაკაცს რომ იტყვიან, ისეთი, — და სად ივანეს დალეული, კნაჭა ცოლი!.. რა ბრძანებაა!.. თუ ჭკადუხეს ოჯახი დულდა და გადმოდიოდა, თუ სავსე იყო იგი შინაურ ფრინველითა, თუ ოთხფეხ საქონლითა, ივანეს ცოლს სულ რამდენიმე ფრთა ქათამი თუ-ღა დაუდიოდა ეზოში...

თუ სასულიერო მამანი ხელს უშლიდნენ ქვეყანასა ზედა მშვიდობა ყოფილიყო და მათს შორის სათნოება, თუ ესენი ერთმანეთს მთხრებლს უმზადებდნენ შიგ ჩასაგდებად, ცოლებიც სავალდებულოდა სთვლიდნენ, ისევე მოქცეულიყვნენ, ბანი მიეცათ თავიანთ ქმრებისათვის. რადგან ერთმანეთისაგან ორის კილომეტრის მანძილით იყვნენ დაშორებულნი და ერთიმეორეს ხშირათ ვერა ჰხვრებოდნენ, შორიდან უთვლიდნენ ერთმა-

*) მაშინ სამეგრელოში ჭყონდარი (ჭყონდიდელი) შემკრებითი სახელი იყო ეპისკოპოსისა, როგორც მარტვილის, ისე სხვაგნებურისა.

ნერთს საალერსო სიტყვებს მეზობელ ქალების პირით. თუ სადმე ტირილში შეხვდებოდნენ ერთმანერთს, გაგიხარიანთ, გულის ბუხარს იყრიდნენ ერთმანერთის განქიქებითა! შიოს ცოლი პირველად დაიწყებდა:

— გაგისკდა მიწა! შენც იტყვი, შე მიწადასაყრელო! მღვდელი მყავს ქმრადაო! ის რა მღვდელია, კატასებ კნავის ეკლესიაში! ერთ ... მაგან არ იცის და ლოცვა. ღმერთს როგორ უნდა გააგებინოს ხალხის გაჭირვება!...

— ერთი შენი ქმარია მღვდელი! — უპასუხებდა ნიშნის მოგებით ივანეს ცოლი. — მღვდელი კი არა, მგელია. აკლებული ჰყავს მთელი სოფელი, საწყალს დედაკაცებს არაფერი შეარჩინა, პირიდან ლუკმასა სტაცებს ყველასა. ესეც იტყვის, ყველანი უნდა ვაცხონოვო!... ერთი კაცი მადლიერი არა ჰყავს, სულ ყველანი იმასა სწყევლიან.

ქმრების ასეთს კრიტიკას უეჭველად ხელჩართული ბრძოლა მოჰყვებოდა, მაგრამ მეზობლის ცოლები დროზე ჩაერეოდნენ და საჯარო სკანდალამდე არ მიაყვანინებდნენ საქმეს გაწიწმატებულ თანამეცხედრეს სულიერ მოძღვრებისას.

ივანეს ცოლს ერთი იარაღი-ღა დარჩენოდა, უეჭველი, უტყუარი, მისანდო, იმდროინდელ ქალებისათვის ყოველ ნაბიჯზე მისამართი და სახელდახელო: წყევლა. საქმეში ჩარევდა თავის ქმრის ეკლესიის მფარველ მთავარანგელოზს, სთხოვდა — უკუღმა შეეტრიალებინა შიოს ოჯახის ბედი, სასიკვდილოდ არ დაეზოგნა თვით შიო, რომელსაც არ ეთაკილებოდა დაეჩაგრნა ისედაც დაჩაგრული და საწყალი ივანე. დარწმუნებული იყო, რომ ეს წყევლა უღურ გასჭრიდა. ჭკადუხემ იცოდა ეს და ისიც თავის მხრივ ხობის ღვთიმშობლისას სთხოვდა გაებათილებინა ივანე მღვდლის ცოლის წყევლა, გამოეჩინა მთავარანგელოზზე მეტი ძლიერება. სამაგიეროთ ჰპირდებოდა შესაწირავს: ფულს, თაფლის სანთელს, საკლავს.

უბედო ბედი, თორემ ჯორი მაინც ეყოლებოდა ივანეს ჯორის მინაგვარი, ხალხში გამოსაჩენი. თეთრი იყო, დაბალი, დაგვალული, გამხდარი, მიხამუზისაგან გვერდებდაჩხვლეტილი, ზურგგადატყავებული. ტანით სახედარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ჯორს, აკი იმიტომაც ამბობდა ხოლმე შიო — ივანეს ჯორი, ჯორი კი არა, ვირიაო. თავად ვირი ვირზედ ზისო (ბრაზისაგან ავიწყდებოდა, რომ, რაც უნდა ყოფილიყო, ივანე მისი თანამწირველი იყო და იმაზე ჰხარჯავდა ასეთს ქართულს), — იტყოდა ხოლმე შიო, როცა ივანეს ჯორზე შემჯდარს დაინახავდა. და ამით საბოლოოდა სპობდა, ანადგურებდა თავისს მეტოქეს.

მთელის შფოთისა და დავიდარაბის მიზეზი იყო მათის საუბარო სამრევლო ტერიტორიის განუსაზღვრელობა, შეუძლებლობა ლარის გავლებისა, ნაწილებად გაყოფისა, თითოეულისათვის თავთავის კომლის მიჩენა. ამიტომ დღესა ყოველსა და ჟამსა ყოველსა საზღვარი ირღვეოდა, ერთმანეთში ირეოდა, თუ რომელი კომლი რომლის მღვდელს უნდა ჰკუთვნებოდა: შიოს თუ ივანეს.

ჩხუბისა და ერთმანეთში ანგარიშის გასწორების ასპარეზად მომეტებულად ეკლესია იყო გადაქცეული, რადგან ერთმანეთს აქა ხვდებო-

დნენ უფრო. თუ სოფელში ქურდულათ (ერთიც ჰკადრულობდა ამას და მეორეც) ერთიმეორის კომლში შევიდოდნენ წესების ასასრულებლად, ეკლესიაში ეს არ შეიძლებოდა. ეკლესიაში მოტანილ საკურთხების კურთხევაზე უნდა ატეხილიყო უსიამოვნება. ერთხელ შიომ [illegible] ეს, როცა ეს უკანასკნელი შიოს მრევლის დედაკაცის ეზოს საფლავზე ტაბლას აკურთხებდა. ის იყო, ივანემ უკანასკნელი სიტყვები ლოცვისა გაათავა და ტაბლის ალაგებას და აბგაში ჩაწყობას უნდა შესდგომოდა, ისე საითგანღაც გაჩნდა შიო, ქორივით დააფრინდა, მოჰკიდა ხელი და შემოსილს იქვე ხრამში გადაუძახა. ივანე მთელი ერთი თვე უწვა დაჩეხვას და ბარძიმ-ფეშხუმისათვის ხელი არ მოუკიდნია. მეორეჯელ დაზარალებული მხარე — ივანეა, და დამზარალებელი — შიო. შიოს უკადრებია (ისიც ჰკადრულობდა) და ნამალევად ჯვარი დაუწერია ივანეს მრევლის ქალ-ვაჟისათვის. ივანე საკურთხეველში შემოდის და წირვაზე მდგარს მღვდელს უსაყვედურებს. შიოს ავიწყდება, რომ მწირველია, არც აცივებს, არც აცხელებს, დაავლებს ხელს თეთრს წვერში და შეაჯანჯღარებს. საკურთხეველში „მშვიდობიანის“ მაგიერ ღრიალი მოისმის. წირვის მოსასმენად მოსული გლეხები ხედავენ, რომ საქმე მაინცა და მაინც კარგათ არ უნდა იყოსო და იძულებულნი არიან შეცვივდნენ საკურთხეველში და შიოს ნოტაციების წაკითხვასაც უბედავენ. შიომ ვერ აპატივა გლეხებს საკურთხეველში შემოსვლა და „უწმინდურის“ ფეხებით იქაურობის „შებღალვა“ და, სხვა რომ ვერაფერი მოხვდა ხელში, ჯვარი გაუშალა პირველ გლეხს.

შიოს თითქო არა ჰყოფნიდაო ის შეურაცხების სიტყვები, რასაც ივანესათვის ჰხარჯავდა. ერთხელ საჯაროდ წამოიძახა: — შენს ხელდამსხმელს კი... შენ რა საკურთხეველში შემოსაშვები და უსისხლო მსხვერპლის შემწირველი ხარ!.. შენ არ იყავი, ჭინკებმა გაცეკვეს, მერე ერთი ჭინკა დაიჭირე და შენს კნეინას მოჰგვარე და ისიც შინ ამსახურებდა!.. შენი სახლი გასანათლავია, გასანათლავი, ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა. შენ კიდევ სხვასთან მიდიხარ სახლის გასანათლავად!..

ჭინკას ამბავი ჩუმათ, ჩურჩულით დადიოდა ხალხში. სჯეროდათ და არცა სჯეროდათ მრევლში ამის სიმართლე. ამ ამბავზე ხშირათ ლაპარაკობდნენ შიოს სახლშიაც; რა თქმა უნდა, კარგათ არ ახსენებდენ ივანეს, მისს მღვდლობას, ამ მღვდლობის არასაფერ საქციელს. მაგრამ არავინ საიფიქრებდა, თუ შიო ამას უტყუარ ჭეშმარიტების ხასიათს მისცემდა, საჯაროდ დანაშაულად ჩაუთვლიდა ივანეს და ხალხის თვალში საბოლოოდ სახელს გაუტეხდა სულიერ მოძღვარს.

სოფელში და სოფელს იქითაც დიდხანსა ჰქონდათ ეს ამბავი სალაპარაკოდ. რა თქმა უნდა, სჯეროდათ კიდეცა. გასაკვირვიც არ იყო მაშინ, როცა ხალხი ტყეში ცხოვრობდა და ეს ტყე კიდევ ამ ხალხის აზრით სავსე იყო ყოველგვარის ტიპის ავსულებითა. აი, როგორ მოგვითხრობდნენ სოფლის ჭორიკანები ამ ამბავსა: ერთხელ ივანე ძალზე გვიან ჰბრუნდებოდა თურმე სახლში. უნდა გამოევლო ერთ მეტად ბნელ ხრამთან,

რომელიც დღისითაც შიშსა ჰგვრიდა ადამიანს, არამც თუ ღამით. ეს ხრამი ჭინკებს თავის ბუნაგად აურჩევიათ. ცეცხლი დაუნთიათ და გარშემო შემოსხდომიან. ჭინკები, ცრუმორწმუნეთა აზრით, მეტის-მეტი ხუმრობისმოყვარე ხალხია... ადამიანისათვის მაინც და მაინც დიდი ენება არ მოჰქონდათ, მაგრამ საეშმაკო საქმე მრავალი გამოუდიოდათ ხელიდან. მათს მასხარობათა და გართობათა რიცხვში შედიოდა, მაგალითად, ცხენისათვის ღამე მინდორში უზანგის მსგავსად ფაფარი გამოენასკვნათ, კისერზე აცოცებულიყვნენ და ეჭენებინათ ცხენი აღმა და დაღმა, ოფლში გაეწურათ და მერე ისე გაეშვათ; ან ღამით შიგ სოფელში შემოსულიყვნენ, დედაკაცს ვახშმად ქვაბი რომ ეკიდა ნაჭით, შიგ კენჭები ჩაეყარნათ, თავიანთ ბინის ახლო გამვლელნი გაემასხარავებინათ. მაგათმა ტანმა ტანისამოსი რა არის, არ იცის, არა რცხვენიათ დედიშობილა იარონ, სამის წლის ბავშვის ოდენებმა. მამათა სქესის ჭინკებს (ორისავ სქესიანი არიან!) სასქესო კაკლები თავიანთის სხეულის არაპროპორციონალური აქვსთ, ასე რომ ორივე კაკალი ცალკე დასთრევს თურმე თითოეულს მათგანს, თავისუფალ სიარულს, ცოტა არ იყოს, უშლის და მათის იხვისებურის ბაჯბაჯის მაყურებელ ადამიანს შეუძლებელია ძალაუნებურად არ გაეცინოს. დედათა სქესის ჭინკები თმას იწნავენ და რამდენსამე ნაწნავად ზურგზე აქვსთ ხოლმე გადმოშვებული.

ტყეში სრული სიჩუმეა. ჭოტი თუ დაიძახებს საცოდავათ, ან ზევიდან ჩხრიალით წამოსული წყალი თუ დაარღვევს შიგ გამეფებულს დუმილს. ივანეს ჯორი თოხარიკით მოდის ბილიკ-ბილიკ და ხანდისხან, აღმართში რომ გაუჭირდება, დაიფრუტუნებს და გაიქარება. მოჰყავს თავისი მაღალღირსი მხედარი, რომელსაც იმ იდუმალებით სავსე ტყეში გავლა ოღონდაც რომ თმას ყალყზე უყენებს. ივანე თავის გასამხნევებლად ყელშიწაჭერილის და ნაძალადევის ხმით შესძახებს კოკინიას (ჯორს შიოს გარდა სხვა ღვდლებიც ეძახდნენ საალერსოდ „კოკინიას") ცხვირის დაცემინების დროს: „ძალი! ძალი!" მოსალოდნელია, ავი, მავნე სული რამე შეემთხვას: ოჩიკოჩი, ტყის მეფე, ან ჭინკეები! შეაჩვენოს მამა-ზეციერმა მათი სახელი! მართალია, მღვდელია, ნაკურთხია, მაგრამ მასაც არა აქვს თავის თავის იმედი, საეჭვოა, ანაფორამ უხიფათოთ გადაარჩინოს და უვნებლად გაიყვანოს ამ მავნეთა სამეფოდან. ჯერ კიდევ კარგი მანძილი დარჩა კოკინიას გასავლელი, სანამ სამშვიდობოს მიატანდეს მისი მხედარი.

...შორიდან მოისმა პატარა ბავშვების ხმა, ჭინკების ის ხმა, რასაც ასე ერიდებოდა ივანე. უმატა პირჯვრის წერას და მათს წყევლას და შეჩვენებას. ხევში ცეცხლიც გამოჩნდა. დაუმხარდამხარდა ივანე ამ საშინელების ადგილს. რას ხედავს მისი თვალები: დიდი კოცონი დაუნთიათ. გარშემორიგებიან ჭინკები, მამაკაცები და დედაკაცები. დედაკაცებს ზოგს ძუძუთა ჭინკებიც ეჭირათ ხელში. ერთ ნაწილს წრე გაუკეთებია, სათამაშოს მღერიან, ტაშს უკრავენ და თამაშობენ, სწორეთ ისე, როგორც სოფელში იციან კვირა-დღესასწაულებში, კაკლის ძირას. ივანე

თავის თვალებს არ უჯერებს. თავზე თმა ზევით-ზევით მიდის, შეავედრა თავი მთავარანგელოზს, მისის ეკლესიის მფარველს, შესთხოვა ხიფათისაგან გადრჩენა და დაჰპირდა სანთლების დანთებას.

ჭინკებმა ივანე მღვდელი რომ დაინახეს, დაუწყეს ჩრჩალურაძის ენით ძახილი:

— ივანე, ჰა, ივანე, მოდი, მოდი, ვითამაშოთ!

— აი, შეგაჩვენათ ჩემის მაკურთხებლის მადლმა თქვენცა და თქვენთან მოთამაშეცა! — უპასუხა ივანემ და მუხამუზიც შემოჰკრა კოკინიას. ჯორმაც, თითქო იგრძნო მხედრის განსაცდელიო, სიარულს უმატა.

გამოეკიდნენ ჭინკები და უკან მოსძახიან:

— ივანე, მოიცადე, ივანე მოიცადე, ვახშმად გვეწვიე!

ერთი მათგანი ისეთი მარჯვე გამოდგა, რომ ანაფორის კალთას დაებღაუჭა, თაგვივით ზედ აჰყვა და უკან შემოაჯდა ჯორზე. ივანეს ცალ ხელში კოკინიას აღვირი უჭირავს, მეორე ხელი ჭინკას დაავლო და ჩაბღუჯა. ჭინკამ რომ დაინახა, მღვდელი აღარა ხუმრობს, შეიძლება არცკი გამიშვასო, დაიწყო ჯერ ყვირილი, მერე ტირილი: „ივანე, გამიშვიო!“.. მაგრამ ივანეს გადაწყვეტილი ჰქონდა ჭკუა ესწავლებინა თავვასულ ჭინკისათვის.

ჭინკამ უკანასკნელი ღონე იღონა და სანამ ივანე სახლს მიუახლოვდებოდა, ხელიდან გამოუსხლტა და მოჰკურცხლა. ივანე სახლში მიიყვანა ჯორმა, მაგრამ ცოცხალმკვდარი, შიშისაგან ფერი არ ედო. დიდხანს არ მოსულა გონზე.

ჭორიკანების მიერ შეთხზული ეს ამბავი ჩქარა მოედო სოფელს. შიოს სახლში კუდიც მოაბეს: ვითომც ივანეს ჭინკა სახლში მოეყვანოს, ფრჩხილები დაეჭრას და მოსამსახურედ ჰყოლოდესო.

მრევლს საბუთი არა ჰქონდა შიოს „ავტორიტეტულ“ ოჯახიდან გამოსული და მერე ისეთი სასენსაციო ამბავი არ დაეჯერებინა, და თავის მხრივაც ცოტა რამ არ დაემატებინა, არ გაელამაზებინა, ახალის რედაქციით არ გაეშვა სამოგზაუროდ, ყველა ოჯახებისა და ოჯახებს იქითაც მდებარე ადგილების მოსავლელად, და ამგვარად ისედაც დაჩაგრულს სახელი უარესად არ გასტეხოდა.

აი, ეს იყო, რომ წამოსძახა შიომ ივანეს, აი, რისთვის თხოულობდა ივანეს სახლის განათვლას, თვითონ მის გაკრეჭვას, ანაფორის გახდას, დასჯას, როგორც ულირსისას, მთელის ოდიშის სამღვდელოების შემარცხვენელისას..

ამის შემდეგ უმზრახად დარჩენილნი მოძღვარნი მაინც განაგრძობდნენ ერთად სამსახურს. ეს მტრობა და ერთმანეთისათვის ხნარცვის თხრა ივანესა და შიოს შორის გრძელდებოდა წლითი-წლობამდე. აღდგომა ხომ ის დღე იყო, როდესაც მორწმუნენი, რაც უნდა გულქვანი ყოფილიყვნენ, წესით ლმობიერნი უნდა გამხდარიყვნენ, რაც უნდა ემტერნა მოყვასს მათთვის, აღდგომის პატივისცემით უნდა შეენდოთ, ეპატივე-

ბინათ. ყველა ჩაგრული უნდა შეგვბრალებოდა, უნდა მივშველებოდით, დახმარების ხელი გაგვეწვდინა.

სრულებით ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ასეთი გრძნობა შიოსათვის, ისიც აღდგომის დღეს — ამ „შერიგებისა და საერთო პატიების“ დღეს — ზიარების წინ თავის თანამწირველისათვის ეპატივებინა, შეენდო, მაგალითი ეჩვენებინა თავის სულგრძელობისა. ივანე მზად იყო პირველს გაეწვდინა შერიგების ხელი, შენდობა ეთხოვნა, ეთხოვნა ეპატივებინა შეცოდებანი. მაგრამ შიო გაკერპებული იყო, „ჯორზე შემჯდარი“ და იქიდან ჩამოსვლას არ აპირებდა. მაშინ ხომ შიო--შიო არ იქნებოდა, თუ შეურიგდებოდა! ტყუილად კი არ ამბობდნენ შიოზე — გულის მაგივრად ქვა უდევსო. ეს თქმა, ალბათ, იმდენათ მართალი იყო, რომ აღდგომასაც არ შეეძლო მისი კერპი გული მოელბო, აეჩვილებინა: ავი შიო აღდგომასაც ავი იყო!

გაიარა მთელმა რიგმა აღდგომამ ისე, რომ ამ ორ მღვდელს ერთმანერთისათვის წითელი კვერცხი არ გაუცვლიათ, ერთმანერთისათვის „ქრისტე აღსდგას“ თქმა არ გაუმეტებიათ. მხოლოდ სიკვდილთან ერთად გადარჩა ივანე შიოს რისხვას. მაგრამ ივანე რომ გადაიცვალა, შიომ მიცვალებულს წესის აგებაც კი არ აღირსა, ერთი წირვაც კი არ შეაწია მის სულის საცხონებლად. ისევ სხვა სოფლის მღვდლებმა დაასაფლავეს და შეუსრულეს ყოველი ქრისტიანული წესი. მისთვის სამოთხეც კი არ ემეტებოდა შიოს: საიქიოში ჩემთან ერთად როგორ უნდა იყვესო! ჯოჯოხეთში უნდა ჩავიდეს მისი სული, ჯოჯოხეთში, ეშმაკებთანაო, თორემ მეც სამოთხეში (დარწმუნებული იყო, რომ სამოთხეში იქნებოდა) და ისიც (შიო საერთოდ ივანეს სახელის ხსენებასაც კი ერიდებოდა და ნაცვალ სახელს ეძახდა, ან პაპას.) სამოთხეში!... ვერ მოგართვეს!...

ერთხელ ზამთარი იყო, ბუხრის პირას ვისხედით; ცეცხლზე ვთბებოდით. სტუმრებიც იყვნენ. ყველას ეინტერესებოდა საიქიოს, სულეთის, ამბავი. სულ რომ ამაზე ელაპარაკნათ, არ მოჰბეზრდებოდათ. ერთმა სთქვა, სამოთხეში ერისკაცნი გარჩევით მოჰყვებიან, მაგრამ მღვდლები კი უეჭველათ უნდა შევიდნენო, სხვებს აცხოვნებენ და თვითონ უცხოვნებელი როგორ-ღა დარჩებიანო!

ამის მთქმელს შიო პირში სწვდა:

— დიდი უკაცრაოდ ბრძანდები!... მღვდელიც არის და მღვდელიცა! უკაცრავად პასუხია, ივანე მღვდელს (მაშინ ამ სოფლით გადასული იყო) სამოთხეს ახლოც-კი არ გააკარებენო.

არავინ იცის, რომელი მათგანი წავიდა „საუკუნო სანეტაროდ“ და რომელი — „საუკუნო სატანჯველად“, მხოლოდ ფაქტი ის გახლავსთ, რომ შიო მზად იყო ყველა ზეციურ ინსტანციაში ივანეს სულის წინააღმდეგ ელაპარაკნა, ყველგან პროტესტი განეცხადებინა, ყველასათვის ეთხოვნა— ივანე ჩემთან არ დააყენოთ, მეყოფა, რაც ქვეყნად მედგა გვერდით და მაშფოთებდაო. გლეხები არც თუ სულ ხუმრობით გაიძახოდნენ: შიო, ალბათ, ღმერთსა სთხოვს საბრალო ივანე ჯოჯოხეთში გაასტუმრებინოსო...

IV

დასაფლავება-ქორწილ-ნათლობა შეადგენდა შიო მღვდლის მსახურებისა და მღვდელმოქმედების ერთგვარ ციკლს. იმათს გარდა საგრძნობელ მნიშვნელობისა იყო მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად გამართულ ტაბლების კურთხევა. ყველა მიცვალებულის პატრონი თავის წმინდა მოვალეობადა სთვლიდა თავის მიცვალებულისათვის ეკეთებინა ტაბლა (განსაკუთრებით ვარდაცვალებიდან წლის განმავლობაში ყოველ შაბათობით), რომელსაც, მისის ღრმა რწმენით, მიცვალებული ცოცხალთათვის უხილავადა სჭამდა. მიცვალებულის პატრონები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მდიდარ ტაბლების კეთებაში. ყველა ცდილობდა ტაბაკზე ყველაფერი ყოფილიყო, რასაც კი მიცვალებული სიცოცხლეში ინატრებდა და რასაც-კი მეგრელების საჭმელების menu-ში საპატიო ადგილი ეჭირა. აქ ნახავდით: დაბრაწულ გოჭს, ხაჭაპურებს, შემწვარს ვარიებს, ღომის-ღომს, ახლად გადაზელილ სულგუნს და სხ. და სხ. ასეთს ტაბლას მღვდელი, ჩვეულებრივ, მიცვალებულის თვით საფლავზე აკურთხებდა, ან და საკურთხებლად თვით მღვდლის სახლში მიჰქონდათ, ან კიდევ მღვდელი თვითონ მიდიოდა გლეხებთან, სადაც ტაბლები იყო საკურთხებელი. ტაბლების კურთხევის სეზონი ხშირათ ნაპეტრე-პავლობევს იცოდნენ.

სამსავე შემთხვევაში უმეტესი წილი ტაბლისა მღვდელ-დიაკვანს ერგებოდა. განსაკუთრებით, როცა მღვდელთან ტაბლა მიჰქონდა გლეხის დედაკაცს, აქიდან სრულებით არაფერს გამოატანდნენ უკან და დედაკაციც დარწმუნებული იყო, რაც უფრო მეტს შეაჭმევდა ტრაპეზის მსახურს, მით უფრო ელხინებოდა მისი მიცვალებულის სულს. ასე რომ დედაკაცი სიხარულით იმეტებდა ამდენს სურსათს მღვდლის სასარგებლოდ.

სასაფლაოზე, როცა ბევრი საკურთხი მოიყრიდა თავს, დიაკვანს ხურჯინი ეჭირა და მღვდელი თან კურთხევის წესს ასრულებდა, თან ცალის თვალით საკურთხსა სინჯავდა და ლოცვის სიტყვებთან ერთად დიაკვანს დირექტივებს აძლევდა, რა და რა ნაჭერისა და რამდენისათვის ეჩვენებინა ადგილი ხურჯინში.

სოფლად, კარ და კარ, საკურთხ-ტაბლების შესახებ ლაპარაკი ნანატრი თემა იყო შიოს ოჯახში. ტაბლას რომ ახსენებდნენ, თვალწინ წარმოუდგებოდათ რაც-კი რამ სანუკარი შეუქმნია მეგრელის საკულინარო ხელოვნებას, და ყველას თვალები გაუბრწყინდებოდა, პირზე ნერწყვი მოუვიდოდა, ერთ ალაგას ვერა ჩერდებოდნენ, თითქო უნდათ ნატვრის ხალიჩაზე დასხდნენ და წამერთს გადაფრინდნენ, სადაც საკურთხის შემადგენელი ნაწილები ელაგა ტაბაკზეო. მე ჩუმად ვიყავი. ვიცოდი, რომ შიო-ბაბუა დიაკვნად მე წამიყვანდა და სხვებზე ადრე არამც თუ ვნახავდით ტაბლებს, ვჭამდი კიდეცა და სახლშიაც უკვე გამაძღარი დავბრუნდებოდი.

ბუნებრივად გაიმართებოდა ლაპარაკი იმაზე, თუ რა უფრო უნდა რგებოდა მიცვალებულის სულს სულეთში („ოშურეთი"): ორმოცის წირვა

თუ ტაბლები? ყველანი აღიარებდნენ, რომ ტაბლისებრ არაფერი ჰშველის მიცვალებულის სულსა, სულეთში ჯერს გარეშე შევიდესო. თორემ ვინ მოსთვლის, რამდენს გამოსცხადებია სიზმარში თავისი მიცვალებული, მშიერი, ფერდებჩავარდნილი და უტირნია — საკურთხს რათ-არ მოკეთებთ ხშირათაო? ცოდვა-მადლი არ იციოთ? თვით შიოს რომ მუსიკვლებდნენ შეშინებული, გულგახეთქილი დედები თუ ქვრივები თავიანთის მიცვალებულის ასეთს ყოფაში ნახვას, ურჩევდა: „ულხინეთ, შვილო, მიცვალებულის სულს! თქვენ თუ ყოველ დღე სჭამთ, იმას (მიცვალებულს) რომ წელიწადში რამდენჯერმე მაინც გაუკეთოთ საკურთხი, ხომ არ დაიქცევით! ცოდვაა ქრისტიანის სულიო“. პატრონი ნუგეშცემული ბრუნდებოდა და შეუდგებოდა საკურთხის კეთებას.

ბოლოს, შიო დანიშნავდა ერთ დღეს. ეს დღე უეჭველად შაბათი უნდა ყოფილიყო, რადგან შაბათი უაღრესად საკურთხის კურთხევის დღედ იყო მიჩნეული მრევლში. მოუთმენლად ველით ამ დღის გათენებას. ყველას, დიდსა და პატარას, იმედი გვაქვს, რომ მთელის ორის კვირის სამყოფ საგზალს შემოვიტანთ სურსათ-სანოვაგის მხრივ სახრინავზე დასულ სახლში.

აჰა,გათენდა შაბათიც. არც თუ ისე ახლოა წასასვლელი, 3 — 4 კილომეტრი გვიდევს წინ. შეჰკაზმეს „კოკინია“, აჰკიდეს „შიოს მარანი“. პირჯვარი გადაიწერა შიომ, როგორც იცოდა ხოლმე ყოველ გამგზავრების წინ, შესთხოვა ზენაარს—მშვიდობით და გამარჯვებული დაებრუნებინა შინ. მე ოლარი მანდილში გამოვკარ და ხურჯინში ჩავდე. მერე შიოს უზანგო ჩამოუწიეს და ჯორზე შეჯდომა უშველეს, შემდეგ მეც ამწიეს და მას უკან მომისვეს. ამ შემთხვევაში შიოს ჩემი წაყვანა ურჩევნია. შვილი რომ წამოიყვანოს, ცალკე ცხენზე უნდა შესვას, მე-კი უბრალოდ უკან მომისვამს, მით უფრო, რომ თამამად შემიძლია ვიდიაკვნო, განსაკუთრებით როცა შიო ჩემს სათქმელებს მინიმუმამდე ჩამოიყვანს. უკვე საკმაო გამოცდილება მაქვს, როგორც რუსულ ლოცვების თავ-თავის ადგილას თქმაში, ისე საკურთხისათვის თავის ადგილის მიჩენაში, კარგის ნაჭრების ამორჩევა-დაფასებაში.

სახლიდან დილას ადრე გამოვედით. სულ უკანასკნელი, რვა ოჯახს უნდა ვუკურთხოთ ტაბლა. ულრანი ტყე გვაქვს გასავლელი. მზის სხივები შიგ არც-კი ატანს და სიცხეს აღარა ვგრძნობთ. კოკინია აღმართში კურდღელივით მიდის და ჩვეულებრივის სიმარჯვით მივყევართ. ალბათ ისიც გრძნობს, კარგ ადგილას მივყევართ, იმასაც ერგება რამე: ხშირ სიმინდიდან გამოჭრილ მწვანე ღეროებს ან ძველ სიმინდს არ მოაკლებენ. ნაჩვევია ასეთს მგზავრობას: იქითა ცარიელ წასვლას, აქეთ დატვირთული სავსე ხურჯინისა და შიოსა და პატარა დიაკვნის სიმძიმეს ქვეშ კვნესას.

ადრევე ჩავდივართ სოფელში. ყველგან, საცა ტაბლებია საკურთხი, მზად გვიხვდებიან: ტაბაკზე განრიგებულია სასაკურთხო სურსათ-სანოვაგე. მე ოლარი ამომაქვს (როგორც ნამდვილ დიაკვანს) და მივაწოდებ

ხოლმე ბაბუას. ისიც მაღალის ხმით იწყებს: „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენი“... მე ვეუბნები „ამინ“ და მივაყოლებ ლოცვებს სხაპა-სხეპით, ვგალობ „გოსპოდ პომილუი“-ს. საკურთხის პატრონნი აღტაცებულნი, გულაჩჩვილებულნი მისმენენ. პირველად ესმის მათს ყურებს [illegible] ბალობა. შიო კურთხევას რომ მორჩება, ჭიქით ღვინოს თავს [illegible] ზე და მიცვალებულს შენდობას ეტყვის. მერე ჭირისუფალს სამძიმარს ეტყვის, ანუგეშებს: „ყველანი უნდა დავიხოცნეთ, ყველანი სულეთს უნდა წავიდეთ“. ამას დაუმატებს იობის სიტყვებსაც: „უფალმან მომცა, უფალმანცა მიმიღოვო“, „ღმერთმა მიცვალებულს სასუფეველი დაუმკვიდროს და თქვენ კიდევ დიდხანს გაცოცხლოს მის სულის მომხსენებლად“. ამის შემდეგ შეუდგება შიო მიცვალებულის ჭირისუფლის პირისგახსნილებას, რაც არც ისე ადვილი საქმეა ხოლმე. მიცვალებულის ჭირისუფალი, მაგალითად, დედა ან ქვრივი ხორცეულს არა სჭამს გადაცვალებიდან მთელის წლის განმავლობაში, ზოგნი კიდევ ორმოც დღეს არა სჭამენ ხორცს და ასეთის საკურთხის კურთხევის დროს მღვდელი ძალათი აჭმევს ხოლმე ხორცს ანუ „პირს გაახსნევინებს“. ხშირია, რომ ჭირისუფალი ხორცს აგდებს პირიდან. ზოგჯერ ისე გამწვავდება საქმე, რომ შიოს დასჭირდება ხმის ამაღლება, თავისებურათ შეტევა, სანამ გაჭირვეულებულ ჭირისუფალს დაიმორჩილებდეს.

ამის შემდეგ ცოტას ჩვენც შევსჭამთ ზეზეურად და უმეტესი წილი საკურთხისა: სულგუნი, შემწვარი გოჭი, ქათამი, ხაჭაპურები — ხურჯინში ჩაეშვება. თან ტიკჭორაც მიგვაქვს და როცა ხელადით ღვინო შეგვხვდება საკურთხზე, ისიც ტიკჭორაში იცლება შინ წამოსაღებად. ასე რომ შინმოტანილ ტიკჭორიდან ჩამოსხმულ ნარევ ღვინისა, რაც უნდა კარგი ჭაშნაგირი ყოფილიყო, გაუჭირდებოდა გამოეცნო, როგორც ხნოვანება ღვინისა, ისე ვაზის ჯიში, რომლის ყურძნისაგან ღვინო იყო გაწურული.

ერთ სახლიდან მეორეში გადავდივართ, მეორიდან მესამეში, სანამ უკნასკნელამდე არ მივალთ. ცოტ-ცოტას ყველგან ვიხმევთ, სანამ უკანასკნელ სახლამდე არ მივალთ. აქ-კი საბოლოოდ დავსხდებით, შიო „მამაო ჩვენოს“ მათქმევინებს, „ჭიქას წაუქცევს“ ხაჭაპურზე, მიცვალებულს შენდობას გაუგზავნის და შევუდგებით სადილის ჭამას. რომ ავდგებით, ჩვენს წილს ხურჯინში ჩავუშვებთ და გამაძღარნი, მეტად კარგ გუნებაზე დამდგარნი და დატვირთულნი „ყოვლითა კეთილითა“ შინისაკენ ვიქცევთ პირს.

დაბრუნებაზე შიოს ხმასაც კი ალერსიანობა ეტყობა, მიმართვაში სიტყვა „ბაბუას“ ხშირადა ხმარობს, რაიცა ნიშნავს, რომ მეტად კარგს გუნებაზეა; ჯიბეები გამოჰბერვია, რადგან ორივე პირთამდე სავსე აქვს ხილითა და ჩურჩხელებით.

მწყინდა, რომ საკურთხების კურთხევა მალე დასრულდა. მზად ვიყავი, ორი სამი დღე ზედი-ზედ მოვხმარებოდი შიოს საკურთხების კურთხევაში და არც დაღლა მეგრძნო და არც გული ამყროდა საქმეზე. ჩე-

მის აზრით, მთელს სასულიერო საქმეებში საკურთხის კურთხევისთანა ღირსი ყოვლადის ქებისა, სახალისო არაფერი იყო...

მივდივართ ტყე-ტყე. მზე უკვე ჩასულია. გზაზე ძე-ხორციელი არა სჩანს. მე მეშინია ტყის-მეფისა, ჭინკებისა მით უფრო, რომ უნდა გავიაროთ სწორეთ იმ ადგილას, სადაც ჭინკებს ერთხელ, როგორც ამბობდნენ, გაუმასხარავებიათ ივანე მღვდელი. ლოცვის დროს, შიოს ჩვეულებადა ჰქონდა, საცა მოასწრებდა ლოცვის დრო, უნდა უეჭველად ელოცნა. მისთვის სულ ერთი იყო, სად იქნებოდა: ჯორით მიმავალი სადმე, შოსეზე, რკინის გზის ვაგონში, ზღვაზე, თუ ვისთანმე სტუმრად. ისიც იწყებს ლოცვას ჯორზე და მეც „გოსპოდ პომილუის“ ვეუბნები ამ სიჩუმეში, ბუნების წიაღზე. ვინც ჩემს მიკნავებულს ხმას და შიოს ბუტბუტს გაიგონებდა, მისს პირველყოფილ ფანტაზიას ბევრი კი არა სჭიროდა, რომ ჩემი ხმა ჭინკის ხმად მოსმენოდა და შიოს ხმა „ოჩოკოჩისად“ და შიშის ზარს აეტანა. მთვარიან ღამეში ნაირ-ნაირი ჩრდილები ხეებისა უფრო აცხოველებდა ჩემს ფანტაზიას და ვინ იცის, რა და რა სურათები არ მეხატებოდა თვალწინ. რაც შეიძლებოდა, უფრო და უფრო ვეკროდი შიოს აბრეშუმის სარტყელს. ანაფორა გვერდზე ჰქონდა გადაკეცილი და ისე ვებღაუჭებოდი, რომ უკანიდან ვისმე ჩემი ჩამოთრევა რომ მოენდომებინა, ადვილათ ვერ მომაშორებინებდა ჩემს პატარა ხელებს.

ჩვენი კოკინია მოთმინებით ისმენდა შიოს ლოცვას, ჩემს გალობას, იცოდა, ლოცვა გათავდებოდა და ისიც სახლის ჭიშკარს მიადგებოდა. მომავალ მოსვენების დროისათვის ისწრაფვოდა, ცდილობდა განელია მანძილი და ამიტომ გრძელ ყურების ჩქარის კანტურით უმატებდა თოხარიკს, ნალები კაჟს რომ ხვდებოდა, ნაპერწკლებს ისროდა და იქაურობას ახმაურებდა. ზოგჯერ კოკინიას დაავიწყდებოდა, რომ შიო ლოცვად იდგა და გაიქარებოდა... შიო ლოცვის სიწმინდის დასაცავად პროტესტს განაცხადებდა და ლოცვაშივე დასძრახავდა თავის ჯორის უზრდელობას, არც თუ გულმოსულად, ნახევრად ალერსიანად ეტყოდა — შენ შეგარცხვინა ღმერთმაო! — და ისევ აღავლენდა ზეცად ვედრებასა.

კარგა შეღამებული იყო, სახლს რომ მივატანეთ. ჯერ ისევ შორს ვიყავით, რომ ძაღლებმა კოკინიას აჩქარებულ ფეხისხმას ყური მოჰკრეს და შინაურებს ყეფით შეატყობინეს ჩვენი დაბრუნება. ჭიშკარი გახარებულებმა გაგვიღეს, შიოსა და მე ჯორიდან ჩამოსვლა გვიშველეს, ოფლში გაწურულ კოკინიას ჩამოხსნეს პირთამდე გავსებული ხურჯინი და სახლში შეიტანეს. დიასახლისმა ამოლაგება დაუწყო ჩვენს ნადავლსა. ხელათ შესაჭმელი ხორცეულობა, რომელიც შეიძლებოდა გაფუჭებულიყო, ცალკე ხის ბარქაშზე გადმოალაგა, სულგუნები კანაფზე აასხა და შემდეგისათვის საკუჭნაოში დაჰკიდა. ღერღილის ღომი ვახშმად თითქმის მზად იყო. ჩვენ კიდევ ხორცეულობა, მოხარშული ღომის-ღომი, ღვინო მივუმატეთ და სუფრა გაივსო.—„მამაო ჩვენო“-ს თქმა ერთ საუკუნოდ ეჩვენა ყველას. საჩხუბრად დამზადებულ ხალხის სახე ჰქონდათ დამკლავებულებს. ხარბთვალებიანებს. საჭმელს რომ ეძგერნენ „მამაო ჩვენოს“

ოქმის შემდეგ. ვახშამი ისე გათავდა, ხმა არავის ამოუღია. ძღივსლა ქშინავდნენ, ვაჟებმა ქამრები მოიფონეს, ქალებმა — კაბის ზოლი. მძიმე-მძიმედ მოეცალნენ აქაურობას და თან ინატრეს — ასეთ [illegible] ყოველდღე არა, კვირაში ერთხელ მაინც იყვესო, ღმერთმა [illegible] იმათი (ვისაც საკურთხი გაუკეთეს) სულიო.

პირველ შაფათს მოტანილი, დიასახლისის გონივრული მომჭირნეობის წყალობით, თითქმის გვყოფნიდა მეორე შაბათამდე. მეორე შაფათს ისევ წავიდოდით საშოვარზე და ასე განვაგრძობდით საკურთხების სეზონის გათავებამდე...

ვძღებოდით მე და შიო და ვაძღობდით შიოს „გაუძღომელ“ ოჯახის წევრებს...

ძღებოდა შიო ქორწილში, სადაც მუდამ თამადად იყო ხოლმე. რაც უნდა ბევრი ეჭამნა, რაც უნდა ბევრი წაეღო სახლშიაც, ქორწილის გადამხდელისათვის ადვილი გასაძღისი იყო, საქორწილო მომარაგებას არაფრად დააჩნდებოდა. ძღებოდა შიო ქელეხშიც, სადაც მსგავსადვე თამადად იყო და ყველას აკვირვებდა მისი მუცელი, რომელიც იტევდა, თუ გაჭირდებოდა, იმდენს, რამდენის მორევაც ოთხ ჩვეულებრივს სიკვდილის შვილს დიაღაც გაუჭირდებოდა. ტყუილად კი არ ასწავლიდა შიო შვილებს: „დღეში ცხრა სადილს რომ მიუსწროთ, თვალების დაუხამხამებლად ცხრასვე სიყრმე უნდა დაუბნელოთ და მეათეს შეჭმაც შეგეძლოსთო. მღვდლობა ასეთი ხელობაა, საცა მიხვალ და მიუსწრებ საჭმელს, ყველგან უნდა სჭამო, თორემ დაგზრახავენო“. და ამის თქმაზე ბედნიერისა და კმაყოფილის სახით ორსავე ხელს ჩამოისვამდა ჯერ წვერზე, რომელმაც მღვდლობა მისცა, რომელიც შედეგი იყო მღვდლობისა, და მერე საკმაოდ წინწამოწეულ მუცელზე, რომელიც ჰმოწმობდა, რომ ყოველი მისი სიტყვა ხალასი სიმართლე იყო. მაგრამ რამდენიც უნდა ეჭამნა და რაც უნდა ბევრი ჩაელაგებინა ხურჯინში შინ წასაღებად: პური, თევზი, კირკაჟი ლობიო, — მიცვალებულის ჭირისუფლებს არად დააჩნდებოდათ; აღარცა სწყინდათ; შერიგებულნი იყვნენ იმ აზრსა, რომ ქრისტე-ღმერთმა მღვდელი რომ გააჩინა, ბევრი ჭამაც ზედ დაანათლაო, და რაც უფრო მეტსა სჭამს, ჩვენის მიცვალებულის სულს მით უფრო ელხინება სულეთშიო. ძღებოდნენ შიო და შიოსიანები საკურთხების კურთხევაზე. მიცვალებულის ჭირისუფალს საკურთხი მიცვალებულისად მიაჩნდა. ეს უკანასკნელი ამას მღვდლის სახითა სჭამდა. ეგევე იყო ნათლობაშიაც.

ეს ოთხი შემთხვევა იყო, როცა შიოს „საფუძვლიანად“ აძღობდნენ და უძღობდნენ შინაურებს. და ერთგვარ ჩვეულებათა ჰქონდათ დაკანონებული მისი გაძღომა და განა ხუმრობა იყო ეს მისი გაძღომა! მისი გაუძღომლობა, მისი მუცლის ტევადობა და კუჭის მონელების უნარიანობა შორს იყო განთქმული. შიოს მუცელიო, რომ იტყოდნენ, უნდა წარმოგედგინათ უძირო გვამი, რომელიც, რაც და რამდენიც გინდა ჩაგეყარნათ, რაც და რამდენიც გინდა ჩაგესხათ, მაინც იძახდა: „მშიან და

მწყურიანო“, ერთის ზღაპრის ბელტიჭამიასი არ იყოს. თვით სამის გამომეტყველება, მთელის სხეულის მოყვანილობა გეუბნებოდა: უნდა შეგჭამოთ, უნდა მოგსპოთ, შესაჭმელი რაცა გაქვსთ, შეუჭმელი არაფერი უნდა გავუშვაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიოს შეგნებული აქვს და დაკანონებული თავისი ზეცით მომადლებული უფლება: რომ „ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა“; რომ გლეხი უნდა იმსახუროს, მოატანინოს საჭმელ-სასმელი, რეალური სარჩო, რაცკი ხელიდან გამოუვიდოდა, სამაგივროდ ზეცაში ჰპირდებოდა ყოველგვარ წყალობას, საუკუნო ნეტარებას.

იმავთავითვე ასეთი ყოფილა ხვედრი „ღვთის მსახურისა“. შიოს ვერ წარმოედგინა: 1)რომ იმას რამე ჰკლებოდა, განსაკუთრებით — „ყოველივე შთამავალი გვამსა შინა“, როგორც ის ეძახდა საჭმელს, როცა უნდოდა ზრდილობიანი სახელი ეწოდებინა ამისთვის; 2) რომ ხალხს, თუნდაც თვითონ დაჰკლებოდა, ყველაფერი შიოსათვის არ მიეტანა; 3) რომ გლეხი მის-და მსახურებად არა ყოფილიყო გაჩენილი.

ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა, სიტყვა, ხმის აწევ-დაწევა მოწმობდა იმას, რომ ის დარწმუნებული იყო: მოწოდებული იყო დიად, უზენაეს მისიისათვის, რომ ის შუაკაცი იყო უზენაესის წინაშე ცოცხალთა და მკვდართათვის, როგორც სააქაო, ისე, განსაკუთრებით, საიქაო ცხოვრებისათვის. ასეთი მისია მხოლოდ „რჩეულთა“ დაეკისრებოდა, უბრალო სიკვდილის შვილთა საქმე არ იყო, ხელი არ მიუწვდებოდათ. ასეთს კაცს, ოღონდაც, რომ დრო არ ექნებოდა და არც შეეფერებოდა „ოფლითა თვისითა“ მოეპოებინა დღიური საზრდო, პური არსობისა. ამ საზრდოსათვის უნდა ეზრუნათ იმათ, ვისთვისაც შიოს „ზეცითა“ ჰქონდა დაკისრებული ზრუნვა თავის სულიერ სამწყსოს ორთავ ცხოვრებისათვის. ამიტომ, შიოს აზრით, სრულებით ბუნებრივი იყო მის მხრით გლეხისათვის მოეთხოვნა ყველაფერი საზრდო, მისი სამსახური ყანაში მუშაობის დროს, გლეხის ჭირნახულის ნაწილი მაშინ გლეხი ორ ქილა (32 კილო—სიმინდს იხდიდა წელიწადში მღვდლის სასარგებლოდ), და იმას, ვისაც შიო „საუკუნო საგზალს“ უმზადებდა, ჰხამდა თავის „სულიერ“ მწყემსისათვის წუთის სოფლის საგზალი დაემზადებინა.

შიო თანაცა გრძნობდა, რომ იგი პრივილეგიურ კლასს ეკუთვნოდა, გლეხობაზე მაღლა მდგარ კლასს. შიო რომ იტყოდა სიტყვა „ყაზახი-ს (გლეხი), ამ სიტყვაში გამოიხატებოდა ზიზღი, რომელსაც გლეხისადმი ჰგრძნობდა. მას ეთაკილებოდა მოეგონებინა, რომ ისიც ერთს დროს „ყაზახთა“ კლასს ეკუთვნოდა.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ შიოს მარტო თავისი თავი ახსოვდა, ყაზახი არ აგონდებოდაო. არა, აგონდებოდა ყაზახი მხოლოდ მაშინ, ოდეს გვამი მისი სავსე იყო „ყოველივე კეთილითა“. მაძღარ მუცელზე, კარგ გუნებაზე დამდგარს უყვარდა დავით წინასწარმეტყველის სიტყვების მოგონება: „ობოლი გაიკითხე, ქვრივი შეიწყნარეო“. მხოლოდ ამით თავდე-

ბოდა მთელი მისი ზრუნვა, ეს ზრუნვა ამას იქით არ მიდიოდა. ასეთი სენტენციები უეჭველად ქართულად უნდა ეთქვა.

ჰო, შიოს არა ჰყოფნის ეს, ეგრე ვსთქვათ, დაკანონებული მეფისავალი, ჩვეულებით ნაკურთხი. და ოდეს ყოველი საშუალება საქმეს შემოტანისა გამოლეულია, შიო გადასწყვეტს მოაწყოს ერთგვარი სასულიერო tournée, წავიდეს საკალმასოდ, ინახულოს კარგახნის უნახავი მრევლი, ანუ, როგორც თვითონ იძახის, წავიდეს ხალხის „მოსაკითხად". ამ კალმასობის დროს ცდილობს ჯერს გარეშე გამოაღებინოს მრევლის დედაკაცებს თავიანთი წვლილი, რომ სულიერი მოძღვარი არ მოამშიონ, უფრო გაუადვილონ ზრუნვა მათის სულისათვის, შეაძლებინონ ილოცოს და ღმერთს შეავედროს მათი თავი.

საკალმასოდ შიო ამოირჩევს რომელსამე სადაგ დღეს, როცა მისი მრევლის გლეხები გარეთ იქნებიან გასულნი სამუშაოდ და შინ მხოლოდ დედაკაცები და წვრილფეხობა დახვდება. უფროსს შვილს კოკინიას შეაკაზმინებს, გადაჰკიდებს „შიოს მარანს", მე უკანიდან მომისვამს, პირჯვარს დავიწერთ, „ზენაარსა" ვსთხოვთ ხელი მოგვიმართოს და გავუდგებით გზას.

შიოს ოდნავ ჩამოკიდებულს ლოყებს ლაპლაპი გააქვს და წითლად ულაჟლაჟებს, ქორული შავი თვალები ოდნავ გადმოკარკლულია და მათს ზევიდან ნამგალივით ჩამოშვებულია ჯაგრის მსგავსი წარბები, გრძელი ულვაშები სამ რკალად დაუგრეხია, ხოლო გრძელივე, კეხიანი ცხვირი ისეთ ადამიანის გამოსახულებას აძლევს, რომელსაც მრისხანება და წყრომა უფრო ემარჯვება, ვიდრე ალერსიანი სიტყვა-პასუხი, ისიც თავის მრევლთან; თეთრი და სქელი სადეკანოზო წვერი კოკინიას თოხარიკით სიარულზე ჰაერის მოძრაობისაგან ორად იყოფა და დროშასებ ირხევა; თავზე ზამთარ-ზაფხულ მაუდის ქუდი ხურავს, გრუზა თმა ნაწნავად ანაფორას ზევიდან უკან აქვს გადაგდებული; ანაფორას ქვეშიდან ზაფხულში აცვია რიფსის კაბა და ზამთარში — დაბამბული ჩითის ახალუხი; კაბის გულზე დაკერებული აქვს ბუდე საათისათვის, რომელიც ვერცხლისაა, არაბულ ციფერბლატიანი; საათი დაკიდებულია გრძელ ვერცხლის ძეწკვზე და კისერზე აქვს გადაგდებული; ღიპიან მუცელზე, რომელიც უნაგირის ტახტის გადალმაა გადაშვერილი, არტყია სირმით და აბრეშუმის ძაფით მოქარგული აბრეშუმისავე სარტყელი, რომელიც მკაფიოდ ჩნდება და მზის სხივებზე ბრწყინავს, როცა ჩქარ სიარულის დროს ნიავი იქითაქეთ ნაპირებს გადასწევს და იალქნებივით გაჰბერავს ხოლმე. შევიოტის ანაფორას გარედან კისერზე გადაგდებული ჰკიდია სპილენძის ჯვარი ვლადიმირის ლენტზე დაკიდებული ყირიმის (1855 წ.) დროის ომის სახსოვრად. ეს ჯვარი ყველას ურიგდებოდა, ვისაც ხსენებულ ომის დროს მღვდლობის ხარისხი ჰქონდა. შიოს ძალიან უყვარდა ამ ჯვრის ხელში ათამაშება და მაზე ლაპარაკი, მისი მოცემის ამბავის თხრობა. ფეხთ აცვია იუხტის ყელიანი ჩექმები, რომელთაც გაწმენდა ყიდვის დღიდანვე არა ღირსებიათ და ყავის ფერი გადაჰკრავსთ. ანაფორას ატყვია მთელი

მეოთხედ საუკუნის სამსახურის და ხმარების დაღი. გულზე ქორწინებისა, ქელეხებისა თუ ნათლობების დროს პირიდან დაცდენილი ოდესღაც საწებლების კვალია დატოვებული. ლაქები ზოგი მენდლების სახითაა ჩამ-ქვდარი სამოსში, ზოგი თაფლის სამთლის ნაღვენთიცია. ყველა ამ პოლიქრომულ ლაქებს მზეზე თავისებური ლაპლაპი გაუდის. პატრონს ალბათა ჰგონია, რომ ასეთის ლაქების მოშორება ზედმეტია, ის-კი არა ისინი ღირსებასა ჰმატებენ თვით სამოსელს, მისს მატარებელს: შიო ასე ფიქრობს, რომ მოვიშორო, სიფთა გაჰყვებაო.

სოფელში შიოს ჯორის ფეხის ხმას რო გაიგონებენ, თითქოს ალალმა დაჰქროლაო, ყველანი იმალებიან. ოღონდაც რომ იციან, შიო უბრალოდ არ გაირჯებოდაო. სოფელში ყოველი მისი შემოსვლა უდრის ომერ-ფაშის *) მიერ სამეგრელოს აკლებას და აკი ამიტომ თვით შიოს დედაკაცები მეტ სახელად ომერ-ფაშას ეძახიან და, მაგათის აზრით, ეს ტიტული შიოს სავსებითა აქვს დამსახურებული.

მართალია, „ურჯულოს“ ეკუთვნოდა ეს სახელი და, ცოტა არ იყოს, გულიგულში ეთაკილებოდა შიოს. მაგრამ მაინც იმშვნევს და თითქო თავი მოსწონს კიდეცა, რომ ისეთის დიდის კაცის სახელთან ერთად ახსენებდნენ მისს სახელს. შიოსვე ეძახდნენ „დადიაშ ქარს“, სახელს იმ ქარისას, რომელიც სამეგრელოში დასავლეთიდან ამოდის მარიამობის თვეში, როცა ყურძენი დამწიფებულია, სიმინდი შეტაროვებულია და ხეები ხილით დახუნძლული. ეს ქარი რამდენსამე საათის განმავლობაში მთელს სიმინდს მიწის პირას გაართხობს, თითქოს ვისმე მოუცელიაო. ყურძენსა და ხილს ხეზე ერთს არ შეარჩენს, თითქო მიუხალა და მიუხალა ვინმემ კომბალი და მიწაზე დაჰბერტყაო. ეს სახელიც მოსწონს შიოს და უხარიან, რომ ყველას ასეთი შიში აქვსთ მისი, როგორც დადიანის ქარისა. ასე იძახის: თუ სახელს დამარქმევენ, უნდა დამარქვან ჩემი შესაფერი, ჩემი დასამშვენიო...

გაისმის ძაღლების ყეფა, ეზოებში არა ჩერდებიან და გარედ გაშორბიან.

აბრიალებს შიო თავისს შორსმჭვრეტ, მზირ თვალებს, ცდილობს არავინ გამოეპაროს, არავინ დაემალოს, არავინ დაუძვრეს ხელიდან, დაუსეტყვავი არავინ გადაურჩეს. შიო ამ ვიზიტს „ქორულ დაცემასაც“ ეძახის: ერთი ქორულად უნდა დავეცე დედაკაცებს, თორემ თავი აიგდეს, დამივიწყეს, „შესაწირავი“ არაფერი მოაქვსთ ნებითაო.

---

*) ომერ-ფაშა მთავარსარდალი იყო თურქეთის ჯარისა, რომელიც ყირიმის ომის დროს (1855 წ.) სამეგრელოს შემოესია და ხალხი და მისი ქონება იავარჰყო. ისეთი კვალი დააჩნია სამეგრელოს, რომ მცხოვრებთ დიდხანს არ დაჰვიწყებიათ და თუ არ წყევა-კრულვით, ისე ვერ მოიგონებდნენ ხოლმე მის სახელს. თან როცა წელიწადის გამოთვლა უნდოდათ, ომერ-ფაშობას ახსენებდნენ. ეს სამეგრელოში ერთგვარი თარიღი იყო, როგორც ჰირიანობის წელიწადი (1816 წ.) და მზის დაბნელება (რუმაფა წანა — 1851 წ.).

შიომ სოფლელ დიასახლისების ქალიშვილობის გვარები სათითაოდ იცის. ოცდაათი წელიწადია, რაც ტრაპეზის მსახურადაა, ჭირსა და ლხინში სოფლელებთან ტრიალებს და რა გასაკვირი იქნება, ყველას პირადათ იცნობდეს, ყველას სახელი და გვარი ახსოვდეს, იმ შიოს, რომელსაც მახსოვრებას იმდენად უქებენ, რომ ახსოვს—ამ ათის წლის წინად რომელმა დიასახლისმა რა მისცა, რა დააკლო ჩვეულებრივის ჩამოვლის დროს, საკურთხი ვინ როდის აკურთხებინა და ან თვით საკურთხი რისგან შესდგებოდა.

სოფელში რომ შევა შიო, მეორე ბოლოში გავა, რათა იქიდან დაიწყოს „მსახურებად უფლისა“, რომ დატვირთული იქიდან წამოვიდეს და კოკინიას ტვირთის ზიდვა გაუადვილოს. ბოლოში მიადგება გლეხის ჭიშკარს, ჯორზე ჯდომელა, სახეს მრისხანება ემატება, ხმას — მქუხარებ. იმართება ასეთი დიალოგი:

— ლატარიხე, ლატარიხე (ლატარიანთ ქალო)!. ერთი გადმომხედე აქეთ, შენსა მზეს!

— რას გვიბრძანებ, ჩემო ბატონო, სწრაფად უპასუხა სახლიდან გამოსულმა ლატარიხემ, ცოტა არ იყოს, შემკრთალის და აკანკალებულის ხმით, ჭიშკარზე მომდგარ „ომერ ფაშას“.

— ჯვარი გწერია, დედაკაცო, მე რა უნდა გიბრძანო! ხომ ხედავ, ბატონიც შენა ხარ და მბრძანებელიცა!.. ახალი ამბავი უნდა გითხრა, ვიცი, გაგეხარდება: შიო მღვდელი, თქვენი მღვდელი, აღარ არის... შიო მღვდელი მოჰკვდა... შენ კიდენ ტირილშიაც არა ყოფილხარ...

— რას ბრძანებ, ბატონო, ცხრა მთას იქით!.. სიკვდილს, თვალები კი დაუდგეს! — თქვენთან რა ხელი აქვს!... — მოკრძალებულის ხმით ჰკადრებს ლატარიანთ ქალი და ცდილობს დაუმტკიცოს თავის მორჩილებისა და ერთგულობის გრძნობა.

ამ დროს „კეთილის“ მოძღვრის და „სულიერ მწყემსის“ ბაგეთაგან მოსწყდა საყვედურის ცხარე სიტყვები, რომელთა ავტორს სოფლის დედაკაცისათვის უნდა მოეგონებინა თავისი დავიწყებული მოვალეობა, წაექეზებინა კეთილმორწმუნე „სულიერი შვილი“ მოძღვრის სამსახურისა, პატივისცემისა, ერთგულებისა და„სათნოებისათვის“.

— გეუბნები, დედაკაცო, მოკვდა-მეთქი. ყველას დაავიწყდა. ახლა აღარც ჭამა უნდა, აღარც სმა. მისთვის ყველაფერი გაწყვეტილია: ქათამიც, ყველიც, ღომის-ღომიც, კვერცხიც, ვითომ არცროდისმე მოგიტანიათ მისთვის რამე... ამის მეტი ბატონობა იქნება? არც თქვენის ცოცხალთათვის უნდა ვიზრუნო, აღარც მკვდრისათვის!.. სულ აიღეთ რჯულზე ხელი, რაღა!... ბარემ მითხარით და წირვალოცვას სულაც დავანებებ თავს, ანასუნ თქვენ საქმეს, თოხს დავიჭერ, ყანაში სამუშაოდ წავალ და ეკლესიაში ჩემ მაგიერ შენმა უთუთიამ იაროს, იმან სწიროს, იმან ილოცოს — მოუხდება კიდეც, მაგისმა მზემ! — იმასაცა ვნახავ, როგორ ილოცავს, ან ღმერთი პირველ დღესვე როგორ ამოჰკრავს კუკუს და გამოაგდებს ეკლესიიდან!..

ქალს ნაღველმა გადაურბინა სახეზე, თითქო გველმა უკბინა გულზეო, იცოდა, რომ ასეთი ქარაგმული ლაპარაკი შიოსი სასიკეთოს არ უქადიდა. ამიტომ შეეცადა, ალერსიანის სიტყვებით გამოეხატნა თავის მორჩილება, მოელბო არც ისე ადვილად მოსალბობი გული, — იქნებ ხერხით გადაეურჩეო.

— ღმერთო მომკალი, ჩემო ბატონო,—ბოდიშის მოხდის და თავის მართლებას ცდილობს დედაკაცი.—თქვენის წირვის მადლმა, სრულებით არ მეცალა — ეზოდან ფეხი გადამედგა, რაც რამ საოჯახო საქმე მქონდა, სულ ერთად მომიგროვდა და არ მომაცალა, ჰო, თქვენი მადლი შემეწიოს, თორემ თქვენ როგორ დაგტოვებდით უმოსაკითხოდ... მაგრამ რაკი თქვენ თვითონ გინებებიათ ჩვენს კარავთან მობრძანება, ახლავე მოგართმევთ, შენი ჭირიმე, ყველაფერს. ნუ გაგვიწყრები, ჰო, ჩემო ბატონო, ეგრემც ღმერთი გადღეგრძელებსთ.

ამის თქმა იყო და დიასახლისმა ქათმებს საკენკი დაუყარა, მოიტყუა და ნახევრად შიშველ შვილების დახმარებით დაიჭირა ყვერული, რომელსაც პერანგის ნახევით ფეხები შეუკრა. ყვერული ბავშვს მოჰყავს, თვითონ დედაკაცს მოაქვს ღომის-ღომით პირმოდგმული ჯამი, კვერცხები, ერთი სულგუნიც პატარა ფეხშიშველა გოგოს უჭირავს.

შიოს თვალები დამშვიდდა ამდენის რისამე ნახვით. მაგრამ ყოფნით არა ჰყოფნის.

— შენს უთუთიას ღვინოს რომ უქებენ, ვითომ რა იქნება მეცა ვნახო მისი გემო?

— ჩემი კაცი შინ არ გახლავსთ,—ცდილობს თავი დააძვრინოს ლატარიხემ. — მე კიდევ ქვევრის თავის მოხდა არ შემიძლია, ჩვენო მაცხონებელო. შინ რომ მოვა, მოვახდევინებ და თავის ფეხით გაახლებსთ, ჰო, თქვენი ლოცვა მწყალობდეს. — ემუდარება დედაკაცი, რომელიც ხედავს, რომ შიოს ასე ადვილად ვერ გადაურჩება.

— მაშ ღვინო მოზრდილი დოქით წამომიღოს და ღვინოს ათიოდ კონა ღომის-ღომის ჩალა *) გამოაყოლოს ჩემ კოკინიასათვის, ათიოდ გრეხა (წკუმოტუა) თუთუნიც ჩემთვის, უთუთუნოთა ვარ. თქვენი სირცხვილია, იქნებ ორიოდ სულგუნიც გამოატანო, მარტვილში შვილებს უნდა გავუგზავნო.

— კი, შენმა მადლმა, კი, შენი ჭირიმე! — ჰპირდება სასოწარკვეთილი დედაკაცი.

სახლიდან გამოტანილი ყველაფერი ხურჯინში ჩაალაგა. ახლა ბუკიწს (ბუკიანთ ქალს) მივადგებიო. არსებითად იგივე ლაპარაკია, მცირედის ვარიანტებით. მხოლოდ რომ უფრო თავი შეაბრალოს, შიო დასძენს:

---

*) ღომის-ღომის ჩალა უფრო ნაზია სიმინდისაზე და ერთიორად მეტადა ჰფასობდა. სიმინდის ჩალა კონა კაპიკად იყო, ღომის-ღომის ჩალა კი — ორ კაპიკად.

— ქრისტიანი არა ხართ, ერთი შემომხედეთ, როგორ გიჭირდი უჭმელობისაგან! — და უჩვენებს თავის ლიპიან მუცელს, რომლის სიმსუქნე ხუთ სხვა ღარიბ მრევლიან მღვდლისათვის მაინც თამამად შეეძლო ეწილადებინა და თვითონ მაინც საკმაოდ დარჩენოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაკაცს მის მუცლის შეხედვაზე კინაღამ ღმერთი გაუწყრა და გაეცინა. ბოდიში, პატივების თხოვნა, მორჩილების გამოცხადება და, რაც უმთავრესი და არსებითია: მოარბენინებენ აჩხავლებულ დედალს, მოაქვსთ ღომის-ღომი, სულგუნი, კვერცხი. ამ სახლში შიოს თაფლი ეგულება და ეტყვის: თაფლიც ურიგო არ იქნებოდაო. მოატანინა მწვანილიც: პრასა, ქინძი, ოხრახუში (თუმცა შიოს ცოლის ჭკადუხეს ბოსტნის ქება შორხაა გასული) — სახლში დაგვჭირდებაო.

ასევე შვრებიან მესამე, მეოთხე და სხვა დიასახლისები, სანამ „შიოს მარნის“ ორივე ყური პირთამდე არ გაივსება და ერთმანეთზე გადაბმული ქათმები საშინელი ჩხავილით იმდენს ადგილს დაიჭერენ, რომ მე ძალიან უნდა მოვიკუნტო, შიგ ჩაჯდომა მოვახერხო.

თუ ასეთი ტურნე მოეწყო დიდმარხვაში, როცა შიოს ლობიოსთან შესატანებლად ხულის მწნილი, კაკალი, ხახვი, შავი ბოლოკი სჭირდება, ხურჯინის ცალ ყურში ჩადის ღომისღომი, კვერცხი, ყველი, მეორეში — კაკალი, ხახვი და სხ. მწნილი.

მოდის უარესად აკვნესებული კოკინია, ბრუნდება ბევრ ლაპარაკისაგან ყბამოქცეული შიო. სახეზე სრული კმაყოფილება ეხატება, კმაყოფილება გამარჯვებულის კაცისა, რომ შრომა მთელის 100%-ით დაუფასდა და დატვირთული მიუვა შინაურებს. მეც, ჩემის პატარა ძალღონისდა კვალად, ცდა არ დამიკლია, ვშველოდი: შევრბოდი და გამოვრბოდი ეზოებიდან, გამომქონდა დედაკაცების მოცემულები, ვალაგებდი ხურჯინში. ასე რომ მეც უფლება მქონდა მეთქვა — მოქანცული ვარ მეთქი, მეც ვიმუშავე, „სადიაკვნო“ წესი შევასრულე-მეთქი. შიოს მოსწონს ჩემი სიკისკასე, გარჯილობა. მაინც საჭიროდა სთვლის დამარიგოს და ჩემთან ასეთს ლაპარაკს გააბამს:

— აი, ბაბუა, ასე უნდა! შენც რომ გაიზრდები და შენს მღვდლობას მაჩვენებს ღმერთი, შენც ისე უნდა მოიქცე, ჩემსებ უნდა იმარჯვო, უნდა ეცადო, გლეხებმა არ დაივიწყონ შენი სამსახური, თორემ თუ ერთი შიუშვი ნებაზე, თავს აიგდებენ, მეტი ჭკუა და ნამუსი მათ ღმერთმა არ მისცა, მღვდელს არაფრად ჩააგდებენ... უნდა გაუჯავრდე, სუსხი აჩვენო. მაშინ პატივიც გექნება და რიდიც. საჭმელ-სასმელი არ მოგაკლდება, ყველაფერი თავსაყრელი გექნება...

მე ყურს ვუგდებდი, თითქო მომწონდა, რომ სხვებს ართმევდა და ამდენი შემოჰქონდა სახლში საჭმელად. მხოლოდ ჩემის ძიძის ჭიშკარსაც რომ მიადგებოდა კოკინია, ვერ ვიტყვი, ძალიან არა მწყენოდა-მეთქი... რომ შემძლებოდა, პროტესტსაც გამოვუცხადებდი. ჩემის ძიძაშვილებისათვის უნდა დაეკლოთ, პირიდან ლუკმა წაერთმიათ და შიოს სახლში, ამ უძირო ქვევრში, უნდა ჩაყრილიყო. გული-გულში ჰაი, ჰაი რომ არ

მომწონდა და როცა ჩემი ძიძა სახურჯინეთ რასმე მაძლევდა, უგულოდ, ცალყბივ ჩამოვართმევდი.

საკურთხების ამ დაუსრულებელმა უკანდევნამ, მიცვალებულების სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვისა და ჯვარისწერის გამამართულმა ვაჭრობამ შიოსა და მისს კოლეგებსა და მრევლს შორის ბუნებრივად გამოიწვია ხალხში ანტაგონიზმი და მტრობა. ასეთის მტრობის გამოხატულება იყო ერთი იუმორისტული ლექსი, რომელსაც დიდი გავალი ჰქონდა ხალხში, და რომელსაც, მომენტის შესაფერად, მდგომარეობისა და ურთიერთობის ზედმიწევნით გამომსახველად სთვლიდნენ. მერე ეს ლექსი ხალხმა ჩონგურზედაც გადაიღო.

ხალხური უზადო სარკაზმი საოცარი ზედმიწევნილობით არის შიგ ჩაქსოვილი.

სცენაზე გამოდიან მიცვალებულის გლეხის ქვრივი და მღვდელი. ქვრივი მიცვალებულის ანდერძს ეუბნება „სულიერს“ მოძღვარს:

ქვრივი. ოი! ჩემო მოძღვარო. ვაიმე...
ოი! ჩემო მოძღვარო. ვაიმე...
რაც ჩემმა კაცმა დამიბარა,
ვსთქვა ყველაფერი, თუ არა?
ვაი ამ დღის მომსწრესა...

მღვდელი. თქვი, შვილო, ყველაფერი თქვი!
მიცვალებულს სულს არ დაუმძიმო, შვილო!

ქვრივი. ჩემი ვერცხლით მოჭედილი ლეკური,
ჩემი ცხენი და უნაგირი
მღვდელს მიეცი ყველაფერიო...
ვაიმე, დედა, ვაიმე, დედა!..

მღვდელი. მართალი უთქვამს, შვილო,
მართალი, საწყალ ყაზახს...

ქვრივი. ჯერ ჩემი ცოლი,
მერე შვილები
მღვდელს ჩააბარეთ ყველანიო...
ვუი, ვუი, ამ დღის მომსწრესა...

მღვდელი. სულ სწორედ უთქვამს
საწყალ ყაზახსა.
ღმერთო, შენ აცხონე იმისი სული...

ქვრივი. აი, ჩემო მოძღვარო, ჩემო ბატონო,
აი, ჩემო მოძღვარო, ჩემო ბატონო!
რაც ჩემმა კაცმა დამიბარა,
ყველაფერი ვთქვა თუ არა?
ვაი, ნუ ამოხვალ, სულო!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდელი. სთქვი, შვილო, სთქვი,
მიცვალებულის სულს არ დაუმძიმო.

ქვრივი. ასი მანეთი ფული,
ურიის ვალი რომ მმართებს,
მღვდელმა გადაიხადოსო...
ვაი, ვაი ჩემსა დღესა!..

მღვდელი. ფუ, ფუ, ფუ შენს მკვდარსა!..
დააგდე შენს ურემზე,
სამარე გათხრილი დაგხვდება
და ჩაუძახე საფლავში.
აქამდე სასიკვდილე ყოფილა...
საწყალი ყაზახი...

ამ მარტივს ლექსში მარტივად გამოთქმულია მაშინდელ მღვდლისა და მრევლის ურთიერთობის დახასიათება. დიდი გასავალიცა ჰქონდა ხალხში. ისე ღამის თევა არსად გაიმართებოდა ან შეკრებილება, ეს ლექსი კარგ მეჩონგურე ქალს ჩონგურზე არ დაემღერებინა და მაყურებელნი არ ეცინებინა და მათი გული არ მოეფხანა.

ყველა იმას იძახდა, ასლი შიოზედაა გამოჭრილიო. თვითონ შიოს მეგობრულ შარჟად მიაჩნდა, ისმენდა, ჭკუაში უჯდებოდა, შიგ თავის თავსა სცნობდა და ხუმრობაში ჩაატარებდა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ფალავა

ლადო მესხიშვილი

რამდენიმე თავი მონოგრაფიიდან

ლადო მესხიშვილის სასცენო ასპარეზზე გამოსვლა

1850 წლიდან 1855 წლამდე არსებული გიორგი ერისთავის თეატრი, მეფის მთავრობისაგან უმწეოდ შთენილი და ქართველ თავადაზნაურულ საზოგადოებაში დასაყრდენს მოკლებული, დაიქსაქსა და თეატრის წყურვილს ჩვენი საზოგადოების მოწინავენი სცენის მოყვარეთა მიერ სხვადასხვა ოჯახში გამართული წარმოდგენებით იკლავდნენ. ამ გზით ქართულმა თეატრმა ოთხმოციან წლებამდე მიაღწია და 1878/79 წლებში ჩვენი საზოგადო მოღვაწეების — დიმიტრი ყიფიანის, ნიკოლოზ ავალიშვილის, ალსარაჯიშვილის, იოსებ ბაქრაძის, გიორგი თუმანიშვილის, ილია ჭავჭავაძის, დავით ერისთავის, ივანე მაჩაბლის, დავით სარაჯიშვილის, აკაკი წერეთლის წყალობით მუდმივ თეატრს საფუძველი ჩაეყარა..

ილია ჭავჭავაძესთან ერთად დავით ერისთავი და მიხეილ ბებუთაშვილი დაესწრნენ ერთხელ, 1881 წელს, ერთ-ერთ რუსულ წარმოდგენას, რომელიც საქველმოქმედო მიზნით იყო გამართული მაშინდელი რუსული დასის მიერ. თამაშობდნენ ჩერნიშევის პიესას „Испорченная жизнь“, რომელშიაც მთავარ როლს (კურჩაევისას) ლადო მესხიშვილი ასრულებდა. ამ დასში ლადო მიიყვანა სცენისადმი სიყვარულმა, რაც მას ბავშვობიდანვე ჰქონდა და რასაც იგი სცენის მოყვარეებთან თამაშში საოჯახო და საკლუბო სცენებზე (მოსკოვში) გამოხატავდა. ლადოს რუსულ დასში მუშაობის დაწყების მიზეზი კი ქართული ენის უცოდინარობა იყო. სამშობლო ენა ლადოს დაავიწყდა იმ აღზრდის გამო, რომელიც მან გაიარა ტფილისის პანსიონებსა და კიევის კადეტთა კორპუსში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1881 წლისთვის დავით ერისთავს უკვე ჰქონდა გადმოკეთებული ერთ-ერთი ფრანგი დრამატურგის ვიქტორიენ სარდუს პიესა „სამშობლო“, რომელმაც იმდროინდელ პირობებში უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებაში.

პიესა ჰქონდათ, მაგრამ მთავარი როლის (ლევან ხიმშიაშვილის) ამსრულებელი არსად იყო და როდესაც დავით ერისთავმა ამ როლისთვის გამოსადეგი ქართველი მსახიობი აღმოაჩინა რუსულ დასში, მის სიხარულს

საზღვარი არა ჰქონდა. აღტაცებულმა იქვე შესძახა თავის ამხანაგებს: „Наконец-то я нашел моего Химшиашвили". სამივე ქართველი მოღვაწე ანტრაქტის დროს სცენაზე ავიდა და გამოემცნაურა ახალგაზრდა მსახიობს. მაშინ ლადო 24 წლის იყო.

— როგორი ქართველი ხარ, ყმაწვილო, როდესაც შენ სამშობლო სცენას გაურბიხარ და რუსულ სცენაზე თამაშობ? არ ეკადრება ქართველს ასეთი საქციელი. ჩვენი სცენა ჯერ-ჯერობით მეტად ღარიბია და ვისაც ნიჭი და უნარი აქვს, მოვალეა მის აყვავებას ემსახუროს,—ეუბნება ილია ჭავჭავაძე ლადოს. [1])

მესხიშვილმა სამშობლო ენის უცოდინარობით იმართლა თავი.

— Нет, вы только дайте нам ваше принципиальное согласие, а языку мы вас научим, — ეუბნება დავით ერისთავი [2]).

ლადო ეთანხმება, ეუბნება, რომ თქვენის ხელმძღვანელობით და ჩემის მეცადინეობით იმედი მაქვს ეს სიძნელე (ენის უცოდინარობა) დავძლიოო.

თუმცა პირველად ლადო მესხიშვილი ქართულ სცენას, როგორც „სცენის მოსიყვარულე ვ. მესხიევი" [3]), 1881 წლის იანვარს მოევლინა ივანე კერესელიძის სასარგებლოდ გამართულ დილის წარმოდგენის დივერტისმენტში, მაგრამ მაშინ იგი შეუმჩნეველი დარჩა.

იმევე 1881 წლის 10 ოქტომბერს ლ. მესხიშვილს ვხედავთ პიესაში „შეშლილია", ვილკენის როლში. ასე მალე ქართული ენის შესწავლას ლადო, რასაკვირველია, ვერ მოასწრებდა და მას როლებს რუსული ასოებით უწერდნენ. არ შეიძლება ითქვას, რომ ლადო მესხიშვილის პირველი დებიუტი განსაცვიფრებელი რამ ყოფილიყოს, მაგრამ მაინც ბევრი კარგი თვისება გამოამჟღავნა ახალგაზრდა მსახიობმა.

უნდა აღინიშნოს, ლადოს სასცენო ხელოვნების სკოლა არ გაუვლია, ასეთი მაშინ ჩვენში არ არსებობდა. გარდა ამისა, იმ დროინდელი თეატრი არ იყო ისე ორგანიზებული, როგორც დღევანდელი. რეჟისურა მხოლოდ წარმოდგენის გარეგან მხარეს — გაფორმებას და მექანიკურ მიზან-სცენებს აქცევდა ყურადღებას. წარმოდგენა, როგორც ორგანიულად მთლიანი ნაწარმოები, არ იყო ჯერ კიდევ შეცნობილი. „რაც შეეხება ამ პიესის გარეგან მოწყობილებას, ესე იგი რეჟისორობის საქმესო",—სწერს „ივერია" [4]),—როგორც მსახიობნი, ისე ხელმძღვანელობა ზოგადი ხასიათის ინტერპრეტაციით ჯერდებოდნენ. ლადოს პირველ დებიუტს მოჰყვა მეორე პიესაში გამოსვლა. ეს პიესა, ქართულად ივანე კერესელიძის მიერ „დაქცეული ოჯახის" სახელწოდებით გადმოკეთებული, ჩერნიშევის ზეშოხსენებული პიესა იყო: „Испорченная жизнь", რომელშიაც ლადომ

---

[1]) დ. კასრაძე: „ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილი", გვ. 32.

[2]) ი ქ ვ ე.

[3]) 1881 წლის „დროება", № 10.

[4]) 1887 წლის „ივერია", № 36.

რუსულ დასში ითამაშა. „დაქცეულ ოჯახში“ იმავე წლის 17 ოქტომბერს ლადომ ინდოს როლი შეასრულა. მოუსმინოთ იმ დროინდელ პრესას:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბ-ნი ალექსეევ-მესხიევის თამაშის უკეთესი მომენტები [illegible] მოქმედებაში, როდესაც ის ისმენს საყვედურს თავის ცოლთან და ბრაზი მოსდის განაჩენის სიმკაცრით. შემდეგ პირველი მოქმედების დაბოლოება ტირილით. მესამე მოქმედება თითქმის სულ მთლად კარგად იქნა შესრულებული. სცენამ სამართებლით და მოგონებამ ცოლზე ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინეს. მაგრამ ბ-ნმა მესხიევმა ერთი დაუდევრობა ჩაიდინა, რომელიც ძლიერ მავნებელია დრამულის როლებისათვის: თამაშის დროს ის მთელ არსებას უმორჩილებს როლსა, საშინელი მოკრება ყველა თავის ძალ-ღონისა ძლიერ მომენტებში ხმარებულნი, ამ მომენტების გათავებისთანავე თავდება და შუათანა ადგილზე გადასვლა უჭირდება აქტიორს დაღალვისა გამო. ამ მოქმედების გათავებისთანავე თითქოს თავდება მოქმედებაო. აქტიორს ეკარგება საზოგადოება და ეს უშლის შთაბეჭდილების ერთობას. ბევრს ეს ნაკლულევანება აქტიორის ღირსებათ ეგონებათ, რომელიც როლში შედის, მაგრამ თეატრი, პირველ ყოვლისა, ხელოვნებაა; არ შეიძლება, თუ სურათს ხატავთ, მარტო ხელი, პირი და სახე დახატოთ და დანარჩენი არაფერი დაასრულოთ; ვინც კი ამ სურათს ნახავს, ყველა კმაყოფილი დარჩება. ამის აცილება შეიძლება ამნაირად: დაე ბ-ნმა მესხიევმა გამოიცვალოს თავისი შეხედულება თამაშზე. ვარწმუნებთ იმას, რომ ძლიერი თამაშის ადგილები იმას ყოველთვის გამოუვა, იმიტომ, რომ ამას ნერვები იზამენ. როცა როლს ასრულებს, ყურადღება მიაქციოს შუათანა ვითარებათა ასრულებას, მაშინ ის აღარ დაიბნევა. ეს სასარგებლოა სცენისათვისაც და სცენის ძალ-ღონის დასაზოგავადაც, რაიცა მეტი არ იქნება ჯერ-ჯერობით ჩვენი სუსტი ტრუპისათვის“. [1])

ეს ამონაწერი მრავალმხრივ არის საყურადღებო: ერთის მხრით, ავტორის მოთხოვნა როლის შესრულების მთლიანობისაკენ არის მიმართული, მაგრამ იმავე დროს ის ვერ იძლევა სწორ დარიგებას. „ძლიერი თამაშის ადგილები ყოველთვის გამოუვა“, ყურადღება უნდა მიექციოს „შუათანა ადგილების ასრულებასო“. როგორ და რანაირად? ავტორი ამას ვერ ამბობს. არც ის არის მისაღები, რომ „ძლიერი თამაშის ადგილები მას ყოველთვის გამოუვა, იმიტომ რომ ამას ნერვები იზამენო“. მეორეს მხრით, ეს რეცენზია აამკარავებს, რომ მესხიშვილს იმ დროს მსახიობის სათანადო ტექნიკა არ ჰქონია. ზოგიერთი ადგილი მას ძლიერ ტემპერამენტით მიჰყავს, რასაც მთელი როლის დამორჩილებას და ძალ-ღონის საშინელ მოკრებას უწოდებს რეცენზენტი. ზოგიერთი ადგილი კი მეტად მკრთალია, უფერული. „აქტიორს ეკარგება საზოგადოებაო“, — სწერს „დროების“ თანამშრომელი. უსკოლო, უმთავრესად ინტუიციაზე დაყრდნობილი მსახიობებისათვის, როგორიც იყო მესხიშვილი არა თუ თავის მოღვაწეობის დასაწყისში, არამედ თითქმის მთელი შემოქმედების პერიოდში, რასაკვირველია, საპატიებელია ასეთი ამბები.

222-ე ნომერში იგივე „დროება“ „დიდი ნიჭის და ღირების აქტიორად“ აღიარებს ალექსი-მესხიშვილს. საინტერესოა იმ დროინდელ მეორე ბეჭდით ორგანოს შეფასება:

---

[1]) 1881 წლის „დროება“, № 220.

„ყველაზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ალექსეევ-მესხიშვმა. პირველად ის „შეშლილში“ გამოვიდა ვიღაც ქარაფშუტა ფრანტის პატარა როლში, შემდეგ კი „დაქცეულ ოჯახში“ მოგვეევლინა ინდოს როლში. ამ დრამატიულ როლში ახალმა მოთამაშემ გამოიჩინა ნამდვილი ნიჭი. იმის გრძნობიერი ელექტრონული ხმა, იმისი სცენის ცოდნა ბევრჯერ დაავიწყებდა მაყურებელს, რომ ის თეატრშია. „დაქცეულ ოჯახის“ წარმოდგენაზე ბევრი ატირა ჩვენი ქალები და თავისი მონოლოგებით საკმაოდ გაათბო ჩვენი ცივი, ცარიელი თეატრი“. [1])

„ივერიის“ რეცენზენტი უდროოდ შეჩერებას, სიტყვების შეწყვეტას, ენის უცოდინარობას, ყალბ პათოსს, სენტიმენტალობას უჩივის-უსაყვედურებს ალექსი-მესხიშვილს, მაგრამ იქვე დაასკვნის: „ეს ნაკლულევანებანი რომ აიცილოს ალ. მესხიშვილმა, შესაძლებელი იქნება ჩვეს სცენაზე დრამების წარმოდგენა. მისი მიხვრა-მოხვრა, შეხედულება, ხმა, სცენის ცოდნა, ნიჭი ნებას აძლევს სავალდებულო (საპასუხისმგებლო — ა. ფ.) როლები შეასრულოს“. [2])

აქ არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ერთი გარემოების აღნიშვნას. სერიოზული დრამატიული რეპერტუარი ჯერ კიდევ არ მოეპოვებოდა ჩვენს სცენას. ამ რეპერტუარის გაჩენა, როგორც შემდეგში დავინახავთ, უმთავრესად მესხიშვილის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული და, სხვა მოვლენებთან ერთად, ჩვენს სცენაზე მესხიშვილის გამოსვლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ამ ხარვეზის ამოვსება შესაძლებელი გახდა 1882 წლიდან ჯერ „სამშობლოს“ და შემდეგ „ჰამლეტის“ და მსოფლიო დრამატურგების სხვა შედევრების გამოვლინებით.

„ამიერიდან ჩვენს სცენაზე დრამების წარმოდგენა შეიძლებაო“, —ამბობს გ. თუმანიშვილი მესხიშვილის ქართულ სცენაზე გამოსვლასთან დაკავშირებით. [3])

ამასვე ადასტურებს შალვა დადიანი:

„თუ ჩვენ ამიერიდან კომიკური გზები ჩვენი თეატრისა ვასო აბაშიძიდან უნდა დავიწყოთ, სადრამო მსვლელობაში ლადოს ხელოვნების ფართო ეზოდან უნდა გამოვიდეთ. ლადო იყო უსათუოდ მამამთავარი სადრამო ხელოვნების ხორცასხმულობისა ჩვენ თეატრში“ [4]). ეს სიტყვები სრულ სიმართლეს შეიცავენ. ჩვენ ამას ნათლად დავინახავთ ლ. მესხიშვილის მოღვაწეობის შემდგომი განხილვიდან, მხოლოდ ჯერ-ჯერობით ისევ ახალგაზრდა მესხიშვილს უნდა დავუბრუნდეთ.

რით უნდა აიხსნას მესხიშვილის ზემოხსენებული ნაკლულევანებანი? არ. უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს იყო პირველი წელიწადი, რაც მესხიშვილი გაპროფესიონალების გზას დაადგა. მაშინ ჩვენს მსახიობებს ყოველდღიური სისტემატიური მუშაობა არ ჰქონდათ. წარმოდგენები დროგამოშვებით იმართებოდა: თვეში ორი-სამი, წელიწადში კიდევ ოცი-ოცდახუთი

[1]) 1881 წლის „ივერია“, № 11, გვ. 145.
[2]) 1881 წლის „ივერია“, № 11, გვ 144 — 145.
[3]) 1881 წლის „ივერია“, № 11, გვ. 145.
[4]) ჟურნ. „ხელოვნება“, 1926 წლის, № 3, ს. ასლანიშვილის რედ., გვ. 6.

წარმოდგენა. სეზონის ხანგრძლიობა 5 — 6 თვეს თუ უდრიდა. ზაფხულობით ხომ დღესაც არ მუშაობენ ჩვენი თეატრები. მაშინ ამ გარემოებას კიდევ ის ემატებოდა, რომ მთელი ეგრეთწოდებულ „დიდი მარხვის“ განმავლობაში, ე. ი. „აღდგომის“ წინ 48 დღის განმავლობაში, წარმოდგენები აკრძალული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპეტიციების რიცხვი და ხასიათიც სხვა გვარი იყო. მთავარი საზრუნავი მაშინ პიესის ზოგადი ინტერპრეტაცია იყო, ტექსტის დაუფლება იმდენად, რომ სუფლიორის კარნახით იოლად წასულიყვნენ, და სცენიური განლაგება (ეგრეთწოდებული მიზანსცენები) კიდევ ისეთი, რომ მსახიობებს კულისებიდან შემოსასვლელ-გასასვლელი და თვით სცენაზე გადასასვლელი ადგილები იმდენად სცოდნოდათ, რომ ერთმანეთს არ დაჯახებოდნენ. სკულპტურული კომპოზიცია და ორგანიული მთლიანობა წარმოდგენისა, რაც დღევანდელ თეატრს მოეთხოვება, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაგებული. ასეთ მდგომარეობას სამოციან წლებში საფუძველი ჩაუყარეს ჯერ კიდევ მეინინგელებმა და შემდეგში ეს პრინციპი განავითარეს ანტუანმა საფრანგეთში და სტანისლავსკიმ რუსეთში.

გარდა ასეთი ხასიათის საერთო მდგომარეობისა, მესხიშვილს ძალზე უშლიდა ხელს სამშობლო ენის უცოდინარობა. თუ მონოლოგებით სათანადო ეფექტს ახდენდა, ეს აიხსნება იმით, რომ მონოლოგები მას დაზეპირებული და კარგად ათვისებული ჰქონდა, რაც შეეხება დიალოგებს, აქ, რეპეტიციების საკმაო რიცხვის უქონლობის გამო, მდგომარეობა უფრო რთულდებოდა და ხშირად იმ უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა მსახიობს, რომელსაც რეცენზენტი უჩივის ლადოს. უნდა ვიცოდეთ, რომ, ნაცვლად დღევანდელი ათეული რეპეტიციებისა, მაშინ მხოლოდ 5—6, ძალიან დიდი 10—12 რეპეტიციით თამაშობდნენ პიესებს. ეს ამბავიც მარტო ჩვენში არა ყოფილა. რუსეთის ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი თეატრის ხელმძღვანელს — კორშს ცხრაასიან წლებშიაც კი ვერ წარმოედგინა, რომ 12, უკიდურეს შემთხვევაში 15 რეპეტიციის მეტი ყოფილიყოს არა თუ საჭირო, შესაძლებელიც კი თითოეული პიესისათვის, როგორც ეს ერთ-ერთ საუბრის დროს გაიხსენა კ. სტანისლავსკიმ. კორში, როგორც ანტრეპრენიორი, თავის მსახიობებსა და რეჟისურას აიძულებდა ყოველ კვირა (პარასკეობით) ახალ-ახალი პრემიერა ეჩვენებინათ [1]).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა, ლადო მესხიშვილს მრავალი დადებითი ხასიათის თვისება მოეპოებოდა — მშვენიერი გარეგნობა, განსაკუთრებით სახე, რომელიც თამამად შეიძლებოდა კაცს აპოლონის სახისთვის შეედარებინა, ხავერდოვანი ტემბრის ხმა, რომელიც ზარივით რეკდა და ჟღერდა, ტემპერამენტი, რომლითაც მაყურებელს იტაცებდა, — ერთის სიტყვით, ნამდვილი მსახიობისათვის საჭირო ყველა ძირი-

[1]) ფინელნიკოვი: „სამოცი წელი სცენაზე (1874 — 1934)“, ხარკოვი, 1935 წ.

თადი თვისება. ბუნებრივი პლასტიურობაც ზედ ერთვოდა ამ თვისებებს. აკლდა მხოლოდ გამოცდილება, მაგრამ გამოცდილებაც მალე შეიძინა პრაქტიკულ მუშაობაში და გაიზარდა იმ დიდ არტისტად, რომელმაც შემდეგში მესხიშვილის თეატრი, მესხიშვილის სკოლა შექმნა.

ამგვარად, ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი მესხიშვილის სახით 1881 წელს ქართულ სცენას შეეძინა უეჭველად ნიჭიერი მსახიობი, რომელსაც დიდი მომავალი ჰქონდა. შემდგომ, 1882 წელს ბევრი რამე საგულისხმიერო და აღმაფრთოვანებელი უნდა ეთქვა ქართული თეატრისათვის ლადოს სახით, მხოლოდ ვიდრე ლადოს შემდგომ მუშაობას და ბრყინვალე წარმატებას შევეხებოდეთ, საჭიროა ამ წლისთვის არსებულ საერთო მდგომარეობას ერთხელ კიდევ გადავავლოთ თვალი.

ცნობილი პუბლიცისტი სტ. ჭრელაშვილი სწორედ 1882 წელს ჟურნალ „იმედის" პირველ ნომერში ბეჭდავს წერილს „ქართული თეატრის" სახელწოდებით. ეს იმდენად საყურადღებო დოკუმენტია, რომ მოგვყავს ყველა მისი საგულისხმიერო ადგილი:

„თეატრს შეუძლიან შეასრულოს თავისი უდიდესი მისია, თუ მას ექნა მიქცეული ჯეროვანი ყურადღება". „თეატრი მისწრებაა და თამამად შეუძლიან დიდი სამსახური გაუწიოს ხალხის ბედნიერებას, მის კეთილდღეობას", განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, სადაც „არ არის საზოგადო აზრი გამორკვეული და დაფუძნებული, სადაც მწერლობას არა აქვს ჯეროვანი გზა, გარკვეული აზრი მკითხველების საყურადღებოდ, სადაც საქვეყნო სასარგებლო საქმეებს არ გაუდგამთ ფესვები ხალხის წარმომადგენელთა გულში, სადაც არ გამაგრებულა საზოგადო ძარღვი, რომელიც ერთი ხელითა სცემდეს ყველას არსებაში, ერთი მხრისაკენ იყოს მიქცეული". [1])

სტ. ჭრელაშვილის აზრი სავსებით სწორეა. იგი სამართლიანად აღნიშნავს მაშინდელი საზოგადოების ჩამორჩენილობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული საზოგადოება პირად კეთილდღეობაზე იყო მთლიანად გადაგებული. საზოგადოებრივი საქმეებლობისათვის, საქვეყნო საკითხებისათვის მხოლოდ რჩეულთა მცირე რიცხვი თუ ფიქრობდა. არის კიდევ მეტად საღი აზრი ჭრელაშვილის წერილში. ჭრელაშვილმა იცის, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თეატრს საზოგადოების აღსაზრდელად. ცნობილია, რა დიდი როლი ითამაშა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს მესამე წოდების რევოლუციურ გრძნობათა გაღვივებაში ბომარშეს „ფიგაროს ქორწინების" წარმოდგენებმა. მაშინ, როდესაც ენციკლოპედისტების ნაწარმოებებს მხოლოდ ასეულები კითხულობდნენ, „ფიგაროს" ცეცხლის დამნთებ რეპლიკებსა და მოწოდებებს ათასები ისმენდნენ...

ამას გარდა, აღსანიშნავია ერთი გარემოებაც. მეფის მთავრობა მეტისმეტად ტლანქად შეურაცხყოფდა ქართველთა ეროვნულ გრძნობას. ქართული ენა განდევნილი იყო სკოლებიდან, დაწესებულებებიდან, ქუჩიდა-

[1]) 1882 წლის „იმედი", № 1. გვ. 62.

ნაც-კი. სოფლელებს, მაგ., დიღმელებს, წყნეთელებს და საერთოდ ტფილისის გარშემო მცხოვრებთ, რომელთაც სანოვაგე მოჰქონდათ ქალაქში და ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ, არ შეეძლოთ ქართულად ეძახათ: ნახშირი, ვაშლი, მსხალი, ატამი... მეფის ნაცვალთან ნადიმზე, „ოჯახიდამ“ — „ალარბაზში“ არ შეუშვეს გ. ერისთავი, რადგან იგი ქართულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი. როდესაც სემინარიის მოწაფემ ლაღიაშვილმა, ბერების ჟანდარმული წესრიგით გამწარებულმა, სემინარიის ინსპექტორი ჩუდეცკი მოჰკლა, საქართველოს შავრაზმელმა ექსარხოსმა პავლემ მთელი ქართველი ხალხი ეკლესიაში საჯაროდ შეაჩვენა, ხოლო როდესაც ამის გამო დიმიტრი ყიფიანმა ქვიშხეთიდან საპროტესტო წერილი გამოგზავნა, მთავრობამ ეს ფაქტი საბაბად გაიხადა და იმდროინდელი ერთ-ერთი უდიდესი ქართველი საზოგადო მოღვაწე სტავროპოლში გადაასახლა და იქ თავის აგენტების საშუალებით მძინარე ადამიანი ფარულად მოჰკლა. ასეთ ატმოსფერაში თეატრი იყო და უნდა ყოფილიყო ის ოაზისი, სადაც ადამიანური გრძნობის გამოვლინებას მოწყურებულ ხალხს სულის მოთქმა შეეძლო.

ამ გარემოებამ მაშინ ქართული თეატრი ეროვნულ ტრიბუნად გადააქცია. მაგრამ, რა თქმა უნდა, არც თეატრი იყო თავისუფალი თვითმპყრობელობისა და მისი აგენტების „მზრუნველობისაგან“. თვითმპყრობელობა განსაკუთრებულ როლს აკისრებდა თეატრს. „ვორონცოვმა თეატრები „ტუზემცების“ (ადგილობრივ მოსახლეობის) რუსებში გასათქვეფად დააარსაო“, სწერდა გენერალი მურავიოვი.[1]) სრული ჭეშმარიტებაა. როცა დავით ერისთავის „სამშობლოში“ სცენაზე ეროვნული დროშა ააფრიალეს, შავრაზმელ პუბლიცისტებს დორბლი მოერია და ცნობილი კატკოვის გაზეთში ქართველებს ურჩიეს: თქვენი ეროვნული დროშა ცირკს მიჰყიდეთო. ამას მოჰყვა ილია ჭავჭავაძის ცნობილი წერილი „კატკოვის პასუხად“, რომელიც ასე თავდება:

„გაცვეთილის კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენება იმისი, რასაც ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ერი თაყვანსა სცემს, როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას, ერის ღირსებისას, რომლის შეუმწიკვლელად დაცვისათვის არამც თუ ცალკე კაცი, არამედ მთელი ერი ყველგან, დედამიწის ზურგზედ, სიცოცხლეს არა ზოგავს და მისთვის სიკვდილი სახელად და დიდებად მიაჩნია, — იმისი ეგრეთ უკადრისად ხსენებას, არ ვიცით, რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრიცხოთ.

ქართული დროშა ორი ათასი წლის განმავლობაში ქართველობას სახელით და დიდებით ხელში სჭერია, თავის სისხლში ამოუვლია და რუსეთისთვის შეუმწიკვლელად და უჩირქოდ გადაუცია; გაჭირების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არა ერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არა ერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად.

ეგ დროშა, რომელიც ეგეთის სასოებით და პატივით უტარებია იმოდენა ხანს უწინდელს ქართველს... ეგ დროშა, რომელსაც აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უთხევია

[1]) კავკასიის არქეოლოგიური კომისიის აქტები, ტ. XI, გვ. 3.

შამულისათვის, — დღეს ეგ დროშა საცირკოდ გაგვიხადა ერთმა ვილაცა კორესპონდენტმა და ბ-ნმა კატკოვმაც ბანი მისცა.

თუ ჩვეულებრივმა გრძნობამ მართებულობისამ არ შეაყენა ბ-ნი კატკოვი, იმას მაინც უნდა მოჰრიდებოდა, რომ უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს თავის პატიოსნების და ღირსების დასაცავად. თვით ბარბაროსიც-კი არ იკადრებდა ეგრეთ გაუპატიურებას მთელის ერისას! მაშ, ბარაქალა კატკოვს და მის მომხრეებსა, რომ იკადრეს ის, რასაც თვით ბარბაროსიც-კი ითაკილებდა". [1])

ლადო ლევან ხიმშიაშვილის როლში.

ამ დროს და ასეთ პირობებში გამოდის მესხიშვილი „სამშობლოში" მთავარი გმირის ლევან ხიმშიაშვილის როლის შესასრულებლად. მკითხველებს ეხსომებათ, რომ დავით ერისთავს განსაკუთრებულად გაეხარდა ლადოს აღმოჩენა რუსულ წარმოდგენაზე, რადგან მან იპოვა არა მარტო ქართველი მსახიობი, ქართული თეატრისათვის გამოსადეგი ძალა, არამედ იპოვნა პირველხარისხოვანი მსახიობი, ის, რასაც ბერძნები პროტოგონისტს უწოდებდენ. უამისოდ როგორც ერისთავის „სამშობლო", ისე თითქმის მთელი დრამატურგია მკვდარ კაპიტალს წარმოადგენდა, რადგან დრამატიული როლების გამსახიერებელი არავინ იყო. თეატრი გვქონდა, გვყავდნენ მსახიობნიც და დიდი მსახიობნიც—კოტე ყიფიანი, ვასო აბაშიძე, მარიამ საფაროვ-აბაშიძისა, ნატო გაბუნია-ცაგარლისა, ბ. ავალიშვილი, კოტე და ეფემია მესხი, მაგრამ არ იყო, მაშინდელი ტერმინოლოგიით, jeune premier-ი, ეგრეთ წოდებული გმირიარშაყის როლების შემსრულებელი.

1882 წლის 22 იანვარს დაიდგა პირველად დავით ერისთავის „სამშობლო". მთავარ როლებს ასრულებდნენ: ლადო მესხიშვილი — ლევან ხიმშიაშვილის როლს, კოტე ყიფიანი — სვიმონ ლეონიძისას და ბ. ავალიშვილი — ქეთევანისას.

ამ მომენტთან დაკავშრებით 31 წლის შემდეგ, მესხიშვილის 30 წლის იუბილეს გამო, დაიწერა ფრიად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც დამსახურებული მწერალი-ქალის ეკ. გაბაშვილის კალამს ეკუთვნის და რომელიც 1913 წელს დაიბეჭდა. ამ დოკუმენტს ავტორი „ტკბილ მოგონებას" უწოდებს. იგი იმდენად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ფრაგმენტია ქართული თეატრის ისტორიისა და, კერძოდ, მესხიშვილის მოღვაწეობისათვის, რომ მოგვყავს მთლიანად:

„ვლადიმერ მესხიშვილის გამოსვლა „სამშობლოში".

ორ კვირაზე ადრე მთელმა ტფილისმა იცოდა, რომ 1882 წლის 22 იანვარს საზაფხულო თეატრში წარმოადგენდნენ „სამშობლოს", დავით ერისთავის მიერ ფრანგულიდან გადმოკეთებულს პიესას, და ყოველ წვრილმანს იმ წარმოდგენისას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ; გასაოცარ და დაუჯერებელ ზღაპრებს სთხზავდნენ, როგორც პიესის შინაარსზე, ისე იმის მდიდრულად და შეუდარებლად დადგმაზე.

[1]) 1882 წლის „დროება", № 40.

მიხეილ პეტრეს-ძე ბებუთოვი, პიესის რეჟისორად მოწვეული ავტორისაგან, საიმდღეისო გმირად გადაიქცა. იმისი ყოველთვის აღელვებული და ნერვიული სირბილი საზაფხულო თეატრში, თეატრიდან გოლოვინის პროსპექტზე საყოველთაო ყურადღებას იპყრობდა. ყველანი ისე შეყურებდნენ იმას, როგორც [illegible] სავსე ჯადოსანს, რომელიც ქართულ წარმოდგენას სასწაულმოქმედებ[illegible] — [illegible] და სულ ყველანი გატაცებით იძენდნენ ბილეთებს, რომ არ გამოკლებოდნენ ამ საოცნებო მოვლენას. „სამშობლო“ და მიხეილ პეტრეს-ძე — „სამშობლოს“ სულის ჩამდგმელი — მოწიწებით იხსენიებოდნენ ქალაქის ყოველ კუთხეში, ყოველ ოჯახში, ყოველ შეგნებული ქართველის ბაასში. მხოლოდ არტისტებზე ხმას არავინ იღებდა, თითქო იმათი დაფასება ხალხისთვის იყო დატოვებული.

აი წარმოდგენის დღეც დადგა. საზაფხულო თეატრი პირამდეა გატენილი. ქართველი არისტოკრატია, მთელი ქართველი ინტელიგენცია, მოხელეობა და უდროოდროდ თეატრში მიმსვლელი, დღეს გამოპრანჭული და აღელვებული გაცილებით ადრე ზის თავის ალაგზე. თეატრი სადღესასწაულოდ არის მორთული და განათებული. მუსიკა რაღაც სასიამოვნო მელოდიას უკრავს, მაგრამ იმას ყურს არავინ უგდებს, ყველა მოუთმენლად ელის ფარდის ახდას, ცმუკავს და ტოკავს.

მე სცენის პირდაპირ ზემო იარუსის ლოჟაში ვიჯექი ჩემის მახლობლებით და მთლად ვთრთოდი აღელვებული; მახლობელნი დამცინოდნენ: „განა არ იცი, არ იცნობ ქართულ თეატრს, ქართველ არტისტებს? ამათგან გასაკვირველს რას უნდა მოელოდე?!“ და თვითონ კი მოელოდნენ გასაკვირველს და ღელავდნენ...

აი, ფარდაც აიხადა და მოლოდინს გადააჭარბა იმან, რაც ქართველებმა სცენაზე დავინახეთ: მდიდრული მოწყობილება, შესაფერი და მშვენივრად შეხამებული ტანსაცმელი, მწყობრი და ილუზიამდე მიღწეული, სიმართლით შესრულება ყველასაგან თავისი ნაკისრი როლისა (რაც მანამდე თითქმის მიუწვდომელ ოცნებად იყო აღიარებული ჩვენს სცენაზე) და ბოლოს თვით გვირგვინი დღევანდელი წარმოდგენისა, ლევან ხიმშიაშვილის როლში ლადო მესხიშვილი.

წინადაც მენახა მესხიშვილი სცენაზე, გამეგონა იმისი მომჯადოებელი, ჰარმონიით სავსე ხმა, ხმა იშვიათი, თითქმის დაუჯერებელი და წარმოუდგენელი ჩემის სმენისათვის (მაშინ ყრუ არ ვიყავი), მაგრამ დღეს ლადო სულ სხვა იყო! ის აღარ იყო აქტიორი, რომელიც ცდილობდა ხოლმე ზეპირად დასწავლილი როლი ქართულ-რუსულის კილოთი გადაეცა ამხანაგისათვის, არა, ის იყო მშვენიერი ვაჟკაცი, ქართულ ძველებურ ტანისამოსით გამოწყობილი, ქართულ ძვირფას იარაღით შეესხმული მეომარი, რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს მშვენიერის, უზაკველის, ყოველგვარს აქცენტს აცილებულ ქართული ენით წარმოსთქვამდა.

დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რაინდულის გრაციით და შეუდარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზე უარს, როდესაც შაჰი თავისი ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალსა: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემს გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ, დიდებულო შაჰო!“ რა თავხედობა იყო, რა გამბედაობა ამ საქციელში! და რაგვარად იმოქმედა დროთა ბრუნვით დამუნჯებულ და ყოველგვარ საკუთარ აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზე.

მე მზად ვიყავი გადავმხტარიყავ ლოჟიდან და მუხლი მომეყარნა საოცნებო გმირის წინაშე. ასევე გრძნობდა უთუოდ მთელი საზოგადოება, რადგან ლევან ხიმშიაშვილის სიტყვებს უზომო და შეუკავებელ ოვაციით მიეგება. რამდენიმე წამი ხიმშიაშვილი — მესხიშვილი თავჩაღუნული იდგა და მოწიწებით ელოდა ხალხის დამშვიდებას, რომ სალაპარაკო განეგრძო და კვლავ ყოველის თავისი ნაბიჯით, ყოველის თავისის გულიდგან ამოხეთქილის ნათქვამით და გულამდე ჩამწდომის ხაევრდოვანის ხმით დაეპყრო, დაემორჩილებინა მსმენელი.

მართალია, ბებუთოვს ჩინებულად ვაეწრთვნა არტისტები, სრულის განათლებულის და ბევრის მნახველი კაცის გემოვნებით დაედგა პიესა, მაგრამ ოა იქნებოდა ხელოსნობით შემზადებული ძღვენი, თუ რომ ბუნებით მოძღვნილი სიდიდე, ბუნებრივი მარგალიტი, ბუნებით შექმნილი ხელოვანი მესხიშვილი [illegible] ხელოვანმა მესხიშვილმა, თავისი ბუნებრივი ნიჭით აღფურვილმა [illegible] ბებუთოვი. ასახელა „სამშობლო" და „სამშობლოს" გადმომკეთებელის სახელი უკვდავ ჰყო და ქართველი ხალხის გულში მკვიდრად დაბინავდა.

„სამშობლოს" პირველი წარმოდგენის მოგონების დროს არ შემიძლიან არ აღვნიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში — ეს ის მომენტი იყო, როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად გამზადებული გმირები დროშაზედ ფიცს სდებენ სამშობლოსათვის თავის განწირვაზე. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ სასწაულ მოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზე. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგებიდან დაწყებული გალიორკის უკანასკნელ რიგამდე ფეხზე იდგა და სასოებით გამსჭვალული მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნული დროშის წინ, რომ თეატრი გაჰედილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ადგილი ჰქონოდა.

ამისთანა წამები იშვიათია და მას არ ივიწყებს შთამომავლობა და მის მომნიჭებელთ ,ითაყვანებს". [1])

იმ დროინდელმა პრესამ კი ეს მოვლენა ასე შეაფასა:

„ითქვა სიტყვა, რომელიც მოხვდა ყველა ქართველის გულს, აატოკა და შეათამაშა ქართველების ძარღვი, ცეცხლი, რომელსაც შემოხვეოდა ნაცარი და აღარ ჩანდა, ეხლა გამოიყურებოდა ისე, რომ შორი მანძილიდანაც დაინახავდით და თანდათანობით მეტად ღვივის. ქართველთ მხოლოდ ეხლა მოგვეცა შემთხვევა, რომ რამდენიმე ხანი ერთად ვყოფილიყავით, ერთად გვეფიქრა. ჩვენ გვტანჯავდა და გვაწუხებდა არა რომელიმე კერძო კითხვები, არამედ საზოგადო, საყოველთაო საგანი... მოგვეცა შემთხვევა, რომ განცალკავებული ხალხი, განგანზე მოსიარულე, ერთმანეთის მიუნდებელი, შევიკრიბეთ ერთ ადგილას და ურთერთთან გადავაბით ჩვენი გულის მამოძრავებელი ძაფები. სულის ვითარება; მივენდეთ ერთმანეთს და გული გავიმაგრეთ იმ იმედით, რომ ერთსა და ორს კი არ შეგვტკივებია სამშობლოსათვის გული, არამედ მთელს ხალხს". [2])

გაზ. „დროების" რეცენზენტი აღნიშნავს: ,ყველაზე დიდი თანაგრძნობა და ტაში სვიმონ ლეონიძის ამსრულებელმა კ. ყიფიანმა და ლევან ხიმშიაშვილის წარმომდგენმა ალექსეევ-მესხიევმა მიიღესო [3]). მაშინდელი რეცენზენტები ზოგადი ფრაზებით და ფაქტიური ამბების აღნიშვნით კმაყოფილდებიან: „დიდი თანაგრძნობა და ტაში დაიმსახურეს", „დაფნის გვირგვინით და მისივე სურათით" შეამკეს, „მრავალი ვერცხლეული საჩუქრებით დააჯილდოვეს თავისი საყვარელი სცენის ქურუმი", „სპექტაკლის შემდგომ ასწიეს ვლ. ალექსი-მესხიშვილი და ისე მიიყვანეს ფაიტონამდინ"-ო, სწერენ ისინი [4]) მესხიშვილის ბენეფისის გამო, რომელიც მას იმავე წლის თებერვალში გაუმართავს, როდესაც იგი კოტე მესხის მიერ „თამარიანიდან" გადმოკეთებულ „თამარ ბატონიშვილში" შალვას როლში გამოსულა.

---

[1]) 1913 წლის ჟურნალი „კლდე", № 7.

[2]) 1882 წლის ჟურნალი „დროება", № 2.

[3]) 1882 წლის „დროება", № 17.

[4]) 1882 წლის „დროება", X 24.

ლ. მესხიშვილი პირველი გამოსვლა „ჰამლეტში“

ლადო მესხიშვილის ისტორიულ-რომანტიული რეპერტუარი — „სამშობლო“, „თამარ ბატონიშვილი“, „ბაგრატ დიდი“, „ანა ბატონიშვილი“, „და-ძმა“, „მტარვალი“, „ორი გმირი“ და სხვა — ეპოქას შეადგენს ამ მსახიობის შემოქმედებაში. ცხადია, რომ ხსენებული რეპერტუარი, საზოგადოებრივი სულისკვეთება, არსებული სოციალპოლიტიკური გარემო მესხიშვილის არტისტულ შემოქმედებას რომანტიული თეატრის ნიადაგზე აყენებდნენ. ტყუილად კი არ შეიყვარა მან შემდეგ პერიოდში საფრანგეთის უდიდესი რომანტიკოსი ვიქტორ ჰიუგო. ყველა ზემოხსენებული პირობის გამო, მესხიშვილის ამ პერიოდის შემოქმედება აშკარა რომანტიული პათოსით ხასიათდება. ეს პათოსი მას მეტ ნაკლები სიძლიერით ბოლომდის შერჩება. ნამდვილი თეატრალური ზეაწეულობა, გულწრფელი, ამაღელვებელი, წარმტაცი, განმწმენდი და ამმაღლებელი ახასიათებს ლადო მესხიშვილის არტისტულ მოღვაწეობას.

ლადო მესხიშვილის დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ამ წერტილზე არ გაყინულა, ეროვნული რომანტიკის ნაციონალური რეპერტუარის რკალში არ მომწყვდეულა. მესხიშვილი შორს იყურება და წინ მიდის. ჩვენს თეატრს ცალი თვალი მსოფლიო დრამატურგიისაკენ უჭირავს, და მომდევნო 1883 წელს მესხიშვილის რეპერტუარში ჩვენ გენიოსი შექსპირის „ჰამლეტსა“ ვხედავთ.

თვით ფაქტი „ჰამლეტის“ ქართულად ამეტყველებისა იმ დროისთვის მეტად შესანიშნავი მოვლენაა. მართალია, მესხიშვილი ჯანღონით აღსავსე, მშვენიერი, ყველა სასცენო ღირსებით აღჭურვილი ახალგაზრდაა, მაგრამ, როგორც მსახიობი, იგი ჰამლეტისათვის ჯერ კიდევ უმწიფარია, საკმაო გამოცდილება, სათანადო სცენის ტექნიკა მას ჯერ კიდევ სავსებით დაუფლებული არა აქვს. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოება, რომ მესხიშვილი ისევე, როგორც ყველა სხვა მაშინდელი მსახიობი, საკუთარ თავზეა მინდობილი. მაშინ ქართულ თეატრს არა ჰყავდა სამხატვრო ხელმძღვანელი, დამდგმელი რეჟისორი, რასაც დღევანდელ თეატრში ვხედავთ: პირიქით, მაშინდელ დროისთვის დამაკმაყოფილებელი და კულტურული რეჟისორიც კი (მ. ბებუთაშვილი), სამსახურის საქმეთა გამო, სრულიად ჩამოშორებია თეატრს. იგი ტფილისიდანაც კი წასულა. თარგმანიც უხეირო (ანტ. ფურცელაძისა) შეხვედრია მესხიშვილს. ანტურაჟიც (სხვა როლების შემსრულებელნი) მეტად შეუფერებელი იყო. ასე, მაგალითად, დედოფალ გერტრუდას დრამატიულ როლს ასრულებდა თურმე ნატალია გაბუნია, მართალია, ფრიად ნიჭიერი არტისტი, მაგრამ აშკარად კომიკური განხრის მსახიობი, რომლის სულსა და გულს დრამა სრულიად არ ეკარებოდა. ლაერტიც მეტად შეუფერებელი (ჩვენი ცნობილი მწერალი ალ. ყაზბეგი, იგივე მოჩხუბარიძე) შეხვედრია მესხიშვილს. რეცენზენტი ასე ახასიათებს ლაერტის შემსრულებელს: „ის გამოსაშვები არ იყო სცენაზე, მისი თამაში სრულიად არ შეეფერებოდა ლაერტის ხასიათს.

მოხევეს (ყაზბეგის სასცენო ფსევდონიმია. — ა. ფ.) არც შესაფერი მიხვრა-მოხვრა აქვს, არც ხმა, არც სახის გამომეტყველება. ის სრულიად ვერ გრძნობს, რასაც თამაშობს, დრამატიული ადგილები ისე გაატარა, თითქოს ძილს ეპირებოდაო" [1]).

ასეთ პირობებში ჰამლეტის როლში 1883 წლის 25 თებერვალს გამოსულ მესხიშვილს რეცენზენტი ნ. ნანეიშვილი ასე ახასიათებს:

„ჰამლეტის როლში გამოსული ბ-ნი ალექსეევ-მესხიევი გამოსვლისთანავე არწმუნებს ადამიანს, რომ მას აქვს საქმე უეჭველად ნიჭიერ აქტიორთან, რომლის ხმა, მოხდენილი მიხვრა-მოხვრა და სხვა სცენიური თვისებანი მიიზიდავენ საზოგადოების ყურადღებას. ეს აქტიორი სავსეა ეფექტებით და ეს გარეგნობა მოითხოვს მისგან დიდს ყურადღებას და მეცადინეობას თამაშის დროს... ბ. ა. მესხიევს ეტყობოდა მეცადინეობა არ დაეკლო თავის როლის შესასრულებლად და შეძლებისდაგვარად სინდისიერად მოექცა თავის მოვალეობას, ზოგიერთა სცენები მშვენივრად შეასრულა, მაგალითად, სცენა ოფელიასთან, ქმარს ნუ გაჰყვები და მონასტერში წადიო... საზოგადოდ არ უნდა დაივიწყოს ბ-ნმა მესხიევმა, რომ ჰამლეტის როლი ერთობ ძნელი შესასრულებელია თვით დახელოვნებულ და სახელგანთქმულ მოთამაშისათვის..[2])

ეს შენიშვნა სავსებით სწორია. ისიც სწორია, რომ იმ დროისთვის მესხიშვილი არ იყო იმდენად დახელოვნებული, რომ ჰამლეტს ჯეროვანად მორეოდა. შემდეგში, თავისი არტისტული სიმწიფის პერიოდში, მესხიშვილი სავსებით დაეუფლა ამ როლს, მან შექმნა ერთი საინტერესო სახეთაგანი დანიის პრინცისა. მაგრამ ჯერ-ჯერობით მივყვეთ კვალ-და-კვალ მესხიშვილის არტისტულ და საზოგადოებრივ ზრდას.

მხოლოდ ის ფაქტი, რომ ნაციონალურ-ისტორიულ რეპერტუარში მესხიშვილის წყალობით შეიჭრა მსოფლიო დრამატურგიის ესოდენ დიდი ნაწარმოები, როგორიც იყო და დღესაც არის „ჰამლეტი", უეჭველად დიდი დამსახურებაა.

ქართული თეატრის დაქვეითება.

მოსალოდნელი იყო, რომ ქართული თეატრი და მასთან მისი მსახიობნიც, კერძოდ, მესხიშვილი აღმავლობის ხაზს გაჰყვებოდნენ. მაგრამ ასე არ მომხდარა. მარტოოდენ საზოგადოებრივ ქველმოქმედებას დაყრდნობილი თეატრი დიდის მერყეობით და ქანაობით მიცურავს ცხოვრების ტალღებში, რომელნიც ხან ზევით აისვრიან მას, ხან კიდევ ძირს დაანარცხებენ. ამგვარად, თუ 1879 — 1883 წლები მუდმივი დასის ორგანიზაციის და მისი თანდათანი აღმავლობის პერიოდი იყო, 1884—1888 წლები დაქვეითებისა და დაკნინების პერიოდია.

რა უშლის ხელს საქმის წარმატებას? პასუხი იმ დროინდელ დოკუმენტებში უნდა ვეძიოთ. აი, რას სწერდა ჩვენი სცენის მესვეური ვალ. გუნია:

---

[1]) 1882 წლის „დროება", № 24.

[2]) 1883 წლის „დროება", № 47.

„ერთის მხრით, ხალხის გულგრილობა, ზოგთა მკვახე სიტყვები, ზოგიერთთა მიმართ, მეორეს მხრით, თვით თეატრის შინაურ საქმეთა აწეწილობა, ბოლოდ შემოფარგლულ სურვილთა და შეხედულებათა უქონლობა, ჩხუბი და მუდმივი ჩივილი უსამართლო ქცევაზე, მძახლობა და ნათლიმამობა და სხვა-მრავალი-ეწესობა, სიკერპეზე, ეინზე და ხშირად პიროვნულ, შეულაგმელ „მინდა“-„არ მინდა“-ზე აშენებული გულისთქმა, რა თქმა უნდა, ერთად ვერ თავსდებოდნენ და საქმეს აფუჭებდნენ. მაგგვარ ჩივილს გაიგებდით ყოველთვის, ყველასაგან და ყოველის მხრით: საზოგადოებაში, მწერლობაში და თვით თეატრის ოთხ კედელს შუა მოთამაშეთა შორის; იმავე დროს გამგებელნი თუ მოთამაშენი, ყველანი თავს იმართლებენ, დანაშაულობას, საქმის არ ცოდნას, ჭირვეულობას ერთი მეორეს აბრალებს და მეორე კიდევ მესამეს და ასე დაუბოლოვებლად. ამას ზედ მიუმატეთ ისიც, რომ ჩვენ არც სამყოფი რეპერტუარი გვაქვს, არც სკოლები, ან მაგგვარი დაწესებულებანი, სადაც ნიჭი იშლება, სადაც მოთამაშეთა ხელოვნება იზრდება, ხასიათი და გონება იწვრთნება; არც ის სიბეჯითე გვაქვს, რომელიც ცხოვრებაში და განსაკუთრებით საზოგადო საქმეში ერთ უმთავრეს მომქმედ ძალას შეადგენს; არც იმდენი შეძლება და თავისუფალი ფული გვაქვს, ურომლისოდაც არც ერთს საქმეს წელში გამართვა არ შეუძლიან; არც იმდენი მაყურებლები გვყავს, რომლების სიმრავლეს თეატრისათვის ცხოვრების სახსარის აღმოჩენა შეეძლოს; არც ისეთი შემძლებელი მოთამაშენი გვყავს, რომელთაც უსასყიდლოთ შეეძლოთ საქმობა — პირიქით, ყველა ისრე ღარიბნი არიან, რომ დღიურ საზრდოს შენატრიან და კიდევ სხვა მრავალი ნაკლი მოგვეპოვება“. [1])

მაგრამ განა ჩამოთვილილი მიზეზები არა კმარა, რომ მდგომარეობა სავალალოდ იქნას მიჩნეული? მართლაც, ამ წლების განმავლობაში ვერ ხეიროობს ვერც ვ. აბაშიძისა და კოტე მესხის ანტრეპრიზა, ვერც აკაკისა, ჩვენი სასიქადულო მგოსნისა, რომელმაც შუა სეზონამდე ძლივს მიაღწია. საქმეს ვერ უშველა კერძოდ ვასო აბაშიძის მიერ ხელმეორედ საქმის ხელთ აღებამ, მით უმეტეს ვერც ალ. ნებიერეძის (არა თეატრალის) ანტრეპრენიორობამ და ვერც მალალნიჭიერი მსახიობის მარიამ საფროვის ხელმძღვანელობამ. ჩვენი თეატრის ერთ-ერთი ბურჯის ვალერიან გუნიას გოდება რომ საფუძვლიანია, ამას სხვებიც ადასტურებენ. 1884 და 1885 წლების პრესა განგაშებს: თეატრი გველუპება, იქ „ცოტაც არის გონება გახსნილ კაცს არ შეესვლება [2])“, ჩვენი თეატრი „ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა და კაცი არა სჩანს, რომ მასზე იზრუნოს“-ო. გაჰკივის იგივე „დროება“. წარმოიდგინეთ, თურმე ხელმძღვანელი ორგანო — დრამატიული საზოგადოების გამგეობა სადღაც გამქრალა. „სად არის დრამატიული საზოგადოება? ვის აბარია მისი ავლა-დიდება“? კითხულობს იგივე „დროება“ და დაასკვნის—„ქართულმა თეატრმა ან უნდა უწინდელი სახელი და პატივისცემა აღიდგინოს საზოგადოებაში, ან არა და მთლად ჩაიშალოსო“ [3]).

ვასო აბაშიძის ჟურნალი „თეატრი“ სწერდა:

---

[1]) ვ. გუნია: „ქართული თეატრი 1879 — 1889“, ტფილისი, 1889 წლ. გამოცემა, გვ. 34 — 35.

[2]) 1884 წლის „დროება“, № 20.

[3]) იქვე.

„ამ შემთხვევაში (საუბარია მოჩხუბარიძის მიერ გადმოკეთებულ დრამა-კომედიის „ცხოვრების თანამოგზაურის“ შესრულებაზე. — ა. ფ.) არ შეგვიძლიან მსახიობნი გავამტყუნოთ, რადგანაც ცარიელს თეატრში მხოლოდ სკამებს ელაპარაკებიან. რაღა გულით უნდა ითამაშონ, ან კიდევ ვისთვის, როდესაც თეატრში სამნახევარი კაცი ზის და იმათაც მისძინებიათ. ჩვენი საზოგადოება გვაკვირვებს და მით უფრო ინტელიგენცია, რომელმაც სრულიად დაივიწყა ქართული თეატრი. სად არიან? რას აკეთებენ?“ — კითხულობს წერილის ავტორი და თვითონვე უპასუხებს: — „ჩვენა გვგონია, რომ თავიანთ კაბინეთებში ქალალდს თამაშობენ და ან არტალაზედ და ხაშზედ სჯიან, თუ რომელი უფრო სასარგებლოა იმათი ნაზი კუჭისათვის. ხუმრობა ხომ არ არის, რომ კუჭები გაუნაწყენდეთ, მერე ამ ცივ ზამთარში“, — დაასკვნის გულმოკლული ი. კავთელი.[1]) „წარსულ სეზონში (იგულისხმება 1884/85 წლის სეზონი. — ა. ფ.) რომ თეატრი ნამდვილ გზაზე მდგარიყო, ჩვენი სათეატრო რეპერტუარი ორი-სამი რიგიანი პიესით მაინც გამდიდრდებოდა. თუ ახალი პიესები არსად იყო და რაც იყო, ყოვლად უმნიშვნელო, ეს ახალი საბუთი იქნება იმისი, რომ თეატრის გამგებელს არ ესმოდა ეს საქმე, რომლისთვისაც ხელი მოეკიდნა და ვერ ხედავდა საზოგადოებაში ხალისს ახალი პიესების წერისას თუ გადმოთარგმნისას“. [2])

მართლაც, ამ წლების რეპერტუარი მეტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს... „ბაიყუში“, „ცხოვრების თანამოგზაური“, „ეხლანდელი სიყვარული“, „ბაგრატ IV“, „სადავო მფლობელობა“, „ბაქი-ბუქი“, „დროებითი სიყვარული“, „საძაგელი“; ვოდევილები: „სუსტი მხარე“, „ცელქი“, „გულმა იგრძნო“, „ერიდეთ ცეცხლს“, რომლის შესახებაც ჟურნალ „თეატრის“ რეცენზენტი დავით სოსლანი სწერს: „ამისთანა პიესები რომ არ იდგმებოდეს, უკეთესი იქნებაო“ [3]). მართალია, აქა-იქ რიგიანი პიესებიც ურევია, მაგალითად: სუნდუკიანცის „პეპო“, აკაკის „თამარ ცბიერი“ (უფრო დრამატიული პოემა, ვიდრე დრამა), მისივე „კინტო“, რომლის გაჩენას მაშინდელი საზოგადოების მეტად დაბალი გემოვნებით ხსნის რეცენზენტი [4]), თ. ჩიკონის პიესიდან რუსულად ოსტროვსკის მიერ გადაკეთებული, ხოლო ქართულად ალ. ჯაბადრის მიერ ნათარგმნი „გზა დაკარგულნი ცხოვარნი“, ანტ. ფურცელაძის მიერ ძალზე ცუდად ნათარგმნი „ჰამლეტი“ შექსპირისა, ჯოიკომეტის „დამნაშავის ოჯახი“, ივ. ჯაჯანაშვილის (ი. კავთელის) მიერ ნათარგმნი, მაგრამ უმრავლესობას ზემოხსენებული გადმოკეთებული და ნათარგმნი პიესები შეადგენდნენ, რომელთა მხატვრული ღირებულება მეტად დაბალი ხარისხისა იყო.

თვით ვასო აბაშიძის ხსენებული ჟურნალი „თეატრი“ ასე ახასიათებს ამ მდგომარეობას:

„პიესების შესახებ კი. მმართებს რომ ვთქვა ცოტა რამა:
რეპერტუარს გარევია ფლავ-ბოზბაში და ხაშლამა;

---

[1]) 1885 წლის „თეატრი“, № 17.
[2]) 1886 წლის „დროება“, № 45.
[3]) 1886 წლის „თეატრი“, № 12.
[4]) 1885 წლის „თეატრი“, № 12.

თეატრს უნდა ყველა საღი, ადამიანს ვით სმა-ჭამა,
კომედია, ტრაგედია, ვოდევილი და თვით დრამა“ [1].

ამ რეპერტუარში მესხიშვილიც იღებს მონაწილეობას, „ბაიყუშში“ იგი ახალგაზრდა ქარაფშუტა კოტე კაჭეჭაშვილს თამაშობს, „ახლანდელ სიყვარულში“ — ახირებულიძეს, „საძაგელში“ — ვინმე ლევანს. მაგრამ მთელი ეს რეპერტუარი, სამწუხაროდ, როგორც ვთქვით, მეტად მდარე ღირებულებისაა როგორც სასცენო, ისე სალიტერატურო თვალსაზრისით. გამონაკლისს შეადგენენ: „თამარ ცბიერი“, „პეპო“, „ჰამლეტი“ და „დამნაშავის ოჯახი“. ლადო ისევ ძველი როლებით ახერხებს თავის არტისტული მეობის ზრდას და გამჟღავნებას.

მესხიშვილის მეორედ გამოსვლა ჰამლეტში.

1885 წლის 29 დეკემბერს იგი მეორედ გამოდის ჰამლეტის როლში. ჟურნალი „თეატრის“ თანამშრომელი, ზემოხსენებული ი. კავთელი შემდეგ შეფასებას აძლევს ამ გამოსვლას.

„ჩვენი აზრით, დიდი ტვირთი და გამბედაობაა ქართველი მსახიობისათვის ვილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ თამაშობა, მაგრამ 29 დეკემბრის რიცხვმა დაგვარწმუნა აზრში, რომ ქართულ დასში მოიპოვებიან იმისთანა პირნი, რომლებსაც შეუძლიან სთქვან, რომ ჩვენ ბუნებითი ნიჭით დაჯილდოვებული ვართ, მაგრამ საზოგადოება კი არ აფასებს და მხოლოდ სიყვარულით მაშინ მოგვიგონებენ, როდესაც ბედაურების მაგიერ ვირებს დარჩებათ მოედანიო.

რადგანაც ჰამლეტი არის გმირი ამ ტრაგედიისა, ამიტომ იმის გარჩევას შეუდგეთ, თუ ბ. ალექსეევ-მესხიევს რამოდენად შეუგნია ეს ტიპი.

არ შეგვიძლიან უყურადღებოთ გავუშვათ ის ადგილი, სადაც აჩრდილი ეცხადება ჰამლეტს და თავის სიკვდილზე და ჯოჯოხეთზე უამბობს. ეს ადგილი მეტად ხელოვნურად იყო დახატული ბ. ალექსეევ-მესხიევისაგან, რომლის გულიდანაც გამოისმოდა მწუხარება, შიში და ხარბის თვალით მუხლის თავზედ დაჩოქილი აჩრდილს მისჩერებოდა და იმისგან მოელოდა უკანასკნელს გარდაწყვეტილებას, რომ მთელი ქვეყანა შეერყია თავის მძლავრის მოქმედებითა და ცდილობდა დარწმუნებულიყო ამ უცნაურს მოჩვენებაზე. აგრეთვე შესანიშნავი იყო ის ადგილი, როდესაც აჩრდილი მიეფარება და ჰამლეტი მარტო რჩება. აქ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა დაიჩოქა და ჭკუაზედ შეშლილის სახით წარმოსთქვა: „სად არის ჩემი მოსაგონებელი წიგნი?“ ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოსთქვა, რომ უფრო შეშლილის ბეჭედი დაესო, ვიდრე გონება შეურყეველი კაცისა.

მეორე მოქმედებაში აგრეთვე შესანიშნავ მოქმედებათაგან უნდა ჩავთვალოთ ის ადგილი, როდესაც ჰამლეტი წიგნს კითხულობს ჩაფიქრებული და პოლონი მიდის და კითხავს: „რასა კითხულობთ, პრინც?“ ჰამლეტი უპასუხებს: „სიტყვებს, სიტყვებს“. აქ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევი ცალგვერდზე დაყრდნობილი სავარძელზე პოლონიისაკენ გაიცქირებოდა, რომლის სულის სიღრმეებიდან ცდილობდა ამოეკითხა ყოველივე წინააღმდეგი განზრახვანი; ამას აჯდა იჭვნეულობის ბეჭედი, ირონია, მძულვარება და ყოველივე ამას მხიარულობის სამოსელით ფარავდა და სცდილობდა არ ეჩვენებინა ის მღელვარებანი, რომელნიც იმის არსებობას სწამლავდენ...

[1]) 1886 წლის „თეატრი“, № 3.

აგრეთვე შესანიშნავი იყო ის ადგილი მეორე მოქმედების დასასრულში, როდესაც ჰამლეტი მარტო რჩება სცენაზე და რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებს მონოლოგს: „რა მდაბალი ქმნილება ვარ“ და სხვა. ეს მონოლოგი წარმოადგენს გულის გოდებას, სულის კვნესას, თავის თავის მტყუნებას, რომელიც ხან დასცინის თავს და ხან მკაცრად სჯის, რომელიც მზაკვარების ფარდას ეფენა პირველად და ისე გამოდის ცხოვრების ასპარეზზედ. აი, როდესაც ის საზიზღარი პირნი თავს ანებებენ, მაშინ იმის გულიდან საშინელი შხამიანი გრძნობა ინთხევა, რომელიც თავის თავს დასცინის და მძულვარებით უყურებს. აქ. ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევის მდიდარმა მელოდიურმა ხმამ და ნამდვილმა გრძნობამ ნათლად დაგვიხატა ჰამლეტის ზე მოყვანილი სულის შინაგანი მდგომარეობანი. თუ არ ეს მონოლოგი, მეორე მოქმედება უხეიროდ ჩაივლიდა, მაგრამ აქ ბ. მესხიევმა პირველი შთაბეჭდილება სრულიად დაგვაკარგვინა და უკანასკნელის ძალით სრულიად დაგვაკმაყოფილა.

აქ არ შეგვიძლიან არ შევამჩნიოთ ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევს ერთი გარემოება, როდესაც გილდენშტერნს და როზენკრანცს ელაპარაკება. იმას ვერ შეეგნო ის გარემოება, რომ აქ ჰამლეტი იმათ ირონიულად დასცინის, იმავე დროს საზიზღარის სახით უცქერის და ამით გულიდან ყოველივე მდაბალს განზრახვებს იგებს, რომელიც დიდის ხნობით თვალებში ჩასცქერის; ბოლოს გვერდზედ ბრუნდება და რამოდენიმე შხამით შეფერილს სიტყვებს ეუბნება. აქ არც ერთი გარემოებანი არ იყვნენ დაცულნი და არც არას ხატავდა იმის სულის მოძრაობა.

მესამე მოქმედებაში ჰამლეტი გამოდის შესანიშნავი მონოლოგით „სიკვდილი თუ სიცოცხლე“ (ეს არის ცნობილი მონოლოგი „ყოფნა არ ყოფნა“ ივ. მაჩაბლის თარგმანით, მაგრამ რადგან მაჩაბლის თარგმანი მხოლოდ 1886 წელს დაიბეჭდა,[1]) მანამდე ანტ. ფურცელაძის თარგმანით თამაშობდნენ „ჰამლეტს“. როგორც აქ, ისე შემდეგში ციტატები ივ. მაჩაბლის თარგმანიდან არის ამოღებული. — ა. ფ.). ამ მონოლოგში გამოხატულია მთელი შინაგანი სულის მდგომარეობა და იგი სჯის ორს დიდ საგანზე — სიკვდილ-სიცოცხლეზე, რომელიც თავის თავს ებრძოლება. ამ მონოლოგს მოუთმენლად მოველოდით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერაფერი შთაბეჭდილება იქონია, რადგანაც ბ. მსახიობის ხმა სრულებით არ ისმოდა რას ამბობდა და მით უფრო იკარგებოდა ილლუზია, რომ რაღაცა უცნაურს სხეულის მოძრაობას აკეთებდა, რომლის გამოცნობა ჩვენ ვერ შევიძლეთ — რისთვის და რათა? მხოლოდ რაიცა ოფელიასთან ლაპარაკს შეეხება, აქ გულახსნით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ სრულიად ხელოვნურად შეასრულა თავის დანიშნულებანი. მით უფრო შესანიშნავი იყო ის ადგილი, როდესაც ესალმება. ბ. ალექსეევ-მესხიევს ემჩნეოდა გამოუთქმელი მღელვარება, რომელიც თავის თავს სასტიკად ემუქრებოდა, რომ იმოდენა გამბედაობა არ ქონდა, რამდენიც საჭირო იყო იმ მდგომარეობისათვის; აგრეთვე ემჩნეოდა ძლიერი სიყვარული, მაგრამ იგი იძულებული იყო განშორებულიყო ამ ნეტარს ქმნილებას, რომელიც იმის მეორე სიცოცხლეს შეადგენს. როდესაც იგი გადიოდა, იმას ემჩნეოდა, რომ სულს ოფელიასთან სტოვებდა, მხოლოდ უძლური ხორცი-ღა შორდებოდა ამ ნაზ ქმნილებას. აქ უნდა შევამჩნიოთ ბ. ალექსეევ-მესხიევს ერთი გარემოება: როდესაც წარმოდგენას უცქერიან, იმას არ ეტყობოდა ის საზარელი საიდუმლოებანი, რომლითაც ჰამლეტის გულია ავსილი; თუმცა აქ. ბ. მსახიობი ბევრსა ცდილობდა, მაგრამ სრულებითაც ვერ დაუახლოვდა იმ სულის მღელვარებას, როგორიც კი შეჰფერის ამ ადგილს. მაგრამ რაიცა შეეხება იმ ადგილს, როდესაც მეფე გარბის და ჰამლეტი მარტო რჩება, ისეთის ისტერიკულის ხმით გაიხარხარა, რომ აქ თვითონ მაცქერალთაც კი რაღაცა სიხარული იგრძნეს და გულიდან რაღაცა ტვირთი მოიხსნეს, რომელიც ჰამლეტის სულსა სჭვალავდა. სწორედ რომ ეს უკანასკნელი წუთი რიგიანად იყო დახატული ბ. მსახიობისაგან. უფრო შესანიშნავად და ხელოვნურად წარმოსთქვა ის მონოლოგი, როდესაც მეფეს დაჩოქილსა

[1]) 1886 წლის „თეატრი“, № 36 და მომდევნონი.

ხედავს და სიკვდილს უპირებს, მაგრამ ამ სიკვდილს იმისთვის ნეტარებაა, სთვლის და ისევ უკან მიდის. იმის სახეზედ ნათლად იხატებოდა ის სულის მდგომარეობა, რომლითაც ჰამლეტია ამ წუთში აღჭურვილი.

როდესაც ჰამლეტი თავის დედას ელაპარაკება და სულიდ სტანჯავს, აწამებს, ეს ადგილი ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა ისე მშვენივრად და ხელოვნურად დახატა, რომ არც ერთი ზევით აღწერილი შენიშვნა არ შეედარება. სრული თეატრალური ნიჭი გამოიჩინა და მისმა თამაშობამ მაცქერალნი სრულს აღტაცებაში მოიყვანა. იმის უეცარი ხმის გამოცვლა, საშინელი მღელვარება, შობლიური სიყვარული, შურისძიება, — ეს ყოველივე სხვადასხვაფერად შეხამებული გრძნობანი მეტად თავის დროზედ იყვნენ გამოხატულნი და ყოველივე სიტყვას თავის შესაფერი გრძნობის ბეჭედი ესმებოდა, რომელსაც იმის პირის სახე სარკესავით გვიჩვენებდა იმის სულის წყობილებაებს. ერთი სიტყვით, დისჰარმონია უეცრივ იცვლებოდა ჰარმონიად და იმის შთამბეჭდელი მელოდიური ხმა სრულს მშვენიერს ესთეტიკურ გრძნობას უღვიძებდა მაცქერალთ. კიდევ ერთი უკანასკნელი გარემოებაც უნდა მოვაგონოთ მკითხველებს და მაცქერალთ. როდესაც ჰამლეტი მეფეს საწამლავს ასმევს და ჰკლავს, მხოლოდ აქ იკრეფავს სრულს ძალღონეს, რომელსაც ამ უკანასკნელს შემთხვევამდის არ იჩენდა: აი აქ. ბ. ვ. ალექსეევ-მესხიევმა ჰეშმარიტად და რეალურად დახატა ის მაღალსულოვანი კაცობრიული მღელვარება, რომელსაც მოთმინების ჯაჭვი უწყდება და თავს ამსხვერპლებს.

საერთოდ რომ ვსთქვათ, ბ. მესხიევმა დაახლოვებით მიაღწია ჰამლეტის ხასიათსფარდა ჩამოეშო, ჰამლეტი მოკვდა. თეატრიდან გამოსვლის შემდეგ ჩვენ ჰამლეტის სახესა ვხედავთ, მხოლოდ შორს, ჯანყში და ბურუსში გარემოცულს. მხოლოდ ნათლად და ცოცხლად კი არ შეგვიძლიან შევამჩნიოთ, ყოველივე სულის თვისებანი გავარჩიოთ". [1])

ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ მთლიანად კავთელის ეს ცელი წერილის ის ადგილი, რომელიც მესხიშვილს ეხება. ეს წერილი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ეგი მაჩვენებელია მაშინდელი თეატრალური კრიტიკის მდგომარეობისაც, მაგრამ რადგან ეს საკითხი არ შეადგენს ამ წიგნის საგანს, წერილის ამ მხარეს ვერ გამოვუდგებით. ამ წერილით ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ მესხიშვილის შემოქმედების განვითარების აღსანიშნავად და განსახილველად. პირველად მესხიშვილი ჰამლეტის როლში, როგორც ავღნიშნეთ, 1883 წელს 25 თებერვალს გამოვიდა. კავთელის წერილი 1885 წლის 29 დეკემბრის გამოსვლას ეკუთვნის. მანძილი თითქმის 2 წელიწადს უდრის. არ ვიცით, ამდენი ხნის განმავლობაში, რამდენჯერ ითამაშა მესხიშვილმა ჰამლეტის როლი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დროის წესებს, 5 — 6 თვიან სეზონს, როდესაც ერთი და ეგივე პიესა მხოლოდ ერთხელ მიდიოდა, იშვიათად ორჯერ, რადგან მეტი აუდიტორია მაშინდელ თეატრს არა ჰყავდა, უნდა დავასკვნათ, რომ მესხიშვილს შეიძლება ორჯერ-სამჯერ თუ ეთამაშოს ეს როლი ამდენი ხნის განმავლობაში. ამავე დროს თუ შევადარებთ პირველი (1883 წლის) გამოსვლას მეორე (1885 წლის) გამოსვლასთან, დავინახავთ, რომ მსახიობს მეტად დიდი წარმატებისათვის მიუღწევია. თუ პირველ შემთხვევაში მხოლოდ „ნიჭიერ მსახიობს" ხედავდენ, რომელსაც მეცადინეობა არ დაუკლია თავისი რო-

[1]) 1886 წლის 12 იანვრის „თეატრი", № 2: „ჰამლეტი ქართულ სცენაზე" — ი. კავთელისა.

ლის შესასრულებლად და კეთილსინდისიერად მოჰქცევია თავის მოვალეობას, ზოგიერთი სცენა მშვენივრად შეუსრულებია, „მაგრამ საზოგადოთ არ უნდა დაივიწყოს ბ. მესხიევმა, რომ ჰამლეტის როლი ერთობ ძნელი შესასრულებელია თვით დახელოვნებული და სახელგანთქმული მოთამაშისათვის“, [1]) მეორე შემთხვევაში მესხიშვილი ჰქმნის ჰამლეტის მეტად საინტერესო და ღირსშესანიშნავ სახეს. ყველა საპასუხისმგებლო ადგილი, მცირეოდენის გამონაკლისით, მესხიშვილს ვირტუოზულად აქვს დამუშავებული და აუდიტორიის აღტაცებას იწვევს.. აჩრდილთან სცენა, პოლონიუსთან შეხვედრა, სცენა ოფელიასთან, სცენა სცენაზე, დედის გაკიცხვა, მლოცველი მეფის წასწრება, მოწამვლის სცენა, — აი ის მწვერვალები, რომელთაც საკმაოდ დაკვირვებული რეცენზენტი აღნიშნავს. ამ წარმოდგენაში მესხიშვილს უწუნებენ როზენკრანცთან და გილენშტერნთან სცენას და „ყოფნა არ ყოფნას“. პირველ შემთხვევაში რეცენზენტი ტყუილუბრალოდ ახვევს მესხიშვილს საკუთარ ინტერპრეტაციას. ეს ადგილი, პირიქით, კრიტიკოსის სისუსტეს ამჟღავნებს და მსახიობის სიმართლეზე ლაპარაკობს, რადგან მესხიშვილს რომ კავთელის რჩევა შეესრულებინა, იგი თავის თავს, ე. ი. ჰამლეტს გასცემდა: ჰამლეტმა იცის, რომ როზენკრანცი და გილდენშტერნი მეფის ჯაშუშები არიან და თავდაპირველად თავს ისე აჩვენებს, თითქოს მან ეს ამბავი არ იცოდეს. „ყოფნა არ ყოფნის“ შესახებ უნდა ითქვას, რომ აქაც ინტერპრეტაციის სხვადასხვაობა უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ რეცენზენტი არ არის კმაყოფილი. მესხიშვილს ეს ადგილი განსაკუთრებული ინტიმობით ჩაუტარებია და ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან აქ ჰამლეტის წინაშე დგება სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი, ყოფნა არ ყოფნის პრობლემა და აქედან გამომდინარე საკითხები. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმდროინდელი თეატრი უფრო გართობისა და სანახაობის, ვიდრე გრძნობა-აზროვნების თეატრი იყო, ჩვენთვის კავთელის საყვედური გასაგები უნდა გახდეს; გაუგებარი რჩება მხოლოდ ის, თუ რატომ არ ისმოდა ისეთი მშვენიერი, წკრიალა ხმა, როგორიც მესხიშვილსა ჰქონდა იმ ხანებში. აქ თეატრის აკუსტიკური მხარე თუ იყო დამნაშავე ან თვით მსახიობის სასცენო ტექნიკა, რომელსაც იგი 3 — 4 წლის განმავლობაში, ალბათ, სავსებით ვერ დაეუფლა.

ყველაზე უფრო საყურადღებო შენიშვნა კავთელისა წერილის ბოლოშია მოქცეული. თეატრიდან წასულს სრული სიცხადით და მთელი სისავსით ვერ წარმოუდგენია ჰამლეტის სახე. მას შემდეგ, რაც იმავე ავტორმა ამდენი წარმატებანი აღნიშნა, განა დასაჯერებელია, მესხიშვილის ჰამლეტი იმდენად მკრთალი ყოფილიყო, რომ ასეთ დაკვირვებულ მაყურებელს, როგორიც კავთელი სჩანს, არა დამახსოვრებოდეს-რა. არა, აქ სიმკრთალესთან არა გვაქვს საქმე. მესხიშვილის დიდი წარმატება და ბრწყინვალე გაბარჯვება უდაოა, მაგრამ კავთელიც მართალია. როგორ? მესხიშვილს

[1]) 1883 წლის „დროება“, № 47.

ჯერ კიდევ სავსებით არა აქვს დაძლეული ჰამლეტის სახე. მიუხედავად მრავალი თვალწარმტაცი ადგილებისა, მაშინდელი ჰამლეტის წარმოდგენა მაინც „შექსპირის ელვის სინათლეზე კითხვას“ წარმოადგენს, ვიდრე მხატვრული სრულყოფით თავისებურ და ამომწურავ სინათლეთ ჩამოყალიბებულ მსოფლიო ტიპის სახეს. ეს შენიშვნა სრულუფლებით არ ამცირებს მესხიშვილის ნიჭს, მოღვაწეობასა და ღვაწლს, რადგან მისი გაპროფესიონალების მეხუთე წლისათვის ესეც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ერთი წლის შემდეგ იგი უფრო დახელოვნებულ ოსტატად წარმოგვიდგება.

მესხიშვილის წარმატების გარკვეული ეტაპის აღსანიშნავად მოვიყვანთ მეორე ღისშესნიშნავ დოკუმენტს, რომელიც მისი არტისტული დავაჟკაცების საბუთს წარმოადგენს. ეს დოკუმენტი ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის:

„... ქმრის როლს (საუბარია პიესა „შეშლილის“ შესახებ. — ა. ფ.) თამაშობდა ბ-ნი მესხიევი. პირველ ორ მოქმედებაში უნაკლო იყო მისი თამაში. ყოველისფერი, მიხვრა-მოხვრა, ხმა, ლაპარაკი, სიტყვის გამოთქმა და ქართული კილოც კი, რომელიც წინად ხშირად უმტყუნებდა ხოლმე ამ ნიჭიერსა და ჭკუით სავსე არტისტს, ეხლა ყოველივე ეს ბედნიერად შეუერთდა ერთმანეთს, რომ სავსებით და მთელი ზედმოქმედება ეჭონიათ მსმენელზე. მის თამაშით გატაცებულმა საზოგადოებამ არა ერთხელ და ორჯერ გამოიწვია არტისტი ტაშის ცემით და ბრავას ძახილითა. ჩვენ განსაკუთრებით გაგვაოცა არტისტმა პირველ მოქმედებაში. ავტორი ერთი სიტყვითაც არ ამჟღავნებს მსმენელთა წინაშე, რომ ქმარია შეშლილი. პირიქით, თითქო ყველა ღონისძიებას ხმარობსო, რომ აცდინოს მაყურებელი და ქმრის სიტყვით შეშლილად ცოლი აგულიხმოს მსმენელსა.

ბ-ნმა მესხიევმა, ამ ჭკვიანმა და ნიჭიერმა არტისტმა, აქ სწორედ მთელი დრამა შექმნა და ამით ძლიერ შეძრა მაყურებელთა გული, როცა იგი უამბობს ექიმს თავის შეშლილობას. აკი მოგახსენეთ, არც სიტყვით, არც რაიმე ნიშნით ავტორი ნებას არ აძლევს არტისტს თავისი ჭკუიდამ შეშლილობა გამოამჟღავნოს. მთხრობელის შეშლილობას იმოდენად მალავს ჯერ კიდევ ავტორი, რომ თვით გამოცდილ ექიმსაც კი გუმანი ვერ მიეტანა, რომ მართალს შეშლილს უგდებს ყურსა და მართალს შეშლილს ელაპარაკება. ჩვენის ფიქრით, არტისტული, ჭეშმარიტად არტისტული თამაშობა კი თხოულობს ამ სცენაში ქმარმა ეჭვი შეაპაროს მაყურებელს და გულში ათქმევინოს: რა ვქნა, თვითონ ეს ხომ არ არის ჭკუიდან შეშლილი. ეს ეჭვი ბოლოს გამართლდება თუ გამტყუნდება, სულ ერთია, ხოლო ეგ ეჭვი ატყუილებს მაყურებლის გულსა და გონებას და ინტერესს უჩენს, რომ თვალგაფაციცებით და გულისლევით თვალი და გონება ადევნოს მოქმედებასა და თვით პიესასა.

ასეც მოახდინა ბ-ნმა მესხიევმა და მოახდინა საოცარის ხელოვნებითა. ეს მეტისმეტად ძნელია, ნამეტანად, თუ გავიხსენებთ, რომ ავტორმა არავითარი ხორცელი ღონისძიება არ მისცა და განგებაც არ მისცა, რომ ეს ენიშნებინა მაყურებლისათვის. ჩვენ ვამბობთ, განგებ არ მისცაო, იმიტომ კი არა, რომ ეგ ავტორს ფიქრად არა ჰქონია. პირიქით, ხელოვანი ავტორი თავის დღეში შემთხვევას არ დაჰკარგავს, რომ ამისთანა გულის დამტყვევებელი და წამღებელი საგანი, ამისთანა საყურადღებო სულის მოძრაობა და ხალისი არ უჩვენოს მაყურებელსა. კვანძი მელოდრამისა აქ უნდა შეიკრას ავტორის აზრით და ეს სრულიად მიანდო მან არტისტის ნიჭს, არტისტის ჭკუას, არტისტის მიხვედრილობას და გამოცდილებასა და თვითონ ავტორი კი მიდგა უკან. მით უფრო ღრმად აღსაბეჭდია ადამიანის გულზე იგი სულის მოძრაობა, რომელიც არც სიტყვით, არც მოქმედებით განგებ არა თქმულა და უნდა კი ითქვას იმოდენად, რამოდენადაც შესაძლოა კაცმა უთქმელი საგულებე-

ლად გახადოს მაყურებლისათვის. ეს შეუძლიან მარტო ჭკვიანს, გონება-გახსნილს და ღრმად გამკითხავს არტისტს, და სწორედ ამისთანა არტისტად გვეჩვენა ჩვენ ბ-ნი მესხიევი კვირა დღეს იმ სცენაში, როცა ექიმს ჭკვიანად უამბობს თავის ცოლის ჭკუიდან შეშლილობას მაშინ, როდესაც თვითონ არის შეშლილი და ავტორი კი მაჭლამს, თითქო არტისტს ეუბნებოდეს, შენ იცი და შენმა ბიჭმა, მე თქმაც მინდა და არა თქმაცაო, და ეს, თუ არტისტი ხარ, შენ მოახერხეო. გულწრფელად ვიტყვით, რომ ბ-ნმა მესხიევმა ეს მოახერხა. არა ერთი და ორი მაყურებელი ლაპარაკობდა ამ სცენის შემდეგ, აი, ვნახოთ, თუ თვითონ ქმარი არ გამოდგეს ჭკუიდან შეშლილიო, და ისეთი კილოთი ამბობდა ამასა, რომ თავისივე სიტყვა სჯეროდა კიდეცა და არცა სჯეროდა.

ჩვენ დიდხანს შევჩერდით ამ ერთ სცენაზედ იმიტომ კი არა, რომ სხვა სცენები არა ჰქონდა კარგი და საყურადღებო ბ-ნ მესხიევს. აკი ვსთქვით, ორი პირველი სცენა კარგად ჩაატარაო, ყოვლად უნაკლულოდაო. ხოლო ეს სცენა, ჩვენის ფიქრით, ერთი იმისთანა სცენაა, რომელსაც მარტო ნიჭი და ცოდნა არტისტისა შესწვდება ხოლმე და სხვა ყოველივე იმისათვის უღონოა; ბურთი და მოედანი არტისტისა მაგისთანა სცენებია ხოლმე და ამიტომაც ასე გრძლად მოგვვიდა მაგ სცენის თამაშაზე". [1])

1887 წლის 28 იანვარს პირველად უთამაშნიათ ტფილისში აკაკის „თ ა მ ა რ ც ბ ი ე რ ი" მ. საფაროვ-აბაშიძის საბენეფისოდ... „ქართულ სცენაზე ჩვენ პირველად ვნახეთ, რომ ლექსად დაწერილი პიესა ეთამაშნათო", — სწერს „ივერიის" თანამშრომელი. ლექსების კითხვას სცენიდან დიდი ხელოვნება და გამოცდილება სჭირდება. ჩვენს მსახიობებს კი არავითარი სკოლა არა ჰქონდათ გავლილი. ამიტომ ავტორი შიშს გამოსთქვამდა, ვაი თუ ვერ დასძლიონ დასმული ამოცანაო. მაგრამ „შიში ტყუილი გამოდგა და დღეს დიდი სიამოვნებით უნდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენმა არტისტებმა ამ შემთხვევაშიაც თავი იჩინეს და ისახელესო" [2]).

„ თამარ ცბიერში" ლადო გოჩას როლს ასრულებდა. ამ როლის მესხიშვილის მიერ შესრულებას 1913 წელს იგონებს ცნობილი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი და ამბობს:

„ლადოს ტკბილი ხმა, მისი მშვენიერი კილო, მისი საოცარი მიხვრა-მოხვრა, გაპიროვნება მგოსნისა უნებლიედ ხიბლავდა მსმენელს, მიჰყავდა იგი მაღლა-მაღლა, სადღაც საოცნებო ქვეყანაში და უნებლიედ აბნევდა თვალთაგან აღტაცებისაგან გადმონადენს ცრემლებსა. ვისაც ლადო არ უნახავს იმ დროს, როდესაც მას, საოცარი, ტკბილი ბარიტონალური ხმა ჰქონდა, როდესაც ამ ხმას, მშვენიერ თამაშობასთან შეზავებულს, ზე აჰყვანდა ადამიანი, — დიაღ, ვისაც ამ დროს ლადო არ უნახავს, იგი ვერ შეადგენს ნამდვილ აზრს ლადოს ნიჭის ძლიერებაზე". [3])

აქ, ამ პიესაში, როგორც სჩანს, ლადოს უდიდესი მუსიკალობა, არტისტული პლასტიურობა და მგზნებარე ტემპერამენტი ხიბლავდა მაყურებელს.

მიუხედავათ ამისა, ყოველთვის როდი იდგა მესხიშვილი მოწოდების სიმაღლეზე. ზოგჯერ აშკარა ჩავარდნებიც ჰქონდა. ერთ-ერთ ასეთ ჩავარდნას გულის ტკივილით აღნიშნავს გაზ. „ივერია":

---

[1]) 1886 წლის „ივერია", № 251.

[2]) 1887 წლის „ივერია", № 23.

[3]) 1913 წლის გაზეთი „ჩვენი დროება", № 36.

„ჩვენ რომ ბ-ნი მესხიევი ვნახეთ „თამარ ცბიერში“, გვეგონა, რომ ჰამლეტის როლში არ იქნებოდა ურიგო, მაგრამ ჩვენი იმედი გაგვიმტყუნდა და ეტის მეტადაც. მშვენიერნი სათქმელნი ჰამლეტისა სულ ხელაღებით გაუფუჭდა, გაუცუდდა ბ-ნ მესხიევს. ძნელად გამოარჩევდა კაცი, სად რას ამბობდა, სად რას მოგვითხრობდა. ბევრზედ არას ვიტყვით, მხოლოდ ესეც საკმაოა გვთქვათ, რომ სახელოვანი მონოლოგი ჰამლეტისა „ყოფნა არ ყოფნა“ ისე დაიკარგა, რომ ბევრნი ეჭვობდენ, ითქვა თუ არაო, ბევრნი კიცხავდენ, ეს ადგილი გამოტოვა არტისტმა თუ რა მოუვიდაო? ცოდვაა, ცოდვა, ასე უგულოდ, ასე მოუმზადებლად მოექცეს კაცი შექსპირს, მერე სად? ჰამლეტში, საცა კარგად თქმას ასეთი დიდი და უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. სწორედ წრფელის გულითა ვწუხდით, რომ ასეთი შარცხი მოუვიდა ბ-ნ მესხიევს, რომლის მოსაწონს ნიჭს არა ერთხელ უსიამოვნებია საზოგადოებისათვის“. [1])

ასეთია პირველი პერიოდის ლადო. ამ წლებში მას, მიუხედავად ზემოხსენებული წარმატებისა და აღნიშნულ თვისებების გამომჟღავნებისა, სათანადო გასაქანს არ აძლევენ. ჰამლეტისა და ხიმშიაშვილის გვერდით მესხიშვილს პოეტ კაჭკაჭიშვილის („ბაიყუშში“) და ახირებულიძის („ეხლანდელ სიყვარულში“) თამაში უხდება.

რუსულ სცენაზე პირველი გადასვლა

თუ რა პირობებში ჰყავდა მომწყვდეული ქართული თეატრი მეფის რეჟიმს, ეს ჩვენ ვიცით. საზოგადოებრივ განწყობილებასაც ვიცნობთ. თეატრის შინაგანი ატმოსფერაც ვიცნოსეთ. ყოველივე ამან მეტად დაჭიმული მდგომარეობა შექმნა და მესხიშვილი იძულებული გახდა გასცლოდა სამშობლო სცენას და რუსეთის თეატრის ასპარეზზე ემუშავნა. იგი რუსეთში მიდის 1889 წელს და იქ რჩება 1893 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მან მოიარა ბევრი ქალაქი და ქვეყანა—ბაქოთი და კავკავით (ეხლანდელი ორჯონიკიძე) დაწყებული და ავღანისტანის საზღვრით გათავებული. თამაშობდა მერვში, სამარყანდში, აშხაბადში, ტაშკენტში, შემდეგ: სამარაში, სარატოვში, სიმბირსკში, კლავ ტაშკენტში, და ასე ამგვარად სეზონიდან სეზონამდე (მაშინ წლიური დასი და მუდმივი მუშაობა არსად იყო, გარდა მოსკოვისა და ყოფილი პეტერბურგის საიმპერატორო თეატრებსა) გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ზედიზედ ორი სეზონის მეტი არსად გაუძლია მესხიშვილს, რაც ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმდროის თითქმის ყველა რუსი მსახიობისთვის. ახალი აუდიტორია, ახალი ქალაქი, ახალი პირობები, ახალი თაყვანისმცემლები, ახალი გატაცებები,— აი რა შეადგენდა მაშინდელ პრემიერების ნიშანდობლივ თვისებას, და ლადო მესხიშვილიც არ წარმოაგენდა ამ მხრივ გამონაკლისს. ხსენებულ წლებში მესხიშვილი მეტწილად ანტრეპრენიორ ვასილიევ-ვიატსკის დასში მსახურებდა და ამ ხნის განმავლობაში შეასრულა მან მთელი მაშინდელი რუსული რეპერტუარი, რომელშიაც აღსანიშნავია რუსს ავტორთა-

[1]) 1887 წლის „ივერია“, № 36.

გან: ოსტროვსკი, გოგოლი, სუხოვო-კაბილინი. ხოლო უცხოელთაგან — შექსპირი, შილერი და მოლიერი. აი ამ ავტორების პიესებში ასრულებდა მესხიშვილი, როგორც „ჟენპრემიერი", მთავარ როლებს. ამ მუშაობაში იგი განმტკიცდა როგორც წამყვანი ანუ მთავარი როლების შემსრულებელი. ყველგან მან დიდი წარმატება და მოწონება დაიმსახურა.

1893 წელს მესხიშვილი საქართველოში დაბრუნდა. სამი სეზონი (1893—94, 1894—95 და 1895—96 წლებისა) იგი ტფილისში მუშაობდა. მაგრამ საბოლოოდ ქართულ თეატრს მესხიშვილმა ვერც ეხლა დაუდგა გული, რადგან საერთო მდგომარეობა და ატმოსფერო ზემოაღნიშნულთან შედარებით არაფრით არ შეცვლილა, რასაც ცხადჰყოფს თვით მესხიშვილის მოხსენებითი ბარათი, რომელიც 1895—96 წლის სეზონს შეეხება. ამ მოხსენებითს ბარათში მესხიშვილი აღიარებს:

„ქართული დასის 1895 — 96 წლის ზამთრის სეზონმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვუსურვოთ ჩვენს თეატრს, რათა იგი ჯეროვან სიმაღლეზე დადგეს.

„ორიენტაციის გასაადვილებლად ორ მხარეს — მხატვრულსა და ზნეობრივს მივაქცევთ ყურადღებას. დასის შემადგენლობაში საუკეთესო ძალებმა მოიყარეს თავი და ამან შეგვაძლებინა კლასიკური რეპერტუარისათვის ჩაგვეჭიდა ხელი. მაგრამ ახალი მსუბუქი ჟანრის პიესების უქონლობამ სეზონს მეტად ერთფეროვანი ხასიათი მისცა. მთელი სეზონის განმავლობაში დაიდგა ოცდა თორმეტი წარმოდგენა, მათ შორის 23 დრამა და ცხრა კომედია. ამ უსწორობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რეპერტუარი არ ყოფილა წინასწარ განსაზღვრული და შეფარდებული ცოცხალ ძალებთან. ამავე გარემოების წყალობით შეუძლებელი შეიქნა „სეზონამდი" მუშაობის გეგმიანი განაწილება და რეპერტუარის წინასწარ შემზადება იმ რიგით, რა რიგითაც იგი უნდა წასულიყო, განსაკუთრებით იმ პიესების („იაკობინელები, სანჟენ მედია, „ჭირვეული ცოლის მორჯულება", „ურიელ აკოსტა" და სხვ.) ჯეროვან მომზადებას შეეშალა ხელი, რომელთაც საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი ეჭირათ დადგმის სირთულის მხრივ. ყველა ახალი პიესა და ძველთაგან მრავალი ცენზურაში გასატარებელი შეიქნა სეზონის განმავლობაში და ამან შესამჩნევად შეაფერხა საქმეის დრო, რომელიც შეიძლებოდა რეპეტიციას მოხმარებოდა, პიესებისა და როლების გადაწერას უნდებოდა. ამ გარემოების წყალობით პიესები ნაჩქარევად იდგმებოდა, ხშირად ერთი ან ორი და ისიც არა სრული რეპეტიციით.

ძალაუნებურად რეპეტიციები ინიშნებოდა სრულიად შეუფერებელ დროს, ნასადილევს, როდესაც ორგანიზმი სრულიად არ არის განწყობილი სერიოზული შრომისათვის. დროც მეტად განსაზღვრული იყო (4 საათიდან 6½ საათამდე), რადგანაც სცენა დაჭერილი იყო ყოველდღიური რუსული წარმოდგენებით. მთელი კვირის განმავლობაში სცენა გვეძლეოდა რეპეტიციებისათვის მხოლოდ სამჯერ, რადგანაც დანარჩენ დღეებში სომხური დასი გადიოდა რეპეტიციებს. ამ გარემოებასაც უეჭველად ჰქონდა გავლენა პიესის დადგმაზე. გასულ სეზონში რეჟისორი იმავე დროს ადმინისტრატორიც იყო, რაც საქმის სამხატვრო მხარეს უეჭველად უშლიდა ხელს. რადგანაც სამნეო საქმეებით გართულ რეჟისორს არა რჩებოდა საკმაო დრო, რომ ჯეროვანის მომზადებით შესდგომოდა თავის პირდაპირ მოვალეობათა შესრულებას. საქმის წარმატებისათვის რეჟისორი ყოველგვარ სხვა მოვალეობისაგან აუცილებლად თავისუფალი უნდა იყოს.

ერთად-ერთი, რაც რეჟისორს შეიძლება დაეკისროს — ეს თეატრალური ბიბლიოთეკის გამგებლობაა. საქმის წარმატებას საკმაოდ უშლის ხელს მსახიობთა ცალმხრივი განვითარება. საჭიროა თეატრს ჰქონდეს რამდენიმე გამოჩენილი გამოცემა

სასცენო დარგისა და საერთოდ ლიტერატურისა, რომ მსახიობებს ჰქონდეთ საშუალება თანამედროვე ლიტერატურის უახლოეს მიმდინარეობებს გაეცნონ. სასურველია, შეძლებისამებრ გაიმართოს ახალგაზრდა არტისტებისათვის კვირაში ერთხელ ან ორჯერ ლექციები სასცენო ხელოვნების დარგიდან. ეს მისცემს [illegible] საშუალებას შეავსონ თავისუფალი დრო და უფრო მეტი სარგებლობით მოიხმარონ [illegible] აქამდე, ამასთან ერთად უფრო კრიტიკულად მოეკიდნონ თავიანთ როლებს და მოვალეობას.

ქართველ მსახიობთა უმრავლესობას ეჩინევა ცუდი ჩვეულება — „ყური უგდონ" თავიანთ როლებს რეპეტიციების დროს და ამგვარად „სმენა შეაჩვიონ", ნაცვლად იმისა, რომ შინ შეისწავლონ როლი თავისუფალ დროს. იძულებასა და საერთოდ ჯარიმების შიშით მუშაობას, ჩემის აზრით, არა აქვს გონიერი საფუძველი, რადგანაც ქართული თეატრი, რომელიც კოლეგიალური რეჟიმის ზხეობრივი მმართველობის ქვეშ იმყოფება, არ შეიძლება ჰგავდეს სხვისი შრომის კერძო ექსპლოატაციას, სადაც ჯარიმებს აქვს ადგილი, როგორც შემოსავლის წყაროს. პირიქით, თეატრი უნდა იდგეს უფრო მაღალი ზნეობის აღმზრდელობითს ნიადაგზე, რისთვისაც ხელმძღვანელებს მართებთ თანდათანობით შეაგნებინონ მსახიობებს, რომ თეატრი გონივრულ დამოკიდებულებას და არა დაქირავებულ მოხელეთა შრომას მოითხოვს.

ამ მოსაზრებით ჯარიმებს არ ჰქონია ადგილი და თუ ჰქონდა, იხსნებოდა. რასაკვირველია, ამ გონივრული შეგნების დამკვიდრება ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ გულმოდგინებით და მოთმენით შეიძლება სასიკეთო ნაყოფის მიღება.

ყველაზე დიდ ბოროტებას ჩვენს თეატრალურ საქმიანობაში შეადგენენ მოხელეარტისტები, ე. ი. ისინი, რომელნიც მთლიანად თეატრს არ ემსახურებიან და გარეშე სამსახურში არიან, რაც შეუძლებელს ხდის გარკვეული და ხანგრძლივი დროისათვის სარეპეტიციოდ არტისტების თავის მოყრას.

საჭიროა სხვა მოვალეობათაგან სრულიად თავისუფალი დასი, რაც შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსახიობები უზრუნველყოფილი იქნებიან მთელი წლით და მასთან ცოტად თუ ბევრად საკმარისი ჯამაგირი ექნებათ.

აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს დასის საჯსესუარო ძალთა გადიდება. ეს გარემოება განსაკუთრებით იჩენს თავს მასიური სცენების დადგმის დროს, როცა სწორედ წარმოდგენის საღამოს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქუჩაში გვიხდება შემთხვევითი ხალხის მოკრეფა, რომ მასა გამოიყვანო სცენაზე. თავის თავად იბადება კითხვა: როდის უნდა დააჯგუფო ეს ხალხი? როდის უნდა ასწავლო — თუ რა ილაპარაკოს? როდის უნდა გაატარო რეპეტიცია?

ასეთ შემთხვევაში რეჟისორი სრულიად უღონოა და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დააკისროთ მას საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე მასების უმსგავსო დაჯგუფებისათვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ამ მასას ლაპარაკი და რეპლიკების მიცემა უხდება.

ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ ვისგან შესდგება ეს მასა. გამოცდილებით ვიცით, რომ უმრავლესობას ხელოსნები და ნოქრები შეადგენენ, რომელნიც თავიანთი მოვალეობის შესრულებისგან გვიან საღამოს, ე. ი. წარმოდგენის დაწყებისთვის თავისუფლდებიან. ზემოთთქმულის დასამთავრებლად უნდა აღინიშნოს სრული უქონლობა დეკორაციებისა და ჩვენი თეატრის სამორთულებო ნაწილისა. რაც მთვარია, ეს დარგები თითქმის სრულიად უპატრონოდ არიან მიგდებული.

ეჭვს გარეშეა, რომ ეს მხარეც უსათუოდ უშლის ილუზიას, ილუზია კი პიესის წარმატების ორმესამედს უდრის. ეს არის ჩვენში სათეატრო საქმის სწორი მიმართებისა და განვითარების მთავარი ხელის შემშლელი მიზეზები.

ეხლა კი ნებას მივცემ ჩემ თავს, უფრო ღრმა და მასთან ერთად სამწუხარო მხარეს შევეხო. ქართულ სცენაზე ჩემი ხანგრძლივი ყოფნის განმავლობაში მე არ ვყოფილვარ მოწმე ისეთი ზნეობრივი ქენჯნისა, როგორიც იყო დასში გასულ წელს. მსახიობთა შორის არ იყო ჩვეულებრივი მთლიანობა, წმინდა ადამიანური ამხანა-

გური დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. არ არის საჭირო განსაკუთრებული შორსმჭვრეტელობა ამ არანორმალური და სამწუხარო მოვლენის ასახსნელად, თუმცა გული მტკივა, ვწუხარ და თან სისასტიკედ მიმაჩნია ეს, მაგრამ ზნეობრივი მოვალეობა მაწევს და უნდა ვთქვა, რომ ეს გაორება, ეს ანტაგონიზმი ქართულ წევრებში შემოიტანა იმ ახალმა ელემენტმა, რომელიც აქამდე არ შედიოდა ტფილისის დასის შემადგენლობაში.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, ზამთრის სეზონის დაწყებამდე, ვიწრო თავმოყვარეობით და წინასწარ მოწონების უზრუნველყოფით ამოძრავებულმა ამ ჯგუფმა ხმა დაარხია საზოგადოებაში, თითქოს ტფილისის დასს ჩამოსულ არტისტების კონკურენციის ეშინია და მათი თავიდან მოშორება სურს, რისთვისაც ვითომდა ტფილისის დასში მათ შესვლას ყოველგვარად აბრკოლებენ. ბუნებრივია, რომ მათ საზოგადოების ნაწილში თანაგრძნობა მოიპოვეს, რადგანაც საზოგადოების ეს ნაწილი მათ სამართლისათვის და სამშობლო თეატრის სამსახურისათვის დევნილად სთვლიდა.

ტფილისის დასის მხრივ ეს დევნა რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო, მოწინააღმდეგენი დევნას იმ გარემოებას მიაწერდნენ, რომ იმერლები იყვნენ.

ამ გზით იმათ ისეთ სეპარატიზმს მიაღწიეს, რომელმაც სეზონის დასასრულისათვის არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. ყოველგვარი საშუალება კარგი აღმოჩნდა წვრილმანი თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, საუბედუროდ, ჩვენი ქართული პრესაც, რომელშიაც, უნდა ითქვას, უმრავლესობა იმერლობაა, მოუფიქრებლად აპყვა ამ ჭორებს და თავდაუჭერლად ჩრდილ ქვეშ დააყენა ადგილობრივი არტისტები. კრიტიკა, ნაცვლად იმისა, რომ მიუდგომელი მოწმე და ხელმძღვანელი ყოფილიყო ხელოვნების ნიადაგზე, აშკარად და მოურიდებლად თავს დაესხა სრულიად უდანაშაულო არტისტებს და თავის სიმპატიას უმეღავნებდა არაკეთილსინდისიერად ცილის მწამებლებს.

მთელ ამ მოხერხებულ ობობას ქსელს, ყოველდღიურ ბრძოლას, თავდასხმასა და პარტიულობას არ შეეძლო დემორალიზაცია არ შეეტანა ქართულ დასში. მოხდა ის, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო. სახელდობრ, სრული გულგრილობა საქმისადმი ყველას მხრივ, ენერგიის დაკარგვა და უდარდელი დამოკიდებულება თავიანთ პირდაპირ მოვალეობისადმი. ყოველივე ამას ზედ დაერთო საშინელი გაბოროტება. ეი ნამდვილი მიზეზი გასული სეზონის ყველა უწესოებისა. ძალზე დიდი შრომა დაიხარჯა, რომ ამ დაქსაქსვას, ამ ანტაგონიზმს არ მოჰყოლოდა უფრო სერიოზული შედეგები და შუა სეზონში არ ჩავარდნილიყო ისეთი სიმპატიური საქმე, როგორიც არის ქართული თეატრი.

ქართული დასის რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი".

ეს დოკუმენტი მრავალმხრივ არის საინტერესო. იგი ამეღავნებს ვლ. მესხიშვილის სერიოზულ მომზადებას და სწორე, უაღრესად საღ შეხედულებებს სათეატრო საქმის ორგანიზაციის დარგში. ყველა მის მიერ მხილებული ნაკლი საჭირბოროტო საკითხს შეადგენდა ქართული თეატრისათვის. დღევანდელი თვალსაზრისით, გასაოცარი და დაუჯერებელია, როგორ ახერხებდნენ ჩვენი მსახიობები ასეთ არანორმალურ პირობებში (უბინაოდ, უჯამაგიროდ, მასობრივი სცენისათვის შემთხვევით ქუჩაში მოკრებილი ხალხით, უდეკორაციოდ და სხვა აქსესუარების უქონლობით) საქმის გაძღოლას?

ამ სპეტაკლებს ისეთ მხატვრულ ღირებულებას ვერ მოვთხოვთ, როგორც დღევანდელს, სავსებით და ყოველმხრივ უზრუნველყოფილს, ასეული რეპეტიციით ჩატარებულ დადგმებს. მაგრამ იმავე დროს არ შეიძლება ჯეროვანად არ დაფასდეს ის თავდადება მაშინდელი ჩვენი თე-

ატრის მესვეურებისა, რომელთაც მაინც არ გამოჰკეტეს თეატრის კარ-
ები და, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მაინც ფეხზე ადგებდნენ
თეატრის დროშას.

ბიბლიოთეკა

კუთხური შენ-ჩემობა, რომელიც ასე უშლიდა ხელს მაშინდელ ჩვენს
თეატრს, თანდათან დავიწყებას მიეცა და ხელოვნების სალმა პრინციპებ-
მა, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც საბოლოოდ გაიმარჯვეს ჩვენს სი-
ნამდვილეში და ეს გამარჯვება სავსებით რეალიზებულ იქმნა მხოლოდ
საბჭოთა სინამდვილეში.

მაშინ კი, როგორც სჩანს, მესხიშვილმა ვერ გაუძლო ესოდენ მოზღვა-
ვებულ უბედურებას ტფილისის სცენისას და თავის მთავარ სამოქმედო
ასპარეზად ქუთაისი აირჩია, სადაც მას ვხედავთ 1896 წლის შემოდგომი-
დან, თუმცა ტფილისთან კავშირი მესხიშვილს ქუთაისში ყოფნის დროს
არასოდეს არ გაუწყვეტია და ტფილისის ქართული თეატრის მუშაობაში
იგი, რუსეთში ყოფნის დროის გარდა, ყოველთვის აქტიურ მონაწილეო-
ბას იღებდა, როგორც მსახიობი და როგორც რეჟისორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე სულავა

რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება

1.

ქართული ლიტერატურის რევოლუციამდელი პერიოდი ბურჟუაზიულ მიმართულებათა სიმრავლით ხასიათდება. განსაკუთრებით ფართო ნიადაგი ჰპოვა განვითარებისათვის მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს ჩვენში აღმოცენებულმა დეკადენტურმა მწერლობამ, რომელიც სიმბოლიზმის სახით განვითარდა და რომელმაც ბოჰემისა და დაცემულობის სულისკვეთება გაამეფა.

სიმბოლიზმის გავლენა იმდენად საგრძნობი შეიქნა, რომ მან აიყოლია და გაიტაცა ახალგაზრდა მწერალთა ნაწილიც. ამ მწერალთა შორის ბევრი ნიჭიერი პოეტი და ბელეტრისტი იყო. ეს მწერლები, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და დ. კლდიაშვილის დიდ ლიტერატურულ ტრადიციაზე აღზრდილნი, სიმბოლისტურმა მიმდინარეობამ დაქვეითებულ და შემცდარ გზაზე დააყენა.

სოციალისტურმა რევოლუციურმა სინამდვილემ, რომელმაც ნიადაგი გამოაცალა სიმბოლიზმს, გარდაქმნისა და გადახალისების გზაზე დააყენა ეს მწერლები, მიმართა მათი შეგნება და ნიჭი ჭეშმარიტი და ჯანსაღი შემოქმედებისაკენ, გაანთავისუფლა ისინი ინდივიდუალზმისა და მისტიციზმის ბურუსისაგან.

ამ გზით დააღწია თავი დეკადენტურ, წვრილბურჟუაზიულ გავლენათა სფეროს ჩვენი დროის ნიჭიერმა პოეტმა და ბელეტრისტმა რაჟდენ გვეტაძემ. წარსულში იგი უმთავრესად ცნობილი იყო, როგორც პოეტი. სწერდა დეკადენტურ, ნაღვლიან ლექსებს მარტოობისა და სულის მწუხარების შესახებ. თავის „ავტოპორტრეტში“ იგი სწერდა:

„ხშირად მაღონებს ვარდის ღერები, —
მაგრამ ამ ქვეყნად როგორც პოეტს ვინ დამაფასებს?“

საიდან მოდიოდა რ. გვეტაძის ასეთი პესიმიზმი? რასაკვირველია, იმ სოციალურ გარემოცვიდან, რომლის გავლენის ქვეშაც იგი იმ პერიოდში იმყოფებოდა. მაგრამ რ. გვეტაძე ყანწელების პლეადის პოეტებისაგან მაინც განსხვავდებოდა: იგი სწერდა შედარებით რეალისტურად და არ გვევლინებოდა სიმახინჯისა და მისტიციზმის ორტოდოქსალურ დამცველად.

რ. გვეტაძის ლექსების პირველი წიგნი „დაბინდული ქარვები“, რომელიც გამოვიდა 1920 წელს, ასახავდა პოეტის სულიერ განწყობილებას და სოციალურ მსოფლმხედვას მენშევიკური ბატონობის პერიოდში.

„დაბინდული ქარვების“ ავტორის სულიერი განწყობილება დაბინდული და დასევდიანებულია იმ დროის სუსხით. მისი ლექსები გოდებაა მარტოობაზე, არც ერთი ნათელი სხივი მომავლისა არ ელავს მის შეგნებაში:

„ჩემს ხმებში ტირის შემოდგომის ნაზი ნადური
და სიხალისეს გაურკვევი სევდები ჰყინავს,
როგორც ჰამლეტი, მე ყველასი ვარ უმადური“.

ლირიკოს პოეტისათვის ასეთი განწყობილება შემთხვევითი არ იყო, იგი თითქოს ყოველ თავის ლექსში გამოსთქვამდა მსგავს სასოწარკვეთილებას: „ჩვენი ოცნება სანთლის ჩრდილებს უყვართ ძალიან“ („ტყუპები“), „ჩემი ოცნება გაბზარულ დღეებს აბანდერავს“ („რევმაი“), „ჩემი სულივით ზამთრის ქარი ხეებში ოხრავს“ („გაბოროტებული ღამე“).

რ. გვეტაძის პოეტური განწყობილებისათვის დამახასიათებელია მისი ამ დროის ლექსების სათაურებიც: „ოცნება სასაფლაოზე მთვარიან ღამეში“, „შემოვიხვიე მწუხარება, ვით ჩაბალახი“, „მარტოობა შემოდგომის ავდრიან ღამეში“, „სასაფლაო და ყვავები“ და სხვ. ამავე წლებში რ. გვეტაძის პოეზიაში გაბატონებულია ინტიმურ-ეროტიული ლირიკა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „სულამიტ“, „ლაბური“, „დატეხილი“. ეროტიული თემატიკიდან პოეტი გადავიდა ვირების „დიდების“ თემაზე. აქ აშკარად გამომჟღავნდა გავლენა პოეტ ფრანსის ჟამესისა, რომელმაც ოდესღაც დასწერა „ლოცვა იმაზე, ვირებთან ერთად რომ შევიდე სამოთხეში“.

რ. გვეტაძის პოეტური განწყობილებისათვის დამახასიათებელია მინა ლექსების ციკლი, რომელთა შორის ზოგი ლექსი ორიგინალობით გამოირჩეოდა. ეს თემა შემთხვევითი არ იყო რ. გვეტაძისათვის, იმ პერიოდში იგი სოციალური თანამედროვეებისაგან გამიჯვნის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენდა.

მართალია, რ. გვეტაძე შეეცადა გამიჯვნოდა აპოლიტიზმს და ესთეტიზმს, მაგრამ დაბრკოლებათა ეს ჯებირები მან ერთბაშად ვერ გადალახა და საკმაო დროის განმავლობაში განიცდიდა მის გავლენას.

მხოლოდ 1926 წელს დასწერა რ. გვეტაძემ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი — „მერკვილაძის დები“. ამ ლექსში ბავშვობის რომანტიკულ მოგონებასთან ერთად გადაშლილია 1905 წლის რევოლუციური ბრძოლის თემა. ამ ლექსით გაარღვია რ. გვეტაძემ ბოჰემური განწყობილების რკალი და რევოლუციურ-რომანტიკულ თემატიკას დაეწაფა. ცდა უშედეგოდ არ დარჩა: „მერკვილაძის დებს“ მოჰყვა სხვა საბჭოთა ლექსები, რომლებშიაც რ. გვეტაძემ, როგორც უნარიანმა პოეტმა, საკმაოდ გამოამჟღავნა თავი. მაგრამ ყველაზე გაბედული ნაბიჯი გვეტაძემ გა-

დადგა მაშინ, როდესაც დასწერა პირველი პროზაული ნაწარმოები „თეო“. „თეოს“ მოჰყვა არა ნაკლებ საინტერესო ნაწარმოები „ჰიაკინთა“ და სხვა მოთხრობები. მწერალი თანდათან დაადგა საბჭოთა მწერლობის დიდ გზას.

„თეომ“ უპირველეს ყოვლისა გვიჩვენა რ. გვეტაძის ბელეტრისტული ნიჭი და, რაც მთავარია, მისი მსოფლმხედველობითი გარდაქმნა, მუშათა კლასის იდეებით შეიარაღება. რ. გვეტაძემ ამ მოთხრობებში მიზნად დაისახა ჩვენი ხალხის შავბნელი წარსულის რეალისტურად ჩვენება. „თეო“ დაიწერა იმ დროს, როცა ქართულ ბელეტრისტიკაში ნამდვილი საბჭოთა ნაწარმოებები ცოტა იყო. ლიტერატურული კრიტიკა გულთბილად შეხვდა რ. გვეტაძის ამ მოთხრობას, რადგან მასში დაინახა მწერლის იდეურ-მხატვრული წინსვლა, ესთეტიზმიდან რეალიზმისაკენ შემობრუნება.

„თეო“ წარსული ცხოვრების ამსახველი მხატვრული ტილოა, სადაც საკმაო პოლიტიკური სიმახვილით და რეალისტურად არის დასურათებული რევოლუციამდელი სოფლის სოციალური ურთიერთობა. მოთხრობის თემად აღებულია სამი დრო: ცარიზმის უკანასკნელი პერიოდი, თებერვლის რევოლუციისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პერიოდები. მოთხრობაში მეფისა და მენშევიკების დროის ჩვენებას უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი, იგი ნაწარმოების ფართო ფონია, სადაც რეალისტურად არიან გამოხატული იმ დროის სოციალური ტიპები და დამახასიათებელი მოვლენები. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი თავადი ყაფლანი იგივე ლუარსაბ თათქარიძეა, მხოლოდ „გაევროპიელებული“ და სხვა ისტორიულ და სოციალურ ვითარებაში მოქცეული

რ. გვეტაძე სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის კარგად იცნობს ფეოდალური არისტოკრატიის ნარჩენების ყოფას. ესაა მხოლოდ, რომ მწერალი ხშირად თავს ვერ იჭერს ნატურალისტურ გადაჭარბებისაგან, როცა ყაფლანის თავადური აღვირახსნილობის დასახასიათებლად ამუქებს დეტალებს. მოთხრობაში აწერილია თავადური ყოფა-ცხოვრება, მაგრამ მასთან ერთად მოცემულია ეკლეხობის უუფლებო მდგომარეობაც. მწერალი ამხელს აგრეთვე მენშევიზმის კონტრევოლუციურ ბუნებას. მართალია, ავტორს მენშევიზმის ავანტურიზმი კონკრეტულ სახეებად არა აქვს ჩამოყალიბებული, იგი მხოლოდ აღწერს მაშინდელ სოციალ-პოლიტიკურ გარემოცვას. მაგრამ აღწერს ისე მახვილად და მოხდენილად, რომ საკმაოდ აღწევს მიზანს.

მოთხრობა „თეოს“ მთავარი პერსონაჟი ყაფლანი თავისი მამულით და ბედიღბლით უშუალოდ დაკავშირებულია მენშევიკების საქმიანობასთან, მენშევიკების გამარჯვება მისი გამარჯვებაა, მენშევიკების დამარცხება— მისი დამარცხება. აკი ამიტომ გაჰყვა კიდეც ყაფლანი ქალაქიდან გაქცეულ მენშევიკებს ბათუმამდე. დაბრუნებულს თავისი მამული უკვე კონფისკაციაქმნილი დახვდა. რევოლუციამ ხელი ააღებინა მუქთახორა კლასის წარმომადგენელს ხალხის ყვლეფის საშუალებაზე.

რ. გვეტაძე შესანიშნავად აღწერს თავადის იმ შიშსაც, რომელიც ყაფლანმა განიცადა თებერვლის რევოლუციის დროს, მაგრამ მისი შიში არ გამართლდა: ვისიც მას ეშინოდა, ვისაც ის მტრად სთვლიდა, მისი პოლიტიკური მეგობარი აღმოჩნდა. ბურჟუაზიული დემოკრატიის მესვეურებმა, მოღალატე მენშევიკებმა მოსწყვიტეს ქართველი ხალხი რუსეთის დიდ სოციალისტურ რევოლუციას და საქართველო გადააქციეს თეთრგვარდიელებისა და ინტერვენტების სათარეშო მოედნად.

რ. გვეტაძეს მახვილად აქვს აწერილი „თეოში" მენშევიკური ტფილისი თავისი წვრილბურჟუაზიული აღვირახსნილობით, ემიგრანტების ღრეობა კაფეებში, გვარდიელების პარპაში, ჩხუბი დამფუძნებელ კრებაზე იმის შესახებ, თუ ვინ რით სვამდა ღვინოს, ინტერვენტ-ინგლისელების თავხედობა და სხვ. მშრომელი ხალხი კი ამ დროს მწერლის სიტყვით, „ტყავიდან ძვრებოდა, მუშებს სოფელში მიქონდათ, რაც კი გაჩნდათ, და ერთ ფუთ ხორბალზე ან სიმინდზე სცვლიდნენ"..

„ხორბალი და ღვინო ისევ ბობოლების და მემამულეების ხელში იყო, რევოლუციას არაფერი დაუკლია მათთვის.

ღარიბებისათვის ერთი მტკაველი არაფერი მიუცია. ტყუილი გამოდგა ყაფლანის შიში.

მისი მყუდრო ცხოვრება ოდნავ არ შერყეულა".

მენშევიზმის დახასიათებაში რ. გვეტაძე უსათუოდ სიმახვილეს იჩენს და ყაფლანის სულისკვეთებას სამართლიანად უკავშირებს მენშევიკურ „სოციალისტობას". „თეოში" ძალიან კარგად და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, თუ როგორ გაიზარდა რევოლუციური შეგნება უუფლებო მოჯამაგირეში. ავტორი აქაც არ ღალატობს სიმართლეს. სოფლელ მირზას რევოლუციურ მუშაობაში აბამს ქალაქელი მუშა-რკინიგზელი. მირზა სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრული კლასის წარმომადგენელია. რევოლუცია ანთავისუფლებს მას ორივე სახის ჩაგვრისაგან. ყაფლანის ქალიშვილი თეო ცოლად მიჰყვება მირზას, თავისი მამის ყოფილ მოჯამაგირეს. რევოლუციამ წაშალა წოდებრივი ზღუდეები, თავადის ქალობას „ფასი დაეკარგა", თვითონ ყაფლანი ცხენების მომვლელად, ბალდახინის გამყოლად გადაიქცა.

2

რ. გვეტაძის შემოქმედებაში „თეოს" შემდგომ ახალ ეტაპს წარმოადგენს მისი რომანი „ჭიაკოკონა". „თეოსთან" შედარებით, „ჭიაკოკონა" გაცილებით უკეთ დაწერილი ნაწარმოებია. ლიტერატურული კრიტიკა რ. გვეტაძის ამ ნაწარმოებსაც დადებითაც შეხვდა, აღნიშნა რა ამ ნაწარმოების მაღალ იდეურ-მხატვრული ღირსება. „ჭიაკოკონას" გმირების სამოქმედო არე ისევ მეფის დროული სოფელია, კერძო-მესაკუთრულ და სოციალურ წინააღმდეგობაში მოქცეული, რომლის ვითარებას მხატვარი უკანასკნელ წვრილმანამდე იცნობს. ამიტომ ამ რომანში აწე-

რილი სოფლის ცხოვრების სურათები სარკესავით ასახავენ ძველი სოფლის რეალურ სინამდვილეს.

„ჭიაკოკონა“ იწყება უბრალოდ, იმის ჩვენებით, თუ როგორ არ ინდობს კერძო-მესაკუთრული ფსიქოლოგია ძმებსაც-კერძოდ, რომანის პერსონაჟები, ძმები ხოსრო და თეოფილე, ერთმანეთის [illegible] ისინი ძმები არიან, მაგრამ სოციალურად ერთმანეთის მოწინააღმდეგენი. გაბოროტებულია განსაკუთრებით ხოსრო. იგი თეოფილესთან შედარებით მდიდარია, ცხოვრობს დიდ ოდა-სახლში, აქვს ფართო ეზო. თეოფილე ღარიბია, მას ქოხისა და პატარა ეზოს მეტი არაფერი გააჩნია. ხოსრო ვაჭრული ტიპის კაცია, ჩარჩ-წურბელა, რომელიც საკუთარ ძმასაც არ ინდობს. რომანში მრავალი კოლორიტული დეტალია, რომელიც ძველი სოფლის ნამდვილ სურათს შლის. ამ მხრივ განსაკუთრებით ძლიერია რომანის პირველი ნაწილი, სადაც აწერილია ძმების ურთიერთობის ამბავი. ავტორი ამ ნაწარმოებშიაც არ ივიწყებს თავად-აზნაურობას, ყველგან სასაცილო სიტუაციებში ხატავს მას. ამ ნაწარმოების თვალსაჩინო ღირსებაა მოხდენილი დიალოგები. შესანიშნავია, მაგალითად, ხოსროსა და მისი ცოლის ჩხუბი იმის შესახებ, თუ ვინაა მათ შორის დამნაშავე, რომ ბავშვი არა ჰყავთ.

„ნეტავი ვის ესაყვედურები, ღმერთს თუ შენივე თავს? — მჭირდავად შეეკითხა კესო.

— სასაყვედურო ვინცხაა, კარგათ იცი!

— უი, ღმერთო მომკალი! იქნება მე მაბრალებ შენ სიგლახეს, ა?

— აბა ვისი ბრალია, ქალო!

— ვისი? ვისი და შენი, სისხლი არ გივარგა და იმიტომ!

— მე კი არა, შენ ხარ გამოფიტული, თვარა...

— თვარა არა, ერთბაშად სულ ბიჭები მეყოლებოდა, აი! არა, შენ თვალდამდგარო, ქალს კანი მასკდება და მაჭიკივით სისხლისაგან დაწრეტილებს მადარებ?

შესანიშნავია ბაასი მოხუც მიქელასა და ანუსას შორის იმის შესახებ, თუ რა უნდა დაარქვან სახელად შვილიშვილს, რომელიც თეოფილეს ცოლს ეყოლება:

„— კი, მარა რა უნდა დავარქვათ, ა? — სერიოზულად იკითხა მიქელამ.

— რომელია, მერე კაი, ხო უნდა ამოვირჩიოთ?

— მე ნიკიფორე მომწონს, კაი სახელია!

— კაი მოგვიდა შენ! მაგას რავა დავარქმევ ბავშვს!

— აბა შენ თქვი უკეთესი! ყველაფრის დაწუნება რომ იცი“.

ასეთი ცოცხალი, ბუნებრივი დიალოგი დიდ სიცხოველეს აძლევს ნაწარმოებს. მარტო დიალოგები არ ამშვენებენ „ჭიაკოკონას“, რომანში ბევრი კარგი დეტალია, მწერლის მახვილი თვალით დანახული.

აი ვაჭარი ხოსრო კვირა დღეს წირვაზე მიდის. ეკლესიაში მან შური აღძრა აზნაურებს შორის. განსაკუთრებით არ მოეწონა მდიდრულად გამოწყობილი ხოსრო შემოდგომის აზნაურს მხეიძეს, მაგრამ რა დარჩენია

შურის მეტი, როცა ჯვალოს ტომარასავით ჩოხა აცვია, ხოლო მესტების შაგიერ დაკერებული წუღები.

სოფლის სოციალური მოვლენების ისეთი აღწერა, როგორიც „ჭიაკოკონაშია“, უცნობი არ არის ქართული მწერლობისათვის. მაგრამ რ. გვეტაძე აღწერს არა საერთოდ სოფელს, არამედ სოფელს იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის დროს. რომანში აწერილია, თუ როგორ გააპარტახა ომმა სოფელი, როგორ აამოძრავა პროვინციალური ქუთაისი თებერვლის რევოლუციამ, როგორ დაეპატრონენ რევოლუციას მენშევიკები და მათი მსგავსნი წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები. მაგრამ საქმე ამით არ თავდება. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები ვერ ურიგდებიან მენშევიკურ ხელისუფლებას: ხდება მრავალი შეტაკება. ამ სოციალურ ანტაგონიზმის ნიადაგზე ტყეში გადის „ყაჩაღად“ მორჩაძე, რომელსაც მალე უერთდებიან სხვა ჯარისკაცებიც. მორჩაძის რაზმი პარტიზანელობის დასაწყისია, მაგრამ პარტიზანების ბრძოლას აკლია იდეური გარკვეულობა, ისინი ვერ უკავშირდებიან ბოლშევიზმს. რ. გვეტაძე დიდ ადგილს უთმობს მორჩაძის „ყაჩაღობას“. მორჩაძე გამოჰყავს სტიქიურ პარტიზანელად, მენშევიკური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლად. მაგრამ მორჩაძის ბრძოლის მიზანი ნათლად ვერა აქვს მწერალს დასურათებული. სოციალური ბრძოლის მაგიერ ავტორი დიდ ადგილს უთმობს მორჩაძის რომანტიულ თავგადასავალს. შეიძლებოდა თუ არა მორჩაძის ბრძოლა ავტორს ბოლშევიზმთან დაეკავშირებინა და დაემტკიცებინა, რომ მორჩაძის ბრძოლას ისტორიული აუცილებლობა იწვევდა?. რასაკვირველია, შეიძლებოდა. მაგრამ ავტორმა ეს მომენტი ზეარელედ დახატა და უპირატესობა რომანტიულ ამბებს მისცა, რითაც ნაწარმოებში ნაწილობრივ დაიჩრდილა კლასობრივ-სოციალური ბრძოლის მომენტი.

რომანი „ჭიაკოკონა“ დაწერილია იმგვარად, რომ მის სუჟეტურ განვითარებაში ჩაქსოვილია სამი ამბავი. პირველ ამბის პერსონაჟები გადადიან მეორეში, მეორისა — მესამეში, მაგრამ ისე მჭრთალად, რომ პერსონაჟების დახასიათება არარელიეფურია.

„თეოსა“ და „ჭიაკოკონაში“ არსებული ფორმალურ-მხატვრული დეფექტები რ. გვეტაძემ საგრძნობლად გამოასწორა თავის „ლაშაურ საღამოებში“, მაგრამ ის, რაც ორ პირველ ნაწარმოებს ახასიათებს — სოციალური მოვლენების მძაფრი ასახვა და საღი რეალიზმი — „ლაშაურ საღამოებში“ ავტორმა საგრძნობლად შეანელა.

რას წარმოადგენს „ლაშაური საღამოები“ როგორც მხატვრული ნაწარმოები? იგი ოსტატური ხელით შეკრული ნოველების კონაა, გაერთიანებული ერთი სუჟეტური ძაფით.

„ლაშაურ საღამოებში“ ავტორის ფორმალური ძიება, პოეტური ხერხების გამოყენება, მიმზიდველი თხრობა ამტკიცებს, რომ რ. გვეტაძე გაიზარდა როგორც მხატვარი. მაგრამ მან ვერ მოახერხა სოციალური საკითხების სოციალისტური რეალიზმის პრინციპით გაშუქება. სუჟე-

ტურ-ფორმალურ ძიებასთან ერთად ავტორი გაიტაცა „უცხაური“ ამბებისა და შემთხვევების დახლართვამ. ავტორმა მხედველობაში არ მიიღო შემთხვევითი ამბების გატიპიურების უვარგისობა, აგრეთვე ყოფითი ამბების პოლიტიკურ მოვლენებისაგან გამოთიშვით აღწერის მიუღებლობა. ავტორს, მართალია, არა სურს თავისი პერსონაჟები დახატოს აპოლიტიკურ, ქვეყნიურ მოძრაობას მოწყვეტილ ადამიანებად, შაგრამ ობიექტიურად გამოდის, რომ ეს ადამიანები ოთახში ჩაკეტილი მეოცნებე რომანტიკოსები არიან. არასწორ ნიადაგზე სდგას ავტორი რომანის მთავარი პერსონაჟის — ზეინაბის ცხოვრებისა და მოქმედების აღწერაშიც. ზეინაბმა გამოიარა ცხოვრების საბედისწერო გზა, გაჭირვება, შეურაცხყოფა, ტანჯვა, ბოლოს, ახალი ადამიანი გახდა, მაგრამ თვითმკვლელობის განზრახვას მაინც ვერ ასცდა. ზეინაბი არ მომკვდარა, მაგრამ მისი ბედის დადაღვა ასეთი ტრაგიკული შემთხვევით რომანის მხატვრულ კონცეპციას ზიანს აყენებს.

„ლაშაური საღამოები“ მდიდარია მოხდენილი დიალოგებით, პეიზაჟების აღწერით, მხატვრულ სახეებით, რაც ავტორს საერთოდ ეხერხება, მაგრამ იგი მდიდარია ნატურალისტური სურათებითაც, რაც ნაწარმოების იდეურ დონეს ამდაბლებს. რ. გვეტაძეს, როგორც მხატვარს, ახასიათებს განსაკუთრებული მიდრეკილება საზარელი ამბებისადმი, ასეთია „თეოში“ ხარისა და კაცის მოკვლის ეპიზოდი, „ჭიაკოკონაში“ — ხარის მიერ ქალის მოკვლა, „ლაშაურ საღამოებში“ — მრავალი მომენტი. მათ შორის, მკვდრების მძარცველთა ამბავი.

რ. გვეტაძეს იზიდავს სოციალურად მომაკვდავი ფენების ყოფის აღწერა. ამ მხრივ იგი თავისებური სატირიკოსიცაა. „თეოში“ ეს სატირა გამოიხატება თავად-აზნაურობის ყოფის მხილებაში, „ჭიაკოკონაში“ — სოფლის მსუნაგ მესაკუთრეთა დახატვაში, „ლაშაური საღამოებში“ — ყოფილი ადამიანების გახრწნილი ცხოვრების აღწერაში. ისტორიამ დაამტკიცა, რომ საბჭოთა ხალხის ბედნიერი და ახალი ცხოვრების მტრები არიან მორალურად გახრწნილი ადამიანებიც. ასეთი ადამიანების მხილებით მხატვარი, რასაკვირველია, ხაზს უსვამს ძველი ქვეყნის სისაძაგლეს. ეს მომენტი რ. გვეტაძის შემოქმედებაში შესამჩნევად დასანახი იქნებოდა, რომ ის ამ მოვლენას ახალი ცხოვრებისა და მოვლენების ფონზე გვიჩვენებდეს.

პროზაში რ. გვეტაძემ ეს ჯერ კიდევ ვერ მოახერხა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ლაშაურ საღამოებში“ ლეონდარას თავგადასავალს, რომელიც კარგად დაწერილ ნოველად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ახალი ადამიანისა და ახალი ცხოვრების გამოხატვა რ. გვეტაძემ ისევ პოეზიაში სცადა. ამის დამამტკიცებელია მისი პოემა „წალკოტი“ და სხვა ლექსები.

რ. გვეტაძეს აქვს პატარა მოთხრობებიც, რომელთა შორის იდეურ-მხატვრული მნიშვნელობით აღსანიშნავია ბელორუსული ნოველები“ —

„სკირგაილო“ და „მახრა“. ამ ნოველებში რ. გვეტაძე სავსებით მომწიფებულ ბელტრისტად გვევლინება. რ. გვეტაძემ ბელორუსულ მოთხრობებშიც არ უღალატა თავის მანერას. ნოველა „სკირგაილოში“ მან გამოხატა ფეოდალების სიმკაცრის მახინჯი სინამდვილე ბელორუსიაში. მოთხრობაში, როგორც რ. გვეტაძეს სჩვევია, აღწერილია ბოროტებისა და ძალადობის ფაქტები. საზარელია მტარვალ სკირგაილოს მოქმედება. მან ახალგაზრდა მწყემსი ყელამდე ჩაფლა მიწაში, ყვავებმა ამოუკორტნეს მას თვალები და ამოსჭამეს ტვინი. „ქალას ერთი ყვავი კიდევ აჯდა. ის ხანდახან ჩატეხილ ქალაში, როგორც ქოთანში, თავს ჩაყოფდა, ხან ირგვლივ შემოურბენდა“, — ასე აღწერს გვეტაძე ამ სურათს. საზარელია სკირგაილოს თვითნებობა, მაგრამ ძლიერია შურისძიების გრძნობაც მის წინააღმდეგ. მოთხრობა დაწერილია ლაკონიური მანერით, სუფთა და დახვეწილი ენით.

ნოველა „მახრა“-ში რ. გვეტაძე გვიამბობს ძაღლის თავგადასავალს. მახრა ეწოდება ძაღლს, რომელიც მონაწილეობას იღებს ომში. თეთრების შემდეგ, უსაშინელესი შიმშილის დროს, მახრა ძაღლების ჯოგს მიუძღვის და სოფელს სტოვებს. გვეტაძე აღწერს მახრას ისტორიას, მაგრამ ადგილი აქვს გადაჭარბებასაც. ასეთია, მაგალითად, ჰანას მიერ ლეკვის შეჭმა. დიდი გაჭირვებისა და შიმშილის მაჩვენებელია ძაღლების მიერ სოფლის მიტოვება. ასეთი საშინელი ეპიზოდები სამოქალაქო ომის ისტორიიდან დამახასიათებელი იყო ბელორუსიისათვის.

რ. გვეტაძეს აქვს დიდი მიდრეკილება ორნამენტული წერისადმი, მაგრამ აქა-იქ იგი გადაჭარბებულ სტილიზაციაში ვარდება.

თავისი უკანასკნელი პროზაული ნაწერებით რ. გვეტაძემ დაამტკიცა, რომ ის სავსებით მომწიფებული ბელეტრისტია, რომელსაც შეუძლია ჩვენი ეპოქის შესაფერი რეალისტური ნაწარმოებების მოცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ. მეგუკე

კირილე ლორთქიფანიძე

ოცი წელიწადი შესრულდა წელს, რაც გარდაიცვალა გასული საუკუნის სამოციანი წლების მწერალი და საზოგადო მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე. სამოციანი წლების მოღვაწეთა შორის მას განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ის იყო ჩუმი, მაგრამ ბეჯითი და ენერგიული მუშაკი და თანამედროვე მოღვაწეთა შორის დიდი პატივისცემა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული. განსაკუთრებით აფასებდნენ და დაახლოებული იყვნენ მასთან ისეთი დიდი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, როგორც ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი და სხვები. აკაკი თავის „თავგადასავალში" მოგვითხრობს, თუ როგორ აითვალისწინეს იგი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ ხანებში და მწერლობა განაგრძო მხოლოდ ნიკო ნიკოლაძისა და კირილე ლორთქიფანიძის გამხნევებით. აკაკის გადმოცემით, კირილე ლორთქიფანიძე ყველასთვის საყვარელი კაცი იყო.

კირილე ლორთქიფანიძე სწავლობდა პეტერბურგში. 1861 წელს მან მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა არეულობაში, რისთვისაც დააპატიმრეს. რამდენიმე თვეს იგი კრონშტადტის ციხეში იჯდა ნიკო ნიკოლაძესთან და სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად (იხ. ნ. ნიკოლაძის მოგონება: „რჩ. ნაწ.", ტ. I). როგორც ნიკოლაძე იმავე მოგონებაში გადმოგვცემს, კირილე ლორთქიფანიძე თავდაპირველად წინააღმდეგი ყოფილა დემონსტრაციაში ქართველების მონაწილეობისა და ამტკიცებდა თურმე: „ქართველები სხვებს ვერ მიბაძავენ, — რუსეთში, პოლონეთში, მალოროსიაში ბევრია ნასწავლი ხალხი, ეს ქვეყნები უინტელიგენციოდ არ დარჩებიან, მათი ეხლანდელი სტუდენტობა სულაც რომ აღიგავოს პირისაგან დედამიწისა, ჩვენში კი საქმე სხვანაირია" (იქვე, გვ. 101).

მიუხედავად ამისა, კ. ლორთქიფანიძეს სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად მაინც მიუღია მონაწილეობა სტუდენტთა დემონსტრაციაში. კრონშტადტის ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ლორთქიფანიძე პეტერბურგში ცხოვრობდა პოლიციის მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ.

კირილე ლორთქიფანიძე დიდად გაიტაცა სამოციანი წლების რუსეთის დიდ რევოლუციონერ-დემოკრატ მოაზროვნეთა იდეებმა და სხვებთან ერთად ისიც ქადაგებდა და ავრცელებდა ამ იდეებს საქართველოში. წერა დაიწყო ჟურნალ „ცისკარში". სწერდა თერგდალეულის ფსევდონიმით. ამ ფსევდონიმით, როგორც ს. ხუნდაძემ თავის დროზე გამოარკვია, უწერიათ აგრეთვე აკაკი წერეთელს და გიორგი წერეთელს. „ცისკარში" კ. ლორთქიფანიძეს დაუბეჭდია რამდენიმე წერილი. 1863 წელს კირილე ლორთქიფანიძე თანამშრომლობს ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბეში", 1864 წელს სცემს ქართველ მწერალთა ლექსების კრებულს „ჩონგურის" სახელწოდებით. ჩონგურში პირველად იბეჭდება ნეკრასოვის ცნობილი ლექსი „პო-

ეტი და მოქალაქე" (ლორთქიფანიძისავე თარგმანი). სთარგმნის იგი აგრეთვე დობროლიუბოვის, ნეკრასოვისა და სხვების ნაწარმოებებს. რედაქტორობს გაზეთ „დროებას" 1873—74 წლებში, როდესაც სერგეი მესხი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და სხვა.

კირილე ლორთქიფანიძის საზოგადოებრივი და სამწერლო მოღვაწეობა კარგად აქვს დახასიათებული თავის მოგონებებში მწერალს ხომლელს (რომანოზ ფანცხავას). ხომლელი ეხება თავის შეხვედრას კირილესთან „შრომის" რედაქციაში და სწერს:

„კირილე ბეჟანის-ძე ლორთქიფანიძე იყო სამოციანი წლების ერთი დიდი ქართველი ლიბერალი, ასე წოდებული თერგდალეული. შუქურ ვარსკვლავის ნათელს ფენდა იგი მთელ ქუთაისის არე-მარეს. იგი იყო იმ პრინციპის კაცი, რომელიც იბრძოდა, ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო. და მან ეს კიდეც პირწმინდათ შეასრულა. საჩინოს მდიდარი მხრის დიდი მიწაწყლის პატრონმა თავადიშვილმა მთელი თავისი მამული თავის ნაყმევებს გადასცა და თვით კი დარჩა სრულიად უმამულოდ და უსახლკაროდ... მთელი თვისი ხანგრძლივი სიცოცხლე ასე გაატარა. იგი იყო მეტად მაღალი, სპეტაკი ზნეობის და ღრმა დემოკრატიზმის მატარებელი და მოსარჩლე.

ნიკო ნიკოლაძე და გიორგი წერეთელი რო საზღვარგარეთ წავიდნენ, მაშინდელ საუკეთესო ჟურნალ „კრებულს" კირილე უძღვებოდა და ხელმძღვანელობდა ტფილისში. ქუთაისშიც გაზეთ „შრომის" საქმე კირილემ მოაწყო და ითავა და იგი იყო კიდეც ფაქტიური რედაქტორი და კორექტორი ამ გაზეთისა... ქართულ გიმნაზიის დაარსებას ქუთაისში მან ჩაუყარა მკვიდრი საძირკველი და სხვა...

კირილე ქუთაისში სათავეში ედგა კულტურულ-განმანათლებელ საქმიანობას, მეთაურობდა მიხაილოვის საადგილ-მამულო ბანკში ოპოზიციას, იქვე დააარსა და ხელმძღვანელობდა საურთიერთო ნდობის საზოგადოებას, იყო ქუთაისის თვითმართველობის ხმოსნად, შეადგინა ახალი ქართული საბეჭდავი ანბანი და მისი სახელწოდების შრიფტი დღემდი იხმარება ჩვენს სტამბაში, ითვლებოდა ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ და სტილისტად.

ის ფარვანასავით თავს დასტრიალებდა თავის მშობელ ერს და ჯერ კიდევ თავის სიცოცხლის დღეებში ქუთაისის საეთნოგრაფიო საზოგადოებას შესწირა თავისი მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი. მაშინ მე ვიყავი ამ საზოგადოების მუზეუმის გამგედ და მახსოვს, ეს ღრმად მოხუცებული ადამიანი როგორი დიდი ენერგიით მუშაობდა ამ არქივის და ბიბლიოთეკის წესრიგში მოსაყვანად, მისი კატალოგის შესადგენად. დილიდან საღამომდი მუზეუმში იყო და თავაუღებლივ მუშაობდა მტვერში".

კ. ლორთქიფანიძე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, 1918 წელს. დასაფლავებულ იქნა ქ. ქუთაისში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ნიანგი“-ს 1938 წლის ექვსი ნომერი

(რეცენზიის მაგიერ)

„ნიანგი“ ერთად-ერთი იუმორისტული ჟურნალია საქართველოში. თავისთავად გასაგებია ის უდიდესი პოლიტიკურ-კულტურული აღმზრდელობითი როლი, რომელიც დაკისრებული აქვს მის რედაქციას.

ჩვენი მიზანია მოკლედ განვიხილოთ მიმდინარე წლის ზოგიერთი ნომერი „ნიანგისა“ და შევაფასოთ მისი შინაარსის იდეურ-მხატვრული ღირებულება.

„ნიანგი“, როგორც იუმორისტული ჟურნალი, გარკვეული ჟანრის (იუმორის და სატირის) საშუალებით ემსახურება მასების პოლიტიკურ-კულტურული აღზრდის უაღრესად პასუხსაგებ ამოცანებს.

სამწუხაროდ, „ნიანგი“ ყოველთვის ვერა სდგას ამ თავისი უდიდესი ამოცანების სიმაღლეზე. ხშირად ამ ჟურნალის იუმორისტული მასალა არ შეეფერება თავის ჟანრსაც.

მაგალითისათვის საკმარისია გავეცნოთ ამხ. შ ი ლ ა მ ა ხ ვ ი ლ ა ძ ი ს წერილს („ნიანგის“ მე-3-4 ნომერში), სათაურით „ეგ არის, რასაც ვეძებდი“.

აი მოკლეთ წერილის შინაარსი:

1921 წლიდან პარტიის წევრს ამხ. სერგო ყრუაშვილს ხალხის მტრებმა ინტრიგა მოუწყეს, ორ თვეს ციხეში ამყოფეს, მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე ის დღეს თავისუფლად დადის.

ვინ იტყვის, რომ თემა დროული არ არის? ავტორი ამბავს მოგვითხრობს, აი როგორ სწერს ავტორი:

„ამხ. ყრუაშვილი მეტად მტკიცე კაცია, 1921 წელს პარტიის რიგებში რომ ღებულობდნენ, ფიცი მისცა პარტიას, რომ მუდამ მისი ერთგული იქნებოდა და განუხრელად, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდა მშრომელთა ინტერესებისათვის“.

ასეთი იყო ავტორის დახასიათებით, ამხ. ყრუაშვილი.

„რაიკომის მავნებელი მდივანიც ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ ყრუაშვილი ხელში ჩაეგდო“... „ღიღინებდნენ ხალხის ეს საზიზღარი მტრები“... „ხალხის მტერმა ჩაკაბერიას ყრუაშვილი გააცნო, როგორც უქნარა“...

ყრუაშვილი ბოლომდე ურყევი რჩება, არ ემორჩილება საფინანსო დარგში გაცემულ უკანონო განკარგულებას. მავნებლებიც თავიდან ბოლომდე მავნებლებად რჩებიან.

აქ ყველაფერი თავის რიგზეა, მაგრამ ამბავი მაინც არ არის იუმორისტული. ავტორი დაზარალებულ ყრუაშვილსაც ალაპარაკებს:

„გამოვედი და რა ვნახე! ჩაკაბერია მოუხსნიათ, რაიკომში მოკალათებული ხალხის მტერი მესამე მდივანი და მილიციის ის უკაცრავად პასუხია უფროსი, რომელმაც მე დამაპატიმრა, თვითონ ყოფილან ხალხის მტრები და მათთვის სათანადო ადგილი მიუჩენიათ, მაშ რა ეგონათ ქოფაკებს, განა სიმართლე დაიკარგებოდა? მე

რომ მეუბნებოდნენ, შენ კი ხარ ხალხის მტრების კუდიო, თითონ კუდიც ყოფილან და მეტიც“...

ამ ნომერში ჟურნალის მთელი გვერდი არა დანიშნულებისამებრ არის გამოყენებული, რაც რედაქტორის დაუკვირვებლობას უნდა მიეწეროს.

მეორე ნომერში მოთავსებულია ზორბას წერილი, სათაურით „[illegible]“. ავტორი ასე იწყებს:

„მე იმ კაცს ძალიან ხშირად ვხვდებოდი. მაოცებდა მისი უხასიათობა, პოზა და იერი. არავის უნახავს მისი ოდნავ გაღიმებული სახე“... და დაინტერესებულ ავტორს წაუღია გაზეთი, დამჯდარა იმ კაცის გვერდით ბაღში. ის კაცი „ცალი თვალით გაზეთს ირიბად უყურებდა“. მას გაუგია პარტიიდან გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე. ირკვევა, რომ ეს დაღონებული კაცი ცილისწამების მსხვერპლი ყოფილა, მაგრამ, როგორც ავტორი გვიხსნის, „ისტორიული დადგენილებით გადარჩენილი“.

რა კავშირი აქვს ამ წერილს ჟურნალ „ნიანგთან“, რას ხედავს ავტორი ან რედაქტორი ამ წერილში იუმორისტულს?

„ნიანგის“ 1-ლ ნომერში მოთავსებულია ა კ. ბ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს „სამგლოვიარო“ ჭორწილი. აკ. ბელიაშვილი სამართლიანად ითვლება პატარა მოთხრობების ოსტატად, მაგრამ, „ნიანგისთვის“ მას მეტად სუსტი მასალა მიუწოდებია. მოთხრობის შინაარსი მოკლედ ასეთია:

ტფილისში ექ. ჭანტურია დეპეშას ღებულობს დის შესახებ — „ნინა დავკარგეთო“. გაზეთში სამგლოვიარო განცხადების მიცემასაც ვერ ახერხებს, რადგან სხვებს მისი დის გარდაცვალების შესახებ უკვე ათი განცხადება მიუციათ. ერთი ვილაც ნამორაძეც უცხადებს თანაგრძნობას ევტიხის (ექიმის სახელია), რომელიც ვერ იხსენებს, ვინ არის ეს ნამორაძე. სოფელში მისვლისას ირკვევა, რომ ევტიხის და გაჰყოლია ცოლად ტრაქტორის შოფერს და ამით უკმაყოფილო მამას გამოუგზავნია ასეთი შინაარსის დეპეშა. ექ. ევტიხი ჭანტურია თავისი ამხანაგებით მიდის დის ქორწილში და ისიც არღნით. ერთი სიტყვით, შინაარსი აღნიშნული მოთხრობისა ღარიბია და არც იუმორისტულად არის დაწერილი.

გაუგებარია, რა საჭიროა ჟურნალში („კრიალოსნის“ განყოფილებაში) გაცვეთილი ანეგდოტების მოთავსება, რაც არც სულს არც გულს არაფერს არ მატებს? ავიღოთ თუნდაც ასეთი ანეგდოტი: ვაჭარს ხელი ჩაუყო ჯიბგირმა ჯიბეში, ვერაფერი ნახა და უსაყვედურა: „უსინდისო ხარ, ჯიბეში ფული არ გაქვსო“. ვის რად უნდა ასეთი „გონებამახვილობა?“ არც ჯიბგირი და არც ძველი ვაჭარი არ აინტერესებს მკითხველს. ან და კიდევ ვილაც ბერმა მაჭუტაძემ ქვა აიღო ხელში, ჭუთაისის გიმნაზიის კედელს მივარდა, ცემა დაუწყო და თან იძახდა: „დაიქეცი, თუ ამაზე უკეთესის გაზრდა არ შეგიძლიაო“.

პირველ ნომერში მოთავსებული მასალიდან მხოლოდ ერთია შინაარსიანი: გლეხს ჩასძინებია და ცხენი მოუპარავთ მისთვის. შემთხვევით გზაზე შეხვედრია სანადიროდ გამოსული სოლომონ მეფე, რომელსაც უთქვამს: თუ ცხენი საპატრონებელი გყავდა, რაღა გაძინებდაო. — მე მეგონა თქვენ გეღვიძათ, თორემ მე რა დამაძინებდაო, — მიუგია გლეხს. მეფეს ისე მოსწონებია ეს პასუხი, რომ გლეხისთვის თავისი რაში უჩუქებია და ქურდებისათვის სასტიკი დევნა დაუწყია.

„ნიანგი“-ს იმავე ნომრებში კარგია ლ. ი მ ე რ ი ს ფელეტონები — „მისტერ ჯონჯოლის კვირა“, ხოლო მეორე ნომერში — „სენატორის მონოლოგი“. მეექვსე ნომერში კარგია მ ე დ უ ზ ა ს „საცხა-ვინცხა“ და სხვ.

საინტერესოა გ. ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს „გააცურეს მოხუცი“, თუმცა ამ მასალის ხითაური არ შეეფერება შინაარსს.

ი ს ე ლ ი ს „კატაფონია“ ლამაზი ენით არის დაწერილი. იქ ასეთი ადგილია: „ანდრომ გაამაგრა პოზიციები და სოფლიდან გამოწვრილ დედასა და ბებიას თითონვე ჩაუდგა სათავეში“. დართულ ილუსტრაციაში კი ანდროს კაცები ეხმარებიან ჩხუბის დროს და არა ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგად სწერს საერთოდ „ნიანგის“ მკითხველებისათვის ბ ე ნ ი ა ს ა ნ ი, ა ლ ა ბ ა ს ტ ა ნ ი, ა ღ ლ ა ბ ა ს ა ნ ი, თუმცა მეორე ნომერში მოთავსებული „მაღალაშვილის მამლები“ სუსტ ნაწარმოებს წარმოადგენს.

კარგად სწერენ: დ ა ვ ი თ ა, კ უ კ უ რ ი, ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი, გ ო გ ი ა შ ვ ი ლ ი, ე ნ უ ქ ა (მშვენივრად დაუმუშავებია ახალი „რწყილი და ჭიანჭველა“). ხალისიანად იკითხება „რამე-რუმე“.

ორიოდე სიტყვა კარიკატურებზე.

დ ო ნ ი უეჭველად ნიჭიერი კარიკატურისტია. ყურადღებას იპყრობს მისი „საშამთრო სპორტი“, „რაინდები“, „რაიონის სასამართლოში“ და სხვა.

„ნიანგის“ მეექვსე ნომერში კარგია მ. თალაქვაძის კარიკატურა „უზრდელი ჩიტუნა“.

საერთოდ კი „ნიანგის“ რედაქცია სათანადოდ ვერ იყენებს იუმორისტ მწერლების შემოქმედებითს შესაძლებლობას. უმეტეს შემთხვევებში ჟურნალის მასალის იდეურ-მხატვრული ღირებულება ვერა სდგას სათანადო დონეზე, მისი „იუმორიც“ ხშირად უსუსური და იაფი ღირებულებისაა.

საჭიროა რედაქციამ უფრო გააძლიეროს თავისი მუშაობა, უფრო მეტად მოიმარჯვოს იუმორისა და სატირის მძლავრი იარაღი ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებათა გამოსააშკარავებლად და მკითხველთა ფართო მასების იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტის გასაფართოებლად. რაც მთავარია ჟურნალმა უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო საუკეთესო საბჭოთა მწერლები და პოეტები. რუსული „კროკოდილის“ გამოცდილების შესწავლა ბევრ რამეს შესძენს ჩვენი იუმორისტული ჟურნალის რედაქციას.

ს. ჩ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ოარი ისტორიული თარიღი 3
ალ. ჭეიშვილი — ლელო (რომანი) გაგრძელება 5
კალე ბობოხიძე — სერგო ორჯონიკიძე (ადგილები პოემიდან) 53
აპულეი — ამური და ფსიქეა (თარგმანი თ. ყიფიანისა) . . . 60
შალვა ამისულაშვილი — თერთმეტი მუხა(ლექსი) 88
ადამ მიცკევიჩი — ყირიმის სონეტები (თარგმანი იასამანისა) . 90
ოვ. თუმანიანი — მარო (ბალადა თარგ. ვ. გორგაძისა) . . . 99
თედო სახოკია — სურათები წარსულ ცხოვრებიდან 104

თეატრი და დრამატურგია

აკაკი ფალავა — ლადო მესხიშვილი 154

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ალექსანდრე სულავა — რაჟდენ გვეტაძის შემოქმედება . . 179

წარსულიდან

გ. მებუკე — კირილე ლორთქიფანიძე 187

ბიბლიოგრაფია

ხ. ჩ. — ჟურნ. „ნიანგი“ 1938 წლის 6 ნომერი 189